საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
1922 წლიდან

განათლება

რედაქტორები: თემურ ჯაგოდნიშვილი
დავით გურგენიძე
იურე ზოვკო

GANATLEBA

Georgian Technical Unicversity
Georgian Academy of Education Sciences

Editors: Temur Jagodnishvili
David Gurgenidze
Jure Zovko

№ 2 (45) 2024

ISSN 2346-8300

DOI: https://doi. org/10.36073/2346-8300

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

განათლება

GANATLEBA

ყოველკვარტალური რეფერირებადი და
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

2(45)
2024

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით

(ოქმი №7)

№ 2(45), 2024 წელი

რედაქტორები:

თემურ ჯაგოდნიშვილი საქართველოს — ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

დავით გურგენიძე — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი

იურე ზოვკო — პროფესორი, ზადარის უნივერსიტეტი (ხორვატია)

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

პასუხისმგებელი მდივანი: ლია ქათამაძე — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საredakcio kolegia:

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
აბრალავა ანზორ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიბილეიშვილი ლუბა – საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, პროფესორი
ბერიაშვილი მამუკა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბონდარენკო თამარ — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
გაბისონია ირაკლი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეკანი
გაგოშიძე გიორგი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
კოპალიანი კარლო — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
კუტუბიძე იაშა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აკადემიური საბჭოს მდივანი
მაღრაძე ვახტანგ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მეზუკე თამარ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მეტრეველი ლია — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სადრაძე ვაჟა — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქურდაძე მარინა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ყიფიანი გელა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ჩაჩხიანი ზურაბ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ხახუტაშვილი ელისაბედ — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ჯაგოდნიშვილი ივანე — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეკანი
ჯავახიშვილი ნიკო — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჯაფაროვი მიქაილ მამედ ოღლუ — პროფესორი, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი)
ირჟი კლაპკა — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)
ზდისლავ კრასნოდებსკი — პროფესორი, ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
ერიკო ჰაიაში — პროფესორი, ჯანმრთელობის ფონდის კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი (იაპონია)
ნენსი კ. გიში — პროფესორი, პოტრლანდის უნივერსიტეტი (აშშ)
ტომას შმიდტი — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)
სესილია ოდე — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)

სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები

ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „საარში"

მისამართი: 0160, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კორპ. VI, სართ. VIII, ოთახი № 805ბ

ტელ.: +995 599 557 993; +995 577 938 858

web-გვერდი: https://old.gtu.ge/Journals/newsletters/

ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი" – https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/482648

ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300

GANATLEBA

International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

№ 2(45), 2024

EDITORS:

Temur Jagodnishvili – Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

Davit Gurgenidze –Academician of the National Academy of Sciences of Georgia, Rector of Technical University of Georgia

Jure Zovko – Professor, University of Zadar (Croatia)

TECHNICAL EDITOR – Asmat Pipia, Doctor of Business Administration

RESPONSIBLE SECRETARY – Lia Katamadze, Associate professor, Georgian Technical University

EDITORIAL BOARD:

Metropolitan Anania (Japaridze) – Professor, Georgian Technical University
Abralava Anzor – Professor, Georgian Technical University
Luba Bibileishvili – Professor, Academician-secretary of the Georgian Academy of Education Sciences
Beriashvili Mamuka – Professor, Georgian Technical University
Bondarenko Tamar – Associate professor Georgian Technical University
Gabisonia Irakli – Professor, Georgian Technical University
Gagoshidze Giorgi – Professor, Georgian Technical University. Full member of the Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician
Kopaliani Karlo – Professor, Head of Administration of Georgian Technical University
Kutubidze Iasha – Professor, Georgian Technical University, Secretary of the Academic Council
Magradze Vakhtang – Professor, Georgian Technical University
Mebuke Tamari – Professor, Georgian Technical University
Metreveli Lia – Professor, Georgian Technical University
Sadradze Vaja – Associate professor, Georgian Technical University
Kurdadze Marina – Professor, Georgian Technical University
Kipiani Gela – Professor, Georgian Technical University
Chachkhiani Zurab – Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences
Khakhutashvili Elisabeth – Associate professor, Georgian Technical University
Jagodnishvili Ivane – Professor, Georgian Technical University
Javakhishvili Niko – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Jafarov Mikheil Mamed Oghlu – Professor, Baku State University (Azerbaijan)
Irji Klapka – professor, Karlos University (Czechia)
Zdzislaw Krasnodebski – professor, University of Warshaw (Poland)
Eriko Hayashi – Professor, The Foundation for Global Health Care, Research Institute (Japan)
Nancy K. Gish – Professor, University of Portland (USA)
Tomas Schmidt – Professor, University of Bern (Switzerland)
Cecilia Ode – University of Amsterdam (Netherlands)

The authors are responsible for the accuracy of the facts in the article

The magazine is published by „SAAR“ publishing house

Adress: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU

TEL.: +995 599 557 993; +995 577 938 858

web-said's adress: http://old.gtu.ge/Journals/newsletters

digital library „Iveriel“ – https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/482648

e-mail: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300

შინაარსი

განათლების მეცნიერებანი

თემურ ჯაგოდნიშვილი
ლინგვოქვეყანათმცოდნეობის ადგილი ქართულის როგორც სახელმწიფო ენის სწავლებაში 9

სოფიკო ბარამიძე
ორგანიზაციული კულტურის მართვის მექანიზმები უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში 18

ჟურნალისტიკა

ქეთევან გიორგობიანი
ავსტრალიის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები.....23

მამუკა შელეგია
XIX საუკუნის პრესა საქართველოს ტახტის მემკვიდრის გარდაცვალების გამო (ირაკლი (ერეკლე) ბაგრატიონი).....28

ირინა ყურუა
სიძულვილის ენა და ტელემედია საარჩევნო პერიოდში (2020 წლის საპარლამენტო არჩევნები) 33

ფილოლოგია

ლადო მინაშვილი
კიტა აბაშიძის, როგორც კრიტიკოსის პორტრეტისათვის (გიორგი წერეთელზე მისი ეტიუდის მიხედვით).....43

ეკა ჩილაჩავა
„სულ შინისკენ... სულ შინისკენ...'' 51

საერთაშორისო ურთიერთობები

ნიკოლოზ ფიფია, ბექა კურცხალია
არალეგალური მიგრაცია, მიზეზები და შედეგები 56

კობა გრიგოლია
რუსეთის ინტერესები და მისი როლი სირიის კონფლიქტში 60

სოციალური მეცნიერებები

ლელა მენაბდიშვილი
შობადობის პერსპექტივები საქართველოში.....66

ნანა მენაბდიშვილი
გენდერული თანასწორობა ოჯახში.....71

ნიკოლოზ ფიფია, ბექა კურცხალია
თავშესაფრის უფლებასის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურები გერმანიაში, რეადმისია და მასთან დაკავშირებული გამოწვევები.....76

თამარ სილაგავა
ადამიანის ძირითადი უფლებების ტერმინოლოგიური შინაარსის გააზრებისათვის 83

ფსიქოლოგია

ლია მეტრეველი, ნანა ბოკუჩავა
მოზარდთა ვიქტიმური ქცევა 86

მამუკა მაღლაკელიძე
ზნეობრივი მაგალითები ქართულ სპორტში 92

ქეთევან ჯაფარიძე
ფსიქოლოგიური ასპექტები ონკოპაციენტების მკურნალობის პროცესში.....97

კულტუროლოგია

ნინო გომართელი, თამარ ხოხობაშვილი
ქართული კულტურის ტრადიციული და თანამედროვე მახასიათებლები 101

მამუკა მაღლაკელიძე
უცხოელი ავტორები ქართულ სპორტულ და საბრძოლო ტრადიციებზე.....105

ეკონომიკა და ბიზნესი

ელისაბედ ხახუტაშვილი
საზოგადოების ურთიერთობა ხელოვნურ ინტელექტთან 110

ნინო ომანაძე, გორდა ნამიჭეიშვილი
ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის პოტენციური რისკები.....116

თამარ კილაძე, ნინო ოსაძე
საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის როლი ბიზნესში 120

არქეოლოგია

თედო ისაკაძე
სამხრეთ კავკასიის ნეოლით-ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის კულტურების პოპულაციების
იდენტიფიკაციისთვის 126

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

არჩილ გრიგილაშვილი, ქეთევან ილურიძე, თეიმურაზ თუთბერიძე
ენერგოეფექტურობა და ჭკვიანი სახლის მოდელი ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე.....135

ირაკლი ბენაშვილი
ხელოვნური ინტელექტის ნეგატიური ეფექტი და მანკიერი მხარეები 140

CONTENT

EDUCATION SCIENCES

Temur Jagodnishvili
The place of linguistics and geography in the teaching of Georgian as a state language 9

Sophiko Baramidze
Organizational culture management mechanisms in higher educational institutions.....18

JOURNALIZM

Ketevan Giorgobiani
Australian Mass Communication Media 23

Mamuka Shelegia
19th century press on the demise of the heir to the throne of Georgia 28

Irina Kurua
Hate speech and media during the election period (2020 parliamentary elections of Georgia) 33

PHILOLOGY

Lado Minashvili
For the portrait of Kita Abashidze as a critic (on Giorgi Tsereteli according to his etude).....43

Eka Chilachava
„Always homeward… always homeward…" 51

INTERNATIONAL RELATIONS

Nikoloz Phiphia, Beka Kurtskhalia
Illegal migration, the reasons and the effects.....56

Koba Grigolia
Russia's Interests and its Role in the Syrian Conflict.....60

S C I E N C E S

Lela Menabdishvili
Birth prospects in Georgia.....66

Nana Menabdishvili
Gender equality in the family 71

Nikoloz Phiphia, Beka Kurtskhalia
Asylum procedures in Germany, readmission and related challenges 76

Tamar Silagava
To understand the terminological content of basic human rights.....83

PSYCHOLOGY

Lia Metreveli, Nana Bokuchava
Adolescent victim behavior....86

Mamuka Maglakelidze
Moral examples in Georgian sports....92

Ketevan Japaridze
Psychological aspects in the process of treatment of cancer patients....97

CULTUROLOGY

Nino Gomarteli, Tamar Khokhobashvili
Georgian culture is the basis of national identity....101

Mamuka Maglakelidze
Georgian sports and combat traditions In foreign sources....105

ECONOMICS AND BUSINESS

Elisabed Khakhutashvili
The Interaction of Society with Artificial Intelligence....110

Nino Omanadze, Gorda Namecheishvili
Potential risks of business digital transformation....116

Tamar Kiladze, Nino Osadze
The role of the unified transport system of Georgia in business....120

ARCHAEOLOGY

Tedo Isakadze
For Identification of the Populations of South Caucasus
Neolithic-Eneolithic and Bronze Ages Cultures....126

SOCIAL SCIENCES

Archil Grigalashvili, Ketevan Iluridze, Teimuraz Tutberidze
Energy efficiency and smart home model based on artificial intelligence....135

Irakli Benashvili
Negative effects and evil sides of artificial intelligence....140

განათლების მეცნიერებანი

EDUCATION SCIENCES

ლინგვოქვეყანათმცოდნეობის ადგილი ქართულის როგორც სახელმწიფო ენის სწავლებაში

თემურ ჯაგოდნიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე გლობალიზაციის ვითარებაში ხალხთა გრანდიოზული მიგრაციები თითქმის ყოველდღიურობის თანამდევი მოვლენა გახდა. მიგრანტების, როგორც სოციუმს სახეობის გაჩენამ აბორიგენი მოსახლეობის საარსებო და კულტურულ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრირების ამოცანებმა უაღრესი მნიშვნელობა მიანიჭა განსხვავებული კულტურების დიალოგისა და ცივილიზებული თანაარსებობის პრობლემას, ამ გარემოებამ, ბუნებრივად გამოიწვია მიგრანტების (და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა) მიერ მასპინძელი ქვეყნის ენის შესწავლის სასიცოცხლო აუცილებლობა. უცხო ენის შესწავლის უმოკლესი და შედეგის მომტანი გზა კი აღმოჩნდა ამ ენის მატარებელი სიახლის კულტურის შესწავლა, როგორც შესასწავლი ენის ფუნქციონირების სოციალური სივრცის გამოხატულებისა. ამ გარემოებამ კი გამოიწვია უცხო ენის შესწავლა ამ ენის კულტუროლოგიურ კონცეფტებთან ერთიანობაში. ამ რთული ამოცანის გადაჭრას ემსახურება სასწავლო კურსი „ლინგვოქვეყანამცოდნეობა“.

ნაშრომში განხილულია ლინგვოქვეყანათმცოდნეობის სწავლების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები საქართველოსა და, კერძოდ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

საკვანძო სიტყვები: ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, ენა და აზროვნება, ენა და კულტურა, ლინგვოქვეყანათმცოდნეობა და ლინგვოკულტუროლოგია, „კულტურული შოკი“.

შესავალი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (1+4) ფარგლებში იმის დასადგენად, თუ რა ინფორმაციები/ცოდნა უნდა მიეწოდოს სტუდენტებს ლინგვოქვეყანამცოდნეობით, სხვა ასპექტებთან ერთად, აუცილებელია იმის გარკვევა და გაცნობიერება, თუ რა კავშირია ენასა და კულტურას შორის.

ეს კი იმის გათვალისწინებას (დადგენას) გულისხმობს, თუ როგირა მიმართება კულტურის ფაქტსა, როგორც კულტურის შემადგენელ ნაწილსა და კულტურას, როგორც სამყაროს აღქმის სულიერსა და მატერიალურ ტიპს შორის.

ცნობილია, რომ კულტურის ფენომენი განისაზღვრება იმ მატერიალური და სულიერი ღირებულებებით, რომლებსაც ადამიანი ქმნის. კულტურა ადამიანის სოციალური აქტივობის პროდუქტია. მას თავისი ისტორია და გენეზისი აქვს.

კულტურა გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანის პიროვნულ ფორმირებაში. კულტურა, ფართო გაგებით, ცვლის პროცესიც არის, შედეგიც და ადამიანის საარსებო გარემოში ჩართულობის რაობის განმსაზღვრელიც.

კულტურაში ერთმანეთისაგან სამყაროს დაუფლების მატერიალურ და სულიერ სინამდვილეზე შემოქმედებითი რეაქციით სხვაობენ. ამჟამად ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემატიკისადმი რამდენიმე მიდგომა არის დამკვიდრებული. ერთი მიდგომის მიხედვით ენა სინამდვილის ასახვაა, კულტურა – ამ სინამდვილის განუყოფელი ნაწილი. ამ მიდგომის თანახმად ენა კულტურის გამოვლენაა.

მეორე მიდგომით ენა ჩვენს გარეშე თავისთავად, უბრალოდ, არ არსებობს. იგი ჩვენშია, ჩვენს შემეცნებაში, ჩვენს მეხსიერებაში. ენა გენეტიკური ფენომენია და ადამიანს გარკვეულ ასაკში ეძლევა (ამას გვაუწყებს ჩვენი იდიომატური გამოთქმა: ბავშვმა ენა აიდგა და არა ისწავლა!), ანუ ადამიანის სიცოცხლის გარკვეულ ეტაპზე ხდება ენის გენეტიკური ცოდნის რეპრეზენტაცია.

ენა განსაზღვრავს მისი მატარებელი ხალხის აზროვნების რაგვარობას.

კიდევ ერთი მიდგომის მიხედვით, ენა კულტურის ფაქტია, რადგან იგი კულტურის ნაწილია, რომელსაც ჩვენი წინაპრებისგან ვმემკვიდრეობთ. ენა ის ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც ვმემკვიდრეობთ კულტურას.

ნებისმიერი მიდგომით ენა და კულტურა მჭიდრო ურთიერთმიმართებაშია. განსხვავება მხოლოდ ურთიერთმიმართების ტიპის ხედვაშია.

ზემოაღნიშნულიდან ისიც გამომდინარეობს, რომ უცხო ენის სწავლის დროს მოსწავლე (შემსწავლელი) მისთვის უცხო ან სხვა გარემოსი მართებული (მიღებული) ურთიერთობის, ქცევა-მოქმედების გასაღებს ითვისებს და, რაც მთავარია, ეს გარემოება არ იწვევს კულტურათშორისი საზღვრების აღწერას. პირიქით, ენის შემსწავლელს ეხმარება სხვა (უცხო) კულტურის გაგებასა და მიღებაში, ასევე საკუთარი ცოდნის გაღრმავებაში შედარება-შეპირისპირების გზით.

ძირითადი ნაწილი

ქართულის როგორც სხვა (სახელმწიფო) ენის სწავლების პროცესში შემსწავლელის კულტურული, ფსიქოლოგიური, სოციალური თავისებურებებით განპირობებული არაადეკვატური ასოციაციების თავიდან აცილებაა აუცილებელი, ამის გათვალისწინება-განმარტებების მეშვეობით. მაგალითად, ნებისმიერ მხატვრულ ტექსტს კულტუროლოგიური ქვეტექსტი აქვს. ძალიან ხშირად ნაწარმოების გაუგებრობის (კულტურული შოკის) მიზეზი მკითხველის მოუმზადებლობაა.

ამის ყველაზე მარტივი მაგალითია ფრაზეოლოგიზმი. სიტყვა, ცალკე აღებული და შესიტყვებაში (ფრაზაში) ცალ-ცალკე ყველა სიტყვა, შესაძლოა, გასაგები იყოს (ან ლექსიკონის დახმარებით გახდეს გასაგები), მაგრამ ფრაზეოლოგიური ერთეულის შემადგენლობაში მისი შინაარსი გაუგებარი დარჩეს.

კულტურა, როგორც ენა, შემეცნების ფორმებია და ისინი ადამიანის მსოფლშემეცნებას ასახავენ (Телия, 1996, გვ. 224). ფრაზეოლოგიზმი სიტუაციაში იბადება და სიტუაციას გარკვეული სიმბოლოებით ასახავს, თანაც ტიპობრივად. ფრაზეოლოგიზმის სახეობრიობის საფუძველი, მისი სიმბოლურობა და ეტალონურობა განაპირობებს სწორედ კულტურულ და ეროვნულ სპეციფიკას.

ტერმინ „ლინგვოქვეყანამცოდნეობის“ წარმომავლობისა და შინაარსის შესახებ

ტერმინი „ლინგვოქვეყანამცოდნეობა“ პირველად გაჩნდა XX საუკუნის 70-იან წლებში რუსულ-საბჭოური ლინგვისტიკის სივრცეში. ამ ტერმინით აღნიშნავდნენ უცხოელებისათვის ენის სწავლების ერთ მეთოდს და მიაკუთვნებდნენ მეთოდიკის სფეროს. „ლინგვოქვეყანამცოდნეობით“, როგორც ტერმინით, გამოხატავდნენ რუსული ენის სწავლებაში ლინგვისტიკასთან ერთად კულტუროლოგიური ცოდნის მონაწილეობას.

ლინგვოქვეყანამცოდნეობას ამჟამადაც მიაკუთვნებენ ენის უცხოელებისათვის სწავლების ერთ ასპექტს, რომელიც სწავლების კომუნიკაციურობის უზრუნველყოფისა და ზოგადსაგანმანათლებლო თუ ჰუმანიტარული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით ლინგვოდიდაქტიკურად ახორციელებს ენის კუმულაციურ ფუნქციას, ახდენს მოსწავლის (როგორც ადრესატის) აკულტურიზებას, სხვა კულტურასთან დაახლოებას. ამასთან, როგორც სწავლების მეთოდს, ფილოლოგიური ბუნება აქვს და კულტურის სწავლება წარმოებს ენის მეშვეობით, თანაც ამ ენის სწავლების პროცესში (ანუ პრინციპით ენა კულტურით და კულტურა ენით) (Верещагин, 1990, გვ. 37). პოსტსაბჭოურ სივრცეში (ესტონეთი, რუსეთი...) „ლინგვოქვეყანამცოდნეობასთან“ ერთად იხმარება ტერმინი „ლინგვოკულტუროლოგია“.

„ლინგვოკულტუროლოგიის“ თვალსაწიერიდან „ლინგვოქვეყანამცოდნეობა“ კულტუროლოგიის პრაქტიკული რეალიზებაა, გამოყენებითი ასპექტია ენის სწავლების პროცესში.

ლინგვოკულტუროლოგიის ობიექტი მრავალსახაა, მოიცავს ენას, კულტურას, ადამიანს თავისი ინტერესებით, მისწრაფებებით, ღირებულებებით.

ლინგვოკულტუროლოგიის საგანია სამეტყველო წარმონაქმნები, კულტურული მახასიათებლები, საზოგადოებრივი წყობა, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ურთიერთობები და ა. შ.

ლინგვოქვეყანამცოდნეობა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლების ლინგვისტიკური ასპექტია ფონეტიკის, ლექსიკის, გრამატიკის სწავლება. იგი განიხილავს სამეტყველო ქცევის (სამეტყველო ეტიკეტი, ექვივალენტოვანი და უექვივალენტო ლექსიკა, ფრაზეოლოგია) და არასამეტყველო ქმედების (ტრადიციული, ჟესტები,

მანერები) საკითხებს, რომლებიც ახასიათებს ენის მატარებლებისათვის ურთიერთობებს გარკვეულ სიტუაციებში.

ლინგვოქვეყანამცოდნეობას საფუძველად დაედო ხუთი პრინციპი:

პირველი პრინციპი ვარაუდობს ენის შემსწავლელის დაახლოებას მისთვის ახალ სინამდვილესა და საზოგადოებრივ შემეცნებასთან. იმ პირობებში, როდესაც ენა განყენებულად (რეალობას მოწყვეტილად) შეისწავლება, ეს პრინციპი სრულფასოვნად ვერ მოქმედებს. შესასწავლი ენის გარემოს არარსებობა რაღაცით უნდა შეივსოს. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ზრდის მასწავლებლის სამუშაოს. მაგრამ აუცილებელია, რადგან ამგვარი ინფორმაციის ნაკლებობა ამდარებს კომუნიკაციის ეფექტურობას. კომუნიკაცია კი შესაძლებელია ფონური (საერთო) ცოდნის შემთხვევაში, რომელიც ადრესანტსაც აქვს და ადრესატსაც.

თუ ენის სწავლების პროცესში არ გამოიყენება ცნობები ამ ენის მშობლიური ქვეყნის შესახებ, კომუნიკაცია ვერ იქნება წარმატებული. ამ გარემოებას მარტივი ახსნა აქვს: ენას კომუნიკაციური (დაგროვებითი) ფუნქცია აქვს. ეს იმაში ვლინდება, რომ ენა არა მარტო გადმოგვცემს რაიმე შეტყობინებას, არამედ აფიქსირებს, ინახავს ინფომრაციას ადამიანის მიერ შეცნობილი სინამდვილის შესახებ.

სხვა (უცხო) კულტურა „იდიომას“ წარმოადგენს, რამდენადაც მისი შინაარსი მოტივირებული არ არის უცხოთათვის. ამის გამო მათთვის არ გამჭვირვალეა, არც რეფლექსირებული Телия, 1996, გვ. 216). ამით უნდა აიხსნას, მაგალითად, მოსწავლეებში ქართულის, როგორც არამშობლიური ენის შესწავლის მოტივაციის არარსებობა. თუმცა სკოლის დამთავრების შემდეგ ეტაპზე მოტივაცია უჩნდებათ, თანაც ძლიერი - პრაგმატული. ესაა ქართულენოვან საზოგადოებაში ინტეგრირების აუცილებლობა, კარიერული წინსვლისთვის.

უცხო ენის შესწავლის პროცესში შესასწავლი ენის კულტურაში „ჩაღრმავების“ მნიშვნელობა იმით აიხსნება, რომ ენის საგნობრივი სფერო და კულტურის საგნობრივი სფერო სხვადასხვა სემიოტიკურ სისტემებს წარმოადგენს. ამიტომ არის, რომ კულტურული კომპეტენცია არ ემთხვევა ენობრივ კომპეტენციას.

ენობრივი კომპეტენციის გადართვა კულტურულ კომპეტენციაში ემყარება ენობრივი ნიშნების ინტერპრეტირებას კულტურული კოდის კატეგორიებში. ამგვარი ინტერპრეტაციის უნარი ქმნის სწორედ კულტურულსა და ენობრივ კომპეტენციას.

ამგვარად, კუმულაციური (დაგროვებითი) ფუნქცია ქმნის ლინგვოქვეყანამცოდნეობითი გამიზნულობის სწავლების რეალურ საფუძველს.

მეორე პრინციპი ლინგვოქვეყანამცოდნეობითი სწავლებისა მდგომარეობს აკულტურიზაციაში, ანუ ერთი ეროვნული კულტურის სივრცეში გაზრდილი ადამიანის მიერ სხვა ეროვნული კულტურის ფაქტების, ნორმებისა და ღირებულებების ათვისებაში. აკულტურიზაცია ასევე ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.

ქართული ენა შეისწავლება 60 კრედიტიანი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამით 1500 აკადემიური საათის მოცულობით. ასეთ პირობებში უფრო ზედაპირული ინფორმაციის (ცოდნის) შეძენაა შესაძლებელი.

ლინგვოქვეყანამცოდნელობითი სწავლების შემთხვევაში შეთავაზებული საათობრივი დატვირთვის ფარგლებში ხდება შემსწავლელის ცოდნის გაღრმავება.

მესამე და **მეოთხე** პრინციპები პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან და გარკვეულწილად მეორე პრინციპთანაც. იგი გულისხმობს პოზიტიური განწყობის ფორმირებას შესასწავლი ენის მატა-რებელი ხალხისადმი. ეს პრინციპი ასევე ითხოვს სასწავლო პროცესის მთლიანურობასა და ჰომოგენურობას, რამდენადაც ქვეყანამცოდნეობითი ინფორმაცია გამოწვლილია (გამოცალკევებულია) ენობრივი ფორმირებიდან და სასწავლო ტექსტებიდან, ცალკე დაკვირვებისა და სწავლების საგანს წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, ლინგვოქვეყანამცოდნეობის სასწავლო კურსი, შესაბამისად სასწავლო ლიტერატურა, ისე უნდა აიგოს, რომ ქვეყანამცოდნეობითი საინფორმაციო ტექსტები (ანუ მარტივი, ადაპტირებული და ნახევრად ადაპტირებული) ქართული კულტურის სამყაროდან ქართული ენის კონკრეტულ ლექსიკურ, გრამატიკულ მოვლენებზე დაკვირვებისა და ანალიზის შესაძლებლობებს შეიცავდეს.

მეხუთე პრინციპი დაკავშირებულია ლინგვოქვეყანამცოდნეობის სპეციფიკის დაზუსტებასთან: ლინგვოქვეყანამცოდნეობითი მდგენელი სწავლების პროცესში ახორციელებს სინამდვილის მეორეულ ფილოლოგიურ ასახვას (Верещагин, & Костомаров, 1990, გვ.12).

ცხადია, უსაფუძვლოა ლაპარაკი შემსწავლელის მიერ ქართული კულტურის გათავისების შთამბეჭდავ სიღრმეებზე ასეთ მოკლე დროსა და კრედიტების ამგვარი მცირე რაოდენობის ვითარებაში; ასევე ძნელია სხვა (ქართული) კულტურის

გააზრება-გათავისებაზე საუბარი, ისევე, როგორც სხვა (უცხო) ენის დაუფლება ისეთ ქვეყანაში, სადაც ეს ენა ყველგან ისმის და ჩანს (წარწერებში, რეკლამებში, მასმედიაში და ა. შ.). ამიტომ მნიშვნელოვანია აკადემიური დროის ოპტიმალურად გამოყენება. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო გამოცდილება შემდეგს გვთავაზობს:

ლინგვოქვეყანამცოდნეობითი ასპექტი ყოველი თემის სწავლებაში უნდა იყოს გათვალისწინებული, კერძოდ:

- უნდა ვასწავლოთ ეტიკეტის ნორმები. იგულისხმება ქცევა-მოქმედების ნორმები შესასწავლი ენის მატარებელი ხალხის ყოფით კულტურაში (სად, რას ამბობენ კონკრეტულ შემთხვევებში, ან სად, რა არ შეიძლება რომ ითქვას);
- ურთიერთობის სივრცობრივ-ჟესტობრივი ნორმების სწავლება. აქ იგულისხმება დისტანცია, შეხება, ჟესტები, მიმიკა;
- ურთიერთობების ტრადიციების, წეს-ჩვეულების სწავლება;
- სამეტყველო სტერეოტიპების, ფრაზეოლოგიის, იდიომების სწავლება;
- ფონური ცოდნის გამოყენება, ანუ ახალი ცოდნის მიწოდება უკვე შეძენილი ცოდნის გათვალისწინებით მიწოდება, რაც უკვე შეძენილი ცოდნის ლოგიკურ გაგრძელება-გაღრმავებას გულისხმობს.

ბევრი პედაგოგი ლინგვოქვეყანამცოდნეობითი მასალის ნაკლებობას თანამედროვე სახელმძღვანელოებში დამატებითი მასალით - ნახატებითა და ვიდეოებით ავსებს. ეს, ერთი შეხედვით, მარტივი დიდაქტიკური ტექნოლოგია არც ისე მარტივია სინამდვილეში.

მიზნობრივი ტექსტების შერჩევას და გააზრებას დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება. ბევრი პედაგოგი უმთავრესად აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას და სასწავლო კურსის სილაბუსს მიჰყვება, შესაბამისად სახელმძღვანელოს და მეთოდურ ლიტერატურას ემყარება. ამ სასწავლო ლიტერატურიდან ლინგვოქვეყანამცოდნეობითი მასალის გამოყოფას დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება. ამგვარი სამუშაოს ყველა პედაგოგი არა ჰკიდებს ხელს. ზოგი მიზნობრივ ტექსტებს დროა და დრო ადგენს, ზოგი მხოლოდ სახელმძღვანელოს მიჰყვება. ყველაზე ცუდ დღეშია დამწყები მასწავლებელი. მას ისედაც დრო სჭირდება ადაპტირებისთვის.

აღნიშნული ცხადყოფს, რომ სასწავლო წიგნებში შესასწავლი ენის მატარებელი ხალხის კულტურის ელემენტების ფრაგმენტალური სწავლება ვერ იძლევა სასურველ შედეგს, ვერ უქმნიან შემსწავლელს წარმოდგენას ამ კულტურის არსზე. ამით კი შესასწავლი უცხო (სხვა) ენის შესწავლის პროცესსაც აცლიან (ვერ უქმნიან) შედეგის მომტან კონტექსტს - ლინგვოკულტუროლოგიურ მდგენელს. არა და კულტურის ელემენტების თანმიმდევრული გაცნობა შემსწავლელს ეხმარება შესასწავლ ენაზე ურთიერთობების დამყარებაში, კომუნიკაციური გაუგებრობების თავიდან აცილებაში, ახალ სოციალურ გარემოში ადაპტირებაში; დაეხმარება ამა თუ იმ მოვლენის, რეალიის გააზრებასა და გაცნობიერებაში.

ყველა კულტურას თავისი განუმეორებელი სამყაროს სურათხატი აქვს. უცხო კულტურის სამყაროული სურათხატის შეგრძნება/შემეცნება შეუძლებელია ერთი ხელის დაკვრით - მყისიერად. იგი ხანგრძლივი პროცესია. ენის შემსწავლელს უკვე ჩამოყალიბებული აქვს თავისი მშობლიური კულტურის აზროვნების თავისებუ-რებები. აკულტურიზაცია კი რთული პროცესია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებას მივყავართ იმის აღიარებამდე, რომ ქვეყანათმცოდნეობითი (კულტუროლოგიური) მასალის თანმიმდევრული და შესასწავლი ენის კონტექსტური ფუნქციით სწავლებისათვის მიზანშეწონილია ლინგვოქვეყანათმცოდნეობის ცალკე სასწავლო კურსის ფორმატში სწავლება. ამაში გვარწმუნებს ერთი მხრივ, სტუ-ში მოქმედი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა (1+4), მისი რეალიზებით მიღწეული შედეგები, მეორე მხრივ, ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ როგორ აფასებენ ქართული ენის შემსწავლელები მიღებულ ინფორმაციებს ქართული კულტურის შესახებ (სტუ-ში სწავლის დროის განმავლობაში) და ასევე ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების არსებული თეორიულ-მეთოდური ლიტერატურა (კილაძე, & ქუთათელაძე).

ჩვენი გადასახედიდან ლინგვოქვეყანამცოდნეობის სასწავლო კურსი (და შესაბამისად, სასწავლო წიგნი) უნდა დაემყაროს ქართული ენის ლექსიკური და გრამატიკული მასალის სიმბიოზს კულტუროლოგიურ მასალასთან.

კარგი ინსტრუმენტებია მხატვრული ტექსტები, ფილმები, სიმღერები, ნაკვესები, ანეკდოტები, რეკლამები. მაგალითად, აღიარებულია, რომ უცხო ენაზე პირველი (ადრეული) გამონათქვამები (მისალმება, სამეტყველო ეტიკეტის ფრაზები: როგორ ბრძანდები, როგორ გიკითხოთ?...) შეიძლება ვასწავლოთ ვიდეო მასალის ფრაგმენტის

საფუძველზე, ანუ მოვახდინოთ კომუნიკაციური მოდელის დემონს-ტრაცია, ვუჩვენოთ: როგორ ფუნქციონირებს ფრაზა, როგორ წარმოითქმის ფრაზა, რა უნდა ვუპასუხოთ და როგორ (როგორი ინტონაციით უნდა ვუპასუხოთ) და ა. შ.

სწავლებისა და განმტკიცების ეტაპზე შეიძლება კინოკადრებიდან კომიკსების მსგავსი ვიზუალური რგოლების (ფრაგმენტების) გაკეთება, სადაც ცალკეული ფრაზები ტიტრების ფორმატში იქნება ფიქსირებული გრაფიკულად მოლაპარაკის საუბრის პარალელურად. ამგვარი მასალა შესაძლოა სახელმძღვანელოშიც აისახოს.

იმავე პრინციპით შეიძლება მომზადდეს დავალებებიც. ენის შემსწავლელის ყურადღება გამახვილდეს ციტატებზე, როგორც სასაუბრო მეტყველების განუყოფელ ნაწილზე (მაგალითად, ფილმებიდან „ქვევრი“, „ღვინის ქურდები“, „რეკორდი“, „ნატვრის ხე“ და სხვა).

შედეგისმომტანად გვესახება კლასიკური ქართული მწერლობის ნიმუშების გაცნობა სამეტყველო ურთიერთობების ფრაზეოლოგიის სწავლების მიზნით.

კონკრეტული თემის ფარგლებში ენის შემსწავლელს შეიძლება გავაცნოთ ინფორმაცია საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიის სფეროებიდან.

შეიძლება ყოფითი კულტურის სფეროს ფაქტების, მოვლენების გამოყენებაც. მაგალითად, ისეთი მარტივი თემატიკიდან, როგორიცაა წასვლა თეატრში, კინოში, კაფეში მგზავრობა საქალაქო (მუნიციპალური) ტრანსპორტით და ა. შ. ასეთ ვითარებაში გააქტიურდება ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტებიც, - გრამატიკულიც და კულტუროლოგიურიც.

ამგვარი მიდგომით ქართული ენის შემსწავლელს გაუადვილდება ქართულ ენობრივ სამყაროში ორიენტირება, თანაც იმდენად, რომ ქართველ კაცთან ურთიერთობაში თავიდან აიცილებს კომუნიკაციურ გაუგებრობას („კულტურულ შოკს“).

ლინგვოქვეყანამცოდნეობის ადგილი ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდიკაში

თანამედროვე ქართულ სინამდვილეში ტერმინი „ლინგვოქვეყანამცოდნეობა“ არ გამოიყენება. ევროპული პედაგოგიკური ტრადიციების შესაბამისად გავრცელებულია ტერმინი „ქვეყანათმცოდნეობა“. ამ ტერმინით აღინიშნება ქართულის კულტურის ელემენტების სწავლება „ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროგრამის“ ფარგლებში, ანუ კულტუროლოგიური ასპექტის შინაარსის გამოხატვა ეკისრება.

კულტუროლოგიური ასპექტის გამოხატვას კი ორ სასაფუძვლო ცნებას აკისრებენ: „ქვეყანათმცოდნელობას“ და „ქვეყანათმცოდნეობის დიდაქტიკას“. ტერმინები მათი ტერმინოლოგიური შინაარსით ნასესხებია გერმანული მეთოდური ლიტერატურიდან (Biechele, & Padros, 2003; Wagner, 2005). აქედანვეა წამოღებული „კულტურული შოკის“ ცნება, შინაარსი და როლი ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებაში.

გერმანულ სინამდვილეში ძველ სახელმძღვანელოებში ელიტარული (მაღალი) კულტურა ისწავლებოდა, ახლებში კი - ყოფითი კულტურაც და ელიტარულიც.ამისგამოთანამედროვესახელმძღვანელოები ბევრ „ბანალურ“ ინფორმაციასაც აწვდის ენის შემსწავლელებს.

თანამედროვე მეთოდურ ლიტერატურაში დიდი აზრთა სხვადასხვაობაა ყოფითი და ელიტარული კულტურის ელემენტების სწავლების თანაფარდობაზე.

კომუნიკაციური მიდგომით შედგენილ სახელმძღვანელოებში თითქმის უგულებელყოფილია ელიტარული (მაღალი) კულტურა, ნაკლებადაა ლიტერატუ-რული ტექსტების მასალა. თუმცა თანამედროვე სახელმძღვანელოებში ეს ტენდენცია დარღვეულია, ენის ფლობის გათვალისწინებით სალიტერატურო ტექსტების ელემენტებიც არის წარმოდგენილი.

ქართველი ავტორები ენის სწავლებაში ქვეყანათმცოდნეობის ელემენტების გაცნობის მიზანს იმაში ხედავენ, რომ ენის შემსწავლელმა შეძლოს უცხოენოვან (აქ: ქართულენოვან) გარემოში ორიენტირება - ადეკვატური ენობრივი ქმედება, ანუ ვერბალური კომუნიკაცია, უცხო (ქართული) კულტურის შეცნობა, დაფასება, კულტურებს შორის დიალოგის ხელშეწყობა. ოღონდ ქვეყანათმცოდნეობითი მასალის სასწავლო წიგნებში შეტანას გულისხმობენ და არა ცალკე სასწავლო კურსის ფორმატში თავმოყრას და სწავლებას ცალკე საგნად .„ქვეყანათმცოდნეობის“ ტერმინოლოგიური შინაარსი აქ უფრო კულტუროლოგიას მოიცავს, ყოფითი და ელიტარული კულტურების ელემენტების დაგროვებით, თანდათანობით (მარტივად რთულისაკენ სვლით) სწავლებას.

ეს საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრება კულტუროლოგიიდან მომდინარეობს, თავისთავად სწორია და მართებული. თუმცა ქვეყანათმცოდნეობა, ქვეყნის კულტურასთან ერთად, სხვა სფეროების ელემენტების ცოდნასაც მოიცავს,

თუკი „კულტურას“ ძალიან ზოგადი გაგებით გამოვიყენებთ. მაგალითად, მოიცავს გეოგრაფიას, სტატისტიკას, ბუნებას, ფლორას, ფაუნას, მთებს, ზღვებს, ტბებს, მდინარეებს, სასარგებლო წიაღისეულს, კურორტებს, ტურისტულ მარშრუტებს და სხვა.

ასე რომ, ტერმინი „ქვეყანათმცოდნეობა“ უფრო ყოვლისმომცველობითი შინაარსის შემცველია, ვიდრე ტერმინი „კულტუროლოგია“. მათ შორის ტოლობის ნიშნის დასმას საფუძველი არ გააჩნია და უცხო ენის სწავლებაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს „ქვეყანათმცოდნეობას“, ხოლო ლინგვისტიკური ცოდნის მიცემის როლის გათვალისწინებით, უმჯობესი, და საქმის რეალური ვითარების ამსახველი ტერმინი „ლინგვოქვეყანათმცოდნეობაა“.

აქედან გამომდინარე, მაგალითად, ესტონურ და რუსულ სინამდვილეში ფეხმოკიდებული ტერმინი „ლინგვოკულტუროლოგიაც“ არ არის ზუსტი იმ გაგებით, რომ ვერ ფარავს შესწავლის ობიექტს. „ლინგვოქვეყანათმცოდნეობა“ კი ტერმინოლოგიურად მოიცავს შესასწავლ ენასაც, ამ ენის ქვეყნის კულტურასაც (ფართო გაგებით) და ქვეყნის შესახებ სხვა სფეროების ინფორმაციებსაც , უპირატესად გეოგრაფიულ-მხარეთმცოდნეობითი სფეროების ელემენტების ცოდნასაც.

უცხო ენის სწავლებაში, თეორიის (მეთოდოლოგიის) დონეზე სიახლეა კავშირის აღიარება ენის ცოდნასა და კონფლიქტებს შორის. ცალკეული გაუგებრობების მიზეზი, რასაც უცხოელი აწყდება უცხოენოვანი გარემოების ყოველდღიურობაში, არის განსხვავებული მენტალიტეტები, აქედან გამომდინარე, საკითხების განსხვავებული ხედვა. ევროპული (გერმანული) ტრადიციის მიხედვით ქართველი ავტორები ამ მოვლენით უძებნიან ახსნას სამეტყველო კონფლიქტოლოგიაში „კულტურული შოკის“ ცნებას.

„კულტურული შოკი“ ვერბალურ კომუნიკაციებში მენტალიტეტიდან გამომდინარე ფაქტის, მოვლენის, ხდომილების განსხვავებულ ხედვებს აღნიშნავს. ამ ტერმინით გამოხატული შინაარსი თემატურ-პრობლემურად სამეტყველო კონფლიქტოლოგიის სფეროს განეკუთვნება და მის ერთ კონკრეტულ სახეობას (გამოვლენას) წარმოადგენს. მისი, როგორც ვერბალური კომუნიკაციის სახეობის, დაფიქსირება და სასწავლო თემატიკა-პრობლემატიკაში შეტანა, დროული და აქტუალურია, მაგრამ ქართველ ავტორთა მიერ „კულტურული შოკის“ საილუსტრაციო მასალის შერჩევა და დემონსტრირება არ არის ზუსტი და თანამედროვე ქართული რეალობის ამსახველი, განსაკუთრებით უცხოელთან (სტუმართან) მიმართებაში. ეს შეეხება თუნდაც ქართულ სუფრაზე ღვინის სმის დაძალების ყავლგასულ ტრადიციას. ეს ტრადიცია აქაიქ უიშვიათეს რელიქტად თუ არის შემორჩენილი და მისი აზიდვა თანამედროვე ქართული ტრადიციის დონეზე გაუმართლებელია; მით უფრო, რომ ნაკლებად მოდის უნისონში იმ ტრადიციასთან, რასაც სტუმრის (თანაც უცხოელის!) პატივისცემა ჰქვია და რაც გამორიცხავს უდიერობას და ქიშპს, „შეჯიბრს“ ღვინის სმაში, ანუ სანადიმო პაექრობას (კიღურაძე, & ქუთათელაძე, 2013, გვ. 69).

მართალია, ქართულ ყოფით კულტურაში მსგავსი ნეგატიურობების გამოძებნით ქმნიან „კულტურული შოკის“ ცნების დამკვიდრების საფუძველს, მაგრამ რეალობის გათვალისწინებით მაინც სიფრთხილეს იჩენენ და მიუთითებენ, რომ „კულტურული შოკი“ მეტ-ნაკლებად ნებისმიერი ქვეყნის სინამდვილესთან არის გარდაუვალი (კიღურაძე, & ქუთათელაძე, 2013, გვ. 70).

ქვეყანათმცოდნეობის სწავლება თანამედროვე ქართულ სინამდვილეში

ქართველი ავტორები ქვეყანათმცოდნეობის სწავლებაში სამ ძირითად მოდგომას აღიარებენ:

1. ფაქტებზე ორიენტირებულს;
2. პრაგმატულს;
3. ინტერკულტურულს.

1. ფაქტებზე ორიენტირებული მიდგომა უფრო ადრინდელია და ძველ სახელმძღვანელოებშია გათვალისწინებული. სასწავლო მასალა შერჩეული იყო პოლიტიკის, გეოგრაფიის, ეკონომიკის სფეროებიდან. ამასთან ითვალისწინებდა ქვეყნის ტრადიციებს ფაქტების დონეზე (დღესასწაულების, კულინარიის, საურთიერთობო ეტიკეტის სფეროებიდან).

ამ მიდგომით კულტურაში მხოლოდ მაღალი (ელიტარული) კულტურა მოიაზრებოდა და არ ითვალისწინებდა სასწავლო ტექსტების შერჩევის კრიტერიუმებს, თანაფარდობას ლიტერატურულ, ისტორიულ, გეოგრაფიულ ცნობებს შორის.

სასწავლო ტექსტების შერჩევა ავტორის ინტერესებს, გემოვნებას, შემთხვევი-თობის პრინციპს ემყარება.

მთავარი კი ის არის, რომ „ქვეყანათმცოდნეობა“ განყენებულად კი არ ისწავლება, არამედ ყოველი თემატურ-პრობლემური თავის (თემის) ბოლოს მოცემული ტექსტების სახით.

შედარებისათვის:

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

მოქმედი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (1+4) ფარგლებში „ლინგვოქვეყანათმცოდნელობითი“ მიდგომით სასწავლო თემა იშლება სალექციო და სასემინარო ფორმატებში, ინფორმაციულ სისავსეზე ორიენტაციით - პედაგოგის მიერ ფაქტის, მოვლენის შემსწავლელთათვის გასაგები ლექსიკის გამოყენებით: თხრობით, ახსნა-განმარტებითი, შენიშვნა-კომენტარებით, შეძლებისდაგვარად ინტერაქტიურ რეჟიმში (ენის შემსწავლელთა ჩართულობით კითხვების დასმითა და მათზე პასუხის მოთხოვნით); სასემინარო მუშაობის პროცესში კი კონკრეტული თემის შესაბამისი ტექსტის (საჭიროების შემთხვევაში ადაპტირებულის) ქვეყანათმცოდნეობითი და ლინგვისტიკური ანალიზით, ახალი ცოდნის და ენობრივი კომპეტენციის გაღრმავებით, აკუმულირების, თანდათანობის პრინციპის საფუძველზე.

ფაქტზე ორიენტირებული მიდგომის ხარვეზად მიჩნეულია ის, რომ:

- დავალებების ტიპები არ ითვალისწინებს უცხო ენის შემსწავლელის ინტერესებს;
- მიზნად ისახავს სისტემური ცოდნის დაგროვებას გარკვეულ სფეროში;
- სასწავლო ტექსტები ხშირად რომელიმე გრამატიკული მოვლენის ათვისებას ემსახურება და არ ითვალისწინებს ქვეყანათმცოდნეობის რეალური ინფორმაციის მიწოდებას.

ფაქტებზე ორიენტირებულ მიდგომას ენციკლოპედიური ცოდნის მიცემის მიუღწეველ პრეტენზიულობას მიაწერენ.

არსებითი ხასიათის ნაკლს კი იმაში ხედავენ, რომ ამ მიდგომით ქვეყანათმცოდნეობა და ენის სწავლება არ არის ინტეგრირებული. ქვეყანათმცოდნეობა განყენებულად ისწავლება. ამის გამო შეძენილი ცოდნა გამოუყენებელი რჩება.

ეს მოსაზრება ნაწილობრივად არის მართებული, რაც ინტეგრირებულად სწავლების არარსებობას შეეხება. სწორედ ამ ნაკლის დაძლევას ისახავს მიზნად ენის სწავლება ქვეყანათმცოდნეობის ფორმატში. ამასთან ძნელია დაეთანხმო აზრს, რომ ქვეყანათმცოდნეობაში მიღებული ცოდნა გამოუყენებელი რჩება. ცოდნა არასოდეს რჩება გამოუყენებელი, მით უფრო მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში.

2. კომუნიკაციური ანუ პრაგმატული მიდგომა

ამ მიდგომით ქვეყანათმცოდნეობა განიხილება სამეტყველო ქმედების (ვერბალური კომუნიკაციის) პოზიციიდან, სუბიექტის ან სუბიექტების ჯგუფის მიერ უცხო ენის შემსწავლელის თვალსაზრისით.

სასწავლო თემატიკა კონკრეტული დონეებისათვის დადგენილია საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ფარგლებში.

ენა განიხილება როგორც კომუნიკაციის საშუალება და არა ნიშანთა სისტემა. ენა სამეტყველო ქმედება-მოღვაწეობაა და არა განყენებული სისტემა. ამ მიდგომით ენის შემსწავლელმა წინასწარ იცის, რისი თქმა სურს (ანუ სათქმელის შესასწავლ ენაზე თქმისა).

შემსწავლელი იძენს ცოდნას შესასწავლი ენისა და ქვეყნის, ასევე ექსტრალინგვისტიკურ ცოდნას ამ ქვეყნისა და საერთოდ სამყაროს შესახებ.

კონკრეტული თემის განხილვას ახლავს შესაბამისი ლექსიკა, ფრაზები, გამოთქმა-გამონათქვამები, როგორც ენობრივი ინვენტარი. ენის შემსწავლელი ამ გზით ეჩვევა ამ ენობრივი ინვენტარის გამოყენებას. შესასწავლი თემის საკომუნიკაციო სიტუაციისათვის შესაფერისი ავთენტიკური ფრაზები და გამოთქმები ენის შემსწავლელს მუდმივად მიეწოდება და სამეტყველო სიტუაციები რეალობას შეესატყვისება.

კომუნიკაციურ ანუ პრაგმატულ მიდგომაზე ორიენტირებულ თემატიკაში ნაკლებ აქტუალურია პოლიტიკა, ისტორია, ხელოვნება და ა. შ. პრიორიტეტულია ყოველდღიურობა, ყოფითი კულტურა. ენის შემსწავლელს თემის ანალოგიურ სიტუაციაში მოხვედრის შემთხვევაში შეუძლია შესასწავლ ენაზე ადეკვატური სამეტყველო ანუ ენობრივი ქმედების განხორციელება.

სასწავლო თემები მჭიდრო კავშირშია შესაბამის ენობრივ საშუალებებთან. ასეთი მიდგომა ინფორმაციულობასთან ერთად ქმედებაზეა ორიენტირებული, წინა პლანზეა ყოფითი კულტურა (დასვენება, მუშაობა, გასეირნება, ...)

ეს მიდგომა გამართლებულია შესასწავლი ენის სამყაროშიელემენტარულიორიენტირისათვისსაჭირო ცოდნის, ანუ ენობრივი კომპეტენციის შესაძენად, მაგრამ ნაკლებ ეფექტურია კულტუროლოგიური ცოდნის დასაგროვებლად, რაც სახელმწიფო ენის შესწავლას უკავშირდება, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ინტეგრირებისა და ასევე, უმაღლესი განათლების ქართულ ენაზე შეძენის მიზნით.

ენის შემსწავლელი ყოფით კულტურას ყოველდღიურობაში ეცნობა, ზოგ შემთხვევაში კი სხვათა გადმოცემით იქმნის შთაბეჭდილებას.

პრაგმატული მიდგომისათვის ენა არ წარმოადგენს თვითმიზანს. იგი ინფორმაციის მიღების, გადაცემის, გაგების საშუალებაა. სასწავლო ტექსტებში ადამიანი (პერსონაჟი) თვის ყოველდღიურობაშია და არა კულტურის საზეიმო ექს-

კლუზიური ელემენტების გარემოცვაში. სასწავლო ტექსტები ავთენტიკურია. ისინი გამიზნულია გარკვეული ინფორმაციის ვის და გადმოცემისათვის და არა ლექსიკისა და გრამატიკის შეძლებისდაგვარად დიდი დოზით მიწოდებისათვის.

ამ თავისთავად საფუძვლიან მიდგომას მაინც სჭირდება დაზუსტება და სრულყოფა. ერთი მხრივ, არ არის მიზანშეწონილი აღმზრდელობითი სწავლების როლის უგულებელყოფა, ხოლო მეორე მხრივ, ლექსიკის სწავლების რაიმენაირი შეზღუდვა. მთავარია, რომ სასწავლო ტექსტები კონკრეტულად სახეობებისაა, შესაბამისი ფორმის, ფუნქციისა და ენობრივი რეგისტრის მქონე.

ავთენტიკური ტექსტები ორ ჯგუფად იყოფა:

1. ავთენტიკური აბსოლუტურად;
2. ავთენტიკური სანახევროდ (ოდნავ დამუშავებულ-გადაკეთებული).

ავთენტიკურობა ენობრივი რეალობის გადმოცემასაც გულისხმობს და ქვეყანათმცოდნეობით ინფორმაციასაც შეეხება.

ენობრივი ინვენტარიც და ქვეყანათმცოდნეობითი ელემენტებიც კომუნიკაციურ-პრაგმატული ფუნქციის მნიშვნელობის მიხედვით შეირჩევა და არა გრამატიკული კატეგორიებიდან გამომდინარე (კიღურაძე, & ქუთათელაძე, 2013, გვ. 74).

კომუნიკაციურ-პრაგმატული მიდგომის შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციებში ენის დამოუკიდებლად გამოყენების უნარს, რისთვისაც აუცილებელია გარკვეული კომუნიკაცია ქვეყანათმცოდნეობის სფეროდან (კიღურაძე, & ქუთათელაძე, 2013, გვ. 74).

ამ თავისთავად სწორ თვალსაზრისს დაზუსტება მაინც სჭირდება. იგი ქვეყანათმცოდნეობის კომპეტენტურობის დონის დაზუსტებას შეეხება, „გარკვეულობის“ დაზუსტებას. ქვეყანათმცოდნეობით ინფორმაციას ენის სწავლებაში კონტექსტურობის ფუნქცია აქვს.

კომუნიკაციურ-პრაგმატული მიდგომის დროს შინაარსობრივი მხარე უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე გრამატიკული. გრამატიკულად გამართული მეტყველება უკანა პლანზე იწვევს. მოლაპარაკე სუბიექტი, რასაკვირველია, გამართულად უნდა მეტყველებდეს, მაგრამ რაც მთავარია, უნდა იცოდეს რომელ სამეტყველო სიტუაციას რომელი საკომუნიკაციო რეგისტრი შეესაბამება.

კომუნიკაციურ-პრაგმატული მიდგომა ქვეყანათმცოდნეობის დიდაქტიკაში ქართველი ავტორების თვალსაზრისითაც შემდეგნაირად აისახება:

- ♦ ქვეყანათმცოდნეობითი მასალა ინფორმაციულია და ორიენტირებულია ქმედებაზე;
- ♦ ენის შემსწავლელს გამოუმუშავდება კომუნიკაციური კომპეტენცია;
- ♦ ქვეყანათმცოდნეობითი მასალა ინტეგრირებულია ენის სწავლების პროცესში.

3.ინტერკულტურული მიდგომა ქვეყანათმცოდნეობის დიდაქტიკაში

ამ მიდგომით მიზანშეწონილად მიიჩნევა არა მარტო მიზნობრივი კულტურის შესწავლა, არამედ ამ კულტურის აღქმა საკუთარი კულტურიდან გამომდინარე. აქ მთავარი ისაა, რომ ინფორმაცია აღიქმება ადამიანის მიერ საკუთარი გამოცდილების საფუძველზე და აღქმის პროცესს თან მისი ინტერპრეტაციაც სდევს. მნიშვნელოვანი ისიც არის, რომ როგორც ფერწერული ტილოს აღქმაა განსხვავებული, ასევე განსხვავებულია კულტურის აღქმაც. სხვა კულტურის ადამიანი საკუთარი თვალთახედვით აფასებს უცხო კულტურას და ეს გარემოება არაიშვიათად გაუგებრობის საფუძველი ხდება. თუმცა ისიც არ არის გამორიცხული, რომ გარკვეული დროის შემდეგ, მან მაინც განიცადოს აკულტურიზაცია და შესასწავლი ენის ქვეყნის კულტურის ღირებულებების მატარებელი გახდეს.

დასკვნა

ენის შემსწავლელს უცხო სიტყვის თარგმანი ვერ უქმნის წარმოდგენას ამ სიტყვის კულტურულ სპეციფიკაზე. ადეკვატური ენობრივი ქმედებისათვის მიზნობრივ გარემოში ენის შემსწავლელს სჭირდება სიტყვების, ფრაზების გამოყენების არეალის ცოდნა და ამ ცოდნის უცხო ენის შესწავლის განუყოფელ ნაწილად ქცევა.

უცხო ენის შესწავლის სახელმძღვანელოებში ქვეყანათმცოდნეობის დიდაქტიკაში არსებული ზემოთ მიმოხილული მიდგომები ერთმანეთისაგან მკვეთრად არ არის გამიჯნული. ხშირია მათი ერთგვარი შერეული (ნაზავი) მიდგომებიც.

სტუს-ს ქართულ ენაში მომზადების სახელმწიფო პროგრამით (1+4) ლინგვოქვეყანამცოდნეობა ცალკე სასწავლო კურსის სტატუსით ისწავლება პრინციპით „ენა – კულტურით, კულტურა – ენით“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Верещагин Е. М., Костомаров В. Г., Язык и культура. Лингвостароноведение в преподавании русского языка как иностранного, М., 1990, стр. 37
2. Телия, Н., Русская фразелогия, М., 1996, გვ. 226
3. კილაძე თ., ქუთათელაძე ე., ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკა, თეორიული კურსი (სახელმძღვანელო საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს „ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროგრამის“ ფარგლებში (პროგრამის ხელმძღვანელი მარიკა ოძელი)
4. Biechele M., Padros M., Didactik der Landeskunde. Berlin/München:Langenscheiclt, 2003;
5. Wagner W., Kulturschock Deuzschland. Hamburg: Europeiscgshe Verlagsanstalt/Rotbuch Verlag, 2005
6. კიღურაძე თ., ქუთათელაძე ე., ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდიკა, თეორიული კურსი, თბ., 2013
7.

The place of linguistics and geography in the teaching of Georgian as a state language

Temur Jagodnishvili, professor
Georgian Technical University

Summary

In the situation of modern globalization, grandiose migrations of people have become almost a daily occurrence. The emergence of migrants as a species of society and the tasks of full integration of the aboriginal population into the living and cultural space gave the utmost importance to the problem of dialogue and civilized coexistence of different cultures, this circumstance naturally led to the vital need for migrants (and representatives of other ethnic groups) to learn the language of the host country. The shortest and most effective way to learn a foreign language turned out to be the study of the culture that carries the novelty of this language, as an expression of the social space of the language to be studied. This circumstance led to the study of a foreign language in unity with the cultural concepts of this language. The educational course "Linguogeography" serves to solve this difficult task.

Theoretical-methodological issues of teaching linguistics and geography in Georgia and, in particular, in the Technical University of Georgia are discussed in the paper.

Key words: Linguistics, language and thinking, language and culture, Linguistics and Linguistics, "Culture shock".

ორგანიზაციული კულტურის მართვის მექანიზმები უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში

სოფიკო ბარამიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ორგანიზაციული კულტურა გადამწყვეტ როლს ასრულებს მისი იდენტობისა და ღირებულებების ფორმირებაში, ხელს უწყობს უნივერსიტეტის მისიის წარმატებით განხორციელებასა და განვითარების სტრატეგიის სრულყოფას. ორგანიზაციული კულტურის მართვა მოითხოვს არა მხოლოდ ძირითადი მექანიზმების გააზრებას, არამედ ეფექტური პრაქტიკული მიდგომების შემუშავებას, წარმატებული ფუნქციონირებისა და მომავალი განვითარებისათვის.

სტატიაში განიხილულია ორგანიზაციული კულტურის მართვის თუ როგორი პრაქტიკის გამოიყენებაა ეფექტური საუნივერსიტეტო გარემოში, რა გამოწვევების წინაშე დგანან და რა პერსპექტივები იხსნება ამ სფეროს განვითარებისთვის.

უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურის მართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმილიდერობაა.უნივერსიტეტისლიდერები, თავად უნდა იყვნენ იმ ღირებულებებისა და ქცევის ნორმების ნათელი მაგალითები, რომელთა დანერგვაც სურთ თავიანთ პერსონალსა და სტუდენტებში. მათ არა მხოლოდ უნდა ისაუბრონ კულტურის მნიშვნელობაზე, არამედ პრაქტიკაშიც უნდა აჩვენონ თავიანთი ქმედებებითა და გადაწყვეტილებებით. ამ მოსაზრების დასტურად საკმარისია გავიხსენოთ ქართული უმაღლესის სასწავლებლების დაარსებისთვის გაწეული ძალისხმევა და არსებული ტრადიცია.

უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურის წარმატებით მართვისთვის აუცილებელია მკაფიო მისია და ღირებულებები, რომლებიც ასახავს მის სტრატეგიულ მიზნებსა და პრიორიტეტებს. ორგანიზაციის ყველა წევრმა უნდა გააცნობიეროს ეს ღირებულებები და აქტიურად იყოს ჩართული მათ მხარდაჭერასა და პოპულარიზაციაში. ორგანიზაციული კულტურის შექმნასა და შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეფექტური კომუნიკაციის უნარები. ეს ხელს უწყობს ნდობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას. ორგანიზაციული კულტურის სასურველი ასპექტების გასაძლიერებლად აუცილებელია ჯილდოსა და აღიარების სისტემის არსებობა. მნიშვნელოვანია აქტიური წახალისება და აღიარება იმ ძალისხმევისა და მიღწევების, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის ღირებულებებსა და მიზნებს. ორგანიზაციული კულტურის მართვისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია ასევე, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული და პიროვნული ზრდის შესაძლებლობები ახალი უნარების, ცოდნისა და ღირებულებების შესწავლის მხარდაჭერით, რომლებიც შეესაბამება არსებულ კულტურას.

უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურის ეფექტური მართვა მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას და სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებას, რომლებიც ხელს უწყობს იმგვარი ღირებულებების, ქცევის ნორმებისა და ატმოსფეროს ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას, რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო სტრატეგიული მიზნებისა და მისიის მიღწევას. უნოვერსიტეტის ხელმძღვანელობამ, პერსონალმა და სტუდენტებმა უნდა გაითავისონ და შექმნან კულტურა, რომელიც მხარს უჭერს და განავითარებს მათ საერთო მიზნებსა და ღირებულებებს.

ძირითადი ნაწილი

ორგანიზაციული კულტურა არის ღირებულებების, რწმენის, ნორმების, ტრადიციების, ჩვეულებებისა და ურთიერთქმედების სტილის ერთობლიობა, რომლებიც იქმნება ორგანიზაციაში არსებული ტრადიციების შესაბამისად, გათავისებულია მისი წევრების მიერ და წარმოადგენს ამ ორგანიზაციის იდენტურობას. ის განსაზღვრავს თანამშრომლების გუნდური მუშაობისა და ურთიერთობების სტილს, გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ მიდგომებს და მნიშვნელოვანი ფაქტორია ორგანიზაციის წარმატებულობისა და იმიჯსათვის.

საუნივერსიტეტო კონტექსტში ორგანიზაციული კულტურა გადამწყვეტ როლს ასრულებს სწავლების უნიკალური სტილის, კვლევითი საქმიანობისა და სოციალური გარემოს ჩამოყალიბებაში.

,,არ ვიცით, როგორი იქნება მომავლის სამსახური, თუმცა ვიცით, რომ საიდანაც გვინდა იქიდან შევძლებთ მუშაობას, როგორც გვინდა და რა ფორმითაც გვინდა. როგორ უწყობს დღევანდელი

განათლება ხელს ასეთი სამყაროსთვის მზადებას? – უნდა შევხედოთ სწავლას, როგორც საგანმანათლებლო თვითორგანიზაციის პროდუქტს. ამისათვის საჭიროა შეიქმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც ძირითადად შედგება ინტერნეტის, კოლაბორაციისა და წახალისების შერწყმით". (მიტრა, 2013)

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელოვანი ასპექტებია:

1. ღირებულებებისა და მისიის განსაზღვრა: ორგანიზაციული კულტურა აყალიბებს/ქმნის უნივერსიტეტის ძირითად ღირებულებებსა და მისიას. ეს შეიძლება იყოს აკადემიური უნარების ზრდის სრულყოფა, ინოვაციების დანერგვა, სოციალური პასუხისმგებლობა და სხვ. ამ ღირებულებების საფუძველზე ხდება განვითარების ეფექტური სტრატეგიების შემუშავება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

2. უნიკალური ატმოსფეროს შექმნა: კორპორატიული კულტურა განსაზღვრავს უნივერსიტეტის ზოგად გარემოს, რომელიც მოიცავს ურთიერთობების ფორმებს პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის, მათი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის სტილს, მიდგომებს სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის, კულტურული მოვლენებისა და ტრადიციებისადმი.

3. ლიდერობის და მენეჯმენტის ფორმირება: ორგანიზაციული კულტურა გავლენას ახდენს უნივერსიტეტში ლიდერობისა და მართვის სტილის ფორმირებაზე. ლიდერები, როლებისთვისაც მნიშვნელოვანია კულტურული ღირებულებები ხელს უწყობენ პოზიტიური და პროდუქტიული გარემოს შექმნას, რაც დადებიტად აისახება თანამშრომლების მოტივაციის ზრდასა და დასახული საერთო მიზნების ეფექტურად მიღწევაზე.

4. პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება: ორგანიზაციაში დამკვიდრებული კულტურა ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს კვალიფიციური პერსონალისა და განათლებული/ნიჭიერი სტუდენტების მოზიდვასა და შენარჩუნებაში. ძლიერი კულტურების მქონე უნივერსიტეტები, ქმნიან თანამშრომლობით, ურთიერთნდობაზე დაფუძნებულ მხარდამჭერ გარემოს, სწორედ ამიტომ ხშირად იზიდავენ მაღალკვალიფიციურ ადამიანებს და სასურველი ადგილია სწავლისა და მუშაობისთვის.

5. ცვლილებებისადმი ადაპტაცია: მოქნილი და განვითარებული ორგანიზაციული კულტურა საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს წარმატებით მოერგოს საგანმანათლებლო სივრცის სწრაფად ცვალებად მოთხოვნებს, ტექნოლოგიურ ინოვაციებს, დემოგრაფიულ, ინკლუზიურ ცვლილებებს და სხვა გამოწვევებს.

ამდენად, ორგანიზაციული კულტურა უნივერსიტეტში არა მხოლოდ განსაზღვრავს მის უნიკალურობასა და იდენტობას, არამედ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ეფექტურობაზე, იმიჯსა და თანამედროვე მსოფლიოს საგანმანათლებლო მოთხოვნების შესაბამისად ტრანსფორმაციისა და ადაპტაციის უნარზე.

ორგანიზაციული კულტურის თავისებურებები საგანმანათლებლო სფეროში

საქმიანობის შესაბამისად ორგანიზაციებს აქვთ კულტურის გარკვეული თავისებურებები. უნივერსიტეტებისთვის ამ პერსპექტივიდან შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მახასიათებელი:

1. ორიენტაცია საგანმანათლებლო ღირებულებებზე: საგანმანათლებლო დაწესებულებები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ განათლებასთან, განვითარებასთან და სწავლა-სწავლასთან დაკავშირებულ ღირებულებებზე. ეს მოიცავს ცოდნის წახალისებას, კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემების ორიგინალურად/შემოქმედებითად გადაჭრის, თვითრეგულირებადი სწავლის უნარების განვითარებასა და უწყვეტი განათლების მოტივაციას.

2. აკადემიური თავისუფლება და დემოკრატია: საგანმანათლებლო გარემო ზოგადად მხარს უჭერს იდეების თავისუფალ გაზიარებას, განსხვავებული აზრისა და კულტურის პატივისცემას, გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიულ პრინციპებს.

3. სტუდენტური აქტივობის განვითარება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კულტურა ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას უნივერსიტეტის ცხოვრებაში სტუდენტური საბჭოების, კლუბების, პროექტების და სხვა იმგვარი აქტივობების საშუალებით, რომლებიც განაპირობებს სტუდენტების პიროვნულ და პროფესიულ ზრდას.

4. პროფესიონალიზმი და ინოვაცია: საგანმანათლებლო სფეროს ორგანიზაციული კულტურის ნაწილია ზრუნვა თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე, სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა, სწავლების ახალი მეთოდებისა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.

5. პასუხისმგებლობა და ეთიკა: საგანმა-

ნათლებლო დაწესებულებების კულტურა გულისხმობს პასუხისმგებლობის მაღალ სტანდარტებს აბიტურიენტების, სტუდენტებისა და მათი მშობლების, თანამშრომლების, კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. ასევე ეთიკური სტანდარტებისა და პრინციპების დაცვას საქმიანობის ყველა სფეროში.

6. კოლეგიალობა და თანამშრომლობა: საუნივერსიტეტო კულტურა ითვალისწინებს კოლეგიალობის, თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც განაპირობებს საერ-თო მიზნების წარმატებით მიღწევასა და ინტელექტუალური გარემოს შექმნას.

7. ადაპტაცია და ღიაობა ცვლილებებისადმი: უნივერსიტეტები ცდილობენ იყვნენ ადაპტირებულნი სწრაფად ცვალებად საგანმანათლებლო მოთხოვნებთან: სასწავლო პროცესში ინოვაციური მიდგომების დანერგვით, პროგრამების მოდერნიზებით და სტუდენტებისა და მთლიანად საზოგადოების საჭიროებებთან მორგებით.

სწორედ ეს მახასიათებლები ქმნის უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურის საფუძველს, რაც განსაზღვრავს დაწესებულების უნიკალურობას და გავლენას ახდენს სტუდენტების მოტივაციაზე, პერსონალის განწყობასა და ზოგადად მთელ სასწავლო პროცესზე.

კოგნიტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯერომ სეიმურ ბრუნერი ამბობდა, რომ ,,თუ დღეს სტუდენტებს ვასწავლით ისე როგორც გუშინ ჩვენ გვასწავლიდნენ, ეს ნიშნავს რომ მათ არ ვამზადებთ ხვალინდელი დღისათვის.“ (Bruner, 2004) უნივერსიტეტის წარმატება მნიშვნელოვნად უკავშირდება მის ორგანიზაციულ კულტურას. თანამედროვე მიდგომების თანახმად ეს კავშირი არის ის ძირითადი ასპექტი, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტურობასა და კონკურენტუნარიანობას. ორგანიზაციული კულტურის სხვადასხვა ასპექტი გავლენას ახდენს უნივერსიტეტის წარმატების სხვადასხვა სფეროზე.

ორგანიზაციულ კულტურასა და უნივერსიტეტის წარმატებას შორის კავშირის ძირითადი ასპექტებია:

● მიმზიდველობა სტუდენტებისა და პერსონალისთვის: ძლიერი ორგანიზაციული კულტურის მქონე უნივერსიტეტი, როგორც წესი, არის სასურველი სტუდენტებისა და განათლების სფეროს პროფესიონალებისთვის. ეს აისახება მიღებაზე აბიტურიენტთა განაცხადების გაზრდილი რაოდენობით, ინტელექტუალი სტუდენტებით, მაღალკვალიფიციური ლექტორებისა და მკვლევარების მოზიდვით.

● რეპუტაცია და რეიტინგი: ორგანიზაციულ კულტურას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს უნივერსიტეტის რეპუტაციასა და რეიტინგზე. მაღალ აკადემიურ სტანდარტებზე, ინოვაციებსა და სტუდენტთა განვითარებაზე დაფუძნებული ძლიერი კულტურის მქონე უნივერსიტეტებს აქვთ მაღალი რეიტინგი და რეპუტაცია საგანმანათლებლო საზოგადოებაში.

● სტუდენტის მიღწევები და კმაყოფილება: კულტურა, რომელიც ორიენტირებულია აკადემიური ხარისხის ზრდაზე, სტუდენტების მოტივაციასა და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, ხელს უწყობს სტუდენტთა მიღწევების გაუმჯობესებას, მათი კმაყოფილების ინდექსის ზრდას და ამცირებს სტუდენტთა გადინებას.

● კვლევითი საქმიანობა და ინოვაცია: განვითარებული ორგანიზაციული კულტურის საუნივერსიტეტო გარემოში ხდება სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის სტიმულირება, ინოვაციური პროექტების შემუშავება და სამეცნიერო მუშაობის შედეგების გამოქვეყნება. ეს ხელს უწყობს უნივერსიტეტის რეპუტაციის გაუმჯობესებას სამეცნიერო საზოგადოებაში და კვლევითი პროექტების დაფინანსების მოზიდვას.

● ლიდერობისა და მენეჯმენტის პოტენციალის განვითარება: ლიდერობის განვითარებაზე, თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და უნივერსიტეტის ეფექტურ მართვაზე ორიენტირებული კულტურა ხელს უწყობს ძლიერი და კომპეტენტური მმართველი გუნდის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ ზრდის მენეჯმენტის ეფექტურობას და უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

● სოციალური პასუხისმგებლობა და ჩართულობა: სოციალური პასუხისმგებლობის გათავისებაზე აგებული საუნივერსიტეტო კულტურა ხასიათდება, საზოგადოებრივი ინიციატივების მხარდაჭერითა და სოციალური პრობლემების გადაჭრაში აქტიური ჩართულობით. ამგვარი კულტურის მქონე უნივერსიტეტებს აქვთ მაღალი რეპუტაცია და დაინტერესებული მხარეების ლოიალობა, რაც უნივერსიტეტის მისიის წარმატებულ განხორციელებასთან ერთად ხელს უწყობს საზოგადოებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ნდობას.

ამრიგად, ორგანიზაციული კულტურა გადამწყვეტ როლს ასრულებს უნივერსიტეტის წარმატების ფორმირებაში, გავლენას ახდენს მისი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტზე და ხელს უწყობს

განათლების, მეცნიერებისა და სოციალური საქმიანობის მაღალი შედეგების მიღწევას.

ორგანიზაციული კულტურის მართვის პრაქტიკა უნივერსიტეტებში მოიცავს: უნივერსიტეტის ღირებულებებისა და მისიის შემუშავებას, რომელიც ასახავს მათ სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს; სხვადასხვა საჭიროებებზე მორგებული ტრენინგ პროგრამების შეთავაზებას თანამშრომლებსა და სტუდენტებისთვის, რომელიც მიმართულია უნივერსიტეტის კულტურის შესაბამისი ღირებულებების, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე; ლიდერებისა და მათი როლის გაძლიერებას ორგანიზაციული კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებისთვის; ტექნოლოგიების გამოყენებას კულტურის ცვლილებების შეფასებასა და მართვაში არსებული სტანდარტების შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად; ეფექტური კომუნიკაციას პერსონალს, სტუდენტებსა და ადმინისტრატორებს შორის, რომელიც ხელს უწყობს საერთო საქმეში ჩართულობის გაზრდას. საგანმანათლებლო სექტორში მუდმივი ცვლილებებით, უნივერსიტეტები იძულებულნი არიან აქტიურად მართონ ცვლილებების პროცესები, რათა მოერგონ ახალ მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

უნივერსიტეტებში ორგანიზაციული კულტურის მართვის თანამედროვე გამოწვევების საპასუხოთ, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ უნივერსიტეტები აერთიანებს სხვადასხვა კულტურის, ეროვნებისა და პროფესიული წარმოშობის ადამიანებს, რაც ქმნის სირთულეს ერთიანი კულტურული გარემოს შესაქმნელად. სწრაფად ცვალებადი ტექნოლოგიები, შრომის ბაზრის მოთხოვნები და საგანმანათლებლო პრაქტიკა მოითხოვს მუდმივ ადაპტაციას და ცვლილებებს უნივერსიტეტის კულტურაში. შეხედულებების, ღირებულებების და ინტერესების განსხვავებულობამ შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტები, რომლებიც მოითხოვს პროფესიონალურ მართვასა და გადაწყვეტილების მიღებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით უნივერსიტეტები ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან, როგორიცაა: კულტურული მიდგომებისა და ღირებულებების დაცვა და პატივისცემა პერსონალსა და სტუდენტების მიერ; არსებული კულტურის ადაპტაცია სწრაფად ცვალებად საგანმანათლებლო გარემოსთან და ტექნოლოგიებთან; კულტურული ფასეულობების მიმართ კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების მართვა; მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების პირობებში უნივერსიტეტის ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნება და მის განვითარებაზე ზრუნვა.

ორგანიზაციული კულტურის მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივები უნივერსიტეტებში გულისხმობს: ხელმძღვანელებმა უნდა წაახალისონ ინოვაციური იდეები და მხარი დაუჭირონ კულტურას, რომელიც მხარს უჭერს კრეატიულობასა და შემოქმედებითობას; კულტურის მართვის ინოვაციური მიდგომების დანერგვა; ორგანიზაციული კულტურის გაზომვისა და შეფასების მეთოდების შემუშავება; კულტურული ცვლილებების შემუშავებაში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვის სტრატეგიები; საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება ორგანიზაციული კულტურის როლზე უნივერსიტეტის წარმატებისათვის.

დასკვნა

ორგანიზაციული კულტურის მართვა უნივერსიტეტებში რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომელიც მოითხოვს დიდ ძალისხმევას და სხვადასხვა ასპექტზე კონცენტრირებას: სტრატეგიებისა და ღირებულებების შემუშავებას, პრაქტიკული პროგრამების განხორციელებას და განათლების სისტემის თანამედროვე გამოწვევებთან ადაპტაციას. განათლების სფეროში ორგანიზაციული კულტურის კვლევა და პრაქტიკა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მენეჯმენტის ეფექტურობას, რაც თავის მხრივ განაპირობებს უნივერსიტეტების განვითარებასა და წარმატებულობას.

ლიტერატურა:

1. მიტრა, ს. (Director). (2013). ააშენე სკოლა ღრუბლებში [Motion Picture]. https://www.ted.com/talks/sugata_mitra_build_a_school_in_the_cloud?language=ka). .
2. Bruner, J. (2004). A Short History of Psychological Theories of Learning. daedalus, 13-20.

Organizational culture management mechanisms in higher educational institutions

Sopiko Baramidze, PhD student
Georgian Technical University

Abstract

Organizational culture in a higher educational institution plays a decisive role in the formation of its identity and values, contributes to the successful implementation of the university's mission and development strategy. Management of organizational culture requires not only the understanding of the basic mechanisms, but also the development of effective practical approaches for its successful functioning and future development.

The article discusses what practices of organizational culture management are used in the university environment, what challenges they face and what perspectives are opened for the development of this field.

One of the most important mechanisms for managing the university's organizational culture is leadership. University leaders should themselves be clear examples of the values and norms of behavior that they instill in their staff and students. They must not only talk about the importance of culture, but also demonstrate it in practice through their actions and decisions. As a proof of this opinion, it is enough to recall the efforts made for the establishment of Georgian higher education institutions and the existing tradition.

To successfully manage a university's organizational culture, a clear mission and values that reflect its strategic goals and priorities are essential. All members of the organization must understand these values and be actively involved in their support and promotion. Effective communication skills play a rare role in creating and maintaining organizational culture. This helps to create an atmosphere of trust, mutual understanding and cooperation. In order to reinforce the desired aspects of organizational culture, it is necessary to have a reward and recognition system in place. It is important to actively encourage and recognize efforts and achievements that are consistent with the University's values and goals. Also, one of the important mechanisms for managing organizational culture is for the institution to provide opportunities for professional and personal growth by supporting the learning of new skills, knowledge and values that are compatible with the existing culture.

Effective management of the university's organizational culture requires an integrated approach and the use of various mechanisms that contribute to the formation and maintenance of such values, norms of behavior and atmosphere that contribute to the achievement of educational strategic goals and mission. University leadership, staff and students must embrace and create a culture that supports and develops their shared goals and values.

ჟურნალისტიკა

JOURNALIZM

ავსტრალიის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები

ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია „ცოცხალი ნამარხების კონტინენტად“ და „უკუღმა ქვეყნად“ წოდებული ყველაზე პატარა კონტინენტის, ყველაზე ცხელი და მშრალი ეგზოტიკური მატერიკის - ავსტრალიის მასკომუნიკაციის საშუალებების შესახებ. ეს ქვეყანა გამოირჩევა კულტურული მრავალფეროვნებით, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობით, განვითარების მაღალი ინდექსით, ხარისხიანი მედიით, სიტყვის თავისუფლებით. ყურადღება გამახვილებულია ავსტრალიის თითოეული შტატის -ახალი სამხრეთ უელსი, ქუისლენდი, ვიქტორია, ტასმანია, სამხრეთ ავსტრალია, დასავლეთ ავსტრალია- გავლენიან და პოპულარულ გაზეთებზე, რომლებიც მკითხველთა დიდი ნდობით სარგებლობენ, საზოგადოებას ამომწურავ ინფორმაციასაც აწვდიან და მოვლენების ღრმა და მრავალმხრივ ანალიზსაც სთავაზობენ, დაკომპლექტებული არიან კვალიფიციური, პროფესიონალი ჟურნალისტებით და გამოირჩევიან მრავალფეროვანი რუბრიკებით და საინტერესო თემატიკით. ეს გაზეთები რეგიონების უმნიშვნელოვანეს საინფორმაციო წყაროს წარმოადგენენ, რამდენიმე მათგანი ობიექტური და მაღალ პროფესიულ დონეზე შექმნილი პუბლიკაციებისთვის პრესტიჟული პრემიის “Walkley Awards” მფლობელია. მათ შორისაა ახალ სამხრეთ უელსის დედაქალაქის, სიდნეის, ბეჭდური ორგანო „ The Australian” და ჩრდილოეთ ტერიტორიის ქალაქ დარვინის ყოველდღიური პერიოდული ორგანო “Northem Territory News”; მოწოდებულია ცნობები ქვეყნის ელექტრონული მაუწყებლობის შესახებ; აღნიშნულია, რომ ტელევიზიამ ავსტრალიაში, სხვა ქვეყნების მსგავსად, თავისი ბუნებისა და ამოუწურავი რესურსების წყალობით მოახერხა უამრავი ტელემაყურებლის გარს შემოკრება. განსაკუთრებული პოპულარობა დაარსებისთანავე ტელევიზიამ მოიპოვა ახალ სამხრეთ უელსისა და ვიქტორიას შტატებში. კომუნიკაციური სფეროს ამ სიახლემ ფეხი მყარად მოიკიდა ავსტრალიაში. საზოგადოებრივი ტელევიზიის გარდა, რომელიც ხელმისაწვდომია ქვეყნის თითქმის მთელი მოსახლეობისთვის, არსებობს 3 კომერციული სატელევიზიო არხი Nine Network, Seven Network და Network Ten; ნათქვამია, რომ ავსტრალიის მედია ინფორმაციის წყაროსთან ერთად ეკონომიკის მთავარი კომპონენტიც არის, დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და ფორმირებაში, ემსახურება აუდიტორიის ფართო სპექტრს. აღნიშნულია, რომ ავსტრალიელ ჟურნალისტებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი მოვალეობა და პასუხისმგებლობა მედიამომხმარებლის წინაშე, ცდილობენ მუდმივად განვითარდნენ და ფეხი აუწყონ თანამედროვეობას, გაითვალისწინონ ახალი ტენდენციები და არ დაკარგონ კავშირი აუდიტორიასთან, დააკმაყოფილონ საზოგადოების ინტერესი და მოთხოვნები, იმოქმედონ მაღალი სტანდარტების შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: კულტურული მრავალფეროვნება; განვითარებული მედია; სიტყვის თავისუფლება; ახალი ტენდენციები; დაფინანსების წყაროები; სიახლები კომუნიკაციურ სფეროში; მოვალეობა და პასუხისმგებლობა.

შესავალი

ავსტრალია, რომლის ოფიციალური სახელწოდებაა ავსტრალიის კავშირი, მსოფლიოში მე-6 ქვეყანაა ტერიტორიის სიდიდის მიხედვით,

ითვლება ყველაზე პატარა კონტინენტად და ყველაზე დიდ კუნძულად, ასევე, ყველაზე ცხელ და მშრალ მატერიკად, რომლის ორ მესამედს უდაბნო და ნახევრად უდაბნო შეადგენს. ეს საოცრებათა ქვეყანა, რომელსაც „ცოცხალი ნამარხების კონტინენტად“ და „უკუღმა ქვეყნადაც“ მოიხსენიებენ, რომელშიც წარსული და აწმყო თითქოს ერთანეთშია გადახლართული, გამოირჩევა კულტურული მრავალფეროვნებით და განვითარების მაღალი ინდექსით და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, სიტყვის თავისუფლებით. ამ ფედერაციულ სახელმწიფოს, რომელიც შედგება 6 შტატისა და 2 ტერიტორიისგან, შეიძლება ითქვას, საკმაოდ განვითარებული და მრავალფეროვანი მედია აქვს. თითოეულ შტატს თავისი ცნობილი და პოპულარული გაზეთები აქვს, რომლებიც საზოგადოებას ინფორმაციასაც აწვდიან და მოვლენების მრავალმხრივ ანალიზსაც სთავაზობენ. ყველა ძირითადი გაზეთი, ფაქტობრივად, ორ კომპანიას ეკუთვნის, ესენია News Limited -ის შვილობილი კომპანია News Corporation და Fairfax Media. ქვეყანაში დაახლოებით 1600 დასახელების ჟურნალი გამოდის, ზოგიერთი მათგანის ტირაჟი 80 000 ეგზემპლარზე მეტია. რაც შეეხება ელექტრონულ მაუწყებლობას, საზოგადოებრივი ტელევიზიის გარდა, რომელიც ხელმისაწვდომია ქვეყნის თითქმის მთელი მოსახლეობისთვის, არის 3 მთავარი კომერციული სატელევიზიო არხი - Wine Network, Seven Network და Network Ten , რომლებიც მოიცავენ ქვეყნის მჭიდროდ დასახლებული ქალაქების უმრავლესობას. დღეისთვის ავსტრალიაში მუშაობს 274 კომერციული და 341 საზოგადოებრივი რადიოსადგური. კომერციული რადიოსადგურების დაფინანსების ძირითადი წყარო რეკლამებისგან მიღებული შემოსავალია, საზოგადოებრივი სახელმწიფოსგან ფინანსდება.

ძირითადი ნაწილი

ყურადღებას გავამახვილებთ ავსტრალიის თითოეული შტატის ყველაზე პოპულარულ ბეჭდურ მედიაზე. ქვეყანაში გამომავალ გაზეთთაგან პირველ რიგში უნდა გამოვყოთ “The Sunday Times”, რომელიც დაარსდა პერთიში. ეს ქალაქი დასავლეთ ავსტრალიის შტატში მდებარეობს. გაზეთი ყოველკვირეულია, დასვენების დღეებში იბეჭდება და რეგიონის უმნიშვნელოვანეს საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს, დაკომპლექტებულია საკმაოდ კვალიფიციური ჟურნალისტებით, მრავალფეროვანი და საინტერესო თემატიკით გამოირჩევა, აშუქებს პოლიტიკის, ეკონომიკის, სპორტის, კულტურის საკითხებს, სოციალური პრობლემებითაც ხშირად ინტერესდება. იყო პერიოდი, როდესაც გაზეთი უდიდესი მედიამაგნატის - რუპერტ მერდოკის საკუთრებას შეადგენდა. დღესდღეობით ძალზე გავლენიანი და ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი გაზეთია, ძირითადად კონსერვატორულ შეხედულებებს იზიარებს..

ამავე ქალაქში იბეჭდება „The West Australian“ („დასავლეთ ავსტრალიელი“). ეს უძველესი გაზეთი ყოველდღიური პერიოდული ორგანოა. ტირაჟის და რეიტინგის მიხედვით ავსტრალიურ გაზეთებს შორის მე-4 ადგილს იკავებს, გამოირჩევა კონსერვატორული შეხედულებებით, ოპერატიულობით და მოვლენების ღრმა და მრავალმხრივი ანალიზით

ავსტრალიის ვიქტორიას შტატის დედაქალაქ მელბურნში დაარსდა “The Saturday Papen” („შაბათის ფურცელი“), გამოდის კვირაში ერთხელ, საფუძვლიანად და პროფესიონალურად აშუქებს საერთაშორისო, ნაციონალურ და რეგიონალურ მოვლენებს პოლიტიკის, ეკონომიკის, სპორტის, კულტურის, ხელოვნების სფეროში. 2014 წლიდან გამოდის ბეჭდურ ფორმატში. ამ გაზეთის ელექტრონული ვერსიაც არსებობს, საკუთარი ვებსაიტიც აქვს. ამავე ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე კითხვადი და პოპულარული “The Age” („ეპოქა)“, რომელიც ყოველდღიური ბეჭდვითი ორგანოა. ამ მემარცხენე-ცენტრისტული მიმართულების გაზეთის სლოგანი (დამოუკიდებლობა, ყოველთვის) მკითხველს მიანიშნებს იმაზე, რომ გაზეთი ყოველთვის დამოუკიდებელია და სინამდვილეს ასახავს ყოველგვარი შელამაზებისა და მიკერძოების გარეშე. ფაქტებისა და მოვლენების სიღრმისეული ანალიზი და შესაბამისი ინტერპრეტაცია ჟურნალისტთა მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს. ამ შტატში გამომავალ გაზეთთაგან კიდევ ერთს გამოვყოფთ, ესაა “The Courier”, რომელიც 1867 წელს დაარსდა და გამოირჩევა დაბალანსებული სტატიებით და მრავალრიცხოვანი რუბრიკებით.

ავსტრალიის ახალ სამხრეთ უელსის მთავარ ქალაქში- სიდნეიში იბეჭდება ქვეყნის საქმიანი წრეების საყვარელი გაზეთი “The Australian Financial Review” (ავსტრალიის ფინანსური მიმომხილველი). ეს ბეჭდვითი ორგანო ფინანსურ-ეკონომიკური საკითხებით, ბიზნესის სიახლეებით დაინტერესებული მკითხველისთვის არის გამიზნული. გაზეთის რედაქცია ცდილობს ფეხი აუწყოს თანამედროვე მოვლენებს, აწყობს სხვადასხვა ღონისძიებებს, შეხვედრებს, კონფერენციებს, ადგენს ყოველწლიურ რეიტინგს. ავსტრალიის ერთ-

ერთი ყველაზე გავლენიანი, ცნობილი და პოპულარული გაზეთიც "The Australian" („ავსტრალიელი") ამ ქალაქში გამოდის. მისი წაკითხვის საშუალება კვირაში ერთხელ ეძლევა მკითხველს, მემარჯვენე-ცენტრისტული მიმართულების გაზეთად ითვლება. მის ჟურნალისტებს მხედველობის არედან არ რჩებათ არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც ქვეყნისთვის საყურადღებოა. სტატიებს თან ერთვის კომენტარები და შენიშვნები. გაზეთს ავსტრალიურ ბრენდად მიიჩნევენ. დამოუკიდებელი და ობიექტური ჟურნალისტური ნამუშევრებისთვის და საინტერესო პუბლიკაციებისთვის გაზეთს მიენიჭა პრემია Walkley Awards, რომელიც ძალზე პრესტიჟულად ითვლება და მხოლოდ რამდენიმე ბეჭდური ორგანოა მისი მფლობელი.

ზემოთ აღნიშნული პრემიით არის დაჯილდოებული ასევე ქვეყნის ჩრდილოეთ ტერიტორიის ქალაქ დარვინის ყოველდღიური გაზეთი "Northem Territor („ჩრდილოეთ ტერიტორიის სიახლეები"), რომელიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო პოლიტიკურ გამოცემად, მაგრამ შემდეგ შეივსო სხვადასხვა თემატიკით, მრავალფეროვანი რუბრიკებით და გახდა დამოუკიდებელი. გაზეთის ჟურნალისტები კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და საზოგადოებას ოპერატიულად აცნობენ ყოველგვარ სიახლეს, საინტერესო მოვლენებს, რაც ხდება ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

ქუისლენდის შტატში გამომავალ გაზეთთაგან გამოვყოფთ "Fraser Coast Chonicle". ეს გაზეთი ცდილობს მაქსიმალურად დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესი და მკითხველის მოთხოვნები, მუდმივად განვითარდეს და არ ჩამორჩეს თანამედროვე ტენდენციებს. ამავე შტატის ქალაქ გიმპში იბეჭდება "The Gumpil Times" („გიმპის დრო"). ეს ბეჭდური ორგანო დაარსდა ავსტრალიაში ოქროს ციებ-ცხელების ხანაში და გახდა რეგიონის ეკონომიკის ფორმირების და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების მოწმე და ამსახველი.

საკმაოდ ბევრი პერიოდული ორგანო გამოდის ტასმანიის შტატში. ქალაქ ბერნის ყოველდღიური გაზეთია "The Advocate" („ადვოკატი"). ამ გაზეთთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ავსტრალიის კონტინენტზე სწორედ ამ ბეჭდური ორგანოს ფურცლებზე გვხვდება პირველად ფერადი ილუსტრაციები და კომპიუტერული გრაფიკა. ამავე რეგიონის გაზეთს წარმოადგენს "The Examiner" („გამომცდელი"). ეს ერთ-ერთი უძველესი პერიოდული ორგანოა, რომელიც კოლონიურ პერიოდში დაარსდა ბრიტანელი მისიონერის ჯონ უესტის მიერ. გაზეთი ოპოზიციურ ბეჭდურ ორგანოდ ითვლება, ხშირად აკრიტიკებს ავსტრალიის მმართველი წრეების საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ტასმანიის შტატის ფინანსური და ადმინისტრაციული ცენტრის, ქალაქ ჰობარტის ყოველდღიური პერიოდული ორგანოა "The Mercury", რომელიც ასევე ცნობილია სხვა სახელწოდებითაც - „ტასმანიის ხმა", ვრცელდება ავსტრალიის კონტინენტის მთელ სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე. გაზეთს აქვს საინტერესო რუბრიკები, დიდ ყურადღებას უთმობს სპორტულ მიმოხილვას, განსაკუთრებით ინტერესდება ავსტრალიური ფეხბურთით, გოლფით, რაგბით, ჩოგბურთით, კალათბურთით, კრიკეტით. სპორტის ეს სახეობები ავსტრალიაში საკმაოდ პოპულარულია.

სამხრეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ ადელაიდას პერიოდული ორგანო "Stock Journal" („საფონდო ჟურნალი") გამიზნულია მკითხველთა განსაზღვრული წრისთვის, მათთვის, ვინც ინტერესდება ეკონომიკურ-ფინანსური საკითხებით. გამოდის კვირაში ერთხელ და იხილავს ბიზნესის სიახლეებს, ფინანსურ ოპერაციებს, შიდა სავაჭრო ბაზრის მდგომარეობას, აგროსამრეწველო სექტორის განვითარების პერსპექტივას. ამავე ქალაქში გამოდის ყოველდღიური, საკმაოდ პოპულარული გაზეთი "The Advertiser", რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვანი თემატიკით, მაღალპროფესიულ დონეზე შექმნილი პუბლიკაციებით; აშუქებს აქტუალურ საკითხებს, ცდილობს ამომწურავი ინფორმაციები დროულად მიაწოდოს აუდიტორიას და იყოს მედიის ღირსეული წარმომადგენელი. ქალაქ ადელაიდას კიდევ ერთი გამორჩეული პერიოდული ორგანო გვინდა გამოვყოთ, მხედველობაში გვაქვს ჟურნალი "Adelaide Review" („ადელაიდას მიმომხილველი"), გამოდის თვეში ერთხელ და ერთგულ მკითხველს სთავაზობს მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენების მიმოხილვას ავსტრალიის სამხრეთ რეგიონის ცხოვრებიდან. ძირითადი თემები, რომლებიც ჟურნალში შუქდება, არის კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, კინემატოგრაფი, გამოფენები, მოგზაურობა.

ავსტრალიის დედაქალაქში, კანბერაში, გამომავალი გავლენიანი გაზეთები მკითხველის ნაკლებობას არ განიცდის. აქ ერთ-ერთ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას, ეს არის "The Canberra Times" (კანბერას დრო). ეს ყოველდღიური გაზეთი ოთხი ათეული წლის განმავლობაში წარმოადგენდა ავსტრალიელი ადვოკატების, ძმები

შეიკსპიროვების საოჯახო ბიზნესს. დღესდღეობით კი ის, შეიძლება ითქვას, მემარცხენე-ცენტრისტული მიმართულების პოლიტიკური პერიოდული ორგანოა, თუმცა პოლიტიკის გარდა მის ფურცლებზე შუქდება ეკონომიკის საკითხებიც, ცალკე გვერდები ეთმობა სპორტისა და კულტურული ცხოვრების მიმოხილვას.

ავსტრალიაში რადიომაუწყებლობამ ფუნქციონირება დაიწყო 1923 წლის 13 ნოემბრიდან ქალაქ სიდნეიში. ავსტრალიელმა მსმენელმა საკმაოდ კარგად მიიღო კომუნიკაციური სფეროს ეს სიახლე. ქვეყანაში ორი ძირითადი მედია კომპანია არსებობს - ავსტრალიის რადიოსამაუწყებლო კორპორაცია (ABC) და სპეციალური სამაუწყებლო (SBS). ორივე ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

ტელევიზიის დაბადების თარიღად ავსტრალიაში მიჩნეულია 1956 წელი. განსაკუთრებული პოპულარობა დაარსებისთანავე ტელევიზიამ მოიპოვა ახალ სამხრეთ უელსის და ვიქტორიას შტატებში. ბოლო რეგიონი, სადაც მაყურებელს საშუალება მიეცა ცისფერ ეკრანთან მოკალათებულიყო და თვალი ედევნებინა მოვლენებისთვის, იყო ჩრდილოეთის ტერიტორია. 1975 წლიდან ავსტრალიელები ფერადი ეკრანის დაბადების მოწმენი გახდნენ. ციფრული მაუწყებლობა დაიწყო 2001 წლის 1 იანვრიდან. ტელევიზიამ ავსტრალიაში, სხვა ქვეყნების მსგავსად, თავისი ბუნებისა და ამოუწურავი რესურსების წყალობით მოახერხა უამრავი ადამიანის დაინტერესება და გარს შემოკრება. ავსტრალიის საზოგადოებრივი ტელევიზიის მოდელი აშშ-სა და კანადის საზოგადოებრივი მოდელის მსგავსია. თითოეული ტელესადგური არის არაკომერციული ორგანიზაცია და ემორჩილება კანონით დადგენილ მოთხოვნებს. საზოგადოებრივი მაუწყებელი არ იღებს რეგულარულ სახელმწიფო დაფინანსებას, ის ფინანსდება სპონსორების, შემოწირულობების, საწევრო შესატანის, გრანტების, კონტენტის და საეთერო დროის გაყიდვის მეშვეობით.

დასკვნა

ავსტრალია ის სახელმწიფოა, რომელიც გამოირჩევა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობით, მაღალი დონის საყოველთაო განათლებით, სრულყოფილი ჯანდაცვის სისტემით, სიცოცხლის ხანგრძლივობით და კულტურული მრავალფეროვნებით, შესაბამისად განვითარებული მედიით და მოსახლეობის მაღალი ინფორმირებულობით. ავსტრალიის მასმედია ინფორმაციის წყაროსთან ერთად ეკონომიკის მთავარი კომპონენტიცაა, დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და ფორმირებაში, ემსახურებს აუდიტორიის ფართო სპექტრს. ქვეყნის მოსახლეობა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მეშვეობით აქტიურად ადევნებს თვალს მიმდინარე მოვლენებს. ავსტრალიელი ჟურნალისტები ცდილობენ მხარი აუბან იმ სიახლეებს, რაც ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ინერგება; გაამართლონ საზოგადოების ნდობა, კეთილსინდისიერად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად დააკმაყოფილონ მედიამომხმარებლის ინტერესი, სურვილი და მოთხოვნები, მუდმივად ჰქონდეთ კავშირი აუდიტორიასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https: // mrtranslate.ru.>>smi>Australia
2. htpps://ru.wikipedia.org.>wiki>
3. htpps://apnews.com>hub>Australia
4. htpps://www.sbs.com.au>russian

Australian Mass Communication Media

Ketevan Giorgobiani, Associate Professor
Georgian Technical University

Summary

This paper discusses the mass communication media of the smallest continent, the hottest and driest exotic landmass, Australia, known as the "continent of living fossils" and the "upside-down country." This country is distinguished by its cultural diversity, political and economic stability, high development index, quality media, and freedom of speech. Attention is focused on the influential and popular newspapers of each state of Australia—New South Wales, Queensland, Victoria, Tasmania, South Australia, Western Australia—which enjoy great trust from their readers, provide comprehensive information to the public, and offer deep and multifaceted analysis of events. These newspapers are staffed by qualified, professional journalists and are notable for their diverse columns and interesting themes. These newspapers represent the most important source of information in their regions, with several being recipients of the prestigious "Walkley Awards" for objective and highly professional publications. Among them are "The Australian" from the capital of New South Wales, Sydney, and the daily periodical "Northern Territory News" from the city of Darwin in the Northern Territory. Information about the country's electronic broadcasting is provided; it is noted that television in Australia, like in other countries, has managed to gather numerous viewers thanks to its nature and inexhaustible resources. Television gained particular popularity immediately upon its establishment in the states of New South Wales and Victoria. This new development in the communication field has firmly taken root in Australia. Besides public television, which is accessible to almost the entire population of the country, there are three commercial television channels: Nine Network, Seven Network, and Network Ten. It is stated that Australian media is not only a source of information but also a major component of the economy, playing a significant role in creating and shaping public opinion, serving a broad spectrum of audiences. It is noted that Australian journalists are aware of their duty and responsibility to the media consumer, strive to continuously develop and keep up with modernity, consider new trends, maintain a connection with the audience, satisfy public interest and demands, and act according to high standards.

Keywords: cultural diversity; developed media; freedom of speech; new trends; funding sources; innovations in the communication field; duty and responsibility.

XIX საუკუნის პრესა საქართველოს ტახტის მემკვიდრის გარდაცვალების გამო (ირაკლი (ერეკლე) ბაგრატიონი)

მამუკა შელეგია, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

1882 წელს, თბილისში გარდაიცვალა ირაკლი (ერეკლე) ბაგრატიონი, ერეკლე მეორისშვილიშვილი, ძე ალექსანდრე ბატონიშვილისა. რასაკვირველია, ამ მოვლენას იმდროინდელი ქართული პრესაც გამოეხმაურა (გაზეთები: „დროება“ და რუსულენოვანი „კავკაზი“).

ირაკლი ბაგრატიონი რუსის ხელისუფლებამ დიდი პატივით დაკრძალა. მათ თავიანთი გეგმა და მიზანი ჰქონდათ: ირაკლი ბატონიშვილი, აწ უკვე გაუქმებული საქართველოს სამეფო ტახტის უკანასკნელ მემკვიდრედ მიიჩნიეს. სწორედ ამ აზრს ამკვიდრებდა იმდროინდელი რუსულენოვანი სამთავრობო გაზეთი „კავკაზი“. ტახტის მემკვიდრის დაკრძალვა გრანდიოზულ სამგლოვიარო მსვლელობაში გადაიზარდა. ამის ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ იმ დროს თბილისში და საერთოდ, საქართველოში, ბატონიშვილები, გარდა ირაკლისა, აღარ ცხოვრობდნენ, ისინი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მიმოფანტეს. რვა ათეული წელი გასულიყო რუსების შემოჭრიდან, ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვიდან და ქართულმა საზოგადოებამ ცხადად გამოხატა თავისი დამოკიდებულება და ღირსეული პატივი მიაგო არა მხოლოდ საქართველოს ტახტის მემკვიდრეს, ირაკლი ბატონიშვილს, არამედ, საზოგადოდ, ბაგრატიონთა სამეფო ოჯახს.

საკვანძო სიტყვები: სამეფო ტახტი, მემკვიდრე, ბაგრატიონთა ოჯახი, რუსული ხელისუფლება.

შესავალი

ირაკლი (ერეკლე) ბაგრატიონი (1827-1882) - ერეკლე II-ის ძის, ალექსანდრე ბატონიშვილის, მეფის რუსეთის დაუძინებელი მტრის, საქართველოს სამეფო ტახტისათვის შეუდრეკელი მებრძოლის, ერთადერთი ვაჟიშვილი იყო. ალექსანდრე ბატონიშვილი (1770-1844) სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა ქართული სამეფოს აღსადგენად... ალექსანდრე ბატონიშვილი 1820 წლის მაისში დაქორწინდა ერევნის მელიქის სააკ (ისაკ) აღამალიანის 14 წლის ასულ მარიამზე, მათი ჯვრისწერა გაიმართა ეჩმიაძინის ტაძარში. სპარსეთის შაჰის მემკვიდრემ და აზერბაიჯანის ჯანიშინმა აბას-მირზამ ალექსანდრეს რამდენიმე სოფელი აჩუქა სალმატის მაზრაში. მან საცხოვრებლად აირჩია სოფელი ხოსროვი, სადაც სომხები და ასურელები ცხოვრობდნენ. იქვე შეეძინა ვაჟიშვილი - ირაკლი (ერეკლე) ბატონიშვილი. ცოტა ხნის შემდეგ ცოლ-შვილი სიმამრთან გაგზავნა ერევანში, რომელიც 1827 წელს რუსებმა აიღეს, დედა-შვილი იქ დარჩა, ალექსანდრე ბატონიშვილი კი სპარსეთში და ბრძოლას იქიდან აგრძლებდა, მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის (1826-1828) ომში. 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ საქართველოს მეფედ მისი მოწვევა.

ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ გაზეთ „დროებაში“ საინტერესო მასალაა დაბეჭდილი (იგი მკითხველს ახლად გარდაცვლილი ირაკლი ბაგრატიონის ბიოგრაფიას აცნობდა). მასში ნათქვამია: „აქამომდე თითქმის ყველას გაუგონია და იცის, რომ ერეკლე მეფის გარდაცვალების წინათ სამეფო ოჯახში დარეჯან დედოფლისაგან მოუსვენრობა მოხდა, და, როგორც მაშინ ამბობდნენ, მოხუცს ირაკლის მემკვიდრეობის წესი შეაცვლევინა. ასე რომ გიორგის შემდეგ, მეორე ძმებს, უფროსობის რიგით უნდა რგებოდათ მეფობა და არა გიორგის შვილს. ამ გარემოებამ გიორგისა და ძმებს შუა უკმაყოფილება ჩამოაგდო და ერეკლეს შემდეგ ალექსანდრე, უმცროსი შვილი ერეკლესი, გავიდა ბორჩალოში და ბრძანებლობდა იქა. როდესაც მეფე გიორგი გარდაიცვალა და საქართველოში დამკვიდრდა რუსთ მფლობელობა, ალექსანდრე გავიდა სპარსეთში და სცხოვრობდა ერევანში. იქ ერევნის მელიქის ისააკის ქალი ითხოვა, აწ მგლოვიარე დედა ერეკლესი, მარიამ. ალექსანდრე ბატონიშვილი იმედოვნებდა საქართველოში დაბრუნებას და გამეფებას, და ამისთვის 1811 წელს, კახეთის არეულობის დროს, დაღესტნიდამ გამოჩნდა თუშ-ხევსურებში და ალაზან გაღმა. მას შემდეგ 1827 წლამდე, სანამ რუსები აიღებდნენ ერევანს, იქა სცხოვრობდა. როდესაც ერევანი აიღეს, მელიქმა თავისი ქალი და ყმაწვილი ერეკლე, მაშინ რვა-ცხრა წლისა, გადმოიყვანა ტფილისში. ალექსანდრე ბატონიშვილი არ შეურიგდა რუსებს, დარჩა სპარსეთში; ქალაქ ხოსროვაბადში გამგებელ ხანად იჯდა და ქალდაველ (აისორ) ნესტორიანთ სარწმუნოების კათოლიკოზის (მარშიმონის) და

ითხოვა მეუღლეთ. გარდაიცვალა 1852 წ., (უნდა იყოს 1844 წ.- მ. შ.) დასაფლავებულია თეირანში, სომხის ეკლესიის კარებთან...“ [1]

ძირითადი ნაწილი

ალექსანდრე ბატონიშვილის ცოლ-შვილს, დედოფალ მარიამსა და ირაკლი ბატონიშვილს რაც შეეხება, ისევ „დროებას“ ჩავხედოთ და თანამდროვეთა თვალით დანახულ მათი ცხოვრების ისტორიას გავეცნოთ: „...ბატონის რძალმა მარიამმა 1827 წ. ისურვა თავის მამის მელიქ-სააკ აღამალოვის ნახვა და მოვიდა ერევანში, რომელიც ამ წელს დაიპყრეს რუსებმა. ერეკლე იყო მაშინ რამდენიმე თვისა და ბატონიშვილ ალექსანდრეს ნებართვით დარჩა დროებით ერივანში. რამდენიმე წლის შემდეგ, რუსთხელმწიფის ბრძანებით საქართველოს მაშინდელი მთავარ-მმართებელი ბარონ როზენი ბატონის რძალს თავის შვილით იწვევდა ტფილისში, საიდამაც პეტერბურღში უნდა წასულიყვნენ. ბატონის რძალმა არ მოინდომა პეტერბურღში წასვლა და ისევ სპარსეთში განიზრახა დაბრუნება. რუსის მთავრობამ მელიქის სასახლეს ჯარი შემოარტყა და ძალ-დატანებით მოიყვანეს ერეკლე თავის დედით ტფილისში და აქედამ გაგზავნეს პეტერბურღში. მაშინ ერეკლე შვიდი წლისა იქნებოდა. იმპერატორმა ნიკოლოზმა დიდის პატივით მიიღო ბატონის რძალი და ერეკლე, რომელიც ჯერ ცარსკო სელსკის სასწავლებელში მიაბარა და შემდეგ პეტერბურღის პაჟესკის კორპუსში გადმოიყვანეს. მაგრამ დიდ ხანს ვერც აქ გასძლო, რადგან ერეკლეს არ მოსწონდა იქაური წრთვნა და სწავლა. ის გამოვიდა სასწავლებლიდამ. ბოლოს ვორონცოვის შემწეობით იმან მიიღო ნებართვა საქართველოში დაბრუნებისთვის დედითა. თ. ვორონცოვი დიდად პატივს სცემდა იმას და სწორედ ისე ეპყრობოდა, როგორც მეფის შთამომავალს შეჰფეროდა. შემდეგ ის წავიდა საფრანგეთში, სადაც დაუახლოვდა მაშინდელ იმპერატორს ფრანცუზებისას ნაპოლეონ მესამეს.... (საგაზეთო სვეტის შემდეგი რამდენიმე სტრიქონი ცენზურის მიერაა ამოღებული - მ. შ.). პარიჟიდან დაბრუნების შემდეგ ის მუდამ ტფილისში სცხოვრობდა, სწავლა-განათლების საქმეს ხელს უმართავდა, სკოლები გახსნა, ჩვენს გონებით მოძრაობის საქმეს თვალ-ყურს ადევნებდა“... [2]. ალექსანდრე ბატონიშვილისა და მისი ოჯახის შესახებ საინტერესო მასალაა გამოქვეყნებული ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ [3]. კერძოდ, ირინე ძუცოვას წერილი: „ძველი აკვარელის საიდუმლო“ (რუსულიდან თარგმნა ნინო ნადარაია-ბალარჯიშვილმა), სადაც საუბარია გეორგ(გიორგი) კორადინის ერთ მომცრო, აკვარელით შესრულებულ ნახატზე და არა მხოლოდ მასზე. ნახატზე გამოსახულია მარიამ აღამალიანი, ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე და დედა ირაკლი ბაგრატიონისა. ამ წერილში გადმოცემულია დედა-შვილის (მარიამისა და ირაკლი ბატონიშვილის) ცხოვრების ისტორია. ზევით ითქვა, მიუხედავად მარიამის წინააღმდეგობისა, 1834 წელს დედა-შვილი პეტერბურგში ჩაიყვანეს. როგორც ითქვა, იქ მათ დიდი პატივით დახვდნენ, ირაკლი ბატონიშვილი უკვე 1835 წელს სამეფო კარის პაჟი გახდა, ყოველწლიურად 3000 მანეთს ასიგნაციებით იღებდა, 75 000 ათასი კი დაუნიშნეს უძრავი ქონებისათვის [4]. ირაკლი ბაგრატიონისა და მისი დედის პეტრბურგში „მიწვევას“ და ასეთი დიდებული გვარიშვილის დიდი პატივით მიღებას, ვითომცდა სათანადო განათლების მისაღებად , რასაკვირველია, თავისი მიზანი ჰქონდა, ეს იმპერიის სამეფო კარისათვის ჩვეული მეთოდი იყო, ყველანაირად ცდილობდნენ საწადელისათვის მიეღწიათ, სამშობლოსათვის ჩამოეშორებინათ საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები, ამიტომაც ისინი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გაფანტეს. საქართველოს იმდროინდელი მთავარმართებელი ბარონი როზენი „ზრუნავდა“, რომ „ის (ირაკლი ბაგრატიონი) არ გამოსულიყო მამამისივით, ბატონიშვილ ალექსანდრესავით, თავზეხელაღებული ყაჩაღი“ (sic), (ვისთვის ყაჩაღი, ვისთვის ეროვნული გმირი). და კიდევ, დედა-შვილის პეტერბურგში გაწვევის ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ რუსები ცდილობდნენ ზემოქმედება მოეხდინათ ალქსანდრე ბატონიშვილზე, რომელიც მათ სპარსეთიდან ებრძოდა, თუმცა, როგორც ქართულ პრესაში (გ. „დროებაში“) იყო აღნიშნული: „მან მეფობის აღდგენის ფიქრი არ დათმო“.

ირაკლი ბაგრატიონმა სამხედრო სამსახურში პოდპოლკოვნიკის წოდება მიიღო, მაგრამ მან რუსეთში სწავლა (საერთოდ იქ ყოფნა) არ ისურვა და 1844 წელს ის კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის ნებართვით თბილისში დაბრუნდა. 1860-იანი წლების მიწურულს ირაკლი ბაგრატიონი სამკურნალოდ საფრანგეთში გაემგზავრა, იქ გაიცნო და დაუახლოვდა იმპერატორ ნაპოლეონ მესამეს. 1864 წელს ირაკლიმ ჰამბურგში გაიცნო ავსტრიელი გრაფის ქალიშვილი ბერტა კინსკი, შემდეგში, ქორწინებით ბერტა ფონ ზუტნერი, ცნობილი მწერალი, მშვიდობის განმტკიცების საქმეში პირველი ქალი ნობელის პრემიის ლაურეატი. იგი ეკატერინე დადიანთან მეგობრობდა და თავის

მეუღლესთან ერთად, 1876–1885 წლებში, საქართველოში ცხოვრობდა. ბერტა ზუტნერის აღიარებით, ზუგდიდში, ქუთაისსა და თბილისში გატარებულმა წლებმა, ცოლ-ქმარი ჩამოაყალიბა მწერლებად და პუბლიცისტებად. ახალგაზრდობაში ბერტა კინსკი გატაცებული იყო ირაკლი გრუზინსკით და ეს აღწერა კიდეც თავის მემუარებში: „ეს იყო დაახლოებით 40 წლის მამაკაცი, ტანდაბალი, არისტოკრატიულად დახვეწილი, ელეგანტური, შავი ულვაშებით, მკვეთრი სახასიათო პროფილითა და საოცრად ნაღვლიანი, თითქმის გოროზი სახით. მართალი რომ ვთქვა, მომხიბლა და მიმიზიდა არა მარტო მისმა წარჩინებულმა გვაროვნებამ და სიმდიდრემ, არამედ, უცილობლად, უფრო მეტად მის სახეზე აღბეჭდილმა „მსოფლიო სევდამ“. ის იყო მეფეთა შთამომავალი და მეჩვენებოდა რომ მისი სახე გამოხატავდა განუზომელ დარდსა და ტანჯვას თავისი მშვენიერი ქვეყნისა. მომეჩვენა, რომ ისიც მზად იყო ჩემდამი სიყვარულისათვის, მაგრამ მოულოდნელად გაემგზავრა... მახსოვს ძალიან განვიცდიდი, ვტიროდი, ერთი სიტყვით, ვიქცეოდი ისე, როგორც შეეფერება ტრფობაგატაცებულ ახალგაზრდა ქალს.“ ირაკლი ბაგრატიონმა საფრანგეთში გაიცნო ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი თამარ ჭავჭავაძე და იქვე დაქორწინდა მასზე. „შეუღლდნენ სიყვარულით. ირაკლი მეუღლეზე 25 წლით უფროსი იყო. ამასთან, თანამედროვეთა მოგონებების თანახმად, ის უფრო ხნიერად გამოიყურებოდა (ალბათ, შეჭაღარავებული თმისა და ავადმყოფობის გამო). მას არ უყვარდა საზოგადოებაში ტრიალი, გარეგნულად მორცხვს ჰგავდა, ცოტა პირქუშიც იყო... ეს, ალბათ გამოწვეული იყო მძიმე ბავშვობით, მამისა და სამშობლოსაგან შორს, უცხოეთში, ყოფნით. შეიძლებასიფიცხემამისგანაცერგომემკვიდრეობით და ვინ იცის, ირაკლი გრუზინსკი, განგების ნებით თავს საქართველოს ტახტის მფლობელად ხედავდა, ტახტისა, რომელიც წაჰგვარეს მამასა და თავად მასაც. თუმცა ყველა აღიარებდა მის ჭკუასა და მომხიბვლელობას.“ [3]. მალე ირაკლი ბატონიშვილი და მისი მეუღლე თამარ ჭავჭავაძე თბილისში დაბრუნდნენ საცხოვრებლად. ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო გოგირდოვანი აბანოები წარმოადგენდა, რომლებიც „ირაკლის აბანოების“ სახელითაა ცნობილი. თბილისში მას რამდენიმე კაპიტალური შენობა აუგია. მისივე თაოსნობით დაარსდა წერა-კითხვის კომიტეტი, რომელსაც ორი სკოლა ჰქონდა გახსნილი. მოსწავლეები სწავლის ფულს არ იხდიდნენ, სასწავლო ნივთები და წიგნები უფასოდ ურიგდებოდათ. რაც მთავარია, სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ამ სასწავლებლებს ხალხი„ირაკლის სკოლებს“ ეძახდა. როდესაც ირაკლი ბატონიშვილი საზღვარგარეთ სამკურნალოდ წავიდა, წერა-კითხვის კომიტეტმა ამ სკოლებს მზრუნველობა ვერ აღმოუჩინა და უსახსრობის გამო ისინი დაიხურა. ირაკლი ბაგრატიონს სამშობლო რომ უყვარდა ეს, გასაკვირი არცაა, საქართველოს გარეთ ყოფნა (განსაკუთრებით რუსეთში) ძალიან უჭირდა. ამ მიზეზით, მან დანიშნულ ქალზეც კი უარი თქვა, ჯვრისწერა ჩაშალა. იმდროინდელ პრესაში მოტანილია ასეთი ფაქტი: [ირაკლი ბატონიშვილი] „პირველად, 1852 წ. დაინიშნა აქ პოპოვის ქალზედ, რომელსაც თუმცა მამა რუსი ყვანდა, მაგრამ დედა ქართველი იყო - თორნიკე ერისთავის ასული. ჯვარის დაწერამდინ ლაპარაკი მოუვიდათ იმაზედ, რომ ქალი რუსეთში გადასახლებას თხოულობდა და ერეკლე კი საქართველოში ცხოვრებას და ამის გამო ჯვარის-წერა ჩაიშალა“) [2]. ირაკლი გარეგნულად ძალიან ჰგავდა თავის სასიქადულო პაპას: ერეკლე II-ს და ეროვნული ღირსებაც გამახვილებული ჰქონდა - დემონსტრაციულად ატარებდა ჩოხა-ახალუხს. ამბობენ, ერთხელ, ბორჯომის პარკში, სადაც ამაყად სეირნობდა დიდი მთავარი, ნიკოლოზ რომანოვი, ირაკლიმ ზედაც არ შეხედა მას, ეს ამბავი იმდროინდელ საზოგადოებაში მაშინვე გახმაურდა. ირაკლი ბაგრატიონი სიცოცხლის ბოლო წლებში ავადმყოფობდა, ის 1882 წელს გარდაიცვალა. გაზეთი „დროება“ იუწყებოდა: „27 აპრილს, 12 საათზედ დილით, დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ, ტფილისში მიიცვალა თავის სასახლეში უუბრწყინვალესი ირაკლი ბატონიშვილი, ძე საქართველოს ტახტის მემკვიდრის ალექსანდრესი.“ ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში (N89) დაიბეჭდა ირაკლი (ერეკლე) ბაგრატიონის თანამედროვეთა თვალით დანახული ბიოგრაფია, მისი პორტრეტი და განვლილი გზა: „ახლად გარდაცვალებული ერეკლე, ბატონიშვილის ალექსანდრეს-ძე, იყო მეფის ერეკლე მეორეს შვილიშვილი და გიორგი მეფის ძმისწული. დაიბადა 1818 წელსა ერევანში (უნდა იყოს 1827 წ. საპარსეთში, სალმასაში - მ. შ.). მისი ცხოვრების ამბავი შეერთებულია საქართველოს ისტორიულ გარემოებასთან ამ საუკუნის პირველ წლებში... ერეკლე იყო შუათანა ტანისა, მხრებში წახრილი, როგორც მის პაპას მეფეს ერეკლეს სურათს ვხედავთ. სახითაც მას ამსგავსებდნენ, ვისაც ნეტარხსენებული პაპა მეფე ენახათ; ტიპი წმინდა ბაგრატიონთ (მეფის შტოს) ტიპი ჰქონდა. ხანგრძლივმა ავადმყოფობამ წაართვა მის სახეს

სისრულე; შავ თვალ წარბი, სწორე, ცოტა მოზრდილი, მაგრამ ზომიერი ცხვირი, გონიერი სახის გამომეტყველება საკმაოდ მაღალი და ზრუნვის ბეჭდით აღბეჭდილი შუბლი - კაცის გულს მიიზიდავდა. ყმაწვილკაცობაში დიდს ღონიერს ამბობენ. როგორც ბაგრატიონთა ჩამომავლობას მოსდევს, ვერცხლის მანეთს ხელში მოჰკეცს და რკინის ჯოხს ჰგრეხდაო. უყვარდა ქართული კაბით სიარული.ბატონიშვილი ერეკლე გარდაიცვალა 63 წლისა (55 წლის - მ. შ.), დარჩა ორი პატარა ქალი და მამრობითი სქესი ალექსანდრე ბატონიშვილისა მოისპო. სხვა ბატონიშვილები ერეკლეს გარდა არავინა ცხოვრობს ამჟამად ტფილისში. ისინი მოსკოვში და პეტერბურღში სახლობენ“ [1]. მისი დაკრძალვა გრანდიოზულ სამგლოვიარო მსვლელობაში გადაიზარდა. ამის ერთი მიზეზი ალბათ ისიც იყო, რომ იმ დროს თბილისში და საერთოდ, საქართველოში, ბატონიშვილები, გარდა ირაკლისა, აღარ ცხოვრობდნენ. ის სიონის ტაძრიდან გამოასვენეს და სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს. მისი დაკრძალვის დღეს დიდძალი ხალხი შეიკრიბა. რვა ათეული წელი გასულიყო რუსების საქართველოში შემოჭრიდან, ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვიდან და ქართულმა საზოგადოებამ ამით გამოხატა თავისი დამოკიდებულება და ღირსეული პატივი მიაგო არა მხოლოდ საქართველოს ტახტის მემკვიდრეს, ირაკლი ბატონიშვილს, არამედ, საზოგადოდ, ბაგრატიონთა სამეფო ოჯახს. ამაზე მეტყველებს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ვრცელი მასალა - „ბატონის შვილის ერეკლეს დასაფლავება“: „დიდის ამბით და საერთო პატივისცემის გამოცხადებით გამოასვენეს ახლად გარდაცვალებული ბატონის შვილი ერეკლე. შაბათს დილის 10 საათზე იყო დანიშნული სახლიდამ გამოსვენება. ამ დროისთვის იმის სასახლეში მოგროვდნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყების წარმომადგენელნი, ექსარხოსი თავის კრებულითა, სომხების, მაჰმადიანთ და სხვა სარწმუნოებათა სამღვდელოება, ბევრი ნათესავები და პატივის-მცემელნი მიცვალებულისა. მთელი ქალაქის მაღაზიები დაკეტილი იყო. ყველა ამქრები თავიან-თი დროშებით მოვიდნენ და მიცვალებულის სახლის წინ დაემწკრივნენ. ამ ქუჩაზე უანგარიშო ხალხი; უანგარიშო ხალხი აგრეთვე ერევნის მოედანზე, შუა ბაზრის ქუჩაზე და ყველა სახლების ბალკონებზე და ფანჯრებზე, რომლებიც კი სიონისკენ არის. ბალდახინი მშვენიერად შემკობილი ყვავილებით და ძვირფას ფარჩეულ-ობით; ოთხივ კუთხით საქართველოს გერბი მიკრული! სწორედ 10 საათზე მიცვალებული გამოასვენეს სახლიდამ და პროცესია დაიძრა. თავი რომ შუა ბაზრის ქუჩაზე იყო ხალხისა, ბოლო ჯერ კიდევ მიცვალებულის სახლთან ჰქონდა. თითქმის ნახევარი საათი მოუნდენ სიონში მისვლამდინ... მეორე საათზე მიცვალებულის კუბო გამოასვენეს სიონიდამ და გალავინის პროსპექტით ვერამდინ მიასვენეს ხელით. აქ მომზადებულს ბალდახინზე დაასვენეს და მცხეთისკენ გაემართნენ, სადაც იმ ღამესვე დაასვენეს მცხეთის სვეტიცხოვლის ეკკლესიაში. დასაფლავება მეორე დღის - კვირისათვის იყო დანიშნული. მიწვეული ხალხისთვის საგანგებო მატარებელი - შვიდი ვაგონი იყო დანიშნული დილის 9 ½ საათისთვის. მაგრამ მომეტებული ნაწილი ხალხისა 9 საათისა და 18 მინუტის მატარებლით წავიდნენ. რკინის გზის ვაგზალზე იმ დღეს სწორედ ისეთი ამბავი, ისეთი ხალხი იყო, როგორც მცხეთობა დღეს იცის ხოლმე. უკანასკნელი სამი ათასი კაცი წავიდა იმ დღეს მცხეთას საქართველოს ბატონის შვილის უკანასკნელ პატივის საცემლად და ადგილი რომ ყოფილიყო, ორი ამდენი კიდევ იყო მსურველი. მცხეთაშიაც ყოვლად უსამღვდელოესმა ეგზარხოსმა გარდაიხადა პარაკლისი (აქ კი ქართული წირვა იყო და გალობაც)... საქართველოს წესისამებრ, მცხეთაში ქალაქიდამ და სოფლებიდამ მოსულ ხალხისთვის დიდი ქელეხი იყო დამზადებული. იმის დასამტკიცებლად თუ რა თანაგრძნობა და პატივისცემა ჰქონდა ქალაქის ხალხს მიცვალებული ბატონიშვილის ერეკლეს, მოგვყავს შემდეგი ამბავი: როცა ამქრებმა შეიტყვეს, რომ ბატონიშვილის უუბრწყინვალესი ქვრივი იმათთვის ქელეხს ამზადებს, ამათ საერთო სურვილი გამოაცხადეს, რომ ქელეხს ჩვენ ჩვენის ხარჯით გიახლებითო და თუ ბატონიშვილს ამისთვის რამე ფული ჰქონდა დანიშნული, იმ ფულით სასწავლებელში იმის სახელობით ღარიბი ხალხის შვილები გაიზარდონო.“ სიცოცხლის ბოლო წლებში ავადმყოფობდა, ვეღარ აქტიურობდა, თუმცა, ქართულ საზოგადოებას ახსოვდა ირაკლი ბატონიშვილის ღვაწლი და ეს აღინიშნა კიდეც: „სწავლა-განათლების საქმეს ხელს უმართავდა, სკოლები გახსნა, ჩვენს გონებით მოძრაობის საქმეს თვალ-ყურს ადევნებდა... ამ უკანასკნელ თხუთმეტი წლის განმავლობაში მძიმე ავადმყოფი იყო. ასე, რომ ათასში ერთხელ გარეთაც ვერ გამოდიოდა და ამ ავადმყოფობას მიეწერება, რომ იმის სახელი და მოქმედება თითქმის სრულიად აღარ ისმოდა ჩვენში. ახლა მხოლოთ გულით დარჩა ის ქართველი და ყოველი ჩვენებური საკეთილო საქმის

თანამგრძნობელი.“

დასკვნა

შვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში, 1882 წლის 7 ოქტომბერს, გარდაიცვალა დედოფალი მარიამ, მეუღლე ალექსანდრე ბატონიშვილისა, დედა ირაკლი ბაგრატიონისა. რა თქმა უნდა, ამ ფაქტსაც გამოეხმაურა იმდროინდელი პრესა: გაზ. „დროება“, „კავკაზი“. აქვე უნდა აღინიშნოს გაზეთ „დროების“ პოზიცია, რომელსაც ქართული სამეფო ოჯახის შეწყვეტის შესახებ სიტყვაც არ დასცდენია, მაშინ როდესაც სახელისუფლო ორგანოში „კავკაზი“ რამდენიმე მასალა დაიბეჭდა, რომელიც მკითხველს აცნობდა საქართველოს სამეფო ოჯახს, მარიამ დედოფლის ცხოვრებას, რომ მის დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო, რომ თვითონ მთავარმმართებელმა გენერალ-ადიუტანტმა ალ. დონდიუკოვ-კორსაკოვმა მიაგო პატივი დედოფალს. ამ ინფორმაციებში აშკარად ჩანდა ხელისუფლების სურვილი და ნება, მათთვის სასურველი აზრი, რომელსაც თავს ახვევდა ქართველობას, ანუ, ის, რითაც მთავრდებოდა გარდაცვლილის ნეკროლოგი: „დედოფალ მარიამის გარდაცვალებით წყდება საქართველოს ყოფილი სამეფო ოჯახი.“ ასე და ამგვარად, სხვადასხვა ვერაგული ხერხით საწადელს მიაღწია რუსულმა იმპერიამ. უხეშად დაარღვია რა გეორგიევსკის 1783 წლის ხელშეკრულების პირობები, 1801 წელს ცარისტულმა რუსეთმა მოახდინა ქართლ-კახეთის სამეფოს ოკუპაცია და ანექსია. ცხრა წლის შემდეგ, 1810 წელს რუსეთმა დაიპყრო და გააუქმა იმერეთის სამეფო. როგორც ქართლ-კახეთის, ისე იმერეთის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახების წევრები რუსეთში გადაასახლეს. ასე დასრულდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მრავალსაუკუნოვანი და სახელოვანი ისტორია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზ. „დროება“,1882 წ. N88, გვ.1.
2. გაზ. „დროება“,1882 წ. N90, გვ.1.
3. გაზეთი „კავკაზი“, 1882, N267, გვ. 1.
4. ჟ. „ჩვენი მწერლობა“, 2013 წ. N24, გვ. 59.

19th century press on the demise of the heir to the throne of Georgia

Mamuka Shelegia, Associate Professor
Georgian Technical University

Summary

In 1882, Irakli (Erekle) Bagrationi, grandson of Erekle II, son of Alexander Batonishvili, passed away in Tbilisi. Of course, the Georgian press of that time also responded to this event (newspapers: “Droeba” and the Russian-language “Kavkaz”). The Russian authorities buried Irakli Bagrationi with great honour. They had their own plan and goal: they considered Irakli Batonishvili to be the last heir to the now abolished royal throne of Georgia. It was this idea that was established by the Russian-language government newspaper “Kavkaz” at that time. The funeral of the heir to the throne turned into a grand funeral procession. One of the reasons for this was that at that time, the Bagrationi family, except for Irakli, no longer lived in Tbilisi and in Georgia in general, they were scattered in different cities of Russia. Eight decades have passed since the invasion of the Russians and the loss of Georgian statehood, and the Georgian society clearly expressed its attitude and paid a worthy tribute not only to the heir to the throne of Georgia, Irakli Batonishvili, but also to the Bagrationi royal family in general. Key words: royal throne, heir, Bagrationi family, Russian government.

სიძულვილის ენა და ტელემედია საარჩევნო პერიოდში (2020 წლის საპარლამენტო არჩევნები)

ირინა ყურუა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სიძულვილის ენა გამოწვევაა 21-ე საუკუნის მსოფლიოსთვის, რადგან ის მზარდ და გლობალურ პრობლემას წარმოადგენს.

სოციალურ-პოლიტიკურ დისკუსიებში სიძულვილის ენა გამოიყენება ღიად და საჯაროდ. სიძულვილის ნარატივის ტირაჟირებას მასმედია ხშირად - გაუცნობიერებლად, ზოგჯერ კი გააზრებულადაც უწყობს ხელს. თითქმის ყველა მედიაფორმატში, დღეს, მოჭარბებულად ისმის სიძულვილის შემცველი ფრაზები; დამცირების, დისკრიმინაციის, აგრესიისა და მუქარის ლექსიკა.

სიძულვილი, ხშირშემთხვევაში, ძალადობისა და დანაშაულის მაპროვოცირებელი ფაქტორი ხდება. ეს დანაშაული კი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი და ის შეიძლება მოხდეს ნებისმიერ სივრცეში: ქუჩაში, სკოლაში, ოჯახში, დასაქმების ადგილებზე, მათ შორის - საჯარო სამსახურებში...

სიძულვილის ენის აქღმა განსხვავებულია ქვეყნების ენობრივი და ეროვნული ინდივიდუალური კონტექსტის გათვალისწინებით, ამიტომ მისი ერთმნიშვნელოვანი საერთაშორისო დეფინიცია არ არსებობს.

სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს ის, რომ ის მჭიდროდ არის დაკავშირებული გამოხატვის თავისუფლებასთან. ხშირად სადავო ხდება, გამონათქვამი გამოხატვის თავისუფლების საზღვრებში რჩება თუ მის ფარგლებს სცდება.

გამოხატვის თავისუფლება ყველა იმ მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტით არის აღიარებული, რომელიც ადამიანის უფლებებს შეეხება.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მოიცავს კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვის უფლებასაც, რომელიც, შესაძლოა, იყოს შეურაცხმყოფელი, აღმაშფოთებელი ან სადავო.

სიძულვილის ენა პრობლემაა დღეს ნებისმიერი ქვეყნისთვის და ცხადია, მათ შორისაა საქართველოც.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული საფრთხეს უქმნის დემოკრატიული საზოგადოებისა და კანონის უზენაესობის ძირითად საფუძველს, რამდენადაც „თავს ესხმის" ყველა ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის უფლების ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც ჩაწერილია გაეროს ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის პირველ მუხლში.

საქართველო ძალადობის სხვადასხვა ფორმას საკანონმდებლო დონეზე არეგულირებს. არსებობს „ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია", რაც სახელმწიფოს მზაობის გამოხატულებაა - უპასუხოს გამოწვევებს, რომლებიც დღევანდელ საზოგადოებაში არსებობს და მოახდინოს ძალადობის პრევენცია სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტის მონაწილეობით.

სტრატეგიამ მოიცვა ძალადობის პრევენციის აქტუალური მიმართულებები: ოჯახში, სკოლაში და ქუჩაში ძალადობის პრევენცია შესაბამისი მექანიზმებით. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობებისა და თვით საზოგადოების როლი ძალადობის პრევენციაში, თუმცა სპეციალისტებს არაფერი უთქვამთ ძალადობის თავისებურებებზე პოლიტიკურ სადისკუსიო სივრცეებში...

ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია კვლევების გაგრძელება სწორედ ამ მიმართულებით - ძალადობა პოლიტიკურ დისკუსიებში, განსაკუთრებით კი - საარჩევნო კამპანიების განმავლობაში. ჩემი ინტერესიც ამ საკითხებს უკავშირდება.

ვთვლი, რომ საარჩევნო კამპანიების ძალადობის ენის სოციალური გავლენის კვლევის შედეგები სპეციალისტებს საშუალებას მისცემს შეძლონ პოლიტიკური დისკურსის ძალადობრივი ნარატივის პრევენცია, რაც საარჩევნო გარემოს - კიდევ უფრო უსაფრთხოს, საზოგადოებას კი გაცილებით დემოკრატიულსა და ჰუმანურს გახდის.

საკვანძო სიტყვები: ძალადობა, დისკრიმინაცია, წახალისება, დანაშაული.

შესავალი

სიძულვილის ენის საყოველთაოდ შეთანხმებული დეფინიცია ამ დრომდე არ არსებობს. რიგ ქვეყნებს, ჯერჯერობით, მისი სამართლებრივი განმარტებაც არ გააჩნიათ. ყველა ქვეყანას, ერთმანეთისაგან განსხვავებული, უნიკალური კონტექსტი აქვს, ამიტომ წარმოუდგენელია სიძულვილის ენის იდენტური ცნება არსებობდეს. სწორედ განსხვავებული კონტექსის გამო,

რთულია განსაზღვრო ის საერთო კონკრეტული ტერმინები, ფრაზები და გამონათქვამები, რომელიც გააძლიერებს ნეგატიურ დამოკიდებულებას სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა მიმართ. მიუხედავად ამისა, არსებობს შეთანხმება თუ რას ეფუძნება სიძულვილის ენა. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, 1997 წელს, რეკომენდაცია მიიღო, რომლის მიხედვითაც, სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით (Council of Europe, Recommendation 97 (20) of the Committee of Ministers to Member States "On Hate Speech").

სიძულვილის ენა შეიძლება იყოს მიმართული როგორც ინდივიდის, ასევე -ადამიანთა ჯგუფის მიმართ რელიგიის, კანის ფერის, ეთნიკური და ეროვნული წარმომავლობის, გენდერის და სექსუალური იდენტობის, ფიზიკური შესაძლებლობის ან სხვა ნებისმიერი მაიდენტიფიცირებელი მახასიათებლის საფუძველზე (Kenneth Ward, Free Speech and the Development of Liberal Virtues).

თავად ტერმინი - „სიძულვილის ენა", ადამიანის ვერბალურ დისკრიმინაციას ნიშნავს, მისივე იდენტობის - რელიგიური მრწამსის, ეთნიკური მიკუთვნების, სექსუალური ორიენტაციის, სქესის, კანის ფერის და სხვა ნიშნის მიხედვით.

სიძულვილი მჭიდროდ არის დაკავშირებული ნეგატიურ ემოციასთან და აგრესიასთან. სიძულვილის ენა არის გამოხატვის ნებისმიერი ფორმა, რომელიც აკნინებს, ამცირებს ან შეურაცხყოფს ადრესატს დისკრიმინაციის მიზნით.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მეშვიდე მუხლი სწორედ სიძულვილის ენას მოიცავს და ასეა ფორმულირებული: "ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით."

სიძულვილის ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან და ხშირად ხდება დავის საგანი - კონკრეტული ფრაზა სცდება თუ არა გამოხატვის თავისუფლებას.

გამოხატვის თავისუფლება ყველა იმ მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტით არის აღიარებული, რომელიც ადამიანის უფლებებს შეეხება. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (Universal Declaration of Human Rights. 2022.) მე–19 მუხლის მიხედვით: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად".

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მოიცავს კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვის უფლებასაც, რომელიც, შესაძლოა, იყოს შეურაცხმყოფელი, აღმაშფოთებელი ან სადავო.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, ისევე, როგორც სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებში, კანონმდებლობით არის დაცული.

საქართველოს კანონით - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, მუხლი 3-ის მიხედვით:

1. სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

სიტყვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს შემდეგი ქმედებების განხორციელებისას: უხამსობა, ცილისწამება, შეურაცხყოფა, წაქეზება, ჩხუბის გამომწვევი სიტყვები, პორნოგრაფია, საიდუმლო ინფორმაცია, საავტორო უფლებების დარღვევა, სავაჭრო საიდუმლოება, სურსათის ეტიკეტირება, საიდუმლო ხელშეკრულება, კონფიდენციალურობის უფლება, ღირსება, დავიწყების უფლება, საზოგადოებრივ უსაფრთხოება და დაცინვა (The Stanford Encyclopedia of Philosophy. 2022).

ხშირად სადავო ხდება, განეკუთვნება თუ არა კონკრეტული შეურცხმყოფელი ფრაზა სიძულვილის ენას. ნებისმიერი აგრესიული შეფასების, შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისა და თუნდაც უცენზურო კომენტარის სიძულვილის ენად შეფასება დაუშვებელია, თუმცა ნებისმიერი დამამცირებელი ან განსხვავებული ვერბალური მიმართვა, რომელსაც გონივრული გამართლება არ გააჩნია, ადრესატს დისკრიმინაციის მსხვერპლად აქცევს. სწორედ დისკრიმინაციაა სიძულვილის

ენის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი.

დისკრიმინაცია (ლათ. Discriminatio — განსხვავება) — ნიშნავს ადამიანების უთანასწორო, უსამართლო მოპყრობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს მიმართულია რაიმე ნიშნით განსხვავებული ადამიანების ჯგუფის წინააღმდეგ. დისკრიმინაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული იდენტობასთან. ადამიანები ახდენენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას სხვადასხვა ჯგუფსა და საზოგადოებასთან, რაც ზოგჯერ წარმოშობს სიძულვილსა და ძალადობას სხვა ჯგუფისა და ინდივიდის მიმართ. დისკრიმინაცია შეიძლება იყოს რასობრივი, ეთნიკური, სქესობრივი, რელიგიური და ა.შ. დისკრიმინაცია ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საყრდენ პრინციპს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და მათზე ვრცელდება თანაბარი უფლებები და თავისუფლებები. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია კრძალავს ყველა სახის დისკრიმინაციას (wikipedia. დისკრიმინაცია - განმარტება).

ძირითადი ნაწილი

საქართველოში სიძულვილის ენა არ არის კრიმინალიზებული და მისი რეგულირება დღეს ძირითადად, მედიამაუწყებლობასთან მიმართებაში ხდება. მედიაექსპერტების შეშფოთებას იწვევს ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში, რომელიც პარლამენტმა 2023 წლის ოქტომბერში მიიღო. მედიის წარმომადგენლები ცენზურის დაწესების საფრთხეს ხედავენ იმის გამო, რომ რიგი საკითხებისა, რაც მედიის თვითრეგულირების სფეროს ეკუთვნოდა, სახელმწიფო რეგულირების ქვეშ მოექცა და მარეგულირებელი კომისიის კონტროლს დაექვემდებარა.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31–ე, 32–ე და 33–ე მუხლები ეხება მრავალფეროვნების, თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპებს და მათ დაცვას. კერძოდ კი მითითებულია, რომ „მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება” (მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33–ე მუხლის მე–3 პუნქტი). მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33–ე მუხლის მე–4 პუნქტის მიხედვით კი „თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან „ახალ ამბებში“ უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამსს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს, როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით.“

საქართველოს კანონმდებლობაში მოიპოვება გარკვეული ნორმები, რომლებიც კრძალავს რასობრივი შუღლის გაღვივებას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142–ე მუხლი) და ასევე არსებობს სიძულვილის ამკრძალავი ნორმები „მაუწყებელთა შესახებ“ საქართველოს კანონში და მაუწყებელთა ეთიკის კოდექსში, რომელიც ასევე შეიცავს სიძულვილის გამოხატვის ამკრძალავ დებულებებს. მაუწყებლები ვალდებული არიან, შექმნან სააპელაციო ორგანოები, რომლებიც მიიღებენ საზოგადოების საჩივრებს და ამ სფეროში მიიღებენ გადაწყვეტილებებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულო იქნება.

სიძულვილის ენის ამკრძალავი რეგულაციები ასევე გვხვდება სხვა საკანონმდელო აქტებში, მათ შორის „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში.

მიუხედავად, კანონმდებლობაში არსებული ამ ნორმებისა, სიძულვილის ენის პრევენცია დღემდე ვერ ხერხდება.

სიძულვილით გაჯერებული ლექსიკა განსაკუთრებით საყურადღებოა საარჩევნო პერიოდში, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას და კენჭისყრის დღეს. ამ პერიოდში, საჯარო მოხელეები და პოლიტიკური თანამდებობის პირები, საჯარო სივრცეს, არც თუ ისე იშვითათად, სხვისი მისამართით დამამცირებელი და დისკრიმინაციული გამონათქვამებისთვის იყენებენ.

სიძულვილის ენა 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთვარი გამოწვევაა. იგი არღვევს ჰუმანურობის, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის პრინციპებს და საფრთხეს უქმნის როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტურ ღირებულებებს, ასევე - უსაფრთხო გარემოს განმტკიცებას.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვებამ ზოგადი ტენდენციები გამოკვეთა. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, ჩვენს მიერ წარმოებულმა მედიამონიტორინგის პროცესმა ცხადი გახადა, რომ სიძულვილის ენას სხვადასხვა ფორმა აქვს. იგი შეიძლება იყოს როგორც მუქარა-დაშინება, ისე - ლანძღვა, ბრალდება, დანაშაულებრივ რეჟიმთან (მაგ. ფაშიზმი) ან ცხოველთან შედარება, ფიზიკურ მახასიათებელზე დამამცირებელი ხაზგასმა, ასევე დამცირების

მიზნით - ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთან გაიგივება (მაგ. აგონია), ოჯახის წევრებისადმი შეურაცხმყოფელი განცხადებები და სხვ. კენჭისყრის დღის მოახლოების პარალელურად, სიძულვილის ნარატივი თანდათან მძიმდებოდა, სიძულვილის ლექსიკა მრავალფეროვანი და სასტიკი ხდებოდა, ხოლო მათი ავტორები ადრესატების მიმართ დაუნდობლობით გამოირჩეოდნენ.

ჩვენ ამ ნაშრომში ავსახეთ საქართველოში 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პროცესზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგი. მიმოვიხილეთ სხვადასხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციის ანგარიშები, ჩავატარეთ ტელემონიტორინგი, ასევე - რაოდენობრივი კვლევა google form-ის ფორმატში და გავაანალიზეთ მიღებული შედეგები.

პრაიმტაიმში გადაცემული საინფორმაციო გამოშვებებისა და საარჩევნო გადაცემების კონტენტანალიზმა აჩვენა, რომ საარჩევნო აგიტაცია ძირითადად, სწორედ სიძულვილის ენას ეფუძნებოდა. საარჩევნო სუბიექტები, საკუთარი პარტიების საარჩევნო პროგრამების პრეზენტაციის ნაცვლად, ტელეეთერებში თავს ესხმოდნენ კონკურენტებს, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ და ერთმანეთის დამცირებით ცდილობდნენ საკუთარი უპირატესობის წარმოჩენას.

სატელევიზიო ინტერვიუებში ხშირად ისმოდა მუქარა და ძლადობრივი მოწოდება.

გიორგი ვაშაძე - სტრატეგია „აღმაშენებლის“ თავმჯდომარე:

„ვაფრთხილებ წულუკიანსაც, ივანიშვილსაც, გახარიასაც, კობახიძესაც და აბსოლუტურად ყველას: ხელი არ წაგიცდეთ არჩევნების გაყალბებაზე, თორემ მაგ ხელებს დაგამტვრევთ, იცოდეთ“! (საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“27 ოქტომბერი. 2020).

გიგი უგულავა - მაშინდელი „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ ლიდერი ძალადობრივ მოწოდებას აკეთებს ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის მისამართით:

„სადაც მუშტი ბიძინას, იქვე - იდაყვი მიშას!“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“.12 ოქტომბერი. 2020წ.).

შალვა ნათელაშვილი - პარლამენტის ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი „ლეიბორისტული პარტიიდან“ მიმართავს პარტია „ქართულ ოცნებას“:

„მეტ იუბილეს „ქართ. ოცნება“, როგორც მმართველი პარტია, ვეღარ გადაიხდის, მეცხრეს აღნიშნვა არ ეღირსება“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 1 ოქტომბერი. 2020წ.).

„ქართული ოცნების“ მაშინდელი ლიდერი, ირაკლი კობახიძე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და მისი დამაარსებლის, მიხ. სააკაშვილის წინააღმდეგ დისკრიმინაციულ ლექსიკას იყენებს:

„არა მხოლოდ მნიშვნელოვანი, არამედ აუცილებელია კამპანია პოლიტკრიმინალების წინააღმდეგ და ეს კამპანია აუცილებლად უნდა გაგრძელდეს“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი“. 2 სექტემბერი. 2020წ.).

მედიაეთერებში ხშირად ისმოდა პოლიტიკური ოპონენტების შეურაცხყოფა:

დიმიტრი შაშკინი - „ეთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:

„(ირაკლი)კობახიძეს სჭირდება ფსიქიატრის დახმარება“ (საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“. 30 ოქტომბერი. 2020 წ.).

საქართველოს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი სიძულვილის ენას იყენებს საქართველოს მესამე პრეზიდენტის - მიხეილ სააკაშვილის მისამართით:

„იმდენად ბრიყვია, როგორც ჩანს, ეს შეშლილი მანიაკი და შეპყრობილი ძალაუფლების სურვილით, რომ მას ჰგონია, რომ ქართველ ხალხს ის კვლავაც მოატყუებს“. “ასეთი მმართველები, სამარცხვინო მმართველები ჩვენს ქვეყანაში ვეღარასოდეს ვეღარ, არათუ დაბრუნდებიან, პოლიტიკაშიც კი ვერ გაჩერდებიან. ჩვენი პოლიტიკური გუნდის და საერთოდ, ამომრჩევლების ამოცანა უნდა გახდეს ამ დესტრუქციული, მოღალატეობრივი ძალის და მისი ლიდერის - სააკაშვილის მთლიანად პოლიტიკური ველიდან გაყვანა“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 1 სექტემბერი. 2020წ.).

ნუკრი ქანთარია - საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი სიძულვილის ენას და მუქარას იყენებს საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხ. სააკაშვილის მისამართით:

„არის მეორე, მართლაც ღვთის პირიდან გადავარდნილი...სირცხვილი, ქართული სირცხვილი, რომელიც უკრაინიდან გვეუბნება, რომ დავბრუნდები...მე მინდა მას აქედან ვუთხრა, რომ დაბრუნდები, აუცილებლად დაბრუნდები, აბა როგორ იქნება? მემუარებსაც დაწერ, მაგრამ ეს იქნება მატროსოვზე (ციხე)“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 2 სექტემბერი. 2020წ.).

ბათუმის საკრებულოს წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, მირდატ ქამადაძე შეურაცხმყოფელ ტერმინს იყენებს ქალი პოლიტიკოსის - „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი

ლიდერის, ირმა ინაშვილის მისამართით:

„დიახაც, ცალკე აღებული, ქართულ პოლიტიკაში, ირმა ინაშვილი არაფერს წარმოადგენს (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 2 სექტემბერი. 2020წ.).

გიგა ბოკერია, „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ თავმჯდომარე დისკრედიტაციის ლექსიკას იყენებს „ქართ. ოცნების“ წევრების და ამავე პარტიის ლიდერის მიმართ:

„პოლიტიკურად ნული წონის მქონე უცნობი ადამიანები... და არც მიკვირს, ეს არის ივანიშვილის სტილი. ამ კაცს უნდა, რომ იყოს ერთპიროვნული, უკონტროლო, უტიფარი პოლიტიკური ბატონი და მის გარშემო სჭირდება პოლიტიკურად ნული წონის ხალხი“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 10 სექტემბერი. 2020წ.).

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი, შალვა ნათელაშვილი დისკრედიტაციის ენას იყენებს „ქართ. ოცნების“ წევრების მიმართ:

„პირველი ოცეული (პარტიული სიის) კვლავ შედგება 20 ივნისის ჯალათების, ოლიგარქების, ზონდერსპორტსმენებისა და უსახო სახეებისგან“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 11 სექტემბერი. 2020 წ.).

სერგი კაპანაძე - საქართველოს პარლამენტის მაშინდელი დეპუტატი „ევროპული საქართველოდან“ ქალ პოლიტიკოსს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მაშნდელ მინისტრს, ნათია თურნავას მადისკრედიტებელი ტერმინებით მიმართავს:

„თქვენ ხართ ჩაფლავებული მთავრობის ჩაფლავებული მინისტრი“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 18 სექტემბერი. 2020 წ.).

მიხეილ სააკაშვილი - საქართველოს მესამე პრეზიდენტი, უკრაინის რეფორმების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე „ქართ. ოცნებას“ მიმართავს:

„გინდა შავი პიარი აკეთეთ(„ქართ. ოცნებას“), გინდა შავი ნახარში სვით, გინდა მგლის ქონი წაუსვით საარჩევნო ყუთებს, გინდა უდუიზმი და სხვადასხვა ქვები რომ ჩამოაქვს ბიძინა ივანიშვილს, გინდა შეულოცეთ როგორც გინდათ, არაფერი აღარ გეშველებათ!“ (საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“. 4 ოქტომბერი. 2020წ.).

შალვა ნათელაშვილი - „ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარე:

„ეს პარტია უკვე გახლავთ კორონა კლასტერად ოფიციალურად გადაქცეული, გაერთიანება, რომელსაც დღეიდან დაეწყო ოფიციალური პანაშვიდი და 31 ოქტომბერს დასრულდება მათი გასვენებით ხელისუფლებიდან“.

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი, შალვა ნათელაშვილი შეურაცხყოფას აყენებს „ქართ. ოცნებას“:

„მმართველი ოლიგარქიული დაჯგუფება შევიდა შემოდგომის ბუზობის სტადიაში. ამიტომ, რაც მწარედ დაიწყებენ კბენას, მით უფრო მწარედ მოხვდებათ დიდი სახალხო მუშტი 31 ოქტომბერს“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“ 28 სექტემბერი. 2020 წ.).

გიგი უგულავა - პარლამენტის ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის მაშინდელი კანდიდატი „ევროპული საქართველოდან“ დისკრიმინაციულ ლექსიკას იყენებს „ქართ. ოცნების“ მაშინდელი აღმასრულებელი მდივნის მიმართ:

„შიშისგან ტუჩებგათეთრებული ამ შლეგი ღლაპის განცხადება, კობახიძის განცხადება... ფაქტია, რომ მათ ეშინიათ წაგების, იგონებენ ყველა სისულელეს.“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 28 ოქტომბერი. 2020 წ.).

გუბაზ სანიკიძე „ქართ. ოცნების“ მაშინდელ აღმასრულებელ მდივანზე, ირაკლი კობახიძეზე:

„მოლაპარაკე აღარ ჰყავთ იმ ირაკლი კობახიძის გარდა, რომელიც, დიდი ეჭვი მაქვს, რომ ადამიანი არ არის, არის იაპონიაში ნაყიდი რობოტი“. (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 28 ოქტომბერი. 2020 წ.).

შალვა ნათელაშვილი - „ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარე „ქართ. ოცნების“ მაშინდელ აღმასრულებელ მდივანზე, ირაკლი კობახიძეზე:

„გოგლი-მოგლა ბავშვი რომ გამოდის მაქ - ირაკლი კობახიძე...“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 28 ოქტომბერი.2020 წ.).

პოლიტიკოსები ერთმანეთის დაკნინებას რეჟიმებთან, ცხოველებთან, ქვეწარმავლებთან და ადამიანის ავადმყოფობისთვის დამახასიათებელ მდგომარეობასთან შედარების გზითაც ცდილობდნენ.

„ქართ. ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი - ირაკლი კობახიძე „ნაციონალურ მოძრაობას“ ფაშიზმს ადარებს:

„1945 წლის შემდეგ გავიდა ათწლეულები, მაგრამ დღესაც კი ახსენებენ გერმანელ საზოგადოებას იმას, რა მძიმე რამე იყო ფაშიზმი. რაც შეეხება „ნაცმოძრაობას“, ისინი ფორმებით არაფრით არ განსხვავდებოდნენ (ფაშიზმისგან). მათი საქმიანობის ფორმებიც იყო ძალადობა და სიცრუე“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 2 ოქტომ-ბერი. 2020 წ.).

სალომე სამადაშვილი -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს მაშინდელი

წევრი ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას მომაკვდავს უწოდებს:

„რეალური ამოცანა, რაც აქვს დღეს ხელისუფლებას, არის, რომ დაკავებულმა ადამიანებმა მისცენ ჩვენება წინა ხელისუფების წარმომადგენლების წინააღმდეგ და წინასაარჩევნოდ, კიდევ ერთხელ, აი, სიკვდილის, გარდაცვალების ფაზაში მყოფმა პოლიტიკურმა რეჟიმმა ბიძინა ივანიშვილის, შეეცადოს, რომ საზოგადოება კიდევ ერთხელ მოატყუოს...“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“ 7ოქტომბერი. 2020წ.).

შალვა ნათელაშვილი - საქართველოს „ლეიბორისტული“ პარტიის თავმჯდომარე:

„ბიძინა ივანიშვილი არის კუთხეში მიმწყვდეული გაქუცული, შეშინებული ვირთხა, რომელიც ახლა ცდილობს გადაარჩინოს ძალაუფლება თუ არა, თავისი ქონება მაინც“. (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 9 ოქტომბერი. 2020 წ.).

დავით ბაქრაძე - „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ თავმჯდომარე საუბრობს „ქართ.ოცნებაზე“:

„ვირუსს ამოფარებული მეორე ვირუსი 31 ოქტომბერს ამ ქვეყანას მოშორდება“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 12 ოქტომბერი. 2020 წ.).

გიორგი გუგავა - „ლიბორისტული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი ქართ. ოცნებაზე:

„ყველაზე საშიში კოვიდი, შავი ჭირი, უბედურება არის ამ ქვეყნისთვის, ხალხისთვის „ქართ. ოცნება“ და ის მართლაც უნდა დავამარცხოთ, ჩამოვაშოროთ ძალაუფლება, რათა გადარჩეს ეს ქვეყანა...შიშს დიდი თვალები აქვსო და მართლაც დაჭყეტილი ჰქონდა დღეს მამუკა მდინარაძეს თვალები მარცხით“. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 12 ოქტომბერი. 2020წ.).

ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკოსთა ლექსიკა არ სცდება გამოხატვის თავისუფლების საზღვრებს, მაგრამ არის უკიდურესად შეურაცხმყოფელი, დამაკნინებელი და პატივისა და ღირსების შემლახავიც კი. ნებისმიერი შემთხვევის განხილვისას, მნიშვნელოვანია კონტექსტის გააზრება, ვინაიდან სიძულვილის რიტორიკა შესაძლოა, ვრცელდებოდეს არა კანონსაწინააღმდეგო ლექსიკით, არამედ - კარგად შეფუთული, ინტელექტუალურად დამუშავებული და ამავე დროს - წინასწარ განზრახული სიტყვათა შეთანხმებით. კრიტიკულად მნიშვნელოვანია დავიცვათ გამოხატვის თავისუფლება, მაგრამ სიძულვილის ლექსიკის შეფასებისას ასევე აუცილებელია განვსაზღვროთ სად სრულდება სიტყვის თავისუფლება და სად იწყება სხვისი უფლებების შეზღუდვა.

ცალკე განხილვის საგანია პოლიტიკოსების მხრიდან მედიაზე გახშირებული თავდასხის ფაქტები საარჩევნო პერიოდში. ზოგადად, მედიის წარმომადგენელთა დაცულობა და მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები რომ გამოწვევად რჩება, ამაზე სახალხო დამცველის ანგარიშშიც წერია (ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ. 2020 წ.).

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანიის მედიამონიტორნგის პროცესში აღმოვაჩინეთ, რომ პოლიტიკოსების გაღიზიანებას იწვევს მათთვის არასასურველი კითხვები და თემები. ალბათ გასაკვირი არ არის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ჟურნალისტებს ოპოზიციის ინტერესების გატარებაში ადანაშაულებენ, ოპოზიციური პარტიის წევრები კი - პირიქით. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ისინი კრიტიკულ მედიას ხშირად ადანაშაულებენ სამშობლოს ღალატში და ბრალს სდებენ იმაში, რისი გაკეთების უფლებამოსილება, შესაძლებლობა და რესურსი მას არ გააჩნია. მაგ. ირაკლი კობახიძე - „ქართ. ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი „მთავარ არხს“ ქვეყნის ტერიტორიების გასხვისებაში ადანაშაულებს; ამავე დროს, ტელეკომპანიის იმიჯის შელახვას ცდილობს ოკუპანტი ქვეყნის - რუსეთის ტელეარხის სახელის წოდებითა და ამავე ქვეყნის ენაზე მიმართვით:

„თქვენი პარტია და თქვენი ტელეარხი - „გლავკანალი“ ძალიან კარგად თანამშრომლობს გე-რე-უსთან (ГРУ Главное разведывательное управление). ამ თანამშორმლობის საფუძველზე, თქვენ გადაეცით საქართველოს ტერიტორიების 20% რუსეთის ფედერაციას, ჩააბარეთ სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტები რუსეთის ფედერაციას! თქვენ ხართ ანტიდასავლური პოლიტიკური ძალა! ქართული მიწის გამყიდველები როდესაც საუბრობენ და გე-რე-უ მოჰყავთ არგუმენტებად, გე-რე-უ ГРУ (Главное разведывательное управление) მოიკითხონ თავისკენ!“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 29 ოქტომბერი, 2020 წ.).

გიორგი ვოლსკი - პარლამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი „ქართ. ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან“ დისკრიმინაციულ ენას იყენებს „მთავარი არხის“ წინააღმდეგ:

„რუსული არხი-გლავკანალი მეკითხება (რუსული არხი ხართ თქვენ) რუსულ წყაროებზე... რუსული თემა გადის თქვენი ტელევიზიის ხაზზე. დღეს ეს ხალხი ლაპარაკობს რუსულ ნარატივზე! დავით გარეჯა ჩააბარეს, გაყიდეს და დღეს რუსულ

ნარატივზე ესაუბრებიან ვიღაცას!“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 29 ოქტომბერი, 2020 წ.).

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდი მედიისთვის მძიმე იმითაც იყო, რომ ჟურნალისტებს ხშირად ფიზიკურადაც ესხმოდნენ თავს, ემუქრებოდნენ და ხელს უშლიდნენ პროფესიული საქმიანობის შესრულებაში. მაგ. ვუგარ ისაევი, ბოლნისის საკრებულოს წევრი „ქართ. ოცნების“ კვოტით, ემუქრება „მთავარი არხის“ ჟურნალისტს - ჯეიჰუნ მუჰამედ ალის:

„დიახ გითხარი, გითხარი, მერე რა გინდა (პასუხობს ჟურნალისტის კითხვას - თქვენ ხომ საჯარო მოხელე ხართ და რატომ მემუქრებოდით დანით დაჭრით)? შენ ვინც კაცს გეუბნება ის არის უნამუსო! შენ არაკაცი ხარ! არჩევნები დამთავრდეს და მე შენ აქ დაგიძახებ, სულ სხვანაირად დაგელაპარაკები! მიდი აბა, იმუშავე ნაციონალებზე! შენ აქ ვერ გადაიღებ ვერაფერს - მე ასე მინდა! თქვენ ხართ შანტაჟით დაკავებული! ვინ ხართ საერთოდ? მოდიხართ და ჩემს სოფელში წინააღმდეგობას მიწევთ? არ გადამიღო და მორჩა! არ გაქვს ამის უფლება! არჩევნების მერე, მე შენც და სხვებსაც ცალკე შეგხვდებით!“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 16 სექტემბერი. 2020წ.).

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაშინდელი მერი - ჯუმბერ ვარდმანიძე წარმოუდგენელი აგრესიით თავს ესხმის “ბათუმელების“ ჟურნალისტს - ჯაბა ანანიძეს. უკიდურესად უცენზურო სიტყვებით უყვირის, აგინებს... ჟურნალისტის კითხვა საარჩევნო პერიოდში სახელმწიფო მანქანის გამოყენებას ეხებოდა. ჯაბა ანანიძემ მერს ჰკითხა - რატომ მივიდა იგი პარტიულ შეხვედრაზე სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ავტომობილით. (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 13 ოქტომბერი. 2020 წ.).

„პატრიოტთა ალიანსის“ წევრი ადა მარშანია სიძულვილის ენას იყენებს „მთავარი არხის“ მისამართით:

„თქვენი ტელევიზია ნეტავი როდის გაუქმდება?...გაყარეთ!“(საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 2 სექტემბერი).

„ევროპული საქართველოს“ მაშინდელი ერთ-ერთი ლიდერი, გიგი უგულავა ხელისუფლებას და მედიის ნაწილს შეურაცხყოფას აყენებს:

„გულისამრევი ხელისუფლებაა და გულისამრევად იქცევა სახელისუფლო მედია.“ (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 21 ოქტომბერი. 2020წ.).

ირაკლი კობახიძე - „ქართ. ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი მედიამენეჯერ ნიკა გვარამიაზე ამბობს:

„გადაეცით თქვენს გენპროკურორს, ნიკა გვარამიას: თუ საპირისპირო მოხდება ანუ თუ სამივე (კანდიდატი) მოიგებს (უნდა იყოს - წააგებს) არჩევნებს, ამ შემთხვევაში ის წავიდეს ქართული მედიიდან და ქართული პოლიტიკიდან. ის, ბუნებრივია, ამაზე ვერ წამოვა, რადგან ის არის მხდალი ადამიანი და ბუნებრივია, ვერ აღიარებს საკუთარ წაგებას. მოდით, გადაეცით ეს თქვენს ქალაჩუნა გენერალურ დირექტორს!“. (საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. 29 ოქტომბერი. 2020 წ.).

2020 წლის საარჩევნო პერიოდის სიმძიმე აისახა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო პერიოდის შეფასების ანგარიშში (საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება).

საზოგადოებაზე სიძულვილის ენის გავლენის შესასწავლად, საზოგადოებრივი აზრი გამოვიკითხეთ. Google form-ის ფორმატში მომზადებული კითხვარით 501 რესპონდენტის მოსაზრება შევაგროვეთ და გავაანალიზეთ.

ჩვენი კვლევის შედეგები ასეთია: წინასაარჩევნო პერიოდში სიძულვილის ეის გამოყენება ზრდის ფიზიკური დაპირისპირების რისკებს, ამცირებს ქალთა ჩართულობას პოლიტიკაში, ზრდის ძალადობის წახალისების რისკებს და საარჩევნო გარემოს უკარგავს უსაფრთხოებასა და კონკურენტუნარიანობას. გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი მიიჩნევს, რომ სიძულვილის ენის საკანონმდებლო დონეზე რეგულაცია გამოხატვის თავისუფლებას შეზღუდავს. მათი მოლოდინები უკავშირდება იმას, რომ სიძულვილის ენის პრევენცია შესაძლებელია შიდაპარტიული რეგულირების მეთოდით. საზოგადოების ნაწილს აქვს განცდა, რომ მედიას სიძულვილის ენის შეკავება შეუძლია.

დასკვნა

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში მედიაგარემო მკვეთრად პოლარიზებული იყო. ტელემაუწყებლები ე.წ. სამთავრობო და ოპოზიციურ არხებად იყოფოდნენ და შესაბამისი პოლიტიკური ჯგუფის დღის წესრიგს იმეორებდნენ.

მედიასივრცე პოლიტიკური დებატებისთვის ნაკლებად იყო გამოყენებული, სამაგიეროდ თემატური გადაცემები თუ „ახალი ამბების“ გამოშვებები სიძულვილის, აგრესიისა და ზიზღის ნარატივით იყო გაჯერებული.

პოლიტიკური დისკურსი დაცლილი იყო შინაარსისგან, პარტიული პროგრამებისა და

ღირებულებებისგან. ნაცვლად ამისა, პოლიტიკოსები უკიდურესად შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიით მიმართავდნენ ერთმანეთს, ცდილობდნენ კონკურენტის დამცირებას, რეპუტაციის შელახვასა და ამომრჩევლის სანდოობის განადგურებას.

საბოლოო ჯამში, ამომრჩეველი მოკლებული იყო საკუთარი ინტერესების შესაბამისი ინფორმაციის მიღებას, პოლიტიკოსებისგან დაპირებებისა და მათი განხორციელების შესახებ მსჯელობის მოსმენას.

საზოგადოებას ასევე არ ჰქონდა საშუალება მედიებით თვალ-ყური ედევნებინა ქვეყნის განვითარების, სხვადასხვა სოციალური, საგანმანათლებლო თუ სხვა პროექტების შესახებ პარტიული სტრატეგიების განხილვისთვის.

სიძულვილის ნარატივი, შეურაცხყოფასა და ურთიერთდაპირისპირებაზე აგებული პოლემიკა და კონკურენტების მიერ მეტოქეზე მუდმივი ვერბალური თავდასხმა ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალების გარეშე ტოვებდა.

სიძულვილის ენის შეკავების საქმეში უძლური აღმოჩნდა ინტერპარტიული შეთანხმება. ორმოცმა პოლიტიკურმა პარტიამ, 2020 წლის არჩევნების წინ, ხელი მოაწერა პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსს. პარტიები შეთანხმდნენ, რომ საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას არ გამოიყენებდენ სიძულვილის ენას, ქსენოფობიურ და მუქარის შემცველ გამონათქვამებს, არ მიმართავდნენ ძალადობას, არ გამოიყენებდნენ ადმინისტრაციულ რესურსებს, ყალბ ინფორმაციას და სხვა.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის კვლევით დადგინდა, რომ პარტიები შეთანხმებას არ ასრულებდნენ და ქცევის კოდექსს ხშირად არღვევდნენ. ეს შემთხვევა ნათელი მაგალითია იმისა, რომ მხოლოდ შეთანხმება ეფექტიანი მექანიზმი არ არის და დოკუმენტში აუცილებელია შეთანხმების აღსრულების ვალდებულებების შეტანა. მედიამ კი თავის მხრივ, ეფექტიანად უნდა გამოიყენოს თვითრეგულირების მექანიზმი და პროფესიულ ვალდებულებებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უერთგულოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აღდგომელაშვილი ე., ჰომოფობიური სიძულვილის ენა და რეგულაციის მექანიზმები. 2012.
2. დორეული თ. „სიძულვილის ენის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები ქართულ რეალობაში“. (დის., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021.)
3. ევროდირექტივა, მუხლი 4.
4. ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში. „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: ცოდნა და დამოკიდებულება“. 2022.
5. ევროპის საბჭო. ისაუბრე მშვიდობის ენით! სიძულვილის ენა დაუშვებელია! https://rm.coe.int/speak-peace-georgian-screen/native/1680a28f25. 2020
6. ზარანდია თ., ჩიტაშვილი ნ. სექსუალური შევიწროვებისა და სიძულვილის ენის აკრძალვის კონცეფცია. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და საუნივერსიტეტო პოლიტიკა. თბილისი. 2021.
7. მედიის განვითარების ფონდი. „წინასაარჩევნო მონიტორინგი. ანტიდასავლური გზავნილები, სიძულვილის ენა, ყალბი ინფორმაცია“. http://mdfgeorgia.ge/uploads//MDF%20winasaarchevno%20monitoringi%202020.pdf
8. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა. „სიძულვილის ენა“. https://gdi.ge/uploads/other/0/190.pdf
9. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. „სიძულვილის ენასთან ბრძოლა“ - სახელმძღვანელო მედიისთვის. 2019.https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/75684
10. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა. სიძულვილის ენის გამოყენება (2014-2016) თანამდებობის პირების/საჯარო მოხელეების მიერ და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები. https://www.gdi.ge/uploads/other/0/344.pdf
11. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლი;
12. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. „სიძულვილის ენასთან ბრძოლა“ - სახელმძღვანელო წესები მედიისთვის. https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/75684-sidzulvilis-enasthan-brdzola-sakhelmdzghvanelo-tsesebi-mediisthvis 2019.
13. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–2 მუხლის ბ ქვეპუნქტი;

14. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142–ე მუხლი;
15. საქართველოს უზენაესი სასამართლო. კვლევისა და ანალიზის ცენტრი. დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები. 2019.
16. საქართველოს სახალხო დამცველი. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2020. https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf
17. საინფორმაციო გამოშვება „მოამბე". საზმაუწყებლის 1 არხი. 27 ოქტომბერი, 2020წ. https://1tv.ge/video/moambe-21-saatze-27-oqtomberi-2020-live/
18. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". „მთავარი არხი". 12 ოქტომბერი, 2020წ. https://www.youtube.com/watch?v=sB5Hu-ZWvuE
19. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". „მთავარი არხი". 1 ოქტომბერი, 2020წ. https://www.youtube.com/watch?v=B1hCrRKSzgw
20. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". "მთავარი არხი". 2 სექტემბერი, 2020წ. https://www.youtube.com/watch?v=IWSMH88rbh8
21. საინფორმაციო გამოშვება „მოამბე". საზმაუწყებლის 1 არხი. 30 ოქტომბერი, 2020 წ. https://1tv.ge/video/moambe-21-saatze-30-oqtomberi-2020-live/
22. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". „მთავარი არხი". 1 სექტემბერი, 2020წ. https://www.youtube.com/watch?v=L9O2z3NHPn0&t=84s
23. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". „მთავარი არხი". 2 სექტემბერი, 2020წ. https://www.youtube.com/watch?v=IWSMH88rbh8
24. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". „მთავარი არხი". 2 სექტემბერი, 2020წ. https://www.youtube.com/watch?v=IWSMH88rbh8
25. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". „მთავარი არხი". 10 სექტემბერი, 2020წ. https://www.youtube.com/watch?v=iKRwEjNF3O4https://www.youtube.com/watch?v=iKRwEjNF3O4
26. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". "მთავარი არხი". 11 სექტემბერი, 2020 წ. https://www.youtube.com/watch?v=JA4YfIjH-vg
27. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". „მთავარი არხი". 18 სექტემბერი, 2020 წ. https://youtu.be/WLXUpIsG6C8
28. საინფორმაციო გამოშვება „მოამბე". საზმაუწყებლის 1 არხი. 4 ოქტომბერი, 2020წ. https://1tv.ge/video/moambe-21-saatze-4-agvisto-2020-live/
29. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". "მთავარი არხი". 28 სექტემბერი, 2020 წ. https://youtu.be/EJ4szctPVh4
30. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". "მთავარი არხი". 28 ოქტომბერი, 2020 წ. https://www.youtube.com/watch?v=vVlmnq4YKGY
31. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". "მთავარი არხი". 28 ოქტომბერი, 2020 წ. https://youtu.be/ZIjk7MY3q9o
32. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". "მთავარი არხი". 28 ოქტომბერი, 2020 წ. https://youtu.be/ZIjk7MY3q9o
33. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". "მთავარი არხი". 2 ოქტომბერი, 2020 წ. https://www.youtube.com/watch?v=k66wARu3Xpc
34. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". "მთავარი არხი". 7ოქტომბერი, 2020წ. https://www.youtube.com/watch?v=pp2eYsV2oL8
35. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". "მთავარი არხი". 9 ოქტომბერი, 2020 წ. https://www.youtube.com/watch?v=o2soidvIG1s&t=18s
36. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". "მთავარი არხი". 12 ოქტომბერი, 2020 წ. https://www.youtube.com/watch?v=sB5Hu-ZWvuE
37. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". 2020წ. "მთავარი არხი", 12 ოქტომბერი. https://www.youtube.com/watch?v=sB5Hu-ZWvuE
38. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე". "მთავარი არხი". 29 ოქტომბერი, 2020 წ. https://www.youtube.com/watch?v=ZIjk7MY3q9o

39. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. “მთავარი არხი“. 29 ოქტომბერი, 2020 წ. https://www.youtube.com/watch?v=ZIjk7MY3q9o
40. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“.“მთავარი არხი“. 16 სექტემბერი, 2020წ. https://youtu.be/5A-KqMzGnYQ
41. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. “მთავარი არხი“. 13 ოქტომბერი, 2020 წ. https://www.youtube.com/watch?v=Aa4uxdMRp4w
42. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. მთავარი არხი, 2 სექტემბერი. https://www.youtube.com/watch?v=IWSMH88rbh8
43. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. “მთავარი არხი“, 21 ოქტომბერი. 2020წ. https://www.youtube.com/watch?v=YtPD6ln6gFA&t=1559s
44. საინფორმაციო გამოშვება „მთავარი 9-ზე“. „მთავარი არხი“. 29 ოქტომბერი, 2020 წ. https://www.youtube.com/watch?v=ZIjk7MY3q9o

Hate speech and media during the election period
(2020 parliamentary elections of Georgia)

Irina Kurua, PhD student
Georgian Technical University

Summary

Hate speech is a challenge for the world in the 21st century because it it is a growing and global problem. In socio-political discussions, hate speech is used openly and in public. Spreading of a hate-filled narrative, willingly or not, is contributed by the mass media. Today, hateful phrases are excessively heard in the form of humiliation, discrimination, threats or in any other forms in almost all media spaces and formats.

Hatred, in many cases, is a provoking factor of violence and crime. This crime can be of different types and it can happen in any space: on the street, at school, in the family, in places of employment and even in public services...

The perception of hate speech varies depending on the linguistic and national context of individual countries, therefore there is no universal international definition.

What makes the fight against hate speech difficult is that it is closely connected to freedom of expression. It is often disputed whether speech is within the limits of freedom of expression or if it goes beyond its scope.

Freedom of expression is recognized by all internationally important documents related with human rights. Freedom of speech and expression includes the right to expression of critical opinions, which

may be offensive, outrageous or controversial.

Hate speech is a problem for any country today, and obviously Georgia is among them. Hate crime threatens democracy, the basic foundation of society and the rule of law, because it “Attacks” the right to dignity and equality of all human beings -the fundamental principle enshrined in the UN Human Rights Act I n the first article of the Universal Declaration.

Georgia regulates various forms of violence at the legislative level. There is a “National Violence Prevention Strategy”, which expresses the readiness of the state to respond to the challenges that are in today’s society and to prevent violence with the participation of various public institutions.

The strategy covered current areas of violence prevention: Prevention of violence in the family, school and street with appropriate mechanisms. The same document defines the role of state structures as well as local government and society itself in the prevention of violence, however, the specialists did not say anything about violence peculiarities in political discussion spaces...

I think it is very important to continue research in this direction - violence in political discussions, especially - during election campaigns. My interest is connected to these issues. I believe that the results of the research of the social influence of the language of violence in election campaigns will allow specialists to prevent the violence of narrative discourse, which will make the environment - safer, and the society much more democratic and humane.

Keywords: Violence, discrimination, encouragement, crime

ფილოლოგია

PHILOLOGY

კიტა აბაშიძის, როგორც კრიტიკოსის პორტრეტისათვის (გიორგი წერეთელზე მისი ეტიუდის მიხედვით)

ლადო მინაშვილი, ასოცირებული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნიჭიერი, დიდად ერუდირებული, ფაქიზი გემოვნების კრიტიკოსისა და ლიტერატურის ისტორიკოსის კიტა აბაშიძის მთავარი ნაშრომი, როგორც ცნობილია, არის "ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ". ეს ნაშრომი იწერებოდა წლების მანძილზე და მისი ნაწილები ისტამბებოდა ქართულ პერიოდიკაში, ხოლო საბოლოოდ გამოქვეყნდა ორ წიგნად 1911-1912 წლებში ქუთაისში.

ეს იყო, ფაქტობრივად, პირველი ნაშრომი, რომელიც ითვალისწინებდა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში ლიტერატურულ მიმართულებათა ჩასახვა-განვითარების ისტორიას და ამ მიმართულებათა მთავარი წარმომადგენლების დახასიათებას.

მიუხედავად იმისა, რომ ნაკლოვანებათა ერთგვარი სიმწვავით მითითება-ჩვენება უცხო არ იყო გარკვეული მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვისას (მაგ., გრიგოლ ორბელიანის სამოქალაქო ცხოვრებისა და პოეზიის ურთიერთშეუსაბამობა, პოემა "სადღეგრძელოს" მხატვრული მხარე, ალ. ყაზბეგის პროზის ენისა და საზოგადოდ სტილის უსწორობა-გაუმართაობა და ა.შ.) მკვლევარებმა ამ მხრივ მაინც გამოარჩიეს ეტიუდი გიორგი წერეთლის შესახებ. ლიტერატურის ისტორიკოსების ყველაზე მეტი კრიტიკა სწორედ გიორგი წერეთლის კ. აბაშიძისეულმა შეფასებამ დაიმსახურა. ჩაითვალა, რომ კ. აბაშიძე პირდაპირ ბრალმდებლის როლს კისრულობდა გ. წერეთლის, როგორც მწერლის შეფასებისას, რომ იგი გ. წერეთლის თხზულებებში "საგანგებოდ ეძიებდა ნაკლოვანებებს და უსიამოვნებას ვერ ფარავდა, როცა ისეთ რასმე შეხვდებოდა, რასაც განქიქება არ უხერხდებოდა" (გამეზარდაშვილი, 1970, გვ. 57).

ეტიუდის წერისას კ. აბაშიძე ობიექტურობას ვერ იცავდა, იყო თურმე ცალმხრივი, სუბიექტური, რაც ძირითადადო ორი მიზეზით იყო განპირობებული: გ. წერეთლის "შედარებით სუსტი ბელეტრისტული ნიჭით" და რაც მთავარია, "ცუდი დამოკიდებულებით კრიტიკოსსა და მწერალს შორის" (დ. გამეზარდაშვილის დასახელებული ნარკვევი დასახელებულ წიგნში, გვ. 57. უნდა საგანგებოდ ითქვას, რომ პროფ. დავით გამეზარდაშვილმა 1962 და 1970 წლებში სათანადო ნარკვევის დართვით ორგზის გამოსცა ერთ წიგნად კ. აბაშიძის ეტიუდები..., რითაც ხელმისაწვდომი გახადა იგი ყველა სპეციალისტისა და დაინტერესებული მკითხველისათვის).

მეორე ავტორი აკონკრეტებს ამ „ცუდ დამოკიდებულებას": კიტა აბაშიძესა და გიორგი წერეთელს პოლემიკა ჰქონდათ, ძირითადად მაინც პოლიტიკური ხასიათისა. გ. წერეთელმა 90-იან წლებში მწვავედ შეუტია კ. აბაშიძეს იმ საყვედურის გამო, რომ გიორგი წერეთელი მე-3 დასელებმა მოარჯულეს, გადაიბირესო და სხვ. ამ ნიადაგზე მწერალმა კ. აბაშიძეს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ისტორიის უცოდინარობაზე მიუთითა (ჭილაია, 2003, გვ. 229).

შესავალი

მკვლევრის აზრით, ძირითადად ამან განსაზღვრა კ. აბაშიძის გიორგი წერეთლის შემოქმედების მიმართ ცალმხრივი, სუბიექტური

დამოკიდებულება, დამცირება გიორგი წერეთლის სამწერლო ნიჭისა (დასახ. სახელმძღვანელო, 247).

კიტა აბაშიძის ეტიუდის კრიტიკული პათოსის ამგვარი ახსნა, ჯერ ერთი მარტივი ახსნაა. მეორე, და რაც მთავარია, ასეთი ახსნა-კრიტიკოსსა და მწერალს ცუდი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთანონებსით თუ უნებლიედ სერიოზულ ჩრდილს აყენებს კიტა აბაშიძის, როგორც კრიტიკოსის, მკვლევრის სახელს. კიტა აბაშიძე თურმე გულში ირჩენს წყენას, ერთგვარ ბოღმას და მძიმე ავადმყოფობის გამო უდროოდ გარდაცვალებულ გიორგი წერეთელს (გ. წერეთელი 57 წლისა გარდაიცვალა 1900 წელს) მთელი 12 წლის შემდეგ ასე უსწორებს ანგარიშს მას, თურმე ნარკვევის მიზანია შური იძიოს კრიტიკოსმა მწერალზე, განაქიქოს მისი შემოქმედება.

ძირითადი ნაწილი

საზოგადოდ, კ. აბაშიძე, აღზრდილი 60-იანელთა იდეებზე, როგორც ჭეშმარიტი კრიტიკოსი და ლიტერატურის ისტორიკოსი იმ პოზიციაზე იდგა, რომ მისთვის სრულიად მიუღებელი იყო პიროვნულის გარევა ამა თუ იმ მწერლის ადგილის განსაზღვრისას XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში. ასეთია იგი ყველა მწერლის და კერძოდ გ. წერეთლის ღვაწლის შეფასებისას. როგორ შეიძლება სუბიექტურობა, ცალმხრივობა დავინახოთ გ. წერეთლის იმ შეფასებაში, რომელსაც კრიტიკოსი თავიდანვე, ეტიუდის დასაწყისიდანვე გვთავაზობს. კიტა აბაშიძე წერს: "გიორგი წე-რეთელს, როგორც ჟურნალისტს, პუბლიცისტს, ანდა უკეთა ვთქვათ, როგორც პუბლიცისტ-ბელეტრისტს, საყურადღებო ადგილი უჭირავს ჩვენს მწერლობაში, რომლის უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. გიორგი წერეთელი თავდავიწყებული თანამშრომელი იყო მე-60 წლების ჩვენი მოღვაწე კორიფეებისა, და როგორც ეგრეთი, დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის. როგორც მწერალს მას გვერდს ვერ აუხვევს ვერცერთი ისტორია ჩვენი ლიტერატურის, ვინაიდან მთელი მიმართულების გამომხატველია ჩვენს მწერლობაში (აბაშიძე, 1970, გვ. 322-323).

ამ სიტყვების ავტორის გიორგი წერეთელთან "ცუდ დამოკიდებულებაზე" საუბარი საფუძველს მოკლებულია. კ. აბაშიძის აღიარებით, გ. წერეთელი "თავდავიწყებული" 60-იანელია, კრიტიკოსი მოხიბლულია და მაღალ შეფასებას აძლევს მწერლის ჟურნალისტურ და პუბლიცისტურ ნიჭს და ღვაწლს, მიაჩნია ახალი ლიტერატურული მიმართულების-ნატურალიზმის-გამომხატველად, ამ თვალსაზრისით მწერლის ადგილს სამუდამოდ განსაზღვრულად თვლის ქართულ ლიტერატურაში.

კრიტიკოსის სერიოზულ შენიშვნებს იწვევს გ. წერეთლის, როგორც პროზაიკოსის ხელოვანება, მისი შემოქმედების მხატვრული მხარე. ამ თვალსაზრისით უნდა გარკვევით ითქვას მისი ეტიუდი გამოკვლევის დონეზეა შესრულებული, რადგან ყველა შენიშვნა თვალსაჩინოდაა დასაბუთებული და ამ დასაბუთების უარყოფა არც არავის წარმოუდგენია ჩვენში.

ამდენად, კიტა აბაშიძის ეტიუდის კრიტიკული პათოსის ახსნა კრიტიკოსის "ცუდი დამოკიდებულებით" მწერლისადმი გულუბრყვილო ახსნა იქნება კიტა აბაშიძის ეტიუდისა გიორგი წერეთელზე და საზოგადოდ კიტა აბაშიძის "ეტიუდების" შესაფასებლად აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ის ლიტერატურულ-კულტურული და პოლიტიკური ატმოსფერო, რომელშიაც იქმნებოდა კიტა აბაშიძის ეტიუდები საზოგადოდ და კერძოდ ნარკვევი გიორგი წერეთელზე.

საქმე ისაა, რომ გიორგი წერეთელი "თავდავიწყებული თანამშრომელი მე-60 წლებისა" (კ. აბაშიძე) სრულიად ჭაბუკი მოღვაწეობას იწყებს ილია ჭავჭავაძის "საქართველოს მოამბეში". აქ იბეჭდება მისი ცნობილი პირველი სტატია "ცისკარს რა აკაკანებდა". ჟურნალის რედაქტორის ილია ჭავჭავაძის შემდეგ ამ ჟურნალში სწორედ გიორგი წერეთელი იყო ილიას თანამებრძოლი და თანამოაზრე.

როგორც აღნიშნავენ, გ. წერეთელს მაინცა და მაინცარიზიდავდამოწაფეობადათანამებრძოლობა. მისი ბუნების შესაბამისად შემდეგ და შემდეგ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი მოღვაწის პროფილით და 70-იანი წლებისათვის თავის გარშემო შემოიკრიბა "ახალი ახალგაზრდობა", რომელიც მეორე დასის სახელითაა ცნობილი. გიორგი წერეთელი გამოირჩეოდა "მისთვის ჩვეული სიახლის გრძნობით... ახალი აზრები… და განწყობილებები მაგნიტივით იზიდავდა მის სულსა და გულს. ცხოვრების განვითარებით გამოწვეული მოთხოვნილების პასუხის გაცემის საჭიროებით არის გაპირობებული ყოველთვის გიორგი წერეთლის ყოფნა ახალი იდეების სათავეებთან" (ჭილაია, 2003, გვ. 242). გ. წერეთლის ბუნების ამ თავისებურებით იყო დაპირობებული, რომ 1893 წელს მან ცოლის ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის სახელით დააარსა გაზეთი "კვალი", რომელშიც ფართოდ გაუღო კარი საქრთველოში პირველ მარქსისტებს – სოციალ-დემოკრატებს. მართალია, გ. წერეთელი 60-იანელად დარჩა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სოციალ-დემოკრატებისადმი დიდი სიმპათიები გამოავლინა და ბოლოს, 1898

წლიდან "კვალი" მთლიანად მათ დაუთმო.

ბუნებრივია, გ. წერეთლის ასეთი არასიმყარე, მარქსისტებთან დაახლოება არ მოსწონდა მის უფროს მეგობარს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც იყო ერთიანი, მყარი და მთლიანი პიროვნება, როგორც "ოქროს ზოდი"(ვაჟა) და უნებურად მათ შორის ურთიერთობაც იძაბებოდა.

90-იანი წლებიდან, როგორც ცნობილია, თანდათანობით ილია ჭავჭავაძისა და მისი "ივერიის" გარშემო დაპირისპირების ჟინი გამოამჟღავნა ახალგაზრდების იმ ნაწილმა, რომლისთვისაც გამაღიზიანებელი აღმოჩნდა მწერლის დიდი ძალა და ავტორიტეტი. ეს ახალგაზრდები ადგილის დამკვიდრებას აპირებდნენ და სწორედ ილია ჭავჭავაძის ეროვნულ იდეალებთან დაპირისპირება სცადეს სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში. ესენი იყვნენ სოციალურ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული ან ამ ხასიათის მოძრაობას მიტმასნილი ადამიანები, რომელთათვისაც გაუგებარი იყო ილიას დიდი ღვაწლი და მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის; უცხოეთში ნამყოფნი ზოგი მათგანნი უცხოეთში გაწვრ-

თნილნი ქართულ ნიადაგს მოწყვეტილნი ნამდვილ ეროვნულ სატკივარს ვერც ხედავდნენ და არც დანახვის დიდ სურვილს ამჟღავნებდნენ. უცხოეთში უფრო ყურმოკვრით გაგონილი და შეთვისებული აზრები მექანიკურად გადმოჰქოდათ ჩვენში. ილია ჭავჭავაძისა და მისი "ივერიის" მოღვაწეობა მათ მიერ ფასდებოდა როგორც ნაციონალისტური.

ილია ჭავჭავაძე დაუნდობელი იყო ასეთთა მიმართ, ხოლო მისი ასეთი უკომპრომისობა კიდევ უფრო აღიზიანებდა მათ და შურისძიების სურვილს უმძაფრებდა.

სწორედ გიორგი წერეთლის გაზეთ "კვალში", ხოლო მოგვიანებით გაზეთ "მოგზაურში" იბეჭდებოდა ცილისმწამებლური, დემაგოგიური წერილები ილიას "ივერიის" წინააღმდეგ.

90-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ გაზეთ "ივერიიდან" "ახალმოსულის" ფსევდონიმით დაბეჭ-და წერილები, რომლებშიაც იგი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა იმ შეხედულებებს, რომლებიც ეროვნულის უგულებელყოფით და საყოველთაო ბედნიერების ცრუ ქადაგებით იყვნენ განმსჭვალულნი.

მარქსისტი პუბლიცისტები და კრიტიკოსები ხელოვნურად უპირისპირებდნენ ილიას, დიდი მწერლის სახელს გიორგი წერეთელს და ამ უკანასკნელის უპირატესობას აღიარებდნენ, მას განადიდებდნენ ილიას სახელის დაკნინების ხარჯზე. ისინი პოლემიკაში გიორგი წერეთელსაც იყოლიებდნენ. ასე მაგალითად, 1894 წელს ჟურნალ "მოამბეში" (№1) გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის მოთხრობა "უცნაური ამბავის" დასაწყისი. ბუნებრივია, ამა თუ იმ თხზულებაზე აზრი რომ გამოითქვას, რომ შეფასდეს იგი, ჯერ უნდა დასრულდეს მისი ბეჭდვა, მთლიანი ნაწარმოები უნდა გაიცნოს მკითხველმა და

შემდეგ დაიწეროს მასზე განხილვა. მაგრამ გიორგი წერეთელმა მხოლოდ ამ გამოქვეყნებული ნაწილით სცადა ილიასთვის, როგორც მწერლისთვის, განაჩენის გამოტანა. გიორგი წერეთელი რეცენზიაში წერდა: "მიწურში გამოჩეკილი პედაგოგ-ფილოსოფოსი თავისსავე შესაფერის ფილოსოფოს ყრმას ჰპოებს აღსაზრდელად. ჯერ ექვსი წლისაც არაა და ასეთ ფილოსოფიურ კითხვებს იძლევა, რომ დარვინიც განცვიფრდებოდა მის მოქმედებაზე.

"ივერიის" კრიტიკოსი გვაფრთხილებს, ჯერ არ გაბედოთ რაიმე თქვათ ისეთი მწერლის ნაწარმოებზე, რომელსაც მთელის ერის მაჯა ხელში აქვს. რაც მან შექმნა "გლახა ჭრიაშვილი", ჩამოქვეითება დაეწყო. თუ ოდესმე სჭერია მას ხელში საქართველოს ერის მაჯა, ამის შემდეგ ვეჭვობ, ხელიდან გავარდნია და ვერ უპოვია იგი" (ბოცვაძე (შემდგენელი), 1958) როგორც ვხედავთ, გ. წერეთლის მიხედვით, "ოთარაანთ ქვრივი" კი არაა ილიას ნიჭის საზომი, არამედ "სცენები გლეხთა განთავისუფლების პირველი დროიდან", ამ სცენების პერსონაჟი გლახა ჭრიაშვილი.

პოლემიკაში არც ილია აკლებს გ. წერეთელს ხელს. მის ერთ მოთხრობაზე ილია ამბობს: ერთი ღირსება აქვს გ. წერეთლის მოთხრობას, როგორც კი ხელში აიღებთ, მაშინვე გადაგდება მოგინდებათო. გიორგი წერეთელი იქამდეც მიდის, რომ საერთოდ ილია ჭავჭავაძის რეალისტობას აყენებს ეჭვს ქვეშ. იგი წერს: "ხელოვნურ ლიტერატურაში ილიამ დაამკვიდრა სენტიმენტალისტურ-ტენდენციური მიმართულება და მისი ლუარსაბი და დარეჯანი უფრო კარიკატურებს წარმოადგენენ ქართველი მებატონისას და ქალბატონის ტიპებისას, ვიდრე ხელოვნური ხერხით წარმოშობილ ცოცხალს ერთნაირ ბუნებისა და გარემოებაში შექმნილ ტიპიური არსებებისას." (აბაშიძე, 1970, გვ. 323). გიორგი წერეთლისავე განცხადებით, მას და მის დასს შემოუტანია ხელოვნურ ან სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში "ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რეალიზმი" (კ. აბაშიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 323). გიორგი წერეთელი, კიტა აბაშიძის თქმით, კიდევ უფრო შორს მიდიოდა,

“ჩემულობდა ჩვენს ლიტერატურაში პირველ რეალისტობას”, იხ. გაზეთი “კვალი”, 1897, 46 (აბაშიძე, 1970)

ისიც უნდა ითქვას, რომ თუ თავის პირველ სტატიაში „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“ 1865 წელს აკაკი წერეთელი ილიას „კაცია-ადამიანს?!“ და „გკახის ნაამბობს“ ობოლ მარგალიტებად თვლიდა ქართულ პროზაში. მოგვიანებით, 900-იან წლებში აკეთებს სრულიად მოულოდნელ დასკვნას, რომ გ. წერეთლის „პირდაპირი დანიშნულება პროზაიკოსობა იყო“ და რომ „რეალისტური სკოლის მამამთავრად ჩვენში გ. წერეთელი უნდა ჩაითვალოს და არა სხვა ვინმე, რადგან იგი სხვაზე ადრე იყო“ (ევგენიძე, (რედ.) 2004, გვ. 110).

როგორც ჩას, აკაკის ეს დასკვნაც 90-იანი-900-იანი წლების ლიტერატურული კამპანიის ერთგვარი გამოძახილია.

ილიას გარშემო კი ვითარება სულ უფრო იძაბებოდა. 1898 წლისათვისგადაწყდა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობიდან 40 წლის იუბილის გამართვა. მართალია, ეს იუბილე საბოლოოდ ჩაიშალა და ამ მხრივ ხელისუფლებასთან ერთად, რომელმაც მეტისმეტი სიფრთხილით მიზანშეუწონლად მიიჩნია ამ იუბილის გამართვა, იუბილის ჩაშლას თვითონ ილიამაც შეუწყო ხელი.

მართალია, ილიას ძალიან უყვარდა სხვათა დაფასება და აღიარება, ეს ეროვნულად მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა, საკუთარ თავზე საგანგებოდ არ ზრუნავდა. ალბათ საკუთრივ მასაც რომ მოენდომებინა, იუბილეს წინ არაფერი დაუდგებოდა. იუბილის სამზადისისას დაიბეჭდა მიხეილ ნასიძის (“მე გახლავარის”) წიგნაკი ილია ჭავჭავაძეზე, სადაც საინტერესოდ იყო მოთხრობილი ილიას ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ, სათანადოდ იყო შეფასებული მისი, როგორც დიდი რეალისტი მწერლის შემოქმედება.

მიხეილ ნასიძის წიგნის საპასუხოდ გამოქვეყნდა ფილიპე მახარაძის სტატია “დანიელ ჭონქაძე და მისი დრო”, სადაც ის იყო ნათქვამი, რომ ილია ჭავჭავაძე კი არა, დანიელ ჭონქაძე იყო პირველი რეალისტი მწერალი, ვინც გაილაშქრა ბატონყმობის წინააღმდეგ. პირველობა მას ეკუთვნოდა და არა ილია ჭავჭავაძეს. ერთი სიტყვით, 60-იანი წლები დანიელ ჭონქაძის და არა ილიას ეპოქად ცხადდებოდა, მთავარ ნაწარმოებად “სურამის ციხე” და არა “კაცია-ადამიანი?!” ან “გლახის ნაამბობი”, რომ არაფერი ვთქვათ პოემაზე “აჩრდილი”, რომელიც 1859 წლის იანვარში უკვე დაწერილია და რომელიც ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებთაგან სანიმუშოდ ითვლება.

ფაქტობრივად, ილიას დასახელებული ორი მოთხრობის პირველი ვარიანტები 1859 წელსაა შექმნილი, ხოლო, რაც შეეხება “სურამის ციხეს”, იგი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ-1860 წელს-გამოქვეყნდა ჟურნალ “ცისკარში”. ილიამ კი აჩრდილის დაბეჭდვა გარდა მე5 თავისა (“ჩემო არაგვო, რა რიგ მიყვარხარ”) ვერასგზით ვერ მოახერხა. ხოლო, მოვთხოვოთ ილიას ბატონყმობის წინააღმდეგ გალაშქრება 50-იან წლებში, როცა ჯერ იგი ყრმაა, ეს დაახლოებით იმას ნიშნავს, მოვთხოვოთ ფილიპე მახარაძეს, რომელმაც ხეირიანად წერა-კითხვაც კი არ იცის, ილია ჭავჭავაძეობა.

აქვე უსათუოდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დანიელ ჭონქაძის განდიდებამ და დაპირისპირებამ ილიასთან, საერთოდ დიდ სამოციანელებთან, 60-იანი წლების დანიელ ჭონქაძის ეპოქად გამოცხადებამ, დიდი აკაკიც გააღიზიანა. თუ 60-იან წლებში აკაკიმ გულწრფელად გამოიტირა უდროო დროს გარდაცვლილი დანიელ ჭონქაძე ლექსით „მოგონება“(აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად, ტ.I, გვ.66) 90-იან წლებში „ჩემს თავგადასავალში“ მას უკვე ასეთი შეფასება მისცა: დანიელ ჭონქაძე, ავტორი, ერთადერთი „სურამის ციხისა,“ თითქმის ბავშვური მოთხრობისა, გაჭიმულია, როგორც დიდი ვინმე“ქართულ მწერლობაში (კრებული, აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, 2004 წ. გვ.109). ერთგან აკაკი იმასაც წერს:დანიელ ჭონქაძემ ერთი დიდი, პოეზიის მხრით უმნიშველო „სურამის ციხე“ დაგვიტოვა. (კრებული, ა. წერეთელი ლიტერატურისადა ხელოვნების შესახებ, 2004 წ. გვ. 559, სტატია „მცირე რამ“1904 წ.)

როგორც ცნობილია, 1900 წელს გარდაიცვალა გიორგი წერეთელი, რომლის საფლავზეც ისევ გაგრძელდა მისი სახელის განდიდება ილია ჭავჭავაძის სახელის დაკნინების ხარჯზე. ამასთანავე, გრძელდებოდა უფრო მწვავე პასკვილების გამოქვეყნება ილიაზე.

ილია ჭავჭავაძე კამათში შეუვალად იცავდა პიროვნული შეუხებლობის პრინციპს, რასაც ვერაფრით ვერ ვიტყვით საერთოდ მის მოწინააღმდეგეებზე, ამ შემთხვევაში კი სოციალ-დემოკრატებზე. როგორც კრიტიკოსი ი. ვართაგავა წერს, “კვალელები” სასტიკად და უსამართლოდ ილაშქრებდნენ ილიას წინააღმდეგ. ბრძოლის ჟინმა ისე დააბრმავა “კვალელები”, რომ ილიას საჯაროდ აშკარად “საქვეყნოდ რეაქციონერს უწოდებდნენ, თანამედროვე ლუარსაბ თათქარიძედ ჩათვალეს”

(ვართაგავა, 1975, გვ. 140). ილიას აუღელვებლობა, სულიერი წონასწორობა, მისი საპოლემიკო წერილების ტონი სამაგალითო იყო. საგულისხმოა, რომ აღნიშნული კამათის დროს "ივერიის" თანამშრომლები თხოვდნენ ილიას, ნება მიეცა მათთვის კამათში ჩარევისა. ილიამ მათ აუკრძალა კამათში მონაწილეობის მიღება. თქვენ თქვენი საქმე გააკეთეთ ჩვეულებრივის მონდომებით, პასუხის გამცემნი მოიძებნებიანო. განსაკუთრებით უკრძალავდა ილია თურმე კამათში ჩაბმას ისეთ თანამშრომლებს, რომლებიც თავს ვერ შეიკავებდნენ და სათქმელს ვერ მოზომავდნენ. საყურადღებოა, რომ ვაჟა-ფშაველასაც მოუსურვებია რამდენიმეჯერ კამათში ჩაბმა, ილიას სახელის დაცვა, მაგრამ ილიას არ ურჩევია, პრაქტიკულად არ დაურთავს მისთვის ნება (ვართაგავა, 1975, გვ. 141).

900-იან წლებში, კერძოდ კი, 1905 წლის მღელვარების ჟამს ილიას წინააღმდეგ დაიბეჭდა აშკარად დემაგოგიური, წამქეზებლური წერილები, რომლებშიაც ილია შეუწყნარებელი სიტყვებით იყო მოხსენიებული. ყოველივე ამან, ამდენი გესლის ნთხევამ ერის თავკაცის მიმართ სახიფათო მდგომარეობაშექმნაილიასგარშემო,მაგრამროგორც ი. იმედაშვილი ამბობს, "ასეთ ბოლოს მაინც არავინ ელოდა". სოციალ-დემოკრატმა ტერორისტებმა ილია სასიკვდილოდ გაიმეტეს. ქართველმა პოეტმა

მიერ წარმოდგენილი საბუთები და რამდენად თვალსაჩინოა მის მიერ გ. წერეთლის პროზიდან მოხმობილი მასალა, ამის ცხადსაყოფად აქ მხოლოდ ორიოდ მაგალითს მივმართავთ;

ლიტერატურის თეორიიდან ცნობილია, თუ რა დიდი დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს მხატვრულ ტექსტში შედარებას, ეპითეტს და ა.შ. კიტა აბაშიძის აზრით, გ.წერეთელი ამ მხრივ მაინცა და მაინც არ ბრწყინავს, მისი შედარებები ხშირად ღარიბია და ერთფეროვანიც.

არაფერს ვამბობთ იმ "უწმაწური" (კ.აბაშიძე) შედარების შესახებ, რომელსაც მწერალი მიმართავს იმის საჩვენებლად, როგორ სწყურიათ გიმნაზიელებს გაიგონ საუკეთესო მასწავლებლის უმანსკის გონივრული გაკვეთილები, მაგრამ სხვა მასწავლებელთაგან გონებადაჩლუნგებულები ამას ვერ ახერხებენ.

კ. აბაშიძეს მოყავს შედარების მაგალითი "პირველი ნაბიჯიდან". კრიტიკოსი წერს: "აი, დააკვირდით, როგორ აგვიწერს მწერალი ესმას პირველ გულის შეტოკებას: "ესმას ღრმად აღძრული გულის თქმანი ძალიან მიემსგავსებოდნენ ტყის ძღარბსა (ბუძგა), რომელიც დიდი კრძალვით გამოყოფს თუ არა წინა ფეხებს სასიარულოთ, უეცრივ დაფრთხება მოულოდნელი ფოთოლთ შრიალით და ისევ შეიკუმშება თავის ეკლიან სამოსელში". მოტანილ მაგალითს ახლავს კრიტიკოსის ასეთი კომენტარი: "სიყვარული, თვით უმშვენიერესი გრძნობაა ჩვენს ცხოვრებაში. მისი პირველი გაფურჩქვნა, ისიც ახალგაზრდა ქალის გულში, უდიადესი და ულამაზესი წამია, ყოველი პოეტის საგალობელი, და გ. წერეთელს კი ამის დასახატად და შესადარებლად "ტყის ძღარბზედ" უკეთესი ვეღარა უშოვია რა. ამ ტლანქ და უხეშ შედარებას განმარტება აღარ ეჭირვება". (აბაშიძე, 1970, გვ. 345).

ალბათ მკითხველი უნდა დაეთანხმოს ფაქიზი გემოვნების კრიტიკოსის ამ შენიშვნას.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია თუ რა მხატვრული ძალით ამკვიდრებს ქართულ რეალისტურმწერლობაშიდიდიილიასინამდვილის განსახიერებისას დეტალიზაციის გზას და თუ როგორ დღემდე დაუძლეველ სიმაღლედ რჩება იგი ამ მხრივ ქართულ მწერლობაში. საკმარისია ამ მხრივ გავიხსენოთ მისი მოთხრობა "კაცია-ადამიანი?!",- კერძოდ ლუარსაბის სახლ-კარის აღწერა იქნება ეს თუ ლუარსაბის, დარეჯანის, ლამაზისეულის პორტრეტები და ა.შ. გავიხსენოთ "ოთარაანთ ქვრივი", საკუთრივ ოთარაანთ ქვრივის სახლ-კარის აღწერა, ოთარაანთ ქვრივის ხუთი ქისის ამბავი და სხვ. (ვრცლად დეტალიზაციის შესახებ ქართულ მწერლობაში იხ. გრ.კიკნაძე მეტყველების სტილის საკითხები, 1957წ. თავი "გოგოლისებური ქართულ ლიტერატურაში").

არ დარჩენილა ჩვენს მწერლობაში ილია ჭავჭავაძის შემდეგ პროზაიკოსი, რომელსაც ილიას ზემოქმედება არ განეცადა. რასაკვირველია, ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი გიორგი წერეთელი იყო. მანაც, ბუნებრივია, მიმართა დეტალიზაციის გზას. კიტა აბაშიძეს მოჰყავს მაგალითი "პირველი ნაბიჯიდან", კერძოდ მეორე თავიდან, სადაც გადმოცემულია, თუ რა ერგო ბახვას მამას ძმებთან გაყოფის შემდეგ: "ბახვას მამას ერგო ხუთი ქცევა სახნავი მიწა, შვიდი ქცევა ქოჩორა ტყე და ქცევა-ნახევარი დობილო (მაღლარი ვენახი). სახლებს შორის ბოსელზე მიდგმული ერთი ფიცრული ოთახი, რომელსაც ორი საჟენი სიგრძე ჰქონდა და საჟენ-ნახევარი განი, ერთი ხულა (პაწია ბეღელი), ერთი პატარა საღორე, ერთი ხბოიანი ძროხა, ცალი ხარი, ხუთი თხა, ორი თიკანი, ერთი ბოტი (დაკოდილი ვაცი), ორი წლის ჭაკი კვიცი, ექვსი ქათამი, ერთი მამალი, ერთი ნეზვი ღორი, ორი ათჩაფიანი ქვევრი, ორი ქოთანი, ხუთი ხის ჯამი, ერთი კარდალი (მორჩილი ქვაბი), ერთი კინთი, კბილებჩამტვრეული საჩეჩელი და ერთი ჩიხრიხი (ბამბის გასარჩევი)".

მოტანილ ნაწყვეტს გ.წერეთლის ნაწარმოებიდან მოჰყვება ვრცელი კომენტარი კრიტიკოსისა, რომელსაც შემოკლებით აქვე წარმოვადგენთ: "ღმერთო ჩემო, თითქოს სტატისტიკური აღწერილობა ჰქონდეს მინდობილი მწერალს, ან და კომლების და მათი სარჩო-საბადებელის ადმინისტრაციულად ცნობაში მოყვანა. ყველაფრად ვარგა ეს ნაწყვეტი და არა მხატვრულ იარაღად, რომელსაც აზრად აქვს ბახვას მამის ავლა-დიდება თვალწინ დაგვიყენოს.

აბა, ახლა გადაათვალიერეთ "კაცია-ადამიანის?!" და გინდ "ოთარაანთ ქვრივის" მსგავსი ადგილები და ნახავთ, ვინ არის ნამდვილი რეალისტი, მათი ავტორი, თუ გ. წერეთელი, რომელიც ჩემულობდა ჩვენს ლიტერატურაში პირველ რეალისტობას (იხ. "კვალი",1897 წ., 46). საკმარისია ნიმუშად ავიღოთ ერთი ნაწყვეტი თათქარიძეების ოთახის აღწერილობისა, რომ ეს დიდი განსხვავება ყველასთვის ცხადი შეიქმნეს... ავტორი საგანთა თვისების ჩამოთვლით თვალწინ გვიშლის გმირთა ზნე-ჩვეულებებსა და ყოფა-ცხოვრებას.

მოქმედ პირთა დასასურათებლად სწორედ ის არის საჭირო ვიცოდეთ, როგორი წაღები აქვს, როგორი თუნგი, როგორი "შანდალი" და არა ის, თუ რამდენი ტაშტი აქვს და გობი. ილიას ხერხი

მხატვრული, ხელოვნური ხერხია.

იგი მოვლენათა შორის დაფარულ კავშირს იძიებს. მისთვის ოთახის მოწყობილობას, გარეგან სახესა და შეხედულებას იმდენადა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი პატრონის, ადამიანის სულისა და გულის გამომაჩინებელია.

გ. წერეთელი კი ოთახს თვალს მოავლებს, დაინახავს, რომ ამდენი გობია, ამდენი კვერცხი თავზე აქვს მოლაგებული, ამდენი სულგუნი კიდია და დაიწყებს ამის ჩამოთვლასა და ანგარიშს, თითქოს ბოქაული იყოს და ვალში უწერდეს ქონებას უპირულ მოვალესაო" (აბაშიძე, 1970, გვ. 348-350).

ერთი სიტყვით, კ. აბაშიძის სავსებით მართებული აზრით, ილიასთან აღწერა თვისობრივი შინაარსისაა, ხოლო გ. წერეთელთან ჩამოთვლა რაოდენობრივია და თვისობრივ ხასიათს ვერ იძენს.

კ. აბაშიძის ეტიუდიდან ძალიან კარგად ჩანს, რომ სწორედ ილია ჭავჭავაძის პროზასთან შეპირისპირებით განიხილავს კრიტიკოსი გ. წერეთლის პროზის მხატვრულობას, მიზანი სავსებით ცხადია: გასწორდეს, როგორც ვაჟა იტყოდა "მრუდედ ნაჩორგნი" აზრები და ილია ჭავჭავაძესა და გიორგიწერეთელს თავთავისი კუთვნილი ადგილი მიეჩინოს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

გიორგი წერეთლის შემოქმედების მკვლევარები ფიქრობენ, რომ კიტა აბაშიძე თავის ეტიუდში ცალმხრივად მსჯელობს, მხოლოდ ნაკლზე ამახვილებს ყურადღებას და არაფერს ამბობს მწერლის თხზულებათა ღირსებებზე.

დავით გამეზარდაშვილის თქმით, კიტა აბაშიძემ გიორგი წერეთელზე შექმნილ ნარკვევში "მთელი თავისი ნიჭი გ. წერეთლის შემოქმედების სუსტი

მხარეების წინ წამოწევისაკენ მიმართა. მან გვერდი აუარა გ. წერეთლის შემოქმედების ძლიერ მხარეებს, მის იდეურ შინაარსს, მის შემეცნებით ღირებულებას და მთელი ყურადღება მხატვრული ფორმის ხარვეზებზე შეაჩერა".

კ. აბაშიძე არაფერს არ ამბობს იმის შესახებ, რომ მწერალი თავის შემოქმედებაში "ეპოქის სრულ სურათს ხატავს, მოვლენებს დინამიურ განვითარებაში წარმოადგენს. დასკვნების გაკეთებას რთული და ახალი სოციალურ-პოლიტიკური პროცესის შესახებ არა თუ გაურბის, არამედ მეტად აშკარად გამოთქვამს. მისი მოთხრობები აწმყოსთან კი არ გვაჯაჭვავს, არამედ მომავალზე ფიქრისათვის განგვაწყობს და სხვ." (გამეზარდაშვილი, 1970, გვ. 59). ამ ტიპის საყვედურს თითქმის ყველა მკვლევარი უყენებს კიტა აბაშიძეს. გარკვევით უნდა ითქვას, რომ საყვედური კრიტიკოსის მიმართ იდეებისადმი უყურადღებობის შესახებ სრულიად უსაფუძვლოა. საქმე ისაა, რომ კიტა აბაშიძე კარგად ხედავს გ. წერეთლის თხზულებათა იდეურ მხარეს. კარგად იცის, რომ გ. წერეთელი ეპოქის სულს გრძნობს, ხედავს ცხოვრებაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს და ა.შ., რომ საყურადღებო დასკვნებს აკეთებს ახალი სოციალური პროცესების შესახებ.

მაგრამ კრიტიკოსი ფიქრობს, რომ ეს ჟურნალისტურ-პუბლიცისტური პლანია მისი მოთხრობებისა; ხოლო რაც შეეხება გ. წერეთლის პუბლიცისტურ და ჟურნალისტურ დამსახურებას, როგორც იმთავითვე სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს. ამ მხრივ, კიტა აბაშიძის აზრით იგი, გ, წერეთელი, გვერდით უდგას ჩვენს მოღვაწე კორიფეებს. კიტა აბაშიძე მწერალ გ. წერეთლის ნაკლოვანებებს წარმოაჩენს როგორც ხელოვანის, რეალისტი მხატვრისას; სწორედ ამ მხრივ უპირისპირებდნენ გ.წერეთელს დიდ ილიას და თავაღერებულად, ურცხვად წერდნენ გ.წერეთლის უპირატესობაზე "კვალის" კრიტიკოსები.

კიტა აბაშიძე გარკვევით წერს: "ხელოვნური ქმნილება სრულიადაც არ გახლავთ არც პუბლიცისტიკა, არც ჟურნალისტიკა", რამდენადაც "ჟურნალისტი და პუბლიცისტი მოვალეა აღნიშნოს ყოველივე ახალი მოვლენა ცხოვრებაში, განმარტოს იგი მოვლენა და გამოარკვიოს, ამდენად ეს პოეტს ან რომანისტს სრულიადაც არ მოეთხოვება და არცაა მისი საქმე. კიტა აბაშიძის მიხედვით პუბლიცისტურობა უცხოა შოთას უკვდავი პოემისათვის, ილიას დიდებული "განდეგილისათვის", აკაკის ლირიკული პოეზიის შედევრებისათვის,"სულიკო", "განთიადი" და სხვ. (აბაშიძე, 1970, გვ. 338).

კიტა აბაშიძემ ბუნებრივია, იცის, რომ პუბლიცისტური გამიზნულობა ორგანული მხარეა დიდი მწერლების, რეალისტების, ილიასა და აკაკის მხატვრული შემოქმედებისა და ეს მათი ღირსებაა და არა ნაკლი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პუბლიცისტურობა მხოლოდ ამდიდრებს მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებულ მათ ქმნილებებს, მათთან არასოდეს არ ჩრდილავს პუბლიცისტურობა მხატვრულობას, რასაც როგორც კიტა აბაშიძე ფიქრობს, ვერ ვიტყვით გ.წერეთლის მოთხრობებზე, მასთან პუბლიცისტი ძირითადად ჩრდილავს მხატვარს.

თავისი მოსაზრებების არგუმენტების წარმოდგენამდე კიტა აბაშიძე საგანგებოდ

აფრთხილებს მკითხველს:” მიკერძოებით სჯა რომ არ შემწამოთო”, მაგრამ თუ ზოგიერთ მკითხველს მაინც დარჩება გამოკვეთილი ტენდენციის შთაბეჭდილება ეტიუდიდან უნდა ახსოვდეს, რომ ამ ეტიუდში გ.წერეთელი გულში ჩახვეულ წყენას და ბოღმას კი არ უხსნის გზას თავშეწირული 60-იანელის მიმართ, რაც მას საზოგადოთაც არა აქვს, არამედ პათოსი ამ ეტიუდისა განსაზღვრულია კრიტიკოსის თაყვანისცემითი დამოკიდებულებით თავზე უკვე მოწამის გვირგვინდადგმული ერის წინამძღოლის, დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე კ., ეტიუდები 1970
2. აბაშიძე კ., “ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე”, 1991
3. გამეზარდაშვილი დ., კიტა აბაშიძე და მისი ეტიუდები, წიგნში: კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, 1970
4. ჭილაია ა., გიორგი წერეთელი, წიგნში-ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 2003
5. ბოცვაძე ი. (შემდგენელი), ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, კრებული, II, 1958.
6. ევგენიძე ი. (რედაქტორი), „აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, კრებული, 2004
7. ვართაგავა იპ., წერილები და მოგონებები,1975

for the portrait of Kita Abashidze as a critic
(according to his etude on Giorgi Tsereteli)

Lado Minashvili, associate professor
Iv. Tbilisi State University named after Javakhishvili

Summary

The main work of Kita Abashidze, a talented, highly erudite, picky taste critic and literary historian, is, as is known, "Etudes on 19th century Georgian literature". This work was written for years and its parts were printed in Georgian periodicals, and finally it was published in two books in 1911-1912 in Kutaisi.

It was, in fact, the first work that took into account the history of conception and development of literary directions in Georgian writing of the 19th century and the characterization of the main representatives of these directions.

Despite the fact that pointing out shortcomings with a kind of severity was not alien when discussing the life and work of certain writers (for example, the incompatibility of civil life and poetry of Grigol Orbeliani, the artistic side of the poem "Toast", the inaccuracy of the language and general style of Al. Kazbegi's prose and Etc.) Researchers singled out the study about Giorgi Tsereteli in this regard. The most criticism of literary historians is Giorgi Tsereteli's K. Abashidze's assessment was well deserved. It was considered that K. Abashidze directly acted as the accuser. When evaluating Tsereteli as a writer, that he c. In Tsereteli's writings, "he was always looking for flaws and could not hide his discomfort when he encountered something that was difficult to judge" (Gamezardashvili, 1970, p. 57).

While writing the etude, K. Abashidze could not maintain objectivity, it turned out to be one-sided, subjective, which was mainly due to two reasons: G. Tsereteli's "comparatively weak fiction talent" and, most importantly, "bad attitude between the critic and the writer" (the essay named by D. Gamezardashvili in the named book, p. 57. It should be specially said that Prof. Davit Gamezardashvili published it twice in 1962 and 1970 with the appropriate essay K. Abashidze's Etudes in one book, thus making it accessible to all specialists and interested readers).

The second author specifies this "bad attitude": Kita Abashidze and Giorgi Tsereteli had a controversy, mostly of a political nature. c. In the 90s, Tsereteli attacked K. Abashidze because of the rebuke that Giorgi Tsereteli was killed by the 3rd Dasele, Tabibireso and others. On this basis, the writer K. Abashidze pointed to the ignorance of the history of our literary life (Chilaya, 2003, p. 229).

„სულ შინისკენ... სულ შინისკენ...”

ეკა ჩილაჩავა, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში საუბარია ანა კორძაია-სამადაშვილისმოთხრობაზე-,,წვიმს”.თხზულებაში წარმოდგენილია მშობლიურ მიწას მოწყვეტილი, გარესამყაროსთან სრულიად გაუცხოებული, საზრისს მოკლებული, ემიგრირებული ქალის სევდიანი ისტორია. ეს ქალი, სამშობლოს, ფესვების დაკარგვას, ყველასგან გარიყულობას, მარტოობას, საზრისის არქონას, საკუთარი თავის დაკარგვამდე მიჰყავს. მოთხრობაში ასევე განხილულია სხვა ემიგრანტიპერსონაჟიქალებისფსიქოტიპებიც-მათი სახელებია: მარია, მართა, რინა-შირინა, „ირობჩკა“ (იგივე ირა), ტომა (იგივე თამარი). ამ ქალებს, რომლებიც ერთმანეთს დროებით თანამგზავრობას უწევენ, ერთი რამ აერთიანებთ - ისინი სულიერ სიმარტოვეში მყოფი და ცხოვრებისეულ საზრის მოკლებული ადამიანები არიან.

ემიგრაცია და, მითუმეტეს, იძულებითი ემიგრაცია, ის დიდი ეროვნული და ადამიანური ტრაგედიაა, რომელმაც წარუშლელი დაღი დაამჩნია მთელი თაობების ცხოვრებას, ერისა და ცალკეული პიროვნებების შემდგომ სულიერ განვითარებას. საქართველოდან, 90-იან წლებში, სიღარიბის, უმუშევრობისა და შიდა არეულობის გამო, უამრავი ადამიანი წავიდა უცხოეთში სამუშაოდ. როგორც წესი, ეს ადამიანები, უცხოეთში ჩასვლას, სხვადასხვა გზით ახერხებდნენ, შემდეგ კი, არალეგალურად რჩებოდნენ იმ ქვეყანაში.

ანა კორძაია-სამადაშვილისთვის დამახასიათებელია წერის ლაკონური მანერა; იგი, სულ რაღაც ორიოდე დეტალით, პერსონაჟთა მეტყველების მანერით, დიალოგებით, სრულ შთაბეჭდილებას გვიქმნის მათზე. მწერალი გასული საუკუნის 90-იანელთა იმ თაობას მიეკუთვნება, რომელმაც დროის შესატყვისი ფორმებით დაიწყო წერა. მიმდინარეობა, რომლის გავლენასაც ისინი განიცდიან, პოსტმოდერნიზმია. ეს თაობა ახალი ტიპის ლიტერატურას ქმნის, რომელიც თამამი ექსპერიმენტებითა და სტილური ინოვაციებითაა გამორჩეული. მათში იგრძნობა ნიჭიერება, შემოქმედებითი პოტენცია და ორიგინალური თვალთახედვა. ძალზედ მნიშვნელოვანია ამ თაობის მწერლების შემოქმედების დროულად და პირუთვნელად შეფასება.

საკვანძო სიტყვები: ემიგრაცია, პოსტმოდერნიზმი, საზრისის დაკარგვა.

შესავალი

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ჩვენს ქვეყანაში, გარდამავალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფაზა დაიწყო. ცხადია, ამ პროცესმა საგრძნობლად შეცვალა ქართული საზოგადოების ცნობიერება და შეხედულებანი ცალკეულ საკითხზე. დროის ფაქტორის ამგვარმა ცვალებადობამ, თავისი კვალი კულტურას, კერძოდ კი, ლიტერატურასაც დააჩნია.

კვლევებით დასტურდება, რომ ქართული ლიტერატურული განვითარების ისტორია, მეხუთე საუკუნიდან დღემდე, მუდმივად იცვლებოდა არა მხოლოდ საბაზისო ესთეტიკური პრინციპების, არამედ ცალკეული ტექსტური სტრუქტურების დონეზეც (ფაბულა, სიუჟეტი, კომპოზიცია).

დღესაც ასეა. ახალგაზრდა მწერალთა თაობამ, დროის შესატყვისი ფორმებით დაიწყო წერა. შეიცვალა ამბის, აღწერის, თხრობის მანერა. მიმდინარეობა კი, რომლის გავლენასაც ისინი განიცდიან, პოსტმოდერნიზმია.

ცნობილია, რომ ლიტერატურათმცოდნეები დღემდე ვერ შეთანხმებულან არათუ პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელ არსებით ნიშან-თვისებებზე, არამედ ტერმინის შინაარსზედაც. ზოგიერთი მკვლევარი ამ ლიტერატურულ მიმდინარეობას პოსტავანგარდიზმსაც უწოდებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის ავანგარდიზმის შემდეგ გაჩნდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი - პოსტმოდერნიზმი, - რომელიც ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის აღსანიშნავად იხმარებოდა, დასავლურ ლიტმცოდნეობაში სამოციანი წლებიდან იწყებს დამკვიდრებას, საქართველოში კი, სამოცდაათიანი - ოთხმოციანი წლებიდან.

მკვლევარი ლევან ბერძენიშვილი აღნიშნავს: ,,პოსტმოდერნიზმი მოდერნიზმისგან განსხვავდება არა იმდენად ორიგინალურობით, რამდენადაც ელემენტების მრავალფეროვნებით, ციტატურობით, თანამედროვე მსოფლიოს სირთულის, ქაოსურობისა და დეცენტრალიზაციის ასახვით. პოსტმოდერნიზმი თანამედროვე კულტურის

მდგომარეობაა, რომელიც თავის თავში მოიცავს ფილოსოფიურ პოზიციას და, რომელიც ასევე არსებითად უპირისპირდება თანამედროვე ეპოქის მასობრივ კულტურას'' (ბერძენიშვილი, 2024).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში, 90-იანი წლებიდან, ახალი ტიპის ლიტერატურა იქმნება, რომელიც თამამი ექსპერიმენტებითა და სტილური ინოვაციებითაა გამორჩეული. ამიტომ, ვფიქრობთ, ძალზედ მნიშვნელოვანია დროულად და პირუთვნელად შეფასდეს ყველა (ან, შეძლებისდაგვარად, ყველა) ნაწარმოები, რომელიც გარკვეულ ადგილს იკავებს თანამედროვე სალიტერატურო პროცესში და თავისი გამოკვეთილი სახე აქვს.

ზოგიერთი თანამედროვე ქართული ლიტერატურული ნაწარმოები ჯერჯერობით უფრო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ეპოქის ამსახველ მშრალ ესეისტიკურ ქრონიკას ჰგავს. თუმცა, ისიცაა აღსანიშნავი, რომ უკვე გამოკვეთილია მწერალთა ჯგუფი, რომელიც კარგ ლიტერატურას ქმნის. მათში იგრძნობა ნიჭიერება, შემოქმედებითი პოტენცია და ორიგინალური თვალთახედვა.

ძირითადი ტექსტი

ამჯერად, ჩვენი ყურადღება ანა კორძაია-სამადაშვილის ერთ მოთხრობაზე შევაჩერეთ, რომელიც 2004 წელს გამოცემულ კრებულ ,,15 საუკეთესო ქართულ მოთხრობაშია'' დაბეჭდილი, სახელწოდებით - ,,წვიმს''.

მოთხრობა ,,წვიმს'' ხუთი პატარა ქვეთავისაგან შედგება, სადაც იძულებით ემიგრაციაში მყოფ ქალზეა საუბარი.

პირველი, რამაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო, სათაურია. ცხადია, მოთხრობის სათაური - ,,წვიმს'', თავისი დატვირთვითა და შინაარსით, სიმბოლური მნიშვნელობისაა.

თითქმის ყველა ლექსიკონსა თუ ენციკლოპედიაში, წვიმა განმარტებულია, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო. წყლის, წვიმის საშუალებით ხდება გარდასახვა, განწმენდა, ახალი ციკლის დაწყება. თუმცა, მას ორმაგი დატვირთვაც აქვს - როდესაც წვიმის ნალექი გაუთავებელი და არაზომიერია, ის წარღვნას იწვევს.

ვფიქრობთ, ავტორმა, იმპლიციტურად, სათაურშივე მიგვანიშნა ამ მოთხრობის დედააზრზე.

მოთხრობაში წარმოდგენილია მშობლიურ მიწას მოწყვეტილი, გარესამყაროსთან სრულიად გაუცხოებული, საზრისს მოკლებული, ემიგრირებული ქალის სევდიანი ისტორია. ეს ქალი, სამშობლოს, ფესვების დაკარგვას, ყველასგან გარიყულობას, მარტოობას, საზრისის არქონას, საკუთარი თავის დაკარგვამდე მიჰყავს და, საბოლოოდ, ის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდება.

ემიგრაცია და, მითუმეტეს, იძულებითი ემიგრაცია, ის დიდი ეროვნული და ადამიანური ტრაგედიაა, რომელმაც წარუშლელი დაღი დაამჩნია მთელი თაობების ცხოვრებას, ერისა და ცალკეული პიროვნებების შემდგომ სულიერ განვითარებას.

საქართველოდან, 90-იან წლებში, სიღარიბის, უმუშევრობისა და შიდა არეულობის გამო, უამრავი ადამიანი წავიდა უცხოეთში სამუშაოდ. როგორც წესი, ეს ადამიანები, უცხოეთში ჩასვლას, სხვადასხვა გზით ახერხებდნენ, შემდეგ კი, არალეგალურად რჩებოდნენ იმ ქვეყანაში.

შესაძლოა, ამ მოთხრობის გმირიც ასეა წასული თავისი ქვეყნიდან. თუმცა ,ავტორი ამის შესახებ არფერს გვეუბნება.

მოთხრობაში, ამ პრობლემის საფუძველზე ხდება მთლიანი მხატვრული ქსოვილის ჩამოყალიბება.

თხზულების მთავარი პერსონაჟი ქალი ისეთ ქალაქში ცხოვრობს, სადაც მუდმივად წვიმს.

თითქმის ყველა ფრაზისა და აბზაცის ბოლოს, თვალში გვხვდება ორსიტყვიანი ან ერთსიტყვიანი წინადადება - ,,გარეთ წვიმს'', ,,ისევ წვიმს'', ,,აქ წვიმს'' ან, უბრალოდ - ,,წვიმს.''

ეს მშრალი, ამინდის გამომხატველი სიტყვა, რეფრენივით რომ გასდევს მთელ მოთხრობას, თანდათან უჩვეულო ემოციურ ძალას იძენს და მკითხველს, მისდაუნებურად, იმის განცდა უჩნდება, რომ მასაც, ამ პერსონაჟივით, მუდმივად თავზე აწვიმს. ცხადია, ამ ლიტერატურული ხერხის გამოყენება, მჭიდროდ უკავშირდება მოთხრობის მთავარი გმირის ქმედებების, სულიერი მდგომარეობისა და ცხოვრების წესის აღწერას.

თხრობის დასაწყისში ტურისტის კითხვას - ,,დიდი ხანია, რაც აქ წვიმს?'' - გუბეებში მოთამაშე შვიდი წლის ბავშვი გულუბრყვილოდ პასუხობს - ,,არ ვიცი, ძია, მე მხოლოდ შვიდი წლის ვარ'' (კორძაია-სამადაშვილი, 2004).

და კიდევ, ერთი უმნიშვნელოვანესი შტრიხი - ავტორი მოთხრობაში არსად არ ასახელებს არც ამ ქალის და არც ამ წვიმიანი ქალაქის სახელს.

მოთხრობაში, ალაგ-ალაგ, გაბნეულია ამ ქალის ფიქრები და განცდები. პოსტმოდერნიზმის მანერისათვის დამახასიათებელ ამ, თითქოსდა, ქაოტურ თხრობაში, ნელ-ნელა იკვეთება ამ პერსონაჟის უიღბლო ისტორია და სულიერი მდგომარეობა.

მოთხრობის პირველივე თავში ქალი ასეთ რამეს

იხსენებს - ,,ერთი კაცი იყო, რა ვუწოდო, საყვარელი იმას არ ეთქმოდა და მეგობარი, კარგი კაცი იყო. ჰოდა ის ამბობდა ხოლმე:

,,სულ შინისკენ, სულ შინისკენ'', და მერე ღრმაზროვნად გადმომხედავდა და დაურთავდა: ,,ნოვალისი.''

ეგ ხომ მეც ვიცი - მერე, რა? აი, აგერ, რიგით მეასე მდინარეს ჩავყურებ, სანამ კინოში შესვლის დრო დადგება, მაწვიმს...'' (კორძაია-სამადაშვილი, 2004).

ცხადია, ავტორი ამ ფრაზაზე შემთხვევით არ აკეთებს აქცენტს. ,,სულ, შინისკენ, სულ შინისკენ...“ - ეს სიტყვები, მკითხველს ყურში ზარის რეკვასავით ჩაესმის. მოთხრობის პერსონაჟი კი, რომელიც რიგით ,,მეასე'' მდინარეს ჩაჰყურებს, მარტო დადის კინოში და ეს სიტყვები ახსენდება, ალბათ, წარმოუდგენელია, გაუცნობიერებლად მაინც არ იყურებოდეს ,,შინისკენ'', ანუ, სამშობლოსკენ [მახსენდება ემიგრაციაში მყოფი ერთ-ერთი ემიგრანტი ქალბატონის ნათქვამი - თბილისი და ჩემიანები რომ მენატრებოდა, ოკეანის სანაპიროზე ჩავდიოდი და სასოწარკვეთილი, ბოლო ხმით, ხანგრძლივად ვყვიროდიო; ოკეანის ტალღებს ვატანდი ჩემს ტკივილსო - ე. ჩ.].

ვფიქრობთ, არც გერმანული რომანტიზმის წარმომადგენლის, ნოვალისის (ფრიდრიხ ფონ ჰარდენბერგი) სახელია შემთხვევით ნახსენები. მკითხველს უთუოდ გაახსენდება ნოვალისის რომანი, რომელიც პოეტის შინაგანი სამყაროსა და, საერთოდ,მთელირომანტიზმისსაუკეთესოსულიერ მიგნებათა კვინტენსენციად გვევლინება, -,,ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენი'', სადაც პიროვნების სულიერი მოგზაურობაა ნაჩვენები. და კიდევ, ნოვალისის ფსევდონომის შესახებ, ამ რომანის მთარგმნელი, ნანა გოგოლაშვილი აღნიშნავს: ,,რადგან პოეტის მრავლისმეტყველი ფსევდონიმი სწორედ მის მამა-პაპათ უკავშირდება, აქვე აღვნიშნავთ: მის ერთ-ერთ უძველეს წინაპარს - მამული - როდე - მიუღია ჰანოვერში (ნიორტენთან, გიოთინგენის ჩრდილოეთით), სადაც ჰარდენბერგთაგან მანამდე არავის უცხოვრია და ამიტომ ამ გვარის წევრები თავიანთ თავს უწოდებდნენ ,,De Novali von Roden'' (ნოვალები როდენიდან): პირველმოსახლეთა აზრით. პოეტიც, ახალი ქვეყნის გზისგამკაფავის აზრს დებს თავის ფსევდონიმშიც'' (ნოვალისი). ამ კუთხით, ,,სულ შინისკენ,'' ,,სულ შინისკენ'' ისმის, როგორც - ,,სულისკენ'', ,,სულისკენ,'' შინაგანი სულიერი ჭვრეტისაკენ, საკუთარი პიროვნების უნივერსალიზაციისაკენ. სამწუხაროდ, ამ მოთხრობის პერსონაჟი, ვერ უძლებს შემზარავი შინაგანი სიცარიელისა და ამქვეყნიური ამაოების შემაძრწუნებელ გრძნობას.

ერთგან, ავტორი, ამ ქალის განცდებს ასე გადმოგვცემს: ,,მართალია, თავიდან მიჭირდა. ახლა ვიცი, რომ იმიტომ მიჭირდა, რომ მეგონა, რომ აქ დროებით ვიყავი. ახლა ვიცი, რომ ამიერიდან ყოველთვის აქ ვიცხოვრებ და ამიტომ მშვიდად ვარ'' (კორძაია-სამადაშვილი, 2004).

უთუოდ დამეთანხმებით, რომ ამ ფსიქოლოგიური წერის მანერით შესრულებულმა პასაჟებმა, შეუძლებელია, მკითხველში უძლიერესი თანაგანცდა არ გამოიწვიოს. შეუძლებელია, სრულად არ წარმოიდგინოს ემიგრანტის სულიერი მდგომარეობა; ის უსასოობის პიკი, რომელიც იძულებით ემიგრაციაში მყოფ ადამიანს შეიძლება დაუდგეს.

ავტორი მოთხრობაში კალეიდოსკოპური პრინციპით ცვლის სურათებს, რაც, ცხადია, ცოტა აძნელებს ტექსტის მთლიანობაში აღქმას. თუმცა, მიუხედავად ამისა, მკითხველი, გაბნეულად, მაგრამ მაინც, პერსონაჟის პირადი ცხოვრების ამსახველ პასაჟებსაც გადააწყდება. ირკვევა, რომ ქალი რუსი ემიგრანტების ფირმაში მუშაობს. ის მდივანია და სატელეფონო ზარებს პასუხობს. ქალს ის გარემო, სადაც უწევს ცხოვრება, არ იღებს. მას მეზობლის ქალთან ცუდი ურთიერთობა აქვს, რადგან გრძნობს, რომ მას სძულს ის. სიძულვილის მიზეზი კი ისაა, რომ ქალს შავი თმა აქვს და მის ენაზე ცუდად საუბრობს. მოთხრობის პერსონაჟი, მეგობარი მამაკაცის - რაინერის დედასაც ამავე მიზეზის გამო სძულს. ქალს რაინერთანაც მექანიკური ურთიერთობა აქვს. მათ შორის არც სიყვარულზეა საუბარი და, არც სულიერ ურთიერთობაზე. ინტიმური ურთიერთობაც მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ კაცმა უთხრა - ეს აუცილებელია, როგორც პური და წყალი და კიდევ იმიტომ, რომ არ გაბოროტდეო.

ყველაფრის მიუხედავად, ქალი, თვეში ერთხელ, სადილად, რაინერის მშობლებთანაც დადის. რაინერის დედა მათ ყოველთვის შესანიშნავ სტეიკს ახვედრებს. თუმცა იცის, რომ ეს ქალი ხორცს არ ჭამს. სტეიკის გარდა, რაინერის დედა მათ რძიანი კაკაოთიც უმასპინძლდება. ქალს არც რძე უყვარს, მაგრამ მაინც სვამს, რადგან ჰგონია,რომ ყველაფერზე უარის თქმა უხერხულია. რაინერის დედას არ ესმის, რა აკავშირებს მის შვილს ამ ქალთან. ქალმა კი იცის, რომ რაინერს მასთან არაფერი არ აკავშირებს. ,,უკვე დიდი ხანია ასე ვცხოვრობ,'' - ამბობს ის ერთგან (კორძაია-სამადაშვილი, 2004).

ვფიქრობთ, ავტორის მიერ შეგნებულად ხაზგასმული პასაჟებით, ნათლადაა ნაჩვენები ამ პიროვნების გაუსაძლისი მარტოობა, განდგომა.

ასევე, თუ როგორ კარგავს მოთხრობის პერსონაჟი ნელ-ნელა ცხოვრებისეულ საზრისს და ჯანსაღ სიცოცხლისუნარიანობას. და კიდევ, თუ როგორ სულიერ უძლურებამდე მიჰყავს ადამიანი ძალითთავსმოხვეულ ფარსს. ალბათ, სწორედ აქედან (როცა აცნობიერებს, რომ უკვე დიდი ხანია ასე ცხოვრობს) იწყება ამ ქალის ტრაგიკული პიროვნული გაუცხოება და შინაგანი რღვევა.

ცნობილი შვეიცარიელი ფსიქიატრი, ანალიტიკური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი, კ. გ. იუნგი თავის ერთ-ერთ კვლევაში წერდა:

,,ცხოვრებისეული საზრისის არქონა, კრიტიკულ როლს თამაშობს ნევროზის ეტიოლოგიაში. ნევროზი შეიძლება გავიგოთ, როგორც სულიერი ტანჯვა. ჩემი პაციენტების ერთი მესამედი იტანჯება არა კლინიკურად დადასტურებული ნევრიზისგან, არამედ ამაოების შეგრძნებისა და ცხოვრებისეული მიზნების უქონლობის გამო'' (Ялом, 1999).

იმავე აზრისაა ამის შესახებ ალბერ კამიუც: ,,მე უამრავი ადამიანი შემხვედრია, რომლებიც მხოლოდ იმიტომ მიდიან ამქვეყნიდან, რომ ცხოვრებისეული საზრისისთვის ვერ მიუგნიათ. აქედან გამომდინარე, დასკვნას ვაკეთებ - ცხოვრებისეული საზრისის არქონა, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია'' (Ялом, 1999).

სავარაუდოდ, ავტორის სათქმელიც ესაა...

უმძაფრესი ემოცია ახლავს ფინალურ სცენას, რომელიც ავტორისათვის დამახასიათებელი ძალზე მეტყველი დეტალების ჩვენებითაა გამორჩეული.

,,იმ დღესაც პარასკევი იყო [რაინერი იმიტომ რჩებოდა ქალთან პარასკევ დღეს, რომ შაბათს, დილით, სექსი ჰქონოდათ - ე. ჩ.], ამიტომ, რაინერი ღამით დარჩა და ჩვენ დილით სექსი გვქონდა. როცა რაინერი გადაბრუნდა, მე ლოგინის ქვეშ შევყავი ხელი. იქ დიდი ქვა მქონდა დაგულებული. მე ის ქვა ავიღე და რაინერს თავში ჩავარტყი'' (კორძაია-სამადაშვილი, 2004).

ყოველივე ამის მერე, მოთხრობის პერსონაჟი, ფანჯრიდან ყრის წითელ ,,ბოტებს'', ქუჩაში გადის, სიგარეტს, ერთ ბოთლ არაყს ყიდულობს და უგონოდ თვრება. უკან დაბრუნებული სმას აგრძელებს, ხდის ხეობაზე და ვაჩეზე იწყებს ფიქრსა და ოცნებას - ,,მე ვფიქრობდი ხდის ხეობაზე, რომ იქ ყველაფერი ძველებურადაა, და როცა ავალ - მალე, ძალიან მალე - იქ ვაჩეც დამხვდება და ჩვენი გამჭვარტლული ჩაიდანიც...'' (კორძაია-სამადაშვილი, 2004)

მეორე დღეს გამოფხიზლებული ქალი არკვევს, რომ რაინერი არ მომკვდარა. მამაკაცი მას პოლიციაში უჩივის. იქ კი ექიმი ამბობს, რომ ეს ქალი მკვლელი კი არა „გიჟია“ და ის კლინიკაში მიჰყავთ.

მოთხრობა ასე სრულდება:

,,არაფერი შეცვლილა. ისევე, როგორც ჩემს ბინასა და სამსახურში, ჩემს აქაურ ოთახში კედლები სულ თეთრია. აქაც შესანიშნავ სტეიკს ამზადებენ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სექსი აღარ მაქვს და ახლა ველი, როდის გავბოროტდები. მე ფანჯარასთან ვზიავარ და გარეთ ვიყურები. იქ წვიმს'' (კორძაია-სამადაშვილი, 2004).

თავზარდამცემი სურათია. უკიდურესი დრამატიზმი, სრული აპათია და სარკაზმი...

მოთხრობის პერსონაჟი ქალი იძულებულია, იცხოვროს იმ სულიერი სიცარიელის სამყაროში, სადაც ყველაფერი უფერულია, უმზეოა, საათის მექანიზმივითაა აწყობილი და სადაც არავინ უწყის, რამდენი ხანია წვიმს, ან, რამდენ ხანს იწვიმებს. ქალისთვის ეს გარემო მიუღებელი და უცხოა. ის თავს აიძულებს, ან უბრალოდ იძულებულია [ის ხომ ემიგრანტია! - ე.ჩ.], რომ შეეგუოს მას. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვეღარ უძლებს და ყველაფრის პროტესტის ნიშნად, მეგობარ მამაკაცს თავში ქვას ურტყამს. ამით ის პროტესტს უცხადებს იმ გარემოს და ფარსს, რომლის ნაწილიც, მისდაუნებურად, თავადაც გახდა. წითელ ჩექმებსაც სწორედ ამის გამო ყრის ფანჯრიდან [წითელი ჩექმები, შესაძლოა, ჩექმებიანი კატის ალუზიას იწვევდეს - ცხოვრებასთან შეგუების მარიფათის - ე.ჩ.]. არადა, ეს ჩექმები იმიტომ იყიდა, რომ არ მოეწყინა და ცხოვრება დღესასწაულად გადაექცია.

მოთხრობის გმირი, თითქოს მთლიანად შემოსაზღვრულია, მოცულია წვიმითა და მისით მოგვრილი ერთფეროვანი, სევდიანი განწყობით. თუმცა, მოთხრობაში ერთადერთი იმედისმომცემი ალბათ ისევ წვიმაა, განწმენდის და ნაყოფიერების სიმბოლოდ რომაა ცნობილი. წვიმა იქნებ მართლაც ის ერთადერთი იმედია, რითაც, შესაძლოა, გაცოცხლდეს ამ ქალის მკვდარი წარმოსახვა?! იქნებ, ის ოცნება და იმედი, წარსულში დარჩენილ ბედნიერებაზე (სამშობლოზე, ხდის ხეობაზე, ვაჩესა და გამჭვარტლულ ჩაიდანზე, ანუ ,,საკუთარ თავთან'' დაბრუნებაზე) რომ უჩნდება, სწორედ ამაზე მიგვანიშნებს?!

არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია მოთხრობის სხვა პერსონაჟი ქალების ფსიქოტიპებიც - მათი სახელებია: მარია, მართა, რინა-შირინა, „ირობჩკა“ (იგივე ირა), ტომა (იგივე თამარი).

მწერალი, მისთვის დამახასიათებელი წერის ლაკონური მანერით, სულ რაღაც ორიოდე დეტალით, ამ პერსონაჟთა მეტყველების მანერით, დიალოგებით, სრულ შთაბეჭდილებას გვიქმნის მათზე.

ამ ქალებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა

კუთხიდან არიან და ერთმანეთს დროებით თანამგზავრობას უწევენ, მხოლოდ ერთი რამ აერთიანებთ - ისინი სულიერ სიმარტოვეში მყოფი და ცხოვრებისეულ საზრის მოკლებული ადამიანები არიან.

ვფიქრობთ, მწერალი ამ ქალებსაც უტოვებს მძიმე კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევის იმედს.

უკვეხანშიშესული,ომგადატანილიქალბატონი მარია ადამიანისა და ღვთის ურთიერთობაზე იწყებს ფიქრს; რინა- შირინა, რომელიც მეძავია, უცნობი ,,კახპის'' შვილს სამშობიაროში არ ტოვებს და სახლში მიჰყავს აღსაზრდელად; ირორჩკა კი, რომელიც ლენინგრადელი პროფესორის ქალიშვილია და სოხუმში გასართობადაა ჩასული, იქ გაცნობილ ,,ქართველ თუ აფხაზ'' მოძალადე ,,საყვარელს თუ ქმარს'' თავს დააღწევს.

ამ ქალებიდან მხოლოდ მართაა, რომელიც სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს (კორძაია-სამადაშვილი, 2004).

დასკვნა

მწერალ ანა კორძაია-სამადაშვილის შემოქმედების საიდუმლო მის უშუალო თხრობის მანერაშია. ის იოლად ართმევს თავს სათქმელს, თავისუფლად ფლობს დიალოგს, თხრობის რიტმს და ფრაზას. ავტორი არაევფემიზებული, სკაბრეზული ლექსიკით წერს, რომელიც მკითხველს უთუოდ ეხმარება ჩვენი გარემომცველი სინამდვილის უკეთ აღქმაში.

ვფიქრობთ, ქართულ ლიტერატურას, ანა კორძაია-სამადაშვილის სახით, სავსებით გამოკვეთილი ხელწერის მწერალი შეემატა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი, ლევან. თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის ტენდენციები.
2. ბმული: gfsis,org\files\ mu- world 23\7.pdf (2024)
3. კორძაია-სამადაშვილი, ანა. წვიმს. 2004. 15 საუკეთესო ქართული მოთხრობა (კრებული). თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
4. ნოვალისი. ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენი. გამომც. „ნაკადული“, თბილისი, გვ. 7.
5. Ялом, Ирвинг. 1999. Экзистенциальная Психотерапия. Москва, независимая фирма ,,Класс'', с. 470-471.

„Always homeward… always homeward…”

Eka Chilachava, Academic Doctor of Philology
Georgian Technical University

Summary

This article is about Ana Kordzaia-Samadashvili's short story - “Rain”. The work presents the sad story of an emigrant woman cut off from her native land, completely alienated from the outside world, devoid of sense. This woman leads to loss of homeland, roots, exclusion from everyone, loneliness, lack of sense, loss of self. Psychotypes of other female immigrant characters are also discussed in the story - their names are: Maria, Martha, Rina-Shirina, “Irochka” (aka Ira), Toma (aka Tamar). These women, who provide temporary companionship to each other, have one thing in common - they all live in spiritual solitude and lack a sense of life.

Emigration, and especially forced emigration, is a great national and human tragedy, which has left an indelible mark on the lives of entire generations, the further spiritual development of the nation and individuals. In the 90s, due to poverty, unemployment and civil unrest, many people from Georgia went to work abroad. As a rule, these people managed to get to a foreign country in different ways, and then stayed in those countries illegally.

Ana Kordzaia-Samadashvili is characterized by a concise manner of writing; She creates a complete impression on us with just a few details, the manner of speech of the characters, dialogues. The writer belongs to the generation of the last century's 90s, who started writing in the forms appropriate to the time. The trend they are influenced by is postmodernism. This generation creates a new type of literature, characterized by bold experiments and stylistic innovations. Talent, creative potential and original point of view can be felt in them. It is very important to evaluate the works of writers of this generation in time and profoundly.

Key words: emigration, postmodernism, loss of sense.

საერთაშორისო ურთიერთობები

INTERNATIONAL RELATIONS

არალეგალური მიგრაცია, მიზეზები და შედეგები

ნიკოლოზ ფიფია, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბექა კურცხალია, მაგისტრი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გაერთიანებული ერების რეკომენდაციაში საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის შესახებ, ასევე გაერთიანებული ერების სისტემაში არსებული მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიგრაცია განმარტებულია, როგორც ადამიანის გადაადგილება საერთაშორისო საზღვრებზე (საერთაშორისო მიგრაცია), ან სახელმწიფოს შიგნით (შიდა მიგრაცია) ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, განურჩევლად მიზეზებისა, გამოყენებული საშუალებებისა და იმის მიუხედავად ეს არის კანონიერი საფუძვლით/რეგულირებადი თუ კანონიერი საფუძვლის გარეშე/არარეგულირებადი, ნებაყოფლობითი თუ არანებაყოფლობითი.

მიგრაციის მოტივებისა და მიზნების კვლევის საფუძველზე შესაძლებელია მიგრაციის სხვადასხვა ფორმების გარკვეული ნიშნით დაჯგუფება და დიფერენცირება, კერძოდ: სამუშაო, საგანმანათლებლო, სამოგზაურო, საქორწინო, კულტურულ, იძულებით და სხვა სახის მიგრაციად.

ადამიანური ბუნებიდან გამოდინარე, ყველას აქვთ სურვილი დროის მოკლე პერიოდში მეტი ეკონომიკური სარგებელი მიიღოს და ვინაიდან ლეგალური მიგრაცია გარკვეულ დროს და ფორმალურ პროცედურებს მოითხოვს (მაგალითად ბინადრობის ცენზი, სამართლებრივი და ბიუროკრატიული ფორმალობების დაცვა) და ყველას არ აქვს შესაძლებლობა, რომ ლეგალური გზით მოხვდეს დანიშნულების ქვეყანაში შესაბამისად, არსებობს მრავალი შესაძლო გზა, რომელის უბიძგებს ადამიანს არალეგალური მიგრაციისკენ. შესაბამისად გამოყოფენ არალეგალური მიგრაციის სხვადასხვა საშუალებებს, კერძოდ: 1. უვიზოდ შესვლა ან შესვლა ლეგალურად შეძენილი ვიზით, 2. შესვლა ყალბი დოკუმენტებით, 3. შესვლა თაღლითური გზით მიღებული ვიზით, 4. შესვლა საბუთების გარეშე, არარეგისტრირებული საზღვრის გადაკვეთის გზით.

ზოგადად მიგრაციის მიზეზებზე საუბრისაც ყურადღება გასამახვილებელია მის დადებით და უარყოფით ფაქტორებზე, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღებისას, კერძოდ: 1) ბიძგის ანუ ნეგატიური ფაქტორი (რომლებიც აიძულებენ ადამიანებს ქვეყნიდან წასვლას; მაგალითად: სიღარიბე, პოლიტიკური არასტაბილურობა, ომები, სტიქიური უბედურებები, უმუშევრობა და დისკრიმინაცია) და 2) მოზიდვის ანუ პოზიტიური ფაქტორი (რომლების ხელს უწყობენ ადამიანებს წავიდნენ მასპინძელ (დანიშნულების) ქვეყანაში; მაგალითად: უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობები, პოლიტიკური სტაბილურობა, საგანმანათლებლო შესაძლებლობები, ცხოვრების უკეთესი ხარისხი და გაუმჯობესებული ცხოვრების პერსპექტივა.

ლეგალური მიგრაციისგან განსხვავებით არალეგალური მიგრანტები არ არიან რეგისტრირებული ოფიციალურ ჩანაწერებში, რაც ნიშნავს, რომ ისინი მოქმედებენ მთავრობის ცოდნის მიღმა და ეს ხილვადობის ნაკლებობა არის შეშფოთების საფუძველი უსაფრთხოებისა და კანონის აღსრულების კუთხით. არალეგალურ მიგრანტებს შეუძლიათ გამოიყენონ ისეთი საჭარო სერვისი და

მომსახურება როგორიცაა განათლება და ჯანდაცვა. არალეგალური მიგრანტები, ვინაიდან ისინი უუფლებობის გამო არიან ე. წ. „იაფი მუშა-ხელი“ ქმნიან კონკურენციას და გარკვეულ დისკომფორტს უქნიან სამუშაო ადგილების მოსაპოვებლად ლეგალურად დასაქმებულებს. გარდა ამისა, არალეგალურ მიგრანტებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ გარკვეული ვალდებულებები, ხარჯები, გადასახადები და მოსაკრებელი, რომლებიც კანონიერმა მუშაკებმა უნდა შეასრულონ, რაც ქმნის არათანაბარ პირობებს.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, არალეგალური მიგრაცია, ბიძგის ფაქტორები, მოზიდვის ფაქტორები.

ძირითადი ნაწილი

უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს კონსესუსი, არც სოციალურ მეცნიერებებში და არც პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დონეზე სხვადასხვა სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციაში იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ტერმინი მიგრაცია. ყველა ქვემოთ აღნიშნული კითხვა მიუთითებს შესაძლო განმარტებების მრავალფეროვნებაზე და განაპირობებს მიგრაციული პროცესების სხვადასხვა განზომილების გამოყოფას, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მიგრაციული მოძრაობების კლასიფიკაციისთვის. უნდა შეიცვალოს თუ არა საცხოვრებელი ადგილი ადამიანმა და გადაკვეთოს საზღვარი, რომ მიგრაციაზე ვისაუბროთ? რა არის მინიმალური მანძილი, რომელიც უნდა იყოს გავლილი? შეიძლება თუ არა ლაპარაკი მიგრაციაზე, თუ სხვა რეგიონში ერთ წელზე ნაკლებ ხანს დარჩება ადამიანი? და შეიძლება თუ არა მიგრაცია შემოიფარგლოს კონკრეტული მიზნებით (Oltmer, 2016, pp 1-2)? ამ განზომილებებიდან გამომიდინარე ,,გეოგრაფიული მობილურობა'' შეიძლება იყოს დიფერენცირებლი და ტიპოლოგიებში შეჯამებული. ზოგიერთი ეს განზომილება ასევე მიზნად ისახავს ადამიანთა მიგრაციის დეტალურად განსაზღვრას, როგორიცაა ადგილის შეცვლის მიზეზები და გარემოებები, მაგალთად ნებაყოფლობითი თუ არანებაყოფლობითი, მიზანი და მოტივი ან გადაწყვეტილების ხასიათი.

მიგრაცია შესაძლებელია გაგებულ იქნას, როგორც ადამიანების სივრცითი მოძრაობა. თუმცა, რასაკვირველია ყველა მოძრაობა, როგორიცაა ტურისტული აქტივობები, მოგზაურობები ან თუნდაც მივლინებები არ წარმოადგენს მიგრაციას. მიგრაცია იწვევს სოციალურ ცვლილებებს, რაც ნიშნავს, რომ სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული პირობები იცვლება მიგრანტებისთვის. მიგრაცია, მიუხედავად გეოგრაფიული მასშტაბისა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრების ტრაექტორიებზე. ის გულისხმობს მიგრანტების მხრიდან სხვადასხვა ასპექტების გამკლავებას, მათ შორის ეკონომიკურ პირობების, კულტურულ ნიმუშების და სოციალურ ნორმების (Oltmer, 2016, pp 1-2).

მიგრაცია არის გამოწვევა, რომელიც თანაბრად ეხება როგორც განვითარებულ ისე განვითარებად სახელმწიფოებს. გაერთიანებული ერების რეკომენდაციაში საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის შესახებ (Department of Economic and Social Affairs Statistics Division), ასევე გაერთიანებული ერების სისტემაში არსებული მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიგრაცია განმარტებულია, როგორც ადამიანის გადაადგილება საერთაშორისო საზღვრებზე (საერთაშორისო მიგრაცია), ან სახელმწიფოს შიგნით (შიდა მიგრაცია) ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, განურჩევლად მიზეზებისა, გამოყენებული საშუალებებისა და იმის მიუხედავად ეს არის კანონიერი საფუძვლით/ რეგულირებადი თუ კანონიერი საფუძვლის გარეშე/არარეგულირებადი[1], ნებაყოფლობითი თუ არანებაყოფლობითი (European Commission, Migration and Home Affairs).

მიგრაციის მოტივებისა და მიზნების კვლევის საფუძველზე მკვლევარებმა მოახდინეს მიგრაციის სხვადასხვა ფორმების გარკვეული ნიშნით დაჯგუფება და დიფერენცირება, კერძოდ: სამუშაო, საგანმანათლებლო, სამოგზაურო, საქორწინო, კულტურულ, იძულებით და სხვა სახის მიგრაციად (Brinkmann, & Hrsg, 2016).

დღეს, ტექნოლიგიური მიღწევების ეპოქაში, მარტივია დიდი მანძილის გავლა დროის მოკლე მონაკვეთში. ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში და თავად გადაწყვიტოს ქვეყანა, სადაც მათ სურთ რომ იცხოვროს. თუმცა ეს გარკვეულ დროს და ფორმალურ პროცედურებს მოითხოვს (მაგალითად ბინადრობის ცენზი, სამართლებრივი და ბიუროკრატიული ფორმალობების დაცვა), რასაც ნათელია, რომ ყველა ადამიანი ვერ დააკმაყოფილებს რიგ შემთხვევებში თავისი გონებრივი, ფინანსური, ფიზიკური თუ სხვა შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ამ და სხვა მიზეზების გამო, ვინაიდან ადამიანებს აქვთ სურვილი დროის მოკლე პერიოდში მეტი

[1] ვტორის შენიშვნა: კანონიერი საფუძვლით (ანუ რეგულირებადი) თუ კანონიერი საფუძვლის გარეშე (ანუ არარეგულირებადი) - ორივე ზემოაღნიშნული თარგმანის ვერსია შეესატყვისება ინგლისურ დეფინიციას „regular migration“ or „irregular migration“

ეკონომიკური სარგებელი მიიღონ და ყველას არ აქვს შესაძლებლობა, რომ ლეგალური გზით მოხვდეს დანიშნულების ქვეყანაში, შესაბამისად, არსებობს მრავალი შესაძლო გზა, რომლის უბიძგებს ადამიანს არალეგალური მიგრაციისკენ. სწორედ ეს გზა არის უფრო მეტად მიმზიდველი ფართო მასებისთვის, რომ წარმოშობის ქვეყნიდან დანიშნულების (მასპინძელ) ქვეყანაში გადავიდნენ საცხვრებლად ან სამუშოდ ხანგრძლივი ვადით (Casarico & et al, 2015). არალეგალური მიგრაციის გზები შეიძლება იყოს შემდეგი: 1 უვიზოდ შესვლა ან შესვლა ლეგალურად შეძენილი ვიზით (რის შემდეგაც მიგრანტი რჩება მასპინძელ ქვეყანაში და აჭარბებს ქვეყანაში ყოფნის დასაშვებ ხანგრძლივობას), 2 შესვლა ყალბი დოკუმენტებით (ზოგიერთი პირი იყენებს ყალბ დოკუმენტებს საკუთარი ვინაობის დასამალად), 3 შესვლა თაღლითური გზით მიღებული ვიზით (განაცხდის შევსებისას განზრახ ყალბი ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისად მცდარი ინფორმაციის საფუძველზე ვიზის გაცემა), 4 შესვლა საბუთების გარეშე, არარეგისტრირებული საზღვრის ადაკვეთის გზით - უკანონო შესვლა, საზღვრის გადაკვეთა სასაზღვრო გამშვები პუნქტის გვერდის ავლით (Worbs & et al, 2005).

თანამედროვე ეპოქაში როგორც შიდა ასევე საერთაშორისო მიგრაციას თავისი გამომწვევი მიზეზები გააჩნია. როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოშიმიგრაციისხელშემწყობიფაქტორები შეიძლება იყოს კომპლექსური. ზოგადად მიგრაციის მიზეზი შეიძლება გამოწვეული იყოს პოლიტიკური დევნით, უფლებების დარღვევით, კონფლიქტებით, სამუშაოს ძიების სურვილით და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ყოფნის სურვილით, რომლებიც უკვე იმყოფებიან დანიშნულების ქვეყანაში, ასევე სასწავლებლად და სხვ. მათგან ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული მიგრაციის მიზეზად მიჩნეულია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემო (environmental migration) პირობები (Nematov, 2018).

მიგრაციის მიზეზების კვლევისას მეცნიერები ფაქტორების ორი ძირითად კატეგორიაზე ამახვილებენ ყურადღებას 1) ბიძგის ანუ ნეგატიური ფაქტორი (რომლებიც აიძულებენ ადამიანებს ქვეყნიდან წასვლას; მაგალითად: სიღარიბე, პოლიტიკური არასტაბილურობა, ომები, სტიქიური უბედურებები, უმუშევრობა და დისკრიმინაცია) და 2) მოზიდვის ანუ პოზიტიური ფაქტორი, რომლების ხელს უწყობენ ადამიანებს წავიდნენ მასპინძელ (დანიშნულების) ქვეყანაში; მაგალითად: უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობები, პოლიტიკური სტაბილურობა, საგანმანათლებლო შესაძლებლობები, ცხოვრების უკეთესი ხარისხი და გაუმჯობესებული ცხოვრების პერსპექტივა (Kamber, 2020).

მიგრაციას აქვს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი გავლენა, როგორც დანიშნულების (მასპინძელი), ასევე წარმოშობის ქვეყნისთვის. მიგრაცია ერთის მხრივ ზრდის კულტურული მრავალფეროვნებას მასპინძელ ქვეყანაში და ამავე დროს შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული ჭიდილი, შეჯახება სხვადასხვა კულტურებს შორის. ეს დაპირისპირება კი საბოლოოდ მაინც მთავრდება იმით, რომ ხდება ან ასიმილაცია, ან შერწყმა სხვადასხვა კულტურებს შორის. მეორეს მხრივ მიგრაციას უარყოფითი ასპექტიც შეიძლება გააჩნდეს, კერძოდ, განათლებული და დახელოვნებული ადამიანების სხვა ქვეყანაში გადასახლება წარმოადგენს ერთგვარი „ტვინის გადინების“ მიზეზს მიგრანტთა წარმოშობის ქვეყნისთვის.

დასკვნა

ლეგალური მიგრანტებისაგან განსხვავებით, არალეგალიმიგრანტებიარარიანრეგისტრირებული ოფიციალურ ჩანაწერებში, რაც ნიშნავს, რომ ისინი მოქმედებენ მთავრობის ცოდნის მიღმა და თავს არიდებენ კონტაქტს ფორმალურ სექტორებთან. სწორედ ხილვადობის ნაკლებობა არის შეშფოთების საფუძველი უსაფრთხოებისა და კანონის აღსრულების კუთხით. არალეგალურ მიგრანტებს შეუძლიათ გამოიყენონ ისეთი საჭარო სერვისი და მომსახურება როგორიცაა განათლება და ჯანდაცვა. არალეგალური მიგრანტები, ვინაიდან ისინი უუფლებობის გამო არიან ე. წ. „იაფი მუშა-ხელი“ ქმნიან კონკურენციას და გარკვეულ დისკომფორტს უქნიან სამუშაო ადგილების მოსაპოვებლად ლეგალურად დასაქმებულებს. გარდა ამისა, არალეგალურ მიგრანტებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ გარკვეული ვალდებულებები, ხარჯები, გადასახადები და მოსაკრებელი, რომლებიც კანონიერმა მუშაკებმა უნდა შეასრულონ, რაც ქმნის არათანაბარ პირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Jochen Oltmer., Globale Migration, Geschichte und Gegenwart, C.H BECK, Germany Juli 14, 2016,
2. Heinz Ulrich Brinkmann., Martina Sauer Hrsg., Einwanderungs-gesellschaft Deutschland, Springer VS, Germany, 2 May, 2016,
3. Alessandra Casarico., Giovanni Facchini., Tommaso Frattini., Illegal immigration: Policy perspectives and challenges, Oxford University Press (OUP). 1 January 2015, 2.
4. Susanne Worbs., unter mitarbeit von Michael Wolf und Peter Schimany., Illegalität von Migrationen in Deutschland, Germany 12 Juli 2005, 5.
5. Department of Economic and Social Affairs Statistics Division, Recommendations on Statistics of International Migration Revision 1, United Nations New York, 1998, ob., https://bit.ly/3Swr9Ll [1.15.2024]
6. European Commission, Migration and Home Affairs, ob., https://bit.ly/4bl7l6l [1.25.2024]
7. Eylor Nematov., International migration, United Nations, Peace, dignity and equality on a healthy planet, 2018, ob., https://bit.ly/3HSjFx2 [1.04.2024]
8. Ajdin Kamber., Die Ursachen von Migration, Europäisches Parlament, 2020 ob., https://bit.ly/4bntT6l [1.17.2024]

Illegal migration, the reasons and the effects

Nikoloz Phiphia, Professor of GTU
Beka Kurtskhalia, Master of GTU

Summary

By the United Nations Recommendation on Statistics of International Migration and by the International Organization for Migration within the United Nations system migration is defined as movement of a person either across an international border (international migration), or within a state (internal migration) for more than one year irrespective of the causes, voluntary or involuntary, and the means, regular or irregular.

Based on the study of the motives and goals of migration, it is possible to classify and differentiate various forms of migration, namely: work, educational, travel, marriage, cultural, forced and other types of migration.

Due to human nature, everyone wants to get more economic benefits in a short period of time, and since legal migration requires certain time and formal procedures (for example, residence permit, compliance with legal and bureaucratic formalities) and not everyone has the opportunity to legally enter the destination country, accordingly, there are many possible ways that push a person to illegal migration. Accordingly, various means of illegal migration are distinguished, namely: 1. Entry without a visa or entry with a legally purchased visa, 2. Entry with forged documents, 3. Entry with a fraudulently obtained visa, 4. Entry without documents, by crossing the border without registration.

Talking about the causes of migration in general, attention should be paid to its positive and negative factors, which have a great influence on decision-making, namely: 1) push or negative factors (which force people to leave the country; for example: poverty, political instability, wars, natural disasters, unemployment and discrimination) and 2) pull or positive factors (which encourage people to go to the host (destination) country; for example: better economic opportunities, political stability, educational opportunities, better quality of life and improved life prospects).

Unlike legal migration, illegal migrants are not registered in official records, meaning they operate outside the government's knowledge, and this lack of visibility is a source of concern for security and law enforcement. Illegal migrants can use public services such as education and healthcare. Illegal migrants, because of their lack of rights, they are the so-called "Cheap labor" creates competition and makes it difficult for legally employed people to find jobs. In addition, illegal migrants can avoid certain obligations, costs, taxes and fees that legal workers must meet, which creates an uneven playing field.

რუსეთის ინტერესები და მისი როლი სირიის კონფლიქტში

კობა გრიგოლია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სირიას ახლო აღმოსავლეთში ყოველთვის გამოკვეთილი ადგილი ეკავა პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოგრაფიული, სამხედრო, სანავთობო ინდუსტრიის და სხვა მიმართულებებით, რითაც კარგად სარგებლობდა ვაშინგტონი და უნიპოლარული ანუ ერთპოლუსიანი მსოფლიო სისტემის პირობებში (1991-2003) ახლო აღმოსავლეთის ამერიკულ პროექტებში სირიის ჩართვის ტაქტიკა აირჩია - სპარსეთის ყურის პირველი ომი, სირიის ჰეგემონია ლიბანში და ალიანსი ეგვიპტესთან, საუდის არაბეთთან და სხვ. თუმცა 2000 წელს, აშშ-ის ხელისუფლების სათავეში ჯორჯ ბუშის ნეოკონსერვატიული ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ ვაშინგტონის კურსი სირიის მიმართ ღიად მტრული გახდა. გააქტიურდა მუშაობა სირია-ირანის ალიანსის დასაშლელად, რომელსაც აქტიურად უჭერდა მხარს საუდის არაბეთიც.

2011 წელს შიდა და გარე ძალების მიერ სირიაში მომზადდა ახალი საუკუნის ცნობილი პოლიტიკური და საომარი პროცესები, რომელიც „არაბული გაზაფხულის“ სახელწოდებით შევიდა ისტორიაში და შეცვალა რეგიონის პოლიტიკური სახე.

„არაბული გაზაფხულის“ პროცესებში ჩართული აღმოჩნდნენ აშშ-ის, რუსეთის, ისრაელის, თურქეთის, ირანის და სხვა ქვეყნების პოლიტიკური და სახელმწიფო ელიტა.

თუ წარმოვიდგენთ რუსეთ-სირიის ურთიერთობების ისტორიულ პერიოდიზაციას, მათი დაახლოება ძირითადად XX საუკუნიდან იწყება, როდესაც ჯერ საბჭოთა კავშირის და შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს ფუნქციონირების პერიოდში აღნიშნული ქვეყნები აქტიურად მოქმედებდნენ აშშ-ისა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ.

2012 წელს კი რუსეთ-სირიის ურთიერთობები აქტიურ ფაზაში გადავიდა და რუსეთის მხრიდან სირიას დიდძალი სხვადასხვა სახის იარაღი მიეწოდა. საზღვაო გზების პარალელურად რუსეთი სირიის მომარაგებას სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებითაც ახორციელებდა.

სირიის პრობლემა გახდა მრავალპოლარული მსოფლიოს ფორმირების სარკე, რომელშიც გამოიკვეთა რუსეთის ახალი როლი, მეორე მხრივ წარმოიშვა მსოფლიო საქმეებში ნდობის კრიზისი, რომელიც გამომდინარეობდა აშშ-ისა და მისი მხარდამჭერებისაგან ერთპოლუსიანი მსოფლიო მოწყობის სისტემის შენარჩუნების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკური ინტერესები, ახლო აღმოსავლეთი, „არაბული გაზაფხული“, სირიის კონფლიქტი, რუსეთი, სირია, აშშ.

შესავალი

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვებული აღმოჩნდნენ: საბჭოთა კავშირი, აშშ. ჩამოყალიბდა ორი ბანაკი - სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემები, რომელთა დაპირისპირება „ცივ ომში“ გადაიზარდა.

საბჭოთა კავშირმა თავის გავლენას დაუქვემდებარა აღმოსავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნები, კორეისა და ვიეტნამის კომუნისტური რესპუბლიკები, მონგოლთა სახალხო რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირის მეგობრული სახელმწიფო გახდა ჩინეთი; საბჭოთა კავშირის მხარეს დადგნენ: ირანი, ერაყი, სირია, ეგვიპტე, თუმცა ანგლოსაქსურ გაერთიანებას მიემხრნენ: ისრაელი, იორდანია, საუდის არაბეთი, კუვეითი.

90-იანი წლების დასაწყისში, შიდაპოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში მყოფი რუსეთი ბალკანეთის მოლაპარაკებების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენდა. მიუხედავად ამისა, სწორედ იმ პერიოდში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი განსხვავებები რუსულ და დასავლურ მიდგომებში მოლაპარაკებების პროცესისა და კონფლიქტების მოგვარების მიმართ.

რუსეთი მოლაპარაკების პროცესში მართავდა კონფლიქტის ყველა მხარეს და დაჟინებით მოითხოვდა პირდაპირ და ღია დიალოგს (2012 წელს ირანთან დაკავშირებული მოლაპარაკებების პროცესი 5+1 ფორმატში).

აშშ თანამედროვე კონფლიქტების მოგვარების პროცესის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყო, მაგრამ მეტწილად ამჯობინებდა კონფლიქტებში უშუალო სამხედრო ჩარევას და მოლაპარაკებების პროცესში ულტიმატუმის პირდაპირ კარნახს.

პოლიცენტრული მსოფლიო წესრიგისთვის და ყველა ქვეყნისთვის თანაბარი და განუყოფელი უსაფრთხოების მისაღწევად რუსეთს საკუთარი გზა ჰქონდა არჩეული.

აშშ-სა და რუსეთს შორის განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა სირიის პრეზიდენტის

ბაშარ ასადის როლთან დაკავშირებით და ამ შემთხვევაში ამერიკული მიდგომა უაღრესად მკაცრი იყო.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოს და, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ განზომილებაში სირიაში განვითარებული მოვლენები გამოიკვეთა, რომელიც გარედან ორგანიზებულ ანტისამთავრობო დემონსტრაციებად იქცა და „არაბული გაზაფხულის" გაგრძელება იყო, რადგან სწორედ სირიაში მიიღო მან სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომის ხასიათი, ევროპის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე იქონია სერიოზული გავლენა და დაბრკოლება გახდა მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყნისათვის (ჩხიკვაძე)

სირიაში არსებობდა ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა, რომელიც შეიარაღებულ ძალებს და სპეცსამსახურებს ეყრდნობოდა.

2012 წელს დაწყებული რუსეთ-სირიის ურთიერთობები აქტიურ ფაზაში გადავიდა და სირიას დიდძალი სხვადასხვა სახის იარაღი მიეწოდა. საზღვაო გზების პარალელურად რუსეთი სირიის მომარაგებას სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებითაც ახორციელებდა.

თუ წარმოვიდგენთ რუსეთ-სირიის ურთიერთობების ისტორიულ პერიოდიზაციას, მათი დაახლოება ძირითადად XX საუკუნიდან იწყება, როდესაც ჯერ საბჭოთა კავშირის და შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს ფუნქციონირების პერიოდში აღნიშნული ქვეყნები აქტიურად მოქმედებდნენ აშშ-ისა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ.

სირიის პრობლემა გახდა მრავალპოლარული მსოფლიოს ფორმირების სარკე, რომელშიც გამოიკვეთა რუსეთის ახალი როლი, მეორე მხრივ წარმოიშვა მსოფლიო საქმეებში ნდობის კრიზისი, რომელიც გამომდინარეობდა აშშ-ისა და მისი მხარდამჭერებისაგან ერთპოლუსიანი მსოფლიო მოწყობის სისტემის შენარჩუნების მიზნით.

საბჭოთა კავშირის და მსოფლიო სოციალისტური ბანაკის დაშლამ გამოიწვია საერთაშორისო ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულობების, ნარკოტიკებისა და იარაღის ბიზნესის გაფართოება, ეთნოპოლიტიკური და კონფესიონალური კრიზისების გაძლიერება. მსოფლიოს დიდი, მაგრამ დაპირისპირებული ქვეყნები - აშშ და რუსეთი - ვერ აღმოჩნდნენ მზად ურთიერთმისაღები სტრატეგიები შეემუშავებინათ (სანიკიძე, 2015).

2015 წლის 30 სექტემბერს რუსეთმა სამხედრო კოსმოსური ძალების ოპერაცია დაიწყო სირიაში, რაც კონფლიქტის ახალი განმსაზღვრელ მომენტად იქცა და როგორც კრიზისის სამხედრო, ასევე პოლიტიკურ პროცესებზე აისახა.

რუსეთისა და პროირანულმა სამხედრო დაჯგუფებებმა სირიის სამთავრობო ძალებთან ერთად შეძლეს ფართო ტერიტორიების დაკავება და მათზე კონტროლი დააწესეს.

ვაშინგტონმა მისი გადაწყვეტა ვერ შეძლო, ვინაიდან, თუ რუსეთისთვის საკუთარი გეგმების განხორციელებისათვის საკმარისი იყო მხოლოდ სირიის თანხმობა, აშშ-ს იგი უნდა შეეთანხმებინა იქ მოქმედ ყველა სამხედრო დაჯგუფებასთან, რომლებსაც, რეგიონის სხვა ქვეყნების სახით, საკუთარი დამფინანსებლები ჰყავდათ. ყველაზე ძლიერი დაჯგუფებები თურქეთის მიერ კონტროლირდებოდა. ამიტომ შტატების მიერ შეთანხმება ვერ განხორციელდა.

ამ პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ქვეყნებს გაეზარდათ დამოუკიდებლად მანევრირების უფლება, კონფლიქტების დარეგულირების მთავარი განმსაზღვრელები იყვნენ რუსეთი და აშშ.

ერთ საკითხში რუსეთს უწევდა ვაშინგტონთან შეთანხმების დარღვევაზე წასვლა, მეორეში - სეპარატისტული მოლაპარაკებების წარმოება დაინტერესებულ მხარეებთან. ამის მაგალითი იყო აშშ-ის გარეშე 2016 წლის ნოემბერში რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკება აღმოსავლეთ ალეპოს საკითხის მოსაწესრიგებლად; მესამე საკითხი იყო მრავალმხრივ დიპლომატიაში ჩართვა გლობალურ მხარეთა და რეგიონის ქვეყნების მონაწილეობით (Маркус, 2018).

ასეთ ვითარებაში სირიის კონფლიქტი გახდა ის ადგილი, რომელიც რეალურ ომად გადაიქცა აშშ-ის, რუსეთის და მათი მოკავშირეების მონაწილეობით, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ უნდა დაეცვათ ე.წ. საკუთარი „კანონიერი" ინტერესები და შეენარჩუნებინათ მსოფლიო „არბიტრის" სტატუსი ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთის, სამხრეთ კავკასიისა და სხვა რეგიონების მიმართ (Почему новая холодная война..., 2018).

2015 წელს რუსეთის ინიციატივით მოხდა სამშვიდობო მოლაპარაკებების ფორმატის შექმნა ჟენევაში, რომელიც რამდენიმე ეტაპად გაიმართა; პარალელურად მოსკოვის წინადადებით, ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში რუსეთს, თურქეთს, ყაზახეთს, ირანსა და სირიას შორის დაიწყო დიალოგი ცეცხლის შეწყვეტის და ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

ჟენევაში სირიის კონფლიქტის მოგვარების რამდენიმე რაუნდიანი შეხვედრა უნაყოფო გა-

მოდგა, მით უმეტეს, საუდის არაბეთის დედაქალაქში გამართულ კონფერენციაში 150-მდე სირიელმა ოპოზიციონერმა მიიღო მონაწილეობა. ამ შეხვედრის შედეგად კი ჩამოყალიბდა უმაღლესი მოლაპარაკებების კომიტეტის (HCP) ახალი შემადგენლობა, შეიმუშავა განცხადების ტექსტი და გაერო-ს მოუწოდა, დაეწყო პირდაპირი მოლაპარაკებები სირიის პრეზიდენტის თანამდებობის დატოვების შესახებ. ამ ფაქტმა წინასწარ განსაზღვრა 2017 წლის დეკემბერში გამართული ჟენევის შეხვედრის უშედეგობა, რაც გამოიხატა სირიის პრეზიდენტის წარმომადგენლის მიერ ფორმატის დატოვებაში.

ასეთ ვითარებაში რუსეთის დიპლომატიამ 2017 წლის დეკემბერში გააქტიურა ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში მიმდინარე შეხვედრები რუსეთის, ირანის და თურქეთის მონაწილეობით, რომელთა თანხმობით მიღებულ იქნა კიდევაც ოფიციალური დოკუმენტები. ამ დოკუმენტებში დადასტურებული იყო დადებითი დამოკიდებულება სირიის არაბთა რესპუბლიკის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ;

აღინიშნებოდა კმაყოფილება სირიის არაბთა რესპუბლიკაში დეესკალაციის ზონები შექმნის შესახებ 2017 წლის 4 მაისის მემორანდუმის განხორციელებით;

2017 წლისათვის დაიწყო სირიის კონფლიქტის მოგვარების პროცესი. ამ დროისთვის გეოპოლიტიკური კონფრონტაცია (აშშ-ისა და რუსეთის გარდა) კონფლიქტის ყველა ძირითად პროცესსა და რეგიონის რიგი ქვეყნების ნაწილობრივ, სხვადასხვა ბლოკების სახით (რეჟიმის მხარდამჭერები, რეჟიმის მოწინააღმდეგეები) გაერთიანებებში, გამოვლინდა; გაჩნდა კრიზისში გამავალი „დროებითი ძაფები“, რომლებიც მას არასიმეტრიულ ხასიათს სძენდნენ.

ყოველივე ეს სირიის კრიზისში ქმნიდა მყიფე და არამდგარ სიტუაციებს.

რუსეთში ფიქრობდნენ, რომ სირიის კრიზისის გადასაწყვეტად საჭირო იყო საერთაშორისო ნაბიჯების აუცილებლობა. №2254 რეზოლუციის დებულებების შესაბამისად, სირიის კონსტიტუციის გათვალისწინებით, რომელსაც მხარს დაუჭერდნენ სირიელი ხალხები, ჩატარდებოდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ყველა უფლებამოსილი სირიელის მონაწილეობით გაეროს შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ.

ასტანაში გამართულ ფორუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სირიის ეროვნული დიალოგის კონგრესის მომზადებას, რომელიც 2018 წლის 29-30 იანვარს სოჭში იყო დაგეგმილი. მხარეებმა მომავალი კონგრესი განიხილეს, როგორც ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავდა ბიძგის მიცემას ჟენევაში გაერო-ს ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესისათვის და ხელს შეუწყობდა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სირიულ შეთანხმებების მიღწევას.

2018 წლის 30-31 იანვარს სოჭში გაიმართა სირიის ეროვნული დიალოგის კონგრესი, სირიაში გაერო-ს სპეციალური წარმომადგენლის, სტეფან დე მისტურას მონაწილეობით, რომლის ინიციატორი იყო კონგრესის სამი გარანტორი ქვეყანა - რუსეთი, ირანი და თურქეთი. კონგრესზე მოწვეულნი იყვნენ გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრი. რუსეთის რიგი რეგიონული და საერთაშორისო პარტნიორობის წარმომადგენლები.

სოჭის კონგრესის მთავარი თემა სირიაში საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელება უნდა ყოფილიყო. გაეროს გენერალური მდივანი აცხადებდა, რომ სამშვიდობო პროცესის მნიშვნელოვან ეტაპზე იდგნენ. ანტონიო გუტერეშის თქმით, გაეროს ყოფნა სოჭში ეფუძნებოდა „გაეროსა და რუსეთის ფედერაციას შორის მიღწეულ გაგებას, ამ შეხვედრის ბუნებასა და შედეგებთან დაკავშირებით და მის წვლილს ჟენევის პროცესში. ყრილობა დასრულდა იმ განცხადებით, რომელიც სრულად შეესაბამება ჩვენს საერთო გაგებას“ - აღნიშნავდა ა. გუტერეში.

სოჭის საბოლოო განცხადებაში ფიქსირდებოდა:

1. სირიის არაბთა რესპუბლიკის/სირიის სახელმწიფოს სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და ერთიანობა;
2. სირიის ხალხის მიერ სირიის მომავლის განსაზღვრისაუცილებლობადემოკრატიული არჩევნების გზით, გარე ზეწოლისა და ჩარევის გარეშე, სირიის საერთაშორისო უფლებების და ვალდებულებების შესაბამისად;
3. სირიის, როგორც დემოკრატიული და არაფრაქციული სახელმწიფოს აშენების სურვილი, პოლიტიკური პლურალიზმისა და თანაბარი მოქალაქეობის პრინციპებზე, განურჩევლად რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობისა და სქესის, კანონის უზენაესობის სრული პატივისცემისა და დაცვის, ხელისუფლების დანაწილების, დამოუკიდებლობის პრინციპებზე. სასამართლო სისტემა, ყველა მოქალაქის სრული თანასწორობა, სირიის საზოგადოების კულტურული მრავალფეროვნება;
4. აქტიური ბრძოლა ტერორიზმის, ფანატიზმის, ექსტრემიზმის, რელიგიათშორისი დაპირისპირების წინააღმდეგ ყველა გამოვლინებით.

დოკუმენტში ასევე ნათქვამი იყო, რომ სირიის საკონსტიტუციო კომისია ჩამოყალიბდებოდა გაერო-ს ეგიდით და 2254 რეზოლუციის სესაბამისად. კომიტეტში უნდა შესულიყვნენ ჟენევის შიდასირიულ მოლაპარაკებებში მონაწილე ხელისუფლებისა და ოპოზიციის, სირიელი ექსპერტების, წარმომადგენლების, სამოქალაქო საზოგადოების, ეთნიკური და რელიგიური თემების, დამოუკიდებლების, ადგილობრივი ლიდერებისა და ძალების წარმომადგენლები. საბოლოო გადაწყვეტილება საკონსტიტუციო კომისიის წევრების მანდატის, მუშაობის რეჟიმის, უფლებამოსილების, რეგლამენტისა და შერჩევის კრიტერიუმების შესახებ ჟენევის პროცესით მიიღებოდა.

აღნიშნულმა შეხვედრამ ხელი შეუწყო ყოვლისმომცველი ინტერსირიული დიალოგის განვითარებას გაერო-ს უშიშროების საბჭოს 2254 რეზოლუციის საფუძველზე. რუსული მხარე გამოთქვამდა რწმენას, რომ კონგრესის შედეგები დაეხმარებოდა გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს სირიაში, სრაფან დე მისტურას, გააქტიურდებოდა ჟენევის პროცესი საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ სირიის მთავრობის წარმომადგენლებთან და ფართო სპექტრთან ერთად.

30 იანვარს გავრცელდა სოჭში გამართული სირიის ეროვნული დიალოგის კონგრესის დასკვნითი განცხადება და იგი გაერო-ს უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელდა.

2018 წლის 17 იანვარს სტენფორდის უნივერსიტეტში, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის რ. ტილერსონისგამოსვლისგაანალიზებით,ირკვეოდა, რომ ამერიკის მთავრობა ძირითადად კვლავ ორიენტირებული იყო პრეზიდენტის ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებიდან „ჩახსნაზე“ და ამერიკის განუსაზღვრელ სამხედრო ყოფნაზე სუვერენული სირიის ტერიტორიაზე. და შეერთებული შტატების ქმედებები უკავშირდებოდა ჩრდილოეთ სირიაში, ძირითადად ქურთებით დასახლებული „სასაზღვრო უსაფრთხოების ძალების“ შექმნას და იარაღის მიწოდებას სირიის დემოკრატიული ძალებისთვის. აშშ მხარს უჭერდა ალტერნატიული ხელისუფლების შექმნას სირიის ტერიტორიის დიდ ნაწილზე.

2018 წლის 22 იანვარს სირიის ეროვნული დიალოგის კონგრესის წინა დღეს, შეერთებულმა შტატებმა დაადანაშაულა მოსკოვი და დამასკო სირიის აღმოსავლეთ ღუტაში განხორციელებულ ქიმიურ თავდასხმაში, რისი ფაქტიც არ დადასტურდა. ამავდროულად, ამერიკული მხარის ინიციატივით, 20 და 24 იანვარს გაიმართა სატელეფონო საუბარი რუსეთს ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვსა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ტილერსონს შორის. განიხილეს ერთობლივი დღის წესრიგის საკითხების ფართო სპექტრი, მათ შორის, სირიის კრიზისი. მხარეები შეთანხმდნენ მჭიდრო კონტაქტზე სირიის მოგვარების საკითხზე. ლავროვი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ მხოლოდ თავად სირიელებს ჰქონდათ უფლება განესაზღვრათ თავიანთი ქვეყნის მომავალი.

საბოლოო მიზანი სირიის მოგვარების ფარგლებში - სირიის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, საკონსტიტუციო რეფორმა და ამ საფუძველზე თავისუფალი არჩევნების ჩატარება გაერო-ს ზედამხედველობით, როგორც ეს გათვალისწინებული იყო 2254 რეზოლუციით, მოითხოვდა შემდგომ სერიოზულ ძალისხმევას, როგორც სამხედრო თვალსაზრისით სიტუაციის სტაბილიზაციისთვის, ასევე დიპლომატიურ დონეზე.

ამ მიზნის განხორციელება მოითხოვდა რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის საერთო მიდგომის შემუშავებას გარკვეული ტერორისტული ჯგუფების, პირველ რიგში, ჯაბჰათ ალ-ნუსრას წინააღმდეგ, რომელიც კონცენტრირებული იყო აღმოსავლეთ იდლიბში, რაც რეგულარულად ახდენდა სიტუაციის დესტაბილიზაციას.

ცხადია, სირიის გარანტორ ქვეყნებს შორის არსებობდა გარკვეული წინააღმდეგობები: კერძოდ, თურქეთის რესპუბლიკა ცდილობდა ქურთების პრობლემის მოგვარებას სირიის კონფლიქტის ფარგლებში. 2018 წლის 20 იანვარს თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა განაცხადა სირიის აფრინში ქურთების ფორმირებების წინააღმდეგ ოპერაციის „ზეთისხილის რტო“ დაწყების შესახებ; თურქეთთან პარალალურად აქ მოქმედებდნენ „სირიის თავისუფალი არმიის“ ბოევიკებიც.

დამასკო მკაცრად გმობდა თურქეთის ქმედებებს აფრინში და აღნიშნავდა, რომ ის სირიის განუყოფელი ნაწილი იყო.

2018-2019 წლებში სირიასა და, ნაწილობრივ, ერაყში, განვითარებული მოვლენების ფონზე მსოფლიოში ნაწილობრივ შეიქმნა სირიის კონფლიქტის დასრულების ფაზაში შესვლისა და ბაშარ ასადის მიერ რუსეთის დახმარებით, პრეზიდენტობის შენარჩუნების შესაძლებლობის შთაბეჭდილება, თუმცა 2020 წლის დასაწყისში თურქეთის მიერ ე.წ. ბუფერულ ზონაში კონტროლის დამყარების მცდელობას ისევ მოჰყვადაპირისპირებები სირიასა და თურქეთს და რუსეთსა და თურქეთს შორის,

რომელიც ახლო აღმოსავლეთის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის არ იყო მისაღები.

ხისტი მიმართულება ახასიათებდა დასავლეთს, რომელიც „ბლოკური დიპლომატიის“ პოზიციაზე იდგა, რუსეთის „იძულებითი“ შეჩერების ტაქტიკას აძლევდა უპირატესობას.

მკვლევარები განმარტავენ, რომ აშშ არ მიეკუთვნებოდა დიდი და ხანგრძლივი ომების მწარმო-ებელ სახელმწიფოს (რუსეთი, გერმანია), მას არ დაუწყია მსოფლიო ომები, მაგრამ ყოველთვის იღებდა მონაწილეობას პირდაპირი თუ არაპირდაპირი ნიშნულებით და ყოველთვის იღებდა სხვადასხვა სახის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სარგებელს (პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ახლოაღმოსავლური სამხედრო დაპირისპირებები და ომები, ევროპული, აზიური, კავკასიური და სხვა ომები).

რუსეთის შეიარაღებული ძალები სირიის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ სირიის საბრძოლო მოქმედებების დროს, რადგან მოსკოვს ამ სივრცეში არ გააჩნდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მხოლოდ ტარტუსის საზღვაო ბაზას იყენებდნენ, განსაკუთრებულ საიდუმლო ვითარებაში და დროში.

რუსეთის მიერ სირიის საბრძოლო მოქმედებებში ჩართვის პერიოდში აქ უკვე მოქმედებდა საერთაშორისო კოალიცია აშშ-ის ხელმძღვანელობით, რომელმაც სამხედრო ოპერაციები 2012 წლის სექტემბერში დაიწყო, ბ. ობამას ადმინისტრაციის მიერ, უკრაინისა და, განსაკუთრებით, „ყირიმის მოვლენების“ გამო, აშკარა ანტირუსული პოლიტიკა ტარდებოდა. ამ მიზეზით, ვაშინგტონი თავს არიდებდა რუსეთის ფედერაციასთან სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობას.

2015 წელს, რუსეთმა შეძლო ასადიის რეჟიმი გადაერჩინა და რეგიონში მნიშვნელოვან მოთამაშედ ქცეულიყო.

სირიისადმი პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერის სანაცვლოდ, რუსეთმა სამხედრო-საზღვაო ბაზის განსათავსებლად ხმელთაშუა ზღვაზე ნავსადგურის ნაწილი, სამხედრო-საჰაერო ბაზის დასაფუძნებლად კი ხმეიმის აეროდრომი მიიღო.

რუსეთი, რეგიონულ მთავრობებთან ურთიერთობის გაღრმავებით, ცდილობდა რეგიონში პოლიტიკური გავლენები მოეპოვებინა. გარდა სირიისა და ირანისა, იგი ისრაელსა და საუდის არაბეთთან დაახლოებითაც იყო დაინტერესებული. ამასთანავე, რუსეთმა ურთიერთობა აღადგინა თურქეთთან. ამ პროცესს მოჰყვა ახლო აღმოსავლეთში რუსეთისა და ირანის გავლენების გაძლიერება.

ვაშინგტონი დე-ფაქტოდ აღიარებდა რუსეთის სამხედრო კოსმოსური ძალების ოპერაციას სირიის ტერიტორიაზე, მაგრამ აყალიბებდა თეზას თანამედროვე მსოფლიოში ამერიკის ლიდერობის შესახებ და მის მიერ გამოწვევად იყო აღქმულია სირიაში რუსული სამხედრო-კოსმოსური ძალების ოპერაცია.

ვაშინგტონში შემუშავდა სტრატეგია რუსეთის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საერთაშორისო ტერორიზმის მებრძოლად ცხადდებოდა სირიაში და ზესახელმწიფოების სამხედრო ბაზები წინააღმდეგობებს არ უქმნიდნენ ერთმანეთს.

„ისლამურ სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მებრძოლი ერაყი, რუსეთის სამხედრო ოპერაციას არ ეწინააღმდეგებოდა და საკუთარ საჰაერო სივრცეს უთმობდა საჰაერო ძალებს. ერაყის საინფორმაციო ცენტრი ითავსებდა სადაზვერვო ფუნქციებსაც, ისლამურ სახელმწიფოს სამხედრო ობიექტების შესახებ, რომლებიც შემდგომ რუსეთის თვითმფრინავების სამიზნედ იქცეოდა. ამ ცენტრის საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართული ირანელებიც, თუმცა, ეს მიუღებელი აღმოჩნდა აშშ-ისა და თურქეთისათვის.

დასკვნა

სირიის მაგალითით, გამოიკვეთა რუსეთისა და დასავლური ქვეყნების მიდგომები ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების პრობლემებისადმი, მით უმეტეს, „არაბული გაზაფხულის“ მოვლენებიდან მოყოლებული აშშ აქტიურად მონაწილეობდა რეგიონულ პროცესებში.

რუსეთის აქტიური ჩართვა 2015 წლიდან სირიის კონფლიქტში დაკავშირებული იყო „ანექსიის გზით“ ყირიმის დაბრუნებასთან და აღმოსავლეთ უკრაინის გარკვეული ტერიტორიების მითვისებასთან, ანუ რუსეთის მიერ მიღწეული გარკვეული წარმატებების მიღწევასთან, რომელსაც უნდა დამატებოდა სირიაში მოპოვებული გარკვეული წარმატებები, რომელიც საწინდარი იქნებოდა უკრაინის მომავალი ომისთვის.

რუსეთის მხარდაჭერით სირიამ კონტროლის დაწესება დაიწყო ახალ ტერიტორიებზე და პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესების გააქტიურების (ვენა, ჟენევა, ნიუ-იორკი) და ორმხრივი მოლაპარაკებების გასამართად (რუსეთი-აშშ; რუსეთი-თურქეთი; რუსეთი-ერაყი და ა.შ.) რეალური პერსპექტივაც გაჩნდა.

ისახებოდა პერსპექტივა, რომ კონფლიქტის დარეგულირება მოხდებოდა დასავლეთის მონაწილეობის გარეშე, ამიტომ ვაშინგტონი იძულებული გახდა გაეაქტიურებინა თავისი დამოკიდებულება სირიის საკითხებთან მიმართებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩხიკვაძე ა., დიდი თამაში ახლო აღმოსავლეთში. „ამერიკის ხმა“, https://www.amerikiskhma.com/a/great-game-in-the-middle-east/4454244.html
2. სანიკიძე გ., „ისლამური სახელმწიფო“ და „დიდი თამაში“ ახლო აღმოსავლეთში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბ., 2015.
3. Маркус Дж., Россия против Запада: новая холодная война или еще нет? BBC. April 2018. https://www.bbc.com/russian/features-43610405
4. Почему новая холодная война России и США реальнее, чем кажется. Baltnews. August 2018. https://lv.baltnews.com/riga_news/20181208/1022520841/novaja-holodnaja-vojna-Rossii-i-SSHA.html
5. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია. რიდერი, თსუ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტებისათვის. თბ., 2018.

Russia's Interests and its Role in the Syrian Conflict

Koba Grigolia, PhD student

Technical University of Georgia

Summary

Syria has always occupied a prominent place in the Middle East in terms of political, economic, geographical, military, oil industry and other directions, which was well used by Washington and under the conditions of the unipolar world system (1991-2003), it has chosen the tactic of involving Syria in American projects in the Middle East - was successful. First Persian Gulf War, Syrian hegemony in Lebanon and alliance with Egypt, with Saudi Arabia, etc.

However, in 2000, after the arrival of the neoconservative administration of George Bush at the head of the US government, the course of Washington became clearly hostile towards Syria. They have intensified work to break up the Syria-Iran alliance, which was actively supported by Saudi Arabia. In 2011, internal and external forces prepared the well-known political and war processes of the new century in Syria, which went down in history under the name of the "Arab Spring" and changed the political face of the region. The political and state elite of the USA, Russia, Israel, Turkey, Iran and other countries were involved in the "Arab Spring" processes. If we imagine the historical period of Russian-Syrian relations, their rapprochement mainly starts from the 20th century, when the mentioned countries actively acted against the USA and its allies during the period of functioning of the Soviet Union and then the Russian state.

In 2012, Russian-Syrian relations entered an active phase, and Russia supplied Syria with a large number of different types of weapons. Along with sea routes, Russia was also supplying Syria with military transport planes. The Syrian problem became a mirror of the formation of a multipolar world, in which Russia's new role was highlighted, on the other hand, a crisis of confidence in world affairs arose, derived from the US and its supporters in order to maintain the unipolar world order system.

Keywords: geopolitical interests, Middle East, "Arab Spring", Syrian conflict, Russia, Syria, USA.

სოციალური მეცნიერებები

SOCIAL SCIENCES

შობადობის პერსპექტივები საქართველოში

ლელა მენაბდიშვილი ეკონომიკის დოქტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

რეზიუმე

წარმოგდენილი ნაშრომი სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გვიჩვენებს საქართველოში შობადობის დონის მკვეთრ ცვლილებას შემცირებისაკენ. ნაჩვენებია ის პერსპექტივა რაც ელოდება ქვეყანას შობადობის განხილული დონის პირობებში. შობადობის ბიოლოგიურ საფუძველს შთამომავლობის აღწარმოების უნარი წარმოადგენს. საქართველოში 2014 წლიდან შობადობის მაჩვენებელი ყოველწლიურად იკლებს და 2023 წელს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (40 214) დაფიქსირდა. შობადობის ერთ-ერთი მთავარი პირობა არის ასაკი. ქალები მხოლოდ 15-49 წლის ასაკში არიან შვილთა შობის უნარის მქონენი. ნაადრევ ასაკში მშობიარობა არასასურველია, თუმცა გადავადებული მშობლობა მნიშვნელოვნად ამცირებს შვილთა რაოდენობას ოჯახში. ქვეყანაში სწორედ გადავადებულ მშობლობასთან გვაქვს საქმე. მხოლოდ ცხრა წელიწადში (2014 - 2023 წწ) 35 და მეტი ასაკის ქალების მიერ გაჩენილი შვილების რაოდენობა გაზრდილია 33%-ით. ხოლო 35 წლამდე ასაკის ქალებში შობადობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული. 2023 წელს დედის საშულო ასაკმა პირველი შვილის დაბადებისას 29,3 წელს მიაღწია. მოზარდების შობადობის კოეფიციენტი 2014 წელს 51.3-ის ტოლი იყო, მომდევნო წლებში კი კლება იწყო და 2022 წლისთვის 21.5 შეადგინა. შემცირებულია შვილთა რაოდენობა მათი რიგითობის მიხედვით. 2014 წლიდან 2023 წლამდე პირველი და მეორე შვილის რიცხვი შემცირდა 1,7-ჯერ. მხოლოდ 2023 წელს 1 637-ით მეტი პირველი შვილი დაიბადა ვიდრე მეორე და 2 477-ით მეტი მეორე შვილი დაიბადა ვიდრე მესამე. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი წარმოადგენს შობადობის დონის განმსაზღვრელ საკმაოდ ზუსტ მაჩვენებელს. 2019 წლამდე საქართველოში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის მხოლოდ მარტივ აღწარმოებას, ანუ შვილების თაობა ანაცვლებდა მშობლების თაობას. 2019 წლიდან კი ქვეყანაში მოსახლეობის მარტივი აღწარმოებაც აღარ ხდება. რადგან ამ დროიდან ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე დაბადებული ბავშვების რაოდენობა ნაკლებია 2,1-ზე. შობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისშია, რადგან აქ ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მესამედი. რეგიონების მიხედვით შობადობა შედარებით მაღალია, იქ სადაც დასახლებულია მუსლიმი მოსახლეობა. შობადობის მხრივ გამოირჩევა აჭარა, ქვემო ქართლი, იმერეთი, კახეთი. ყველაზე მძიმე მდგომარეობაა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. აქ გასულ წელს მხოლოდ 226 ახალშობილი დაიბადა. შობადობის წარმოდგენილი დონე ასე თუ გაგრძელდა და ქვეყანაში თუ არ მოხდა ბუნებრივი მატება მაშინ ერს გადაშენება უწერია. აუცილებელია გადაიდგას ქმედითი ღონისძიებები: ამაღლდეს ახალგაზრდების ცნობიერება, რომ ერის გადასარჩენად საჭიროა ოჯახს მინიმუმ სამი შვილი ჰყავდეს.

საკვანძო სიტყვები: შვილიანობა, გადავადებული მშობლობა, შობადობის კოეფიციენტები.

შესავალი

სოციალურ-დემოგრაფიული პროცესების შესწავლა უმთავრესია ნებისმიერი ქვეყნისთვის. მისი ინფორმაციული ემპირიული საფუძველი ემსახურება ხალხის ცხოვრების ძირითადი ფაქტების აღრიცხვას. სოციალურ-დემოგრაფიული პროცესების არსის შესწავლა აუცილებელია არა მხოლოდ

სხვადასხვა სოციალური თუ დემოგრაფიული მოვლენების მარტივი ცვლილების თვალსაზრისით, არამედ მათი ხარისხობრივი განვითარების პერსპექტივიდანაც. დემოგრაფიული პროცესები იზოლირებულად არ ხდება, ის ექვემდებარება თვითგანვითარების გარკვეულ იმანენტურ კანონებს. თუმცა სოციალური ურთიერთობის კონტექსტში, დემოგრაფიული პროცესის კონცეფცია განისაზღვრება, როგორც სუბიექტების ცალმხრივი და განმეორებითი ქცევების ერთობლიობა, რომელიც დამყარებულია საზოგადოების ღირებულებით-ნორმატიულ სისტემაზე და წარმაართავს ყველა სახის დემოგრაფიულ მოვლენას.

მსოფლიო დღეს უამრავი პრობლემის წინაშე დგას. მათ შორის ერთ-ერთი დემოგრაფიული პრობლემებია. გლობალურ დემოგრაფიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რომელთა შორის ერთ-ერთია შობადობის პრობლემა. შობადობის პრობლემების, როგორც სოციო-დემოგრაფიული პროცესის აქტუალობა განპირობებულია მისი დინამიკისა და საზოგადოების ობიექტურ მოთხოვნილებებს შორის წინააღმდეგობის გამწვავებით, დემოგრაფიული და სოციალური პროცესების თავისებურებით.

პროცესებმა, რომელიც შობადობის დონის მკვეთრ შემცირებას უკავშირდება, მოიცვა მთელი დასავლური სამყარო, ლათინური ამერიკა, შორეული აღმოსავლეთის ინდუსტრიული ქვეყნებიც კი (მაგ.: იაპონია, ტაივანი), სადაც ეს ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი. დემოგრაფების თვალსაზრისით, მსოფლიოს თითქმის ყველა საზოგადოება, სავარაუდოდ, საბოლოოდ გადავა ძალიან დაბალ შობადობაზე, თუ არ მოხდება რაიმე გაუთვალისწინებელი ცვლილება ღრმა სოციალურ პროცესებში.

საქართველო, როგორც მსოფლიოს ნაწილი სერიოზული დემოგრაფიული პრობლემების წინაშე დგას. დღეს, მსოფლიოს მოსახლეობასთან შედარებით, რომელიც გაეროს შეფასებით 8 მილიარდ 73 მილიონს გადააჭარბა, საქართველოს მოსახლეობა მეტად მცირეა - მხოლოდ 0,05%-ს შეადგენს. [https://en.wikipedia.org/]. ამასთან, კლების ტენდენციით ხასიათდება. ეს პროცესი უკვე გასული საუკუნის ბოლოდ მოყოლებული გრძელდება. თუ თვალს გადავავლებთ ქვეყანაში ჩატარებულ ბოლო სამი საყოველთაო აღწერის მონაცემებს ამას თვალნათლივ დავინახავთ. 1989 წლიდან 2014 წლამდე ქვეყნის მოსახლეობა 1,46- ჯერ შემცირდა, რაც 1 316 841 ადამიანით შემცირების ტოლია. ქვეყნის დღევანდელი დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშოა. მისი დახასიათება შეიძლება, როგორც ღრმა დემოგრაფიული კრიზისი. თუ არ გადაიდგა ქმედითი ღონისძიებები, რომელიც წაახალისებს შობადობის გაზრდას, ჩვენნაირი პატარა ერისთვის, რომელიც მომაკვდავ ერთა სიაშია შესული, შეიძლება დემოგრაფიული პროცესების ამგვარად განვითარება საბედისწერო აღმოჩნდეს.

• • •

შობადობის ბიოლოგიურ საფუძველს შთამომავლობის აღწარმოების უნარი წარმოადგენს. შვილთა შობის პოტენციური შესაძლებლობა დაფუძნებულია ნაყოფიერებაზე. რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია გენეტიკურ თავისებურებებზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, წყვილის ბიოლოგიურ შეთავსებადობაზე, ფერტილურ ასაკზე და სხვ. ნაყოფიერება დემოგრაფიაში შეისწავლება როგორც შობადობისა და რეპროდუქვიული ქცევის ერთ-ერთი ფაქტორი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, თანამედროვე პირობებში ქორწინებათა 10-15% უნაყოფოა. ამასთან, ქალების უშვილობა 50-70%-ია, ხოლო მამაკაცების 30-50%.

შობადობის ერთ-ერთი მთავარი პირობა არის ასაკი. ქალები მხოლოდ 15-49 წლის ასაკში, ანუ ფერტილურ ასაკში, არიან შვილთა შობის უნარის მქონენი. თანამედროვე შეხედულებები, ღირებულებები და ქცევის ნორმები აღარ არის ორიენტირებული ნაადრევ ქორწინებაზე. ოჯახის შექმნის ასაკი გაიზარდა, რამაც ბუნებრივად გაზარდა პირველი შვილის გაჩენის ასაკი. პირველი შვილის დაბადებისას დედის საშუალო ასაკის მკვეთრი ზრდა 2009 წლიდან ფიქსირდება. 2001-2009 წლებში კი მერყეობს 25,4 წლიდან 25,7 წლებში. 2023 წელს დედის საშულო ასაკმა პირველი შვილის დაბადებისას 29,3 წელს მიაღწია, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და აჩვენებს, რომ 2009 წლის მონაცემებთან შედარებით 3,9 წლითაა გაზრდილი. მონაცემების განხილვამ დედის ასაკის მიხედვით გვაჩვენა, რომ 20 წლამდე ასაკის დედების მიერ ცოცხლადდაბადებულ შვილთა რიცხოვნობა 2014 წელთან შედარებით 2023 წელს 2,8-ჯერ არის შემცირებული. 20-24 წლის დედების 2,4-ჯერ, 25-29 წლის 1,6-ჯერ, 30-34 წლის 1,1-ჯერ, ხოლო 35-39 წლის დედების, პირიქით, გაზრდილია 1,2-ჯერ. 35 წლის და მეტი ასაკის ქალების მიერ 2014 წელსა და 2023 წელს გაჩენილ შვილთა რაოდენობის შედარებამ დაგვანახა, რომ მოცემულ პერიოდში 35 და მეტი ასაკის ქალების გაჩენილი შვილების რაოდენობა გაზრდილია 1,33-ჯერ, ანუ 33%-ით. ამგვარად,

სახეზეა გადავადებული მშობლობლობისაკენ მკვეთრად გაზრდილი ტენდენცია. რაც პირველ რიგში ინდივიდუალური ღირებულებების წინა პლანზე წამოწევითაა განპირობებული. ახალგაზრდა ქალების უმეტესობა ოჯახის შექმნაზე და შვილის გაჩენაზე წინ აყენებს კარიერულ წინსვლას და მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრების შექმნას. ამასთან, დასაქმებული დედა კმაყოფილდება მცირეშვილიანობით, რადგან თავს არიდებს სამუშაოსა და შვილთა აღზრდის სიძნელეებით წარმოშობილ პრობლემებს.

მოზარდებში შობადობის კოეფიციენტი გამოითვლება 15-19 წლის ასაკის 1 000 ქალზე. საქსტატი 2014 წლიდან იძლევა რეგისტრირებულ მონაცემებს, ხოლო მანამდე იყო შეფასებითი მონაცემები. 2014 წელს მოზარდების შობადობის კოეფიციენტი 51.3-ის ტოლი იყო, მომდევნო წლებში კი კლება იწყო და 2022 წლისთვის 21.5-ს აღწევს. 2005-2013 წლებში როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოზარდების შობადობის კოეფიციენტი შეფასებითი მაჩვენებლებით მერყეობდა 42.0-სა და 55.9-ს შორის. ეს ფაქტი უნდა განვიხილოთ როგორც დადებითი მოვლენა, რადგან მოზარდები მხოლოდ 18 წლისები ხდებიან სრულწლოვანები და ნაადრევი მშობიარობა არასასურველია.

ოჯახში შვილთა რაოდენობის შემცირებაზე მიანიშნებს შობადობის მაჩვენებელი, რომელიც 2001-2013 წლებში მერყეობდა 45 127 - სა და 56 568 ცოცხლადაბადებულს შორის. 2014 წელს შობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა - 60 635 ცოცხლადშობილი. ამ წლიდან მოყოლებული შობადობის მაჩვენებელი ყოველწლიურად იკლებს და 2023 წელს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (40 214) დაფიქსირდა, რაც პანდემიის პერიოდის მაჩვენებელზეც დაბალია (2020 წელი - 46 520, 2021 წელი - 45 946).

გადავადებული მშობლობა მნიშვნელოვნად ამცირებს შვილთა რაოდენობას ოჯახში. 2007 წელს შობადობის გაზრდის მიზნით ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელი, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი გამოვიდა წინადადებით, რომ ყველა მართლმადიდებელ ოჯახში დაბადებული მესამე და მომდევნო ბავშვის ნათლია იქნებოდა. ამ ინიციატივას 2008 წლიდანვე მოჰყვა შედეგი, გაიზარდა მესამე და მომდევნო შვილის დაბადების მაჩვენებელი. 2007 წლის მესამე და მომდევნო შვილის დაბადების მაჩვენებელი 2,3-ჯერ ჩამორჩება 2023 წლის იგივე მაჩვენებელს. თუმცა 2021 წლიდან შემცირება იწყო მესამე და მომდევნო შვილის დაბადების რიცხვმაც. 2023 წლის მონაცემებით მითითებულ წელთან შედარებით 1,1-ჯერ არის შემცირებული, რაც 1 090 ბავშვის ტოლია. მესამე და მომდევნო შვილის რიცხვის კლება მხოლოდ დროის ფაქტორზე იყო დამოკიდებული, რადგან 2014 წლიდან მოყოლებული პერმანენტულად იკლებდა პირველი და მეორე შვილის დაბადებათა რაოდენობა, რაც გარკვეული დროის შემდეგ ბუნებრივად გამოიწვევდა მესამე და მომდევნო შვილის დაბადებათა კლებას. 2014 წლიდან 2023 წლამდე პირველი და მეორე შვილის რიცხვი შემცირდა 1,7-ჯერ. შემცირებულია შვილთა რიგითობაში დაბადებულთა რაოდენობა. მხოლოდ 2023 წელს 1 637-ით მეტი პირველი შვილი დაიბადა ვიდრე მეორე და 2 477-ით მეტი მეორე შვილი დაიბადა ვიდრე მესამე.

დემოგრაფები შობადობის მაჩვენებლად განიხილავენ შობადობის ზოგად კოეფიციენტს და შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტს. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი წარმოადგენს გარკვეულ დროში დაბადებულთა საერთო რაოდენობის შეფარდებას ამავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რაოდენობასთან და უჩვენებს დაბადებულთა რაოდენობას 1 000 სულზე. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი კი ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე (იგულისხმება ქალის ფერტილური ასაკი 15-49 წელი) დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობაა. [წულაძე გ., 2012. 131-134]

ცხრილი 1. შობადობის მაჩვენებლები

წელი	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (‰)	შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი	მოზარდების შობადობის კოეფიციენტი
2014	16.3	2.3	51.3
2015	15.9	2.3	48.1
2016	15.2	2.2	43.2
2017	14.3	2.1	36.1
2018	13.7	2.1	32.2
2019	13.0	2.0	29.3
2020	12.5	2.0	27.2
2021	12.4	2.0	24.7
2022	11.4	1.8	21.5

წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba

დემოგრაფიაში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ითვლება შობადობის დონის განმსაზღვრელ საკმაოდ ზუსტ მაჩვენებლად.

2019 წლამდე საქართველოში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას, ანუ შვილების თაობა ანაცვლებდა მშობლების თაობას. 2019 წლიდან კი ქვეყანაში მოსახლეობის მარტივი აღწარმოებაც აღარ ხდება. დემოგრაფთა გაანგარიშებით მოსახლეობის მხოლოდ მარტივი აღწარმოებისათვის საჭიროა ერთ ეფექტურ ქორწინებაზე, ანუ ქორწინებისას, რომელიც გრძელდება მთელი რეპროდუქციული პერიოდის განმავლობაში და მთელი ამ ხნის მანძილზე ნაყოფიერების უნარის მქონეა, საშუალოდ მოდიოდეს 2,6 ბავშვი, ხოლო გათხოვილი ქალის მიერ გაჩენილ იყოს საშუალოდ 2,15 ბავშვი. [ბორისოვი ვ. 2001, 257] ეს არის საიმედო მაჩვენებელი ბავშვთა იმ რიცხვისათვის, რომელიც აუცილებელია დეპოპულაციის თავიდან ასაცილებლად. ჩვენ მიერ მოყვანილი მონაცემების მიხედვით კი დეპოპულაციის თვიდან აცილება შეუძლებელია.

შობადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქორწინების ინსტიტუტზე. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ყოფაში, გლობალურად მნიშვნელოვნად გაიზარდა ქორწინების გარეშე შობადობა, დადგენილია, რომ ქორწინებაში მყოფების შობადობა ყველგან მეტია ვიდრე ქორწიბეაში არ მყოფების. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი, აქ არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულების წილი 39,3%-ია. ზნეობრივი თვალსაზრისით რამდენად მართებულია არარეგისტრირებულ ქორწინებაში შვილის გაჩენა, ამის განხილვას ჩვენ არ შევუდგებით, თუმცა ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები ასაბუთებენ რომ, საზოგადოება ამ მხრივ მეტად ტოლერანტულია და ქალის ასეთ საქციელს დადებითად აფასებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მას გათხოვების იმედი აღარ აქვს. დემოგრაფიული თვალსაზრისით არაერგისტრიტებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვების რაოდენობა ზრდის შობადობის მაჩვენებელს და ქვეყნისთვის დადებითი შედეგის მატარებელია. მაგრამ ის მხოლოდ ერთ შვილზეა ორიენტირებული. თუ, რა თქმა უნდა, ეს არის ქორწინების გარეშე შობადობა. არარეგისტრირებული ქორწინება კი საქართველოში, როგორც კვლევები აჩვენებენ, უმეტეს შემთხვევაში არის ოჯახი, რომელსაც არ აქვს იურიდიულად გაფორმებული ქორწინება.

შობადობის მაჩვენებელი იცვლება იმის მიხედვით თუ ოჯახი როგორი რეპროდუქციული ქცევისკენაა მიდრეკილი. ეს უკანასკნელი განისაზღვრება: ოჯახში შვილთა მნიშვნელობით; ქალის პოზიციით საზოგადოებაში, მისი განათლების დონისა და შემოსავლებით; ოჯახის დემოგრაფიული ტრადიციებით; დასახლების ტიპით; აღმსარებლობით; პოლიტი-კური სიტუაციით; დემოგრაფიული პოლიტიკით და სხვ. დასახლების ტიპის მიხედვით თუ განვიხილავთ შობადობას, არც თუ სახარბიელო შედეგს დავინახავთ. საქართველოს მოსახლეობის თითქმის მესამედი თბილისშია თავმოყრილი, ამიტომ სრულიდა ბუნებრივია, რომ თბილისში ყველაზე მაღალია შობადობის მაჩვენებელი (2023 წელი - 34%). ქვეყნის სამ რეგიონში: რაჭა ლეჩხუმი - ქვემო სავანეთი, მცხეთა-მთიანეთი და გურია შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლებია. 2023 წლის მონაცემების მიხედვით რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთში მხოლოდ 226 ცოცხლადშობილი აღირიცხა, მცხეთა-მთიანეთში 845, ხოლო გურიაში 885. შობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აღირიცხა აჭარაში (5 046), ქვემო ქართლში (4 878), იმერეთსა (4 837) და კახეთში (3 103), თუმცა წინა წლებთან შედრებით ქვეყნის ყველა რეგიონში შობადობის რიცხვმა იკლო.

ამრიგად, შობადობის მაჩვენებელი აუცილებელია მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის გასათვალისწინებლად. საქართველოში კი უკვე ოთხი წელია ბუნებრივი ზრდის მაგივრად ბუნებრივი კლება გვაქვს. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ახალგაზრდა მოსახლეობის ხვედრითი წილი მცირდება, მოსახლეობა დაბერებულია, არ ხდება მოსახლეობის მარტივი აღწარმოებაც კი და ერი მომაკვდავია. სოციოლოგიური გამოკვლევები აჩვენებენ, რომ ოჯახის რეპროდუქციული ქცევა ნაკლებად არის დამოკიდებული მატერიალურ ფაქტორებზე და უფრო მეტად არის ორიენტირებული საზოგადოების მიერ კულტივირებულ შიდა რეპროდუქციულ დამოკიდებულებებზე. ამიტომ აუცილებელია ფართო საზოგადოებისთვის იმის გაცნობიერება, რომ ქართველები გადაშენების წინაშე ვდგავართ. განსაკუთრებილი ყურადღება მიექცეს ახალგაზრდების აღზრდას ეროვნული და პატრიოტული სულისკვეთებით; შვილი გახდეს უმთავრესი ღირებულება და ფერტილურ ასაკში მყოფმა ყველა პიროვნებამ გააცნობიეროს რომ მათზეა დამოკიდებული ერის მომავალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბორისოვი ვ. 2001., დემოგრაფია.
2. წულაძე გ. 2012., დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი.
3. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba

Birth prospects in Georgia

Lela Menabdishvili, Doctor of Economics
Ilia state university,
Researcher of the Institute of Demography and Sociology

Summary

The presented work, based on statistical data, shows a sharp change in the birth rate in Georgia towards a decrease. The perspective that awaits the country under the conditions of the considered birth rate is shown. The biological basis of fertility is the ability to reproduce offspring. The birth rate in Georgia has been decreasing every year since 2014, and the lowest rate (40,214) was recorded in 2023. One of the main conditions of birth is age. Women are capable of bearing children only at the age of 15-49. Giving birth at a premature age is undesirable, although delayed parenthood significantly reduces the number of children in the family.

We are dealing with delayed parenthood in the country. In just nine years (2014 - 2023), the number of children born to women aged 35 and over has increased by 33%. And among women under the age of 35, the birth rate is significantly reduced. In 2023, the maternal age of the mother at the birth of her first child reached 29.3 years. The adolescent birth rate was equal to 51.3 in 2014, and it began to decrease in the following years and reached 21.5 by 2022. The number of children is reduced according to their order. From 2014 to 2023, the number of first and second children decreased by 1.7 times. In 2023 alone, 1,637 more first children were born than second and 2,477 more second children than third. The total fertility rate is a fairly accurate indicator of the fertility level. Until 2019, only simple reproduction of the population took place in Georgia, that is, the generation of children replaced the generation of parents.

Since 2019, simple reproduction of the population is no longer possible in the country. Because since that time, the number of children born by one woman in her lifetime is less than 2.1. The highest birth rate is in Tbilisi, as almost a third of the country's population lives here. According to the regions, the birth rate is relatively high, where the Muslim population is settled. Adjara, Kvemo Kartli, Imereti, Kakheti stand out in terms of birth rate. The worst situation is in Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti. Only 226 newborns were born here last year. If the present level of birth rate continues like this and if there is no natural increase in the country, then the nation is doomed to extinction. It is necessary to take effective measures: to raise the awareness of young people that in order to save the nation, a family needs to have at least three children.

Key words: fertility, delayed parenthood, birth rates.

გენდერული თანასწორობა ოჯახში

ნანა მენაბდიშვილი, ეკონომიკის დოქტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი

რეზიუმე

ოჯახში მნიშვნელოვანი ცვლილებები მე-20-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს სათავეს. გენდერული ცნობიერება და ოჯახის მოწყობის ცვალებადობა სულ უფრო გვაახლოებს ოჯახის ეგალიტარულ და დემოკრატიულ მოდელთან. თანამედროვე ქალები სულ უფრო მეტად ერთვებიან სამუშაო ბაზარზე და იწყობენ კარიერას. მამაკაცები კი სამართლიანად ინაწილებენ საოჯახო საქმეს. ცოლ-ქმრის უფლება მოვალეობა და პრივილეგიები ოჯახში თანაბარია. ჩვენ მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ შრომის თანაბარი განაწილება, ემოციური წონასწორობის დაცვა, მოთმენა, მიმტევებლობა და მეუღლეთა თვითრეალიზების შესაძლებლობა განსაზღვრავს ცოლ-ქმრისოჯახურბედნიერებასდასტაბილურობას. ქალის გასვლამ სამუშაო ბაზარზე შეამცირა საოჯახო საქმიანობისთვის დრორამაც განსაკუთრებით დააზარალა შვილები. დროის დეფიციტის გამო დედები დამხმარეებად იყვანენ ძიძებს ან ოჯახის სხვა წევრს, რაც ასუსტებს დედასა და შვილს შორის ემოციურ კავშირს. ამას გარდა იწვევს ოჯახების მასიურ გადასვლას მცირეშვილიანობაზე. ქალების დასაქმებამ გამოიწვია მათი ქორწინების გადავადება და, შესაბამისად, მშობლობის გადავადება. ოჯახის გადასვლას მცირეშვილიანობაზე სოციოლოგების და დემოგრაფების ნაწილი ოჯახის როგორც ინსტიტუტის კრიზისად მიიჩნევს. თანამედროვე საზოგადოებაში ოჯახების გარკვეული ნაწილში მეუღლეთა პარტნიორობა არათანასწორია. ანუ სახეზეა ავტორიტარული ოჯახები. სწორედ ასეთ ოჯახებში ხდება ყველაზე ხშირად ძალადობა. ძალადობის მსხვერპლი ოჯახში უმეტესწილად ქალია. ოჯახში ძალადობა სერიოზული სოციალური პრობლემაა. ოჯახში ძალადობის ფაქტები მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. საქართველოში ოჯახში ძალადობის სახეებიდან ყველაზე ხშირად ფიქსირდება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ფაქტი

საკვანძო სიტყვები: გენდერი, ოჯახი, ძალადობა.

შესავალი

გენდერის საკითხი ისტორიული ფენომენია და დევს ყველა საზოგადოების კულტურული და ღირებულებითი სისტემის გულში, თუმცა სხვადასხვა ხარისხით. ის დაკავშირებულია ნათესაობის წესებთან და პარტიარქალურ სისტემასთან, რომლის ირგვლივაც ორგანიზებულია ადამიანის სოციალური ცხოვრება. ხშირად გენდერულ უთანასწორობაზე ყურადღების გამახვილება, განიხილებოდა როგორც ცალკეული ეთნოსის ტრადიციებსა და კულტურაზე თავდასხმა.

გენდერული როლების ტრადიციული ხასიათით ჩამოყალიბებას თავისი ისტორიული წინაპირობა ჰქონდა, თუმცა თანამედროვე ცხოვრებამ საგრძნობლად შეცვალა ოჯახის სტრუქტურა და ტრადიციული მოვალეობებიც აღარ არის ისეთივე მყარი. თუ ადრე ოჯახი დაფუძნებული იყო განცალკევებულ ცოლ-ქმრულ როლებზე, ახლა სიტუაცია შეცვლილია, სივრცე განსხვავებულ გენდერებს შორის მცირდება. თანამედროვე საზოგადოების მიზანია შექმნას თანასწორი საზოგადოება და თანასწორი ოჯახი.

ძირითადი ნაწილი. ოჯახში მნიშვნელოვანი ცვლილებები მე-20-ე საუკუნიდან გახდა შესამჩნევი. ფუნქციონალისტი სოციოლოგები: პარსონსი, ფლეტჩერი, უილმოტი და იანგი მიიჩნევდნენ, რომ ინდუსტრიალიზაციამ გამოიწ-ვია თანაბარი ქორწინების ზრდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეუღლეებს შორის ქორწინება შედარებით თანაბარი გახდა საოჯახო საქმეებში მონაწილეობის, ბავშვების მოვლაპატრონობისა და საოჯახო გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით. უილმოტი და იანგი თავიანთ კვლევაში „სიმეტრიული ოჯახი“ აღნიშნავემ, რომ ცვლილებები, რომელიც ოჯახმა განიცადა დაკავშირებულია გაფართოებული ოჯახის ჩანაცვლებით ბირთვული ოჯახით. გაფართოებულ ოჯახს ახასიათებდა განცალკევებული ცოლ-ქმრული როლები, ქმრები დადიოდნენს სამსახურში, ხოლო ცოლები ბავშვებზე ზრუნვით იყვნენ დაკავებულნი და, უფრო მეტიც, ცოლ-ქმარი თავისუფალ დროს ცალ-ცალკე ატარებდა. გაფართოებული ოჯახი შეიცვალა პრივატიზებული ბირთვული ოჯახით, რომელიც სიმეტრიით ხასიათდება. თანამედროვე

ქორწინებისთვის დამახასიათებელია ერთობლივი ცოლ-ქმრული როლები, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალები, მამაკაცების მსგავსად, სამსახურში მიდიან, ხოლო მამაკაცები საოჯახო საქმიანობის გარკვეულ ნაწილს სამართლიანად ასრულებენ. წყვილები ახლა უფრო მეტად ატარებენ თავისუფალ დროს ერთად და გადაწყვეტილებებსაც შეთანხმებით იღებენ. უილმოტმა და იანგმა დაასკვნეს, რომ ეგალიტარული ქორწინება ნორმა იყო 1970-იანი წლების სიმეტრიულ ბირთვულ ოჯახში. [Gender Roles & Family Life]

უილმოტის და იანგის თეორია ყველ ოჯახზე ვერ გავრცელდება, რადგან ყველა ოჯახი არ არის სიმეტრიული, სადაც როლები არის ეგალიტარული და დემოკრატიული. ფემინისტები გამოდიან მოსაზრებით, რომ ქალები თანამედროვე ყოფაში ორმაგი ტვირთის მატარებლები არიან, რადგან ქალები კიდევ უფრო მეტად ასრულებენ საოჯახო საქმიანობას და, ამასთან, ჩართულნი არიან სამუშაო ბაზარში. როგორც კვლევები აჩვენებს, უფრო მდიდარ ოჯახებში მამაკაცები ნაკლებად არიან საოჯახო საქმეებში მეულეთა დამხმარეები. [Lynotte, 2015]

ცხოვრების სტილის და ოჯახის სტრუქტურის არჩევისას პლურალიზაციის შესაძლებლობები იკვეთება. ზოგიერთისთვის ოჯახის ოპტიმალურ მოდელს წარმოადგენს ტრადიციული გენდერული ურთიერთობები, როცა მარჩენალი მამაკაცია, ხოლო დიასახლისი ქალი. ზოგიერთისთვის პრიორიტეტი პროფესიული თვითრეალიზება და კარიერული წარმატებაა, მაგრამ უმრავლესობა ირჩევს ოჯახისა და სამუშაოს კომბინაციას. ამშემთხვევაში ქალს სურს იყოს არა მხოლოდ ცოლი და დედა, არამედ შრომით ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიონალი. ამასთან მამაკაცი იღებს ბავშვზე ზრუნვის ვალდებულებას და ეს ხდება არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ საზოგადოების მხარდაჭერით ღირებულებებისა და პრაქტიკის დონეზე.

გენდერული ცნობიერება და ოჯახური მოწყობის ცვალებადობის აღიარების ერთ-ერთი პრაქტიკული და ინტელექტუალური მამოძრავებელი ძალაა ქალების ქცევის ცვლილება და მამაკაცის მარჩენლის მოდელის შესუსტება. ქალები და მამაკაცები აერთიანებენ ანაზღურებადი სამუშაოდან მიღებულ ბიუჯეტს და შვილებზე ზრუნვას. თანამედროვე ქალების უმეტესობა ცდილობს შევიდეს სამუშაო ბაზარზე, მოიკიდოს ფეხი და აიწყოს კარიერა. თუ ამას აკეთებს ქალი, რომელსაც ოჯახი ჯერ არ შეუქმნია, მაშინ ის აუცილებლად გადაავადებს ქორწინებას და შესაბამისად მშობლობას. რადგან უმთავრესი პრობლემა, რომელიც დასაქმებული ქალების წინაშე დგას სამსახურისა და შვილის აღზრდის შეთანხმებაშია. გადავადებული მშობლობა კი მცირეშვილიანობის გარანტია.

ბევრი სოციოლოგი და დემოგრაფი მიიჩნევს ოჯახის, როგორც ინსტიტუტის კრიზისად - ისტორიულად დაბალი შობადობის გაჩენას მთელ პოსტინდუსტრიულ სამყაროში. მ. ბრინტონი, რომელიც დიდი ხანია სწავლობს გენდერულ უთანასწორობას, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ცუდად არის მორგებული ოჯახის მამრობითი სქესის მოდელი 21-ე საუკუნის რეალობასთან. ყველაზე დაბალი შობადობის მქონე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში (აღმოსავლეთ აზიის, სამხრეთ ევროპის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში) აქვთ დამოკიდებულებაში კონსერვატიული გენდერული როლების კომბინაცია - ხანგრძლივი სამუშაო საათები და ხისტი შრომის ბაზრის ინტიტუტები, რომლებიც მძიმედ აჯარიმებენ დედების დასაქმებას. მისი აზრით, უფრო მოქნილი სამუშაო ბაზრები, მოკლე სამუშაო საათები და მეტი გენდერული თანასწორობით მიდგომა საუკეთესო მხარდაჭერას უზრუნველყოფს 21-ე საუკუნეში „ოჯახის კეთების“ საქმეში [Brinton M., 2018].

2022 წელს ჩავატარეთ სოციოლოგიური კვლევა ქ. თბილისში, რესპოდენტებად ავირჩიეთ დასაქმებული 20-49 წლის მოქალაქეები. დასაქმებული დედები საკუთარი ოჯახის მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებდნენ სამსახურისა და შვილის აღზრდის სიძნელეს, ასევე, საოჯახო საქმიანობისთვის და ბავშვის აღზრდისთვის საჭირო დროის დეფიციტს. სოციოლოგიაში აღიარებულია, რომ დედა არის მთავარი აგენტი შვილის სოციალიზაციის პროცესში და შვილებთან ურთიერთობის პირველი ობიექტი, რომლის მეშვეობითაც შვილები ეცნობიან უფრო დიდ სოციალურ სისტემას. ადამიანები ერთმანეთისაგან სწავლობენ დაკვირვების გზით, იმიტაცია და მოდელირება, რაც იმას ნიშნავს, რომ დედა ხდება შვილის ქცევის პირველი მოდელი. დასაქმებული დედები, დროის დეფიციტის გამო შვილების აღზრდის პროცესში აბამენ ძიძებს, ან უკეთეს შემთხვევაში, ოჯახის სხვა წევრს. ისინი მეუღლესთან ერთად მატერიალურად უაზრუნველყოფენ ოჯახს და შვილებს, მაგრამ ემოციური კავშირი შესუსტებულია.

ოჯახში მნიშვნელოვანია ცოლ-ქმრის ერთობლივი საქმიანობა მეუღლეობის ამოცანების შესასრულებლად. განმსაზღვრელი როლი ენიჭება ცოლ-ქმარს შორის უფლება მოვალეობებისა და

პრივილეგიების გათვალისწინებას, ოჯახისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას. თუ მეუღლეებს თანაბარი გავლენა აქვთ ოჯახში, მაშინ გადაწყვეტილებები მიიღება ერთობლივი განხილვით. ასეთი ოჯახები ჩვენი რესპოდენტების უმრავლესობას შეადგენს. 78%-თან ოჯახისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ორივე მეუღლე შეთანხმებით. მათ ოჯახებში მეუღლეებს შორის როლები თანაბრადაა განაწილებული და გადაწყვეთილებებიც მიიღება შეთანხმების საფუძველზე. ე.ი. სახეზე გვაქვს ეგალიტარული ოჯახი. რესპოდენტთა 9%-ს დემოკრატიული ოჯახი აქვს, რადგან გადაწყვეტილებების მიღება ხდება ოჯახის ყველა წევრის შეთანხმებით.

ოჯახში ფინანსური ურთიერთობებისა და ბიუჯეტის განაწილების კულტურის მიხედვით ყალიბდება „ოჯახის კლიმატი". რომელიც გავლენას ახდენს ოჯახის სტაბილურობაზე, კეთილდღეობასა და ცოლ-ქმრული ცხოვრებით კმაყოფილებაზე. თუმცა მათთან ერთად აუცილებელია მეუღლეთა შორის საოჯახო საქმეებში შრომის თანაბარი განაწილება. ყოფა-ცხოვრებაში თანასწორობა მეუღლეთა ურთიერთობისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ოჯახი გულისხმობს „ჩვენ"-ს. ამ ერთიანობაში ოჯახური ინტერესები წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული, თანაც ეს ისე უნდა განხორციელდეს, რომ მოხდეს მისი ყოველი წევრის პირადი ინტერესების დაცვა. მეუღლეებს მიეცეთ თვითრეალიზების შესაძლებლობა. გამოკვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტები საკუთარი ოჯახის სტაბილურობის უმთავრეს პირობად საოჯახო შრომის თანაბარი განაწილება მიაჩნიათ (44%). უკვე აღვნიშნეთ, რომ ქალის როგორც სამუშაო ძალის ზრდამ, ამ უკანასკნელს შეუზღუდა ოჯახში ყოფნის დრო. ამიტომ მეუღლეთა შორის საოჯახო საქმეების თანაბარი განაწილების ტენდენცია არა მხოლოდ მისაღები, არამედ სულ უფრო აუცილებელი ხდება. მისი განხორციელება შესაძლებელია მეუღლეთა შორის გაგების, თანაგრძნობისა და შეთანხმების საფუძველზე, რაც მეუღლეთა ემოციურ კავშირზე მიუთითებს. სწორედ ამის გამო დაასახელეს რესპოდენტებმა ოჯახის სტაბილურობის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის: ემოციური წონასწორობის დაცვა (39%), მოთმენა (37%), მიმტევებლობა (32%) და მეუღლეთა თვითრეალიზების შესაძლებლობა (30%).

მეუღლეთა შორის ჩნდება აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც შეხედულებებისა და სურვილების, მოთხოვნილებებისა და ინტერესების, მოტივებისა და ქცევის ნორმების შეჯახებითაა გამოწვეული. ოჯახში ამგვარი ურთიერთობა მკვლევართა მხრიდან განიხილება, როგორც ადამიანთა ურთიერთობის ბუნებრივი პირობა. ოჯახს სრულიად განსხვავებული ორი პიროვნება ქმნის. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ მათ ურთიერთობაში წარმოიშვას პრობლემური სიტუაციები. ამ შემთხვევაში გამოსვლას ამსუბუქებს მეუღლეთა თავშეკავება, მოთმენის უნარი. ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული ჩვენ რესპოდენტებს, მათმა მესამედზე მეტმა ოჯახის სტაბილურობის განმსაზღვრელად მოთმენა დაასახელა. ოჯახური კონფლიქტის დროს ყველაზე ხშირად დილემაა დათმოს თუ არ დათმოს. გამოკვლევით დადგინდა, რომ ოჯახში კონფლიქტური სიტუაციის დროს ყველაზე მეტად დამთმობია ქმარი (35%), მათთან შედარებით მცირეა იმ ოჯახების წილი სადაც ცალკეულ შემთხვევებში ორივე მეუღლეს უწევს დათმობა (ხან ცოლი, ხან ქმარი - 28%), რესპოდენტთა ოჯახების მხოლოდ 27%-ში ოჯახური კონფლიქტის დროს უფრო მეტად თმობს ცოლი, ხოლო 10%-თან არცერთი არ არის დამთმობი. იმ ოჯახებთან შედარებით სადაც ორივე მეუღლეს უჭირს კონფლიქტის დროს დათმობა, სამჯერ მეტად დასახელდა მეუღლის უარყოფით თვისებად სიჯიუტე (30%).

ოჯახი არ არის მხოლოდ ერთ ჭერ ქვეშ მცხოვრებთა ინსტიტუტი. ეს არის ერთმანეთის მოსიყვარულე, ერთმანეთზე მზრუნველი, ერთმანეთის პატივისმცემელი და ერთგული ადამიანების გაერთიანება. ოჯახი ალტრუიზმზეა დაფუძნებული. შეიძლება მეუღლეები ერთნაირად არ აზროვნებდნენ, მაგრამ ეს მათ ოჯახურ ცხოვრებას დაბრკოლებას არ უნდა უქმნიდეს. ოჯახში ყველას უნდა შეეძლოს ღიად გამოხატოს საკუთარი აზრი, აკრიტიკებდნენ და მხარს უჭერდნენ ერთმანეთს და ამავდროულად ოჯახში რჩებოდნენ დამოუკიდებელ და პასუხისმგებლობის მქონე ინდივიდებად. იმისთვის, რომ ოჯახური ცხოვრება წარმატებულად ჩაითვალოს საჭიროა თანაცხოვრებაში მეუღლეებს ჰქონდეთ ბედნიერების შეგრძნება. მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რომელსაც თითოეული ოჯახი აწყდება, თავს კმაყოფილად და კომფორტულად გრძნობდნენ. რესპოდენტებს უნდა შეეფასებინათ თავიანთი ოჯახური ცხოვრებით კმაყოფილება ათ ბალიანი შკალით, სადაც ათი ქულა იყო უმაღლესი შეფასება. რესპოდენტთა უმრავლესობამ (30,0%) უმაღლესი შეფასება მისცა. ოჯახური ცხოვრე-ბით სრული უკმაყოფილება მხოლოდ ერთმა რესპოდენტმა გამოხატა და მისი ოჯახიც განქორწინების გაფორმების წინაშე იდგა.

საზოგადოებაში ტრადიციულ და თანამედ-

როვე შეხედულებებს შორის საკმაო განსხვავებაა, რაც ბევრ ოჯახს დილემის წინაშე აყენებს. დღეს ოჯახები ისევ შედგებიან არათანასწორი მეუღ-ლეებისაგან: ავტორიტარული ქმრისა და მორჩილი ცოლისაგან. თანასწორმა სტატუსმა შეიძლება გააღიზიანოს ქმარი. საზოგადოებაში ჯერ კიდევ გვხვდება ძალადობის ფაქტები. ოჯახში ძალადობა სერიოზული სოციალური პრობლემაა. ოჯახში ძალადობის ფაქტები მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ის განიხილება როგორც ადამიანის უფლებების დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ფაქტი და წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ ფორმას. ასეთი ფაქტი ყველაზე ხშირად ჩაკეტილი სოციალური წყობისთვისაა დამახასიათებელი და სერიოზული უარყოფითი შედეგების მომტანია.

ჩვენი საზოგადოების, სულ რაღაც ათი წლის წინანდელი, დამოკიდებულება ოჯახში ძალა-დობისადმი, მკვეთრად განსხვავდება ახლანდე-ლისაგან. თუ ადრე ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოაშკარავება არ ითვლებოდა მიზანშეწონილად, მას მიიჩნევდნენ როგორც „ოჯახის საქმეს". დღეს, ამ მრივ, საზოგადოების ცნობიერება მკვეთრად არის შეცვლილი, რაზეც მიუთითებს მიმარ-თვიანობის მკვეთრი ზრდა. მაგალითად, 2015 წლიდან ყოველწლიურად იზრდება ძალადობის შემთხვევების მიმართვიანობა 50%-ით [https://idfi.ge/ge/domestic_violence_statistics_in_georgia].

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიშში მოყვანილია ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც საქართველოში ოჯახში ფიზიკური ძალადობის 2362, ფსიქოლოგიურის - 8077, ეკონომიკურის - 98, სექსუალურის - 36, იძულება - 73, უგულებელყოფა - 69 შემთხვევა დაფიქსირდა. [https://info.police.ge/page?id=786&parent_id=102]

ოჯახური ცხოვრება ყოველთვის არ არის ვარდისფერ ფერებში, სინამდვილეში მასში უარყოფითი სურათებიცაა, რასაც ადასტურებს ჩვენ მიერ მოყვანილი ციფრები. ოჯახური ძალადობის კვლევის მონაცემები აჩვენებენ, რომ ოჯახში ძალადობის 70% არის მამაკაცების მხრიდან ჩადენილი, მაშინ როცა ქმრები იშვიათად გრძნობენ შიშს ან დაშინებას მათი ცოლების მხრიდან. ოჯახური იდეოლოგია ატარებს გარკვეულ კულტურულ მოლოდინებს, რომლებიც დიდწილად განსაზღვრულია მამაკაცების მიერ. თუ ქალი ამ მოლოდინებს ვერ გაამართლებს, შეიძლება დადგეს სასჯელი ოჯახში ძალადობის სახით. თუმცა ქალებიც განიცდიან ამ იდეოლოგიის გავლენას, როცა საკუთარ თავს იდანაშაულებენ პარტნიორის ძალადობაში.

დასკვნა. ოჯახი ყველასთვის ნაცნობი სოციალური ინსტიტუტია, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით, ის რთული და საინტერესო სოციალური ფენომენია, რომელიც პიროვნებათშორის ურთიერთობებზეა აგებული. თანამედროვე ოჯახი სულ უფრო მეტად ხდება ეგალიტარული და დემოკრატიული. ოჯახური ცხოვრებით კმაყოფილებასა და ოჯახის სტაბილურობას განსაზღვრავს შრომის თანაბარი განაწილება, მეუღლეთა ურთიერთობაში ემოციური წონასწორობის დაცვა, მოთმენა, მიმტევებლობა და მეუღლეთა თვითრეალიზების შესაძლებლობა. ქალის სამუშაო ბაზარში ჩაბმამ წარმოშვა სიძნელეები სამუშაოსა და საოჯახო საქმეების შეთავსებაში, ასევე, შვილებთან ურთიერთობის დროის დეფიციტი. რაც უარყოფითი შედეგების მომტანია - ამცირებს შობადობას ოჯახში. ასევე იწვევს ქორწინების გადავადებას და შესაბამისად, მშობლობის გადავადებას, რასაც მცირეშვილიანობამდე მივყავართ. თანამედროვე საზოგადოებაში ოჯახების გარკვეული ნაწილში მეუღლეთა პარტნიორობა არათანასწორია. ანუ სახეზეა ავტორიტარული ოჯახები. სწორედ ასეთ ოჯახებში ხდება ყველაზე ხშირად ძალადობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Brinton M., (2018.) Gender and Family. https://sociology.fas.harvard.edu/research-clusters/gender-and-family?page=6
2. Gender Roles & Family Life https://revisionworld.com/a2-level-level-revision/sociology-level-revision/family/gender-roles-family-life
3. https://idfi.ge/ge/domestic_violence_statistics_in_georgia
4. https://info.police.ge/page?id=786&parent_id=102

Gender equality in the family

Nana Menabdishvili, Doctor of Economics
Ilia state university,
Researcher of the Institute of Demography and Sociology

Summary

Important changes in the family originate from the second half of the 20th century. Gender awareness and changing family arrangements are bringing us closer to the egalitarian and democratic model of the family. Modern women are increasingly entering the labor market and starting a career. And men share household chores fairly. Rights, duties and privileges of husband and wife are equal in the family. Our sociological research has shown that equal division of labor, maintaining emotional balance, patience, forgiveness and the possibility of self-realization of spouses determine the marital happiness and stability of husband and wife. The exit of women to the labor market reduced the time for family activities. Children were especially affected. Due to lack of time, mothers hire nannies or other family members as helpers, which weakens the emotional bond between mother and child. In addition, it leads to a massive transition of families to small children.

Women's employment led to the postponement of their marriage and therefore the postponement of parenthood. A part of sociologists and demographers consider the transition of the family to small children as a crisis of the family as an institution. In a certain part of the families in modern society, the partnership of spouses is unequal. That is, there are authoritarian families. Violence happens most often in such families. Victims of violence in the family are mostly women. Domestic violence is a serious social problem. The facts of domestic violence exist in any country of the world and include all levels of society. In Georgia, physical and psychological violence is the most common form of domestic violence. Domestic violence is one of the most serious violations of human rights

Key words: gender, family, violence.

თავშესაფრის უფლებასის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურები გერმანიაში, რეადმისია და მასთან დაკავშირებული გამოწვევები

ნიკოლოზ ფიფია, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბექა კურცხალია, მაგისტრი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მიგრანტები მასპინძელ ქვეყანაში მოსახვედ-რად და თაშესაფრის უფლების მიღებამდე, ზოგჯერ მეტად რთულ და არალეგალურ გზებს გადიან, მათ შორის ქვეყანაში: 1 უვიზოდ შესვლა ან შესვლა ლეგალურად შეძენილი ვიზით (რის შემდეგაც მიგრანტი რჩება მასპინძელ ქვეყანაში და აჭარბებს ქვეყანაში ყოფნის დასაშვებ ხანგრძლივობას), 2 შესვლა ყალბი დოკუმენტებით (ზოგიერთი პირი იყენებს ყალბ დოკუმენტებს საკუთარი ვინაობის დასამალად), 3 შესვლა თაღლითური გზით მიღებული ვიზით (განაცხდის შევსებისას განზრახ ყალბი ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისად მცდარი ინფორმაციის საფუძველზე ვიზის გაცემა), 4 შესვლა საბუთების გარეშე, არარეგისტრირებული საზღვრის გადაკვეთის გზით (უკანონო შესვლა, საზღვრის გადაკვეთა სასაზღვრო გამშვები პუნქტის გვერდის ავლით).

არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის მარტივი და მოითხოვს სახელმწიფოების ერთიან კოორდინირებულ მოქმედებას. მის წინააღმდეგ ურთიერთთანამშრომლობის გარეშე ცალკეული სახელმწიფოების მოქმედება არ იქნება ეფექტური. ამ მიმართულებით, ევროკავშირის ქვეყნებში არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ევროპულმა პალამენტმა, 2024 წლის 10 აპრილს ევროკავშირის თავშესაფრისა და მიგრაციის შესახებ ახალი პაქტი დაამტკიცა, რითაც უფრო გამკაცრდა საიმიგრაციო წესები. აღნიშნული პაქტის მიზანია შეამციროს არალეგალური მიგრაცია ევროკავშირის ქვეყნებში.

არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი საშუალებად დიდი ხანია გამოიყენება რეადმისიის შეთანხმებები, იქნება ეს ორმხრივი თუ მთავრობათაშორის დონეზე. რეადმისიის შეთანხმებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს არალეგალური იმიგრაციის მოგვარებისა და მართვის საქმეში.

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების შესახებ კვლევები ცხადყოფს, რომ დაბრუნების შემდეგ ყოფილი მიგრანტები (განსაკუთრებით არალეგალური სტატუსის მქონე), უპირველეს ყოვლისა, რთული სოციალური ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით არიან მოწყვლადები. ამ გამოწვევების გადასაჭრელად რეკომენდირებულია ქმედით ღონისძიებები დაბრუნებული მიგრანტების ადგილობრივ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის მხარდასაჭერად. იმის გათვალისწინებით, რომ დასაქმება იდენტიფიცირებულია, როგორც პირველადი საჭიროება, გადამწყვეტია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომ-ლებიც ხელს შეუწყობს დაბრუნებულთა ხელმისაწვდომობას სამუშაო შესაძლებლობებზე. ეს შეიძლება მოიცავდეს დასაქმების პროგრამების შექმნას, დასაქმების სერვისებს ან ინიციატივებს, რომლებიც დაბრუნებულებს პოტენციურ დამსაქმებლებთან აკავშირებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაბრუნებული მიგრანტების წარმატებული რეინტეგრაცია ადგილობრივ შრომის ბაზარზე მოითხოვს ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც ეხება დასაქმებას, განათლების აღიარებას, უნარების განვითარებას, ინფორმირებულობას და თანამშრომლობას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

საკვანძო სიტყვები: თავშესაფრის უფლება, თავშესაფრის მაძიებელი, რეადმისია, რეინტეგრაცია

ძირითადი ნაწილი

მიგრანტები თაშესაფრის უფლების მიღებამდე, ზოგჯერ მეტად რთულ და არალეგალურ გზებს გადიან, მათ შორის ქვეყანაში: 1 უვიზოდ შესვლა ან შესვლა ლეგალურად შეძენილი ვიზით (რის შემდეგაც მიგრანტი რჩება მასპინძელ ქვეყანაში და აჭარბებს ქვეყანაში ყოფნის დასაშვებ ხანგრძლივობას), 2 შესვლა ყალბი დოკუმენტებით (ზოგიერთი პირი იყენებს ყალბ დოკუმენტებს საკუთარი ვინაობის დასამალად), 3 შესვლა თაღლითური გზით მიღებული ვიზით (განაცხდის შევსებისას განზრახ ყალბი ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისად მცდარი ინფორმაციის საფუძველზე ვიზის გაცემა), 4 შესვლა საბუთების გარეშე,

არარეგისტრირებული საზღვრის გადაკვეთის გზით - უკანონო შესვლა, საზღვრის გადაკვეთა სასაზღვრო გამშვები პუნქტის გვერდის ავლით (Worbs S et al, Illegalität von Migrationen in Deutschland, 2005).

გერმანიაში თავშესაფრის მაძიებლები ქვეყანაში ჩასვლისთანავე საზღვარზე ან მოგვიანებით ქვეყნის შიგნით უნდა გამოცხადდნენ სამთავრობო უწყებაში (DEUTSCHER PARITÄTISCHER WOHLFAHRTSVERBAND GESAMTVERBAND e. V. Arbeitshilfe zum Thema Flucht und Migration, überarbeitete, 2021). თავშესაფრის მიღების ფაქტობრივი პროცედურა სწორედ რეგისტრაციის შემდეგ იწყება, როდესაც განიხილება დაცვის საჭიროება და მიიღება გადაწყვეტილება თავშესაფრის მიცემის შესახებ (Ablauf des deutschen Asylverfahrens Ein Überblick über die einzelnen Verfahrensschritte und rechtlichen Grundlagen, Bundesamt für Migration und Flüchtlinge). პირველ ეტაპზე ხდება ახლად დაფიქსირებული მონაცემების შედარება უცხოელთა ცენტრალურ რეესტრში არსებულ მონაცემებთან და ფედერალური კრიმინალური პოლიციის ოფისის მონაცემებთან. ევროპის მასშტაბით Eurodac სისტემას იყენებენ იმის დასადგენად, შეიძლება თუ არა სხვა ევროპული სახელმწიფო იყოს პაუსხისმგებელი თავშესაფრის პროცეუდრების განხორციელებაზე. რეგისტრაციისას შეგროვებული მონაცემები ინახება უცხოელთა ცენტრალურ რეესტრში (AZR). ის შეიცავს ინფორმაციას უცხოეთიდან ჩამოსული ადამიანების შესახებ, რომლებიც იმყოფებოდნენ ან დარჩნენ გერმანიაში. ყველა საიმიგრაციო უწყება მუშაობს ამ მონაცემებით თავისი ამოცანების შესრულებისას.

თავშესაფრის განაცხადის წარდგენის შემდეგ განმცხადებლები იღებენ ბინადრობის მოწმობას. ეს არის მტკიებულება სახელმწიფო ორგანოებისთვის, რომ თქვენ აღიარებული ხართ თავშესაფრის განმცხადებლად და ლეგალურად ცხოვრობთ გერმნაშია. ბინადრობის ნებართვა ექვემდებარება სივრცით შეზღუდვებს, რომლებიც ცნობილია როგორც ბინადრობის მოთხოვნები-Residenzpflicht (Ablauf des deutschen Asylverfahrens Ein Überblick über die einzelnen Verfahrensschritte und rechtlichen Grundlagen, Bundesamt für Migration und Flüchtlinge).

პირადი გასაუბრება არის ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი აპლიკანტებისთვის თავშესაფრის მიღების პროცედურაში. მოსმენის ჩატარებაზე პასუხისმგებელნი არიან ფედერალური ოფისი ე.წ. გადაწყვეტილების მიმღები პირები. მოსმენა არის საჯარო. მასში მონაწილეობა შეუძლია ასევე ადვოკატს და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) წარმომადგენელს.

მოსმენის მიზანია მიგრაციის ინდივიდუალური მიზეზების სიღრმისეული გარკვევა. გადაწყვეტილების მიმღები პირები იცნობენ განცმხადებლების წარმოშობის ქვეყნების პირობებს. მოსმენის დროს განმცხადებლებს ეძლევათ საკმარისი დრო, რათა აღწერონ გაქცევის მიზეზები. ისინი წარმოადგენენ თავიანთი ცხოვრების ისტორიას და ცხოვრების პირობებს, აღწერენ მოგზაურობას და დევნის საკუთარ ისტორიას. ისინი ასევე გამოხატავენ თავიანთ შეფასებას იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც ელით მათ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში. ამ ყველაფერში ისინი ვალდებულნი არიან მიაწოდონ ჭეშმარიტი ინფორმაცია და მიაწიოდონ მტკიცებულება, თუკი მათ შეუძლიათ ამის მოპოვება. ეს შეიძლება იყოს ფოტოები, დოკუმენტები პოლიციის ან სხვა ორგონოებიდან და შესაძლოა ასევე სამედიცინო ცნობები. აღწერილობები ითარგმნება და ჩაიწერება და შემდეგ ხელახლა ითარგმნება განმცხადებლებისთვის მოსმენის შემდეგ (Handbuch Asyl und Rückkehr Artikel, Die Anhörung zu den Asylgründen, Staatssekretariat für Migration SEM Direktionsbereich Asyl Abteilung Asylverfahren und Praxis.

პირადი მოსმენის, დოკუმენტებისა და მტკიცებულებების ყოვლისმომცველი განხილვის შემდეგ, მიგრაციისა და ლტოლვილთა ფედერალური სამსახური - BAMF იღებს გადაწყვეტილებას თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ (Ablauf des deutschen Asylverfahrens Ein Überblick über die einzelnen Verfahrensschritte und rechtlichen Grundlagen, Bundesamt für Migration und Flüchtlinge).

დასაშვებობის შემოწმების შემდეგ მოწმდება თავშესაფრის განაცხადის შინაარსი. მოწმდება არის თუ არა თავშესაფრის შესახებ კანონის მიხედვით დაცვის ოთხი ფორმიდან ერთი (Das deutsche Asylverfahren - ausführlich erklärt Zuständigkeiten, Verfahren, Statistiken, Rechtsfolgen, Bundesamt für Migration und Flüchtlinge (BAMF), November 2014):

1. თავშესაფრის მიღების უფლება (Asylberechtigung): პირი აღიარებულია თავშესაფრის უფლებაზე, თუ მის სიცოცხლეს დაემუქრება საფრთხე, თავისი რასის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულებების, ძირითადი რელიგიური გადაწყვეტილებების ან კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის გამო;

2. ლტოლვილთა დაცვა (Flüchtlingsschutz) - ლტოლვილთა დაცვა ეფუძნება ჟენევის ლტოლვილთა კონვენციას, საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც არეგულირებს ლტოლვილთა დაცვას.

ამ კონვენციის თანახმად, ადამიანები ითვლებიან ლტოლვილებად, თუ ისინი იმყოფებიდან თავიანთი წარმოშობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სახელმწიფო ან არასახელმწფიო აქტორების მიერ რასის, რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულების ან წევრობის საფუძველზე დევნის დასაბუთებული შიშის გამო;

3. დამხარე დაცვა (Subsidiärer Schutz) - ადამიანებს უფლება აქვთ მიიღონ დამატებითი დაცვა, თუ ისინი წარადგენენ საფუძვლიან მიზეზებს იმისა, რომ მათ წარმოშობის ქვეყანაში შეიძლება მიადგეთ სერიოზული ზიანი. სეროზული ზიანი განისაზღვრება, როგორც კონკრეტული საფრთხე, მათ შორის სიკვდილით დასჯის დაწესება ან აღსრულება, წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა;

4. დეპორტაციის აკრძალვა (Abschiebungsverbot) - დეპორტაცია დაუშვებელია იურიდიული ან ჰუმანიტარული მიზეზების გამო.

თავშესაფრის უფლების მქონე პირები იღებენ ბინადრობის ნებართვას სამი წლის განმავლობაში მათი პასუხისმგებელი საიმიგრაციო ორგანოსგან. დამხმარე დაცვის უფლების მქონე პირები იღებენ ბინადრობის ნებართვას, რომელიც მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს ორი წლით. არაუგვიანეს ხუთი წლის შემდეგ, მუდმივი განსახელების ნებართვა შეიძლება გაიცეს იმ პირობით, რომ დაკმაყოფილდება სხვა მოთხოვნები, როგორიცაა საარსებო წყაროს უზრუნველყოფა და გერმანული ენის საკმარისი ცოდნა.

BAMF იღებს გადაწყვეტილებას თავშესაფრის განაცხადზე არსებული ინფორმაციის საფუძველზე. ეს გადაწყვეტილება აპლიკანტებს წერილობით ეცნობებათ. თავშესაფრის განაცხადის უარყოფისას, განასხვავებენ ორ ტიპს: უბრალო უარყოფას და უარყოფას, როგორც ,,აშკარად უსაფუძვლო''. უბრალო უარის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს 30 დღე მიეცემა ქვეყნიდან გასასვლელად. თუ თავშესაფრის მოთხონვა უარყოფილია როგორც ,,აშკარად უსაფუძვლო'' („offensichtlich unbegründet"), ქვეყნიდან გასვლის ვადა მხოლოდ ერთი კვირაა. პირს აქვს ამ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება, თუმცა სასამართლომ თუ არ შეცვალა გადაწყვეტილება და თუ პირი არ შეასრულებს ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვების ვალდებულებას, მაშინ შესაძლებელია ქვეყნის დატოვება მოხდეს იძულებით, პასუხისმგებელი საიმიგრაციო ორგანოს მეშვეობით (Ablauf des deutschen Asylverfahrens Ein Überblick über die einzelnen Verfahrensschritte und rechtlichen Grundlagen, Bundesamt für Migration und Flüchtlinge).

ფედერალური სამსახური იურიდიულად ვალდებულია გააუქმოს თავშესაფრის უფლების აღიარება, ლტოლვილის სტატუსის მინიჭება, დამხმარე დაცვის მინიჭება და დეპორტაციის აკრძალვების დადგენა შესაბამისი საფუძვლის არსებობისას. მაგალითად, თუ არასწორმა ინფორმაციამ ან გადამწყვეტი ფაქტების დამალვამ გამოიწვია დაცვის სტატუსის მინიჭება. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია შემთხვევები, როცა ყალბი ინფორმაციის და მტკიცებულებების წარდგენით ცდილობენ და ახერხებენ თავშესაფრის მაძიებლები თავშესაფრის უფლების მოპოვებას. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელმა მხარემ პირად გასაუბრებამდე იცის თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყანაში არსებული პირობები და მეტნაკლებად აქვს თავშესაფრის მაძიებლის შესახებ გარკვეული ინფორმაცია, მაინც რთულია მიგრაციის ინდივიდუალურად დასახელებული მიზეზების ზედმიწევნით გამოკვლევა და კონტროლი.

არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის მარტივი და მოითხოვს სახელმწიფოების ერთიან კოორდინირებულ მოქმედებას. მის წინააღმდეგ ურთიერთთანამშრომლობის გარეშე ცალკეული სახელმწიფოების მოქმედება არ იქნება ეფექტური. ამ მიმართულებით, ევროკავშირის ქვეყნებში არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ევროპულმა პალამენტმა, 2024 წლის 10 აპრილს ევროკავშირის თავშესაფრისა და მიგრაციის შესახებ ახალი პაქტი დაამტკიცა, რითაც უფრო გამკაცრდა საიმიგრაციო წესები. აღნიშნული პაქტის მიზანია შეამციროს არალეგალური მიგრაცია ევროკავშირის ქვეყნებში.

არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი საშუალებად დიდი ხანია გამოიყენება რეადმისიის შეთანხმებები, იქნება ეს ორმხრივი თუ მთავრობათაშორის დონეზე. რეადმისიის შეთანხმებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს არალეგალური იმიგრაციის მოგვარებისა და მართვის საქმეში (Readmission Policy in the European Union).

ნებართვის გარეშე მცხოვრები პირების რეადმისიის შესახებ ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული შეთანხმება ძალაში შევიდა 2011 წელს (საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა მიგრაციის სფეროში საკვანძო მოვლენების კრებული, 2021). აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის უფრო ფართო ჩარჩოს მიგრაციის მართვის საკითხებს, რაც ხელს უწყობს ნებართვის

გარეშე მცხოვრები პირების მოწესრიგებულ და კანონიერ დაბრუნებას (შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირის შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ).

რეადმისიის შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას და კონსოლიდაციას (საქართველო და ევროკავშირი განვითარებისა და რეფორმების კვალდაკვალ, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), 2016, გვ 103). კონკრეტულად აქცენტი კეთდება არალეგალური მიგრაციის სფეროზე. ეს მიუთითებს არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევების გადაჭრის ერთობლივ ვალდებულებაზე. კერძოდ: საქართველო იღებს ვალდებულებას, დააბრუნოს ევროკავშირში არალეგალურად მყოფი ყველა პირი, თუ დადასტურდება, რომ ეს პირები საქართველოს მოქალაქეები არიან. ეს ხაზს უსვამს ვალდებულებას ითანამშრომლოს არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში და უზრუნველყოფს ინდივიდების დაბრუნებას მათი წარმოშობის ქვეყანაში.

შეთანხმება ასახავს პირობებს, რომლითაც საქართველო თანახმაა განახორციელოს მესამე ქვეყ-ნის მოქალაქეების რეადმისია. ეს მოიცავს პირებს, რომლებიც შევიდნენ ევროკავშირში უშუალოდ და არალეგალურად საქართველოს ტერიტორიიდან, აგრეთვე მათ, ვისაც გააჩნდა მოქმედი ვიზა ან ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაცემულია საქართველოს მიერ რეადმისიის შესახებ განაცხადის მიღების დროს. რეადმისიის პროცესში ჩართულია საქართველოს ყველა საკონსულო ევროკავშირში. ხელშეკრულება დეტალურად აღწერს საქართველოს საკონსულოების ფუნქციებსა და მოვალეობებს რეადმისიის პროცესში. ეს სიცხადე ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვას და უზრუნველყოფს რეადმისიის პროცედურების სტრუქტურირებულ და გამჭირვალე განხორციელებას.[1]

[1] რეადმისიის პროცედურები იწყება რეადმისიის განცხადების წარდგენით მომთხოვნი სახელმწიფოს კონპეტენტურ ორგანოში. ეს განცხადება არის ოფიციალური მოთხვონა პირის დაბრუნების შესახებ, რომელიც ექვემდებარება რეადმისიას. აღნიშნული განაცხადი უნდა შეიცავდეს არსებით ინფორმაციას, როგორიცაა რეადმისიას დაქვემდებარებული პირის მონაცემები და დეტალები რეადმისიის გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და Prime facie მკტიცებულებების (პირველადი მონაცემები, ჩვენება, ინფორმაცია, რაც საკმარისია სარჩელის წარმოებისთვის - ავტორის შენიშვნა) შესახებ. განაცხადი წარდგენილ უნდა იქნეს მაქსიმუმ 6 თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც ცნობილი გახდა, რომ პირი ვერ აკმაყოფილებს შესაბამის ტერიტორიაზე ცხოვრების მოთხოვნებს. გამონაკლის შემთხვეებში, როდესაც არსებობს დაბრკოლებები, ვადა შეიძლება გაგრძელდეს მაგრამ მხოლოდ დაბრკოლების აღმოფხვრამდე. კომპეტენტური ორგანო ვადლებულია უპასუხოს

შეიძლება ითქვას, რომ რეადმისიის პროცესი ხელს უწყობს მოწესრიგებულ დაბრუნებას და აძლიერებს თანამშრომლობას ევროკავშირსა და საქართველოს შორის. თუმცა, თავად დაბრუნების პროცესი შეიძლება იყოს რთული და ზოგიერთ მიგრანტს შეიძლება გაუჭირდეს წარმატებული რეინტეგრაცია დაბრუნდების შემდეგ. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს რეინტეგრაციის მხარდაჭრის ნაკლებობით, რეინტეგრაციის არაადეკვატური პროგრამებით ან სხვა გამოწვევებით. მთლიანობაში, ეს საკითხები ხაზს უსვამს იმას, რომ დაბრუნება არ არის გამოწვევების გარეშე და რომ საჭიროა ყოვლისმომცველი და მხარდამჭერი მიდგომა, რათა უზრუნველყოფილ იქნენ ის მიგრანტები, რომლებიც სამშობლოში დაბრუნდებიან.

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების შესახებ კვლევები ცხადყოფს (საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სრატეგია, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისის 2020. გვ. 40), რომ დაბრუნების შემდეგ ყოფილი მიგრანტები (განსაკუთრებით არალეგალური სტატუსის მქონე), უპირველეს ყოვლისა, რთული სოციალური ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით არიან მოწყვლადები. ამ გამოწვევების გადასაჭრელად რეკომენდირებულია ქმედით ღონისძიებები დაბრუნებული მიგრანტების ადგილობრივ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის მხარდასაჭერად. იმის გათვალისწინებით, რომ დასაქმება იდენტიფიცირებულია, როგორც პირველადი საჭიროება, გადამწყვეტია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს დაბრუნებულთა ხელმისაწვდომობას სამუშაო შესაძლებლობებზე. ეს შეიძლება მოიცავდეს დასაქმების პროგრამების შექმნას, დასაქმების სერვისებს ან ინიციატივებს, რომლებიც დაბრუნებულებს პოტენციურ დამსაქმებლებთან აკავშირებს. ბევრმა დაბრუნებულმა შესაძლოა სრულად არ იცოდეს მათთვის ხელმისაწვდომი სერვისები და დამხამრე სისტემები. სამთავრობო სერვისების ინფორმირებულობის გაზრდა, რომლებიც დაკავშირებულია დასაქმებათან, განათლებასთან და რეინტეგრაციასთან არის

რეადმისიის განცხადებას 12 კალენდარული დღის ვადაში. განაცხადის დაჩქარებული წესით წარდგენის შემთხვევაში რეაგირების დრო მცირდება 2 სამუშაო დღმედე. რეადმისიის განცხადებაზე დადებითი პასუხის მიღებისას მოთმთხოვნი სახელმწიფო ვადლებულია უზრუნველყოს პირის გადაყვანა 3 თვის ვადაში. ეს გულისხმობს მომთხოვნი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების წერილობით ინფორმირებას გადაცემის დროის, შესვლის ადგილის, და სხვა შესაბამისი დეტალების შესახებ გადაცემამდე მინიმუმ 3 სამუშაო დღით ადრე.

გადამწყვეტი მნიშვნელობის. დაბრუნებულთა ხელშეწყობა აუცილებელია რათა მოხდეს მათი უმტკივნეულოდ რესოციალიზაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაბრუნებული მიგრანტების წარმატებული რეინტეგრაცია ადგილობრივ შრომის ბაზარზე მოითხოვს ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც ეხება დასაქმებას, ინფორმირებულობას და თანამშრომლობას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

2015 წლიდან საქართველოში მოქმედებს დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო საქართველოში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი სახის მხარდაჭერის მიღება:

1. სოციალური პროექტები (მცირე ბიზნესი, შემოსავლის წყაროს გაჩენა),
2. პროფესიული სწავლების დაფინანსება,
3. ანაზღაურებადი სტაჟირება,
4. სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება,
5. იურიდიული დახმარება,
6. რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩასართავად პირი შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:
7. უნდა იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, ან მოქალაქეობის არმქონე პირი (საქართველოს მუდმივი ბინადრობის ნებართვით),
8. საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდი უნდა იყოს 1 წელზე მეტი (უწყვეტ რეჟიმში),
9. საზღვარგარეთ უნდა იმყოფებოდეს არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდეს განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდეს ჰუმანტირარული სტატუსით,
10. რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართვის დროს სამშოლოში დაბრუნებიდან არ უნდა იყოს გასული 1 წელზე მეტი.

დასკვნა

რთულია მიგრანტისთვის წარმოშობის ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილების მიღება და ამას საკუთარი, სუბიექტური მიზეზები გააჩნია. ამავე დროს მასპინძელ ქვეყანაში შესვლა და თავშესაფრის უფლების მოთხოვნა არ წარმოადგენს დადებითი გადაწყვეტილების მიღების გარანტს. აპლიკანტი გადის პროცედურებს, რაც დაკავშირებულია მისი პიროვნების იდენტიფიკაციასთან და თავშესაფრის უფლების მოთხოვნის კონკრეტული მიზეზების გამოკვლევასთან. შესაბამისად მარტივი არც თავშესაფრის მიღება არ არის.

კიდევ უფრო რთული საკითხია და მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის გამოწვევას წარმოადგენს არალეგალური მიგრაცია, რომლის წინააღმდეგ ცალკეული სახელმწიფოების ბრძოლამ შედეგი ვერ გამოიღო. სწორედ ამიტომ არალეგალური მიგრაციის საწინააღმდეგოდ გამოიყენება რეადმისიის საერთაშორისო შეთანხმებები. ნებართვის გარეშე მცხოვრები პირების რეადმისიის შესახებ ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული შეთანხმება ძალაში შევიდა 2011 წელს.

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტები, რომ არ აღმოჩნდნენ რთული ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მეტი მხარდაჭერა შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის კუთხით. ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც ეხება დასაქმებას, ინფორმირებულობას და თანამშრომლობას დაინტერესებულ მხარეებს შორის ხელს შეუწყობს დაბრუნებულთა უმტკივნეულოდ რესოციალიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა მიგრაციის სფეროში საკვანძო მოვლენების კრებული, 2021 წლის მარტი. გვ 32, chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://migration.commission.ge/files/ge-eu_m_coop_web_g.pdf
2. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1250250?publication=0 შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირის შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესხებ
3. საქართველო და ევროკავშირი განვითარებისა და რეფორმების კვალდაკვალ, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), 2016, გვ 103,
4. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://cdd.ge/uploads/files/2020-09/1599662942_saqarthvelo-da-evrokavshiri-ganvitharebisa-da-reformebis-kvaldakval-2016-1-compressed-1.pdf
5. საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სრატეგია, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისის 2020. გვ. 40 chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://migration.commission.ge/files/ms30_geo_web4.pdf
6. Kirsten Eichler, Leitfaden zum Flüchtlingsrecht, überarbeitete Auflage 2016, S.8
7. Susanne Worbs., unter mitarbeit von Michael Wolf und Peter Schimany., Illegalität von Migrationen in Deutschland, Germany 12 Juli 2005, 5.
8. DEUTSCHER PARITÄTISCHER WOHLFAHRTSVERBAND GESAMTVERBAND e. V. Arbeitshilfe zum Thema Flucht und Migration, überarbeitete 5. Auflage 2021, გვ 4. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.der-paritaetische.de/fileadmin/user_upload/Publikationen/doc/211129_broschuere_A4_asylverfahren-Aufl-5_2021_web.pdf
9. Ablauf des deutschen Asylverfahrens Ein Überblick über die einzelnen Verfahrensschritte und rechtlichen Grundlagen, Bundesamt für Migration und Flüchtlinge, გვ 11
10. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.bamf.de/SharedDocs/Anlagen/DE/AsylFluechtlingsschutz/Asylverfahren/das-deutsche-asylverfahren.pdf?__blob=publicationFile&v=24
11. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.eulisa.europa.eu/Publications/Information%20Material/EURODAC_EN_web.pdf
12. chromeextension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.bamf.de/SharedDocs/Anlagen/DE/Behoerde/flyerauslaenderzentralregister.pdf?__blob=publicationFile&v=10#:~:text=Das%20Ausl%C3%A4nderzentralregister%20(AZR)%20enth%C3%A4lt%20alle,in%20Deutschland%20haben%20oder%20hatten.
13. Ablauf des deutschen Asylverfahrens Ein Überblick über die einzelnen Verfahrensschritte und rechtlichen Grundlagen, Bundesamt für Migration und Flüchtlinge, გვ. 15, chromeextension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.bamf.de/SharedDocs/Anlagen/DE/AsylFluechtlingsschutz/Asylverfahren/das-deutsche-asylverfahren.pdf?__blob=publicationFile&v=24
14. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.nds-fluerat.org/wp-content/uploads/2021/07/2021-07-BAMF-Datenmanagement-Asylverfahren.pdf 19
15. Handbuch Asyl und Rückkehr Artikel C6.2 Die Anhörung zu den Asylgründen, Staatssekretariat für Migration SEM Direktionsbereich Asyl Abteilung Asylverfahren und Praxis, გვ.4 file:///C:/Users/NINO/Downloads/hb-c62-d%20(1).pdf
16. Ablauf des deutschen Asylverfahrens Ein Überblick über die einzelnen Verfahrensschritte und rechtlichen Grundlagen, Bundesamt für Migration und Flüchtlinge, გვ 21, chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.bamf.de/SharedDocs/Anlagen/DE/AsylFluechtlingsschutz/Asylverfahren/das-deutsche-asylverfahren.pdf?__blob=publicationFile&v=24
17. Das deutsche Asylverfahren - ausführlich erklärt Zuständigkeiten, Verfahren, Statistiken, Rechtsfolgen, Bundesamt für Migration und Flüchtlinge (BAMF), November 2014. გვ 20 chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.sachsen.de/assets/Das_deutsche_Asylverfahren_ausfuehrlich_erklaert_Broschuere_BAMF(1).pdf
18. Ablauf des deutschen Asylverfahrens Ein Überblick über die einzelnen Verfahrensschritte und rechtlichen Grundlagen, Bundesamt für Migration und Flüchtlinge, გვ 31, chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.bamf.de/SharedDocs/Anlagen/DE/AsylFluechtlingsschutz/

Asylverfahren/das-deutsche-asylverfahren.pdf?__blob=publicationFile&v=24
19. https://www.dw.com/en/european-parliament-agrees-on-stricter-eu-migration-rules/a-68782568?fbclid=IwAR2Mq-cWNYQGDrugknj_Y9xpHnyJKs_oYdRygx5FKOG4qYpFusQYkRmCm-M_aem_ATXlBadVNS_eq79bJl-Ly9iA3CGFrni-Xz6Lx_a42g_PfC0n-0OjlCEta3zzj6DVE1XJ3nOg9ZorjGXDqBdcBJP5
20. Readmission Policy in the European Union, DIRECTORATE GENERAL FOR INTERNAL POLICIES POLICY DEPARTMENT C: CITIZENS' RIGHTS AND CONSTITUTIONAL AFFAIRS CIVIL LIBERTIES, JUSTICE AND HOME AFFAIRS,ვვ 12, chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2010/425632/IPOL-LIBE_ET(2010)425632_EN.pdf
21. https://dgap.org/de/forschung/publikationen/deutsche-rueckkehrpolitik-und-abschiebungen
22. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://migration.commission.ge/files/reintegracia.pdf
23. Measures to Prevent orReduce Irregular Labour Migration P165-167ob.https://www.osce.org/files/f/documents/5/a/19253.pdf

Asylum procedures in Germany, readmission and related challenges

Nikoloz Phiphia, Professor of GTU;
Beka Kurtskhalia, Master of GTU

Summary

Migrants sometimes go through very difficult and illegal ways to get to the host country and get the right to asylum. These ways are as follows: 1 entry without a visa or entry with a legally acquired visa (after which the migrant stays in the host country and exceeds the permissible length of stay in the country), 2 entry with forged documents (some a person uses fake documents to hide his/her identity), 3 entry with a fraudulently obtained visa (deliberately providing false information when filling out the application form and, accordingly, issuing a visa based on false information), 4 entry without documents, through unregistered border crossing (illegal entry, crossing the border at the border checkpoint page bypassing).

The fight against illegal migration is not easy and requires a united coordinated action of the states. Actions of states separately, without mutual cooperation will not be effective. In this direction, against illegal migration to EU countries, the European Parliament approved a new pact on European Union's migration and asylum rules on April 10, 2024. This pact is tightening immigration rules. So, the purpose of the pact is to reduce illegal migration to EU countries.

Readmission agreements, whether bilateral or intergovernmental, have long been used as the main means of combating illegal migration. Readmission agreements play an important role in addressing and managing illegal immigration.

Studies on migrants who have returned to Georgia reveal that after returning, former migrants (especially those with illegal status) are vulnerable, first of all, in terms of difficult social and economic conditions. To address these challenges, effective measures are recommended to support the reintegration of return migrants into the local labor market. It is crucial to implement measures that support returnees' access to work opportunities. This may include the creation of employment programs, employment services or initiatives that connect returnees with potential employers.

Based on the above, the successful reintegration of return migrants into the local labor market requires a comprehensive approach to employment, education recognition, skills development, awareness and cooperation between different stakeholders.

ადამიანის ძირითადი უფლებების ტერმინოლოგიური შინაარსის გააზრებისათვის

თამარ სილაგავა, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ადამიანის უფლებების შესახებ არაერთი განმარტება არსებობს, თუმცა ყველა მათგანი აღიარებს, რომ ,,უფლება'' არის ადამიანის შესაძლებლობა იმოქმედოს თავის შეხედულების მიხედვით კანონის შესაბამისად .

ადამიანის უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლებისა და სამართლიანობის საფუძველს და დემოკრატიის ქვაკუთხედს, უმნიშვნელოვანეს პრინციპს.

ადამიანის უფლებების შესახებ არაერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტი არსებობს, მაგალითად: ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია'' (დეკლარაცია გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 1948 წლის 10 დეკემბერს. ეს არის საერთაშორისო დოკუმენტი ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ) და ,,ბავშვის უფლებათა კონვენცია''- ,,ყველა უფლება ყველა ბავშვისთვის'' (მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს, კონვენციის თანახმად „ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი''), ასევე სახელმწიფოთა კონსტიტუციები, რომლებითაც აღიარებული და დაცულია ყველა ძირითადი უფლება. ამ მხრივ არც საქართველოს კონსტიტუციაა გამონაკლისი, პირიქით, ის ეფუძნება ადამიანის ღირსების იდეას.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია (მისი წინამორბედის მსგავსად) გამოირჩევა ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებითა და მაღალი სტანდარტით (მუხლი 9. ,,ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო. დაუშვებელია ადამიანის წამება, არადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა''; მუხლი 10. „ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია. ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია ; მუხლი 11. ,,ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით''), რაც ძალზედ მნიშვნელოვანია სამართლიანობისა და მშვიდობიანი განვითარებისათვის, დემოკრატიის განმტკიცებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ადამიანი, უფლება, ბავშვი, კონვენცია, დეკლარაცია, კონსტიტუცია, დემოკრატია.

შესავალი

ადამიანის უფლებების შესახებ არაერთი განმარტება არსებობს, თუმცა ყველა მათგანი აღიარებს, რომ ,,უფლება'' არის ადამიანის შესაძლებლობა იმოქმედოს თავის შეხედულების მიხედვით, კანონის შესაბამისად .

ადამიანის უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლებისა და სამართლიანობის საფუძველს და დემოკრატიის ქვაკუთხედს, უმნიშვნელოვანეს პრინციპს, საძირკველს რომლის გარეშეც ტერმინი ,,დემოკრატია'' უბრალოდ არაფერს ნიშნავს, რადგან აქ მთავარი ღირებულება სწორედ ადამიანია და მისი ფუნდამენტური უფლებების აღიარება და უზრუნველყოფა.

ძირითადი ნაწილი

ადამიანის უფლებების შესახებ არაერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტი იქნა მიღებული, მაგალითად: ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია'', რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღი 1948 წლის 10 დეკემბერს (ეს არის საერთაშორისო დოკუმენტი ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ). ამ დეკლარაციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ნათლად აყალიბებს იმ უფლებებს, რომლებიც განუყოფელია თვითოეული ინდივიდისაგან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ, რომლითაც უზრუნველყოფილია მოზარდებისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს პიროვნების განვითარებისა და განათლების მიღების პროცესს, მაქსიმალურად თავისუფალს დამნაშავეობისა და სამართალდარღვევის ჩადენის შესაძლებლობისგან (პეკინის წესები). აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაც, რომელიც მიღებულ იქნა რომში 1950 წლის 4 ნოემბერს და მოიცავს ადამიანის ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორიცაა:

სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება,საქმის სამართლიანი განხილვის უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება, არავითარი სასჯელი კანონის გარეშე, აზრის,სინდისის და რელიგიის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა, ქორწინების უფლება, უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება და ა.შ. და ბოლოს ,,ბავშვის უფლებათა კონვენცია'', რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 1989 წელს. კონვენცია აღიარებს , რომ ბავშვებს განსაკუთრებული ზრუნვა და დაცვა სჭირდებათ. იგი საერთაშორისო დონეზე ბავშვის უფლებების პირველი კრებულია და სავალდებულოა, რომ ეს უფლებები თითოეული ბავშვისთვის იყოს გარანტირებული (,,ყველა უფლება ყველა ბავშვისთვის'', კონვენციის თანახმად „ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი"). მაგალითად: ,,ბავშვს უფლება აქვს უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი განვითარებისთვის'', ,, არცერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელყოფის ობიექტი'', ,,ბავშვის აზრის, სინდისის და რელიგიური რწმენა დაცულია'', ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი''. საქართველო ბავშვის უფლებათა კონვენციას შეუერთდა 1994 წელს. ასევე სახელმწიფოთა კონსტიტუციები, რომლებითაც აღიარებული და დაცულია ყველა ძირითადი უფლება. ამ მხრივ არც საქართველოს კონსტიტუციაა გამონაკლისი, პირიქით, ის ეფუძნება ადამიანის ღირსების იდეას (მუხლი 9. ,,ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო. დაუშვებელია ადამიანის წამება, არადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა''; მუხლი 10. „ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია. ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია; მუხლი 11. ,,ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით''). საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის სტრუქტურა ასეთია: პრეამბულა, 11 თავი და 78 მუხლი. ადამიანის ძირითად უფლებებს მოიცავს კონსტიტუციის მეორე თავი, რომელშიც 27 მუხლია (9-35 მუხლები), ესენია: ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა; სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები; თანასწორობის უფლება ; პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება; ადამიანის თავისუფლება; მიმოსვლის თავისუფლება; პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები; რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები; აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები; სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები; საკუთრების უფლება; შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა; შეკრების თავისუფლება; გაერთიანების თავისსუფლება; პოლიტიკური პარტიების თავისუფლება; საარჩევნო უფლება; საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება; შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება; განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება; ჯანმრთელობის დაცვის უფლება; გარემოს დაცვის უფლება; ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები; საპროცესო უფლებები; საქართველოს მოქალაქეობა; უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები; ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპები.

დასკვნა

საქართველოში დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში, როცა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით აღიარებულ იქნა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, კანონის უზენაესობა, სიკვდილით დასჯის აკრძალვა, ქალთა საარჩევნო უფლებები, თანასწორობა და სიტყვის თავისუფლება. საქართველო სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოა, დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი და პრაქტიკულად ფუნდამენტი კი სწორედ ადამიანის უფლებებია. ამ საკითხის მნიშვნელობა და პრიორიტეტულობა საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული 2014 წლის 30 აპრილის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაშიც ნათლად ჩანს. სტრატეგიის მიზანია ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა. იგი ხელისუფლებას ავალდებულებს

დაიცვას ადამიანის უფლებები და ჩამოაყალიბოს ისეთი სისტემა, რომელიც ადამიანებს საკუთარი უფლებების რეალიზების საშუალებას მისცემს. ადამიანის უფლებების დაცვას საქართველოს ტერიტორიაზე ზედამხედველობას უწევს სახალხო დამცველი.

სახალხო დამცველს 6 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის არანაკლებს სამი მეხუთედის უმრავლესობით.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია (მისი წინამორბედების მსგავსად) გამოირჩევა ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტით, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია სამართლიანობისა და მშვიდობიანი განვითარებისთვის, დემოკრატიის განმტკიცებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია ;
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ;
3. ბავშვის უფლებათა კონვენცია.

To understand the terminological content of basic human rights

Tamar Silagava, Doctor of Social Sciences
Georgian Technical University

Summary

There are many definitions of human rights, but they all recognize that a 'right' is the ability of a person to act according to his or her opinion in accordance with the law.

The recognition of human rights is the foundation of freedom and justice, the cornerstone of democracy, the most important principle.

There are a number of important international human rights instruments, such as: the Universal Declaration of Human Rights (The UDHR was adopted by the newly established United Nations on 10 December 1948, this document that acts like a global road map for freedom and equality – protecting the rights of every individual, everywhere. It is the most translated document in the world.) and the Convention on the Rights of the Child - For every child, every right. (In 1989, world leaders made a historic commitment to the world's children by adopting the United Nations Convention on the Rights of the Child – an international agreement on childhood. Therefore, under the 1989 UN Convention on the Rights of the Child, we refer to children because according to the same convention, "a child means every human being below the age of eighteen years").

as well as state constitutions that recognize and protect all fundamental rights. In this respect, the Constitution of Georgia is not an exception, on the contrary, it is based on the concept of human dignity.

The current Constitution of Georgia (like its predecessor) is characterized by the human rights protection safeguards and high standards (All persons are equal before the law. Any discrimination on the grounds of race, colour, sex, origin, ethnicity, language, religion, political or other views, social affiliation, property or titular status, place of residence, or on any other grounds shall be prohibited.) which is very important for justice and peaceful development, for strengthening democracy.

ფსიქოლოგია

PSYCHOLOGY

მოზარდთა ვიქტიმური ქცევა

ლია მეტრეველი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნანა ბოკუჩავა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ვიქტიმურობა (ლათ. Victima - მსხვერპლი) განიმარტება, როგორც სუბიექტის განსაკუთრებული მიდრეკილება/მზაობა განსაზღვრულ პირობებში იქცეს დაზარალებულად ან მსხვერპლად. ვიქტიმური ქცევის, როგორც ფსიქოლოგიური აქტის, ერთობ სპეციფიკური მახასიათებლები ქმნიან საფუძველს, მის ძირითად პრედიქტორად განისაზღვროს თვითაგრესია. თვითაგრესია დესტრუქციული ქცევის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც მიმართულია უშუალოდ საკუთარ თავზე. იგი პიკს აღწევს მოზარდობის ასაკში. რამდენადაც ეს პერიოდი გამოირჩევა ემოციურობის გამაძლიერებელი მძაფრი ჰორმონალური ცვლილებებით, მოზარდს უჭირს პრობლემებზე სათანადოდ რეაგირება, მწვავდება ბავშვობაში გადატანილი ფსიქოლოგიური ტრავმები, ხშირია სუიციდის მცდელობები, ადგილი აქვს ღია ზიზღს საკუთარი თავისადმი (განსაკუთრებით გარეგნობისადმი). თუ უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვი ორიენტირებულია მშობელთა და მასწავლებელთა კეთილგანწყობაზე, მოზარდობის ასაკში მოტივირებულია, თანატოლებს აამოს. ისწრაფვის რა, სოციალურად მისაღები იყოს თავისი ასაკობრივი გარემოსთვის, სჩადის ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება ჯანრთელობისა და სიცოცხლის რისკსაც კი. საგულისხმოა, რომ მოზარდობის ასაკში გრძელდება როლურ იდენტიფიკაციათა ქსელის გაფართოება, საკუთარი ფსიქოლოგიური სივრცის დამცავი სტრატეგიების შერჩევა, თვითგამორკვევა, თვითდეტერმინაციის საბაზო მექანიზმების ფორმირება, სურვილებისა და მოვალეობების სინთეზს მორგებული ქცევის აგების ტექნიკის დაუფლება. ამ ყველაფერთან ერთად იზრდება მოზარდის მსხვერპლთან იდენტიფიკაციის რისკი და ვიქტიმური ქცევის პატერნების ათვისების ალბათობა, რის საფუძველზეც ფორმირდება რთული ყოფითი პრობლემების დეზადაპტაციური მეთოდებით მოგვარების ჩვევა. წარმოადგენს რა ვიქტიმური ქცევის პრედიქტორს, თვითაგრესიული ქცევის ტენდენციათა აქტივაცია განაპირობებს ინფანტილური, ნებელობადარღვეული, უპასუხისმგებლო და სტრესმედეგობას მოკლებული პიროვნებების ფორმირებას. შესაბამისად, აუცილებელია იმ დეტერმინანტთა ძიება, რომლებიც განსაზღვრავს ვიქტიმური ქცევისკენ მოზარდთა მიდრეკილების აღმოცენებას, რათა დაზუსტდეს არსი აღნიშნული ფენომენისა და განისაზღვროს ჩასატარებელი ფსიქოლოგიური სამუშაოების კონსტრუქციული მიმართულება.

საკვანძო სიტყვები: თვითაგრესია, მოზარდი, ვიქტიმურობა, დესტრუქცია, ფსიქიკა, მსხვერპლი, თავდაცვა, ქცევა.

შესავალი

თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მოზარდთა თვითაგრესია, ვიქტიმურობის პიროვნულ მახასიათებლად ფორმირების რისკის კონტექსტში. ვიქტიმურობა, როგორც განსაკუთრებული მიდრეკილება ან მზაობა/წყობა, ხასიათდება რიგი ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური ნიშნებით, რომლებიც ქმნიან ფონს სუბიექტის მსხვერპლად ქცევისათვის. მსხვერპლს წარმოადგემს ის, ვინც

სხვა ადამიანის/ადამიანთა ზემოქმედების შედეგად დაკარგა მისთვის მნიშვნელოვანი ფასეულობები და საკუთარი ნებით იწვევს და ექვემდებარება მოძალადეს. მსხვერპლთა კლასიფიკაციაში გამოიყოფა: აგრესიული (მსხვერპლად ქცევისთვის იყენებს თავდასხმასა და ზიანის მიყენებას ან უფრო მსუბუქ ფორმებს: წყევლას, დაცინვას და სხვ.), აქტიური (უშუალოდ არ ესხმის თავს, მაგრამ ცნობიერად ან არაცნობიერად, ირიბად იწვევს თავდამსხმელს), ინიციატორი (გარკვეული საზოგადოებრივი მდგომარეობის ან პიროვნული თვისებების მქონე ადამიანი, რომლის ქმედებაც იწვევს მისთვის ზიანის მიყენებას), პასიური (სხვადასხვა მიზეზთა გამო არანაირ წინააღმდეგობას არ უწევს მოძალადეს), არაკრიტიკული (განათლების დაბალი დონის, არასრულწლოვნების ან სხვა წინაპირობათა გამო ვერ ახერხებს სიტუაციის სათანადოდ შეფასებას; ავლენს დაუკვირვებლობას, არაკრიტიკულობის დემონსტრირებას) და ნეიტრალური მსხვერპლის ტიპები.

თვითაგრესია ერთობ ფართო ცნებაა და მოიცავს, როგორც სამედიცინო, ისე ფსიქოლო-გიურ განშტოებებს. მის აღმოცენებას მრავა-ლი, როგორც შიდაპიროვნული, ისე გარემოდან მომდინარე მიზეზი განაპირობებს:

1. ფრუსტრაცია, რომლის დროსაც პიროვნებაში აღმოცენებული აგრესიული იმპულსი, ვერ პოულობს რა გარეთ გასასვლელს, მიიმართება შიგნით;

2. ფსიქოტრავმები, რომლებიც ააქტიურებენ ქცევის დაცვითი პატერნების აღმოცენებას თვითაგრესიის სახით;

3. გარკვეული ობიექტის მიღების მაღალი მოლოდინისა და რეალობის შეუსაბამობის გაცნობიერებით განპირობებული შიდაპიროვნული კონფლიქტები.

4. ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და სოციუმთან ადაპტირების უუნარობა. ახლო-ბელთა წრისა და სოციალური ინსტიტუტის აუცილებელი მხარდაჭერის არქონა მკვეთრად ამცირებს ფსიქო-ფიზიკურ რესურსებს, ბლოკავს ნეგატიური ზემოქმედებებისადმი წინააღმდე-გობის უნარს, აძლიერებს ქრონიკული სტრე-სის განცდას, იწვევს შფოთვით ემოციებს.

თვითაგრესია, როგორც ერთ-ერთი თავდაცვით - შემგუებლური ქცევის მექანიზმი უმეტესად ვლინდება მოზარდებში, რომლებიც მიდრეკილნი არიან ნევროზისკენ, დეპრესიისკენ, ინტროვერტობისა და დემონსტრატიული ქცევისკენ. კვლევები ცხადყოფენ თვითაგრესიის კავშირს დაბალ თვითშეფასებასთან, ხასიათის მაზოხისტურ პიროვნულ აქცენტუაციასთან. თვითაგრესია შეიძლება განვითარდეს აგრეთვე არასტაბილურ და მგრძნობიარე ფსიქიკის მქონე მოზარდებში, რომლებიც მიდრეკილნი არიან სხვათა იდეალიზირებისა და საკუთარი თავის დამცირებისაკენ.

ძირითადი ნაწილი

კვლევათა მიხედვით, პიროვნების ვიქტიმური დეფორმაციის ელემენტები მოზარდთა დაახლოებით 30%-ში შეინიშნება. ვიქტიმური ტიპის მოზარდის ძირითადი მახასიათებლებია: ძალიან დაბალი თვითშეფასება, უმწეობის განცდა, რიგიდულობა, კონფორმულობა, შფოთვისა და დეპრესიულობის მაღალი კოეფიციენტი. ვიქტიმურობისკენ მიდრეკილი მოზარდი ცნობიერად თუ არაცნობიერად ისწრაფვის ნებისმიერ სიტუაციაში მოირგოს მსხვერპლის როლი, რათა დაიმსახუროს საზოგადოების მხარდაჭერა. ის გამოირჩევა პასიური სოციალური პოზიციებით და უუნარობით სხვათა დახმარების გარეშე გაუმკლავდეს ექსტრემალურ/კრიზისულ სიტუაციებს. აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს არარეალიზებულობა და გადაუწყვეტელი შიდაპიროვნული კონფლიქტები, რომლებიც მსხვერპლის კომპლექსის ფორმირების მყარ საფუძველს ქმნიან.

მოზარდობის ხანა, როგორც წესი, მძაფრად და ზოგჯერ დრამატულადაც კი მიმდინარეობს, რადგან მასში განვითარების ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებია გადახლართული, ერთის მხრივ, ნეგატიური გამოვლინებები (პიროვნული დისჰარმონია, ჩამოყალიბებულ ინტერესთა შეცვლა, მოზრდილებისადმი პროტესტი და სხვ.), მეორეს მხრივ, უამრავი დადებითი შტრიხი (მზარდი დამოუკიდებლობა, ურთიერთობათა მრავალფეროვნება, პასუხისმგებლობის განვითარება და სხვ.). შეიძლება ითქვას, რომ ასაკობრივი განვითარების ეს რთული პერიოდი მთელი შემდგომი ცხოვრების განმსაზღვრელია. მოზარდის ხასიათის, პიროვნული წყობისა და დამოკიდებულებების ფორმირებაზე გავლენს ახდენს, როგორც მისი მშვინვიერ-სულიერი პოტენციალი, ისე მიკროსოციალური პირობები, გარემოცვა, მნიშვნელოვან ადამიანებთან ურთიერთობა. გარემოსთან დეზადაპტაციის სხვადასხვა ფორმები იწვევს სხვადასხვა სომატურ და ფსიქიკურ დაავადებებს, სოციალურ გადახრებს; მაგალითად, ეს შეიძლება იყოს დევიაციური ქცევა, მიმართული სიამოვნების ნებისმიერი გზით მიღებაზე (ნარკოტიკები, ალკოჰოლი), სასურველი ობიექტის ნებისმიერი გზით მოპო-

ვებაზე (წართმევა, მოპარვა), ნებისმიერი გზით თვითდამკვიდრებაზე (სხვათა დევნა, დამცირება, ძალადობა), აგრესია და თვითაგრესია. თვითაგრესია განიმარტება, როგორც განზრახული აქტივობა, მიმართული საკუთარი ფიზიკური და ფსიქიკური დაზიანებისკენ და მოიაზრება ვიქტიმური ქცევის ძირითად პრედიქტორად.

მოზარდის თვითაგრესიული პატერნი რთული პიროვნული წარმონაქმნია, რომელიც შედგება რიგი სუბბლოკებისგან: ხასიათობრივი (წარმოდგენილი თვითაგრესიისა და ხასიათის თავისებურებათა ურთიერთკავშირით), თვითშეფასებითი (წარმოდგენილი თვითაგრესიისა და თვითშეფასების ურთიერთმიმართებით; რაც უფრო მაღალია თვითაგრესია, მით უფრო დაბალია კოგნიტური შესაძლებლობების, სხეულებრივი „მე“-სა და ქცევის ავტონომიურობის თვითშეფასებითი კოეფიციენტი), ინტერაქტიური (მოიცავს სოციალიზაციისა და ადაპტაციის პროცესების წარმატება/წარუმატებლობის შესახებ წარმოდგენებს), სოციალურ-პერცეპტული (ვლინდება თვითაგრესიული ტენდენციებისა და საკუთარი პერსონისადმი სხვა ადამიანების აღქმითი თავისებურებების ურთიერთმიმართებით).

მოზარდის თვითაგრესიული ქცევის პრობლემისადმი სხვადასხვა მიდგომათა ანალიზის შედეგად წარმოჩინდება რამდენიმე კვლევით მიმართულება:

- თვითაგრესიულობა, როგორც სუიციდუალური ქცევის სახესხვაობა;
- თვითაგრესიული ქცევა ადიქტიური და ფსიქოსომატური დარღვევების კონტექსტში;
- თვითაგრესია, როგორც პათოლოგიური ქცევითი ფორმა, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ფსიქიკური და სოციალური დეზადაპტაცია და რომელიც აღმოცენდება ექსტრემალურ სიტუაციაში იმ მიზნით, რომ შეცვალოს იგი საკუთარი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით.

ფსიქოლოგიაში თვითაგრესია განიხილება თავდაცვით მექანიზმად; როცა ადამიანს გარკვეული მიზეზით არ შეუძლია მიმართოს აგრესიული იმპულსი მისთვის მტრულად განწყობილ ობიექტზე, მას მიმართავს საკუთარი თავისკენ. მოზარდის შემთხვევაში ეს გადამისამართება შესაძლოა გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით:

- აგრესიის სამიზნე არის ადამიანი, რომელიც მოზარდისთვის ძვირფასია. მისი დაკარგვის შიში ხელს უშლის აგრესიის გამოხატვას.
- მოცემულ კონტექსტში აგრესიის გამოხატვა მიუღებელია საზოგადოებისთვის, რასაც მოზარდი აცნობიერებს („მე არ შემიძლია გამოვხატო აგრესია, რადგან ყველა გაიგებს ამის შესახებ და განმსჯიან) და ცვლის აგრესიულობის ვექტორის მიმართულებას.
- აგრესიის ობიექტი მიუწვდომელია (გარდაცვლილია ან შორსაა);
- აგრესიის ობიექტი არის ადამიანი, რომელიც მოზარდზე გაცილებით ძლიერია.

აგრესიის გადამისამართება, როგორც წესი, უმეტესად არაცნობიერად ხდება და ემოციონალურად უფრო მომგებიანია მოზარდისთვის, ვიდრე მუდმივად უსიამოვნო და დესტრუქციულ განცდებში ყოფნა. ფსიქიკისთვის მიუღებელი სიტუაციისგან თავდაცვას და სტრესორისგან გაქცევას მოზარდი საკუთარი თავისთვის მცირე ტკივილის მიყენებით ცდილობს, რაც გარკვეული დროით უმსუბუქებს მდგომარეობას, მაგრამ შემდეგ ეს გადადის ჩვევაში. მოზარდი ვეღარც კი ამჩნევს, რომ ყოველი ნეგატიური ემოციის განცდისას იწყებს ფხანას, ფრჩხილების კვნეტას, საკუთარ თავზე ცუდად ფიქრს და ა.შ.. ამგვარი ქცევები, ცხადია, არა თუ ვერ წყვეტს პრობლემას, პირიქით, უფრო აღრმავებს. შედეგად მოზარდი უფრო და უფრო იძულებს/იზიზღებს საკუთარ თავს; ვერ ბედავს რა, დახმარების თხოვნას, ნელ-ნელა კარგავს ემოციურ კონტაქტს გარშემომყოფებთან.

რეფლექსიისა და ბრაზის გამოვლენის უუნარობა, გაღიზიანების შეკავება, უარის თქმა აგრესიულ რეაგირებაზე და გამოხატული ლტოლვა თვითაგრესიისაკენ განაპირობებს სოციალურად გამართლებული, დამთმობი/დამჯერი ქცევისადმი მიდრეკილებას. მოზარდები მზად არიან გარეგნულად მოახდინონ სოციალურად გამართლებული ქცევის დემონსტრირება, შესაბამისი კონკრეტული სიტუაციისა და სოციუმის მოლოდინისა. ცხადია, ეს ხდება საკუთარი მიუღებელი განცდების შეკავებისა და დაბლოკვის მცდელობის ფონზე. უიმედობის, არასასურველი მოვლენებიდან თავის ვერდაღწევის, განხიბვლის შეგრძნება ქმნის დამოკიდებული და უმწეო ქცევის წანამძღვრებს. მრისხანე განცდებისა და აგრესიული იმპულსების ჩახშობა აძლიერებს მორჩილებას, შთაგონებადობას, კონფორმულობას, სხვისი გავლენების გაძლიერებას; მოზარდები, აქვთ რა მსხვერპლად ქცევის მიდრეკილება, ამართლებენ თავიანთკენ მომართულ სხვის აგრესიას და პატიობენ.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებაში თვითაგრესიის განმამტკიცებელი ფორმები (ალკოჰოლის, თამბაქოს, ნარკოტიკების გამოყენება; სპორტისა და დასვენების ექსტრემალური საშუ-

ალებები; აქტივობათა საშიში სფერო; შედარებით უმნიშვნელო დესტრუქციული ქცევითი რეაქციები: კანის გადაყვლეფა ჭრილობის დონემდე, ფრჩხილების და ტუჩების კვნეტა დასისხლიანებამდე და ა.შ.) აღიარებულია სტრესის მომხსნელ საშუალებებად. ფსიქოანალიზის მიხედვით, არაცნობიერი ასოთდამშავებლობა - ქცევა, რომლის დროსაც მოზარდი მუდმივად რაღაცაზე წაბორძიკდება ხოლმე და იღებს ჩალურჯებებს - წარმოადგენს ფსიქოლოგიური თვითაგრესიის ფორმას. მსგავსი თვითდაზიანებები შეიძლება გამოვლინდეს, როგორც ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებით, ისე კვებითი დარღვევებითა და იძულებითი უძილობით. არ არის აუცილებელი მოზარდი ამ დროს ფიქრობდეს: „მე ცუდი ვარ და თავი უნდა დავისაჯო“. უმეტესწილად ყველაფერი არაცნობიერ დონეზე ხდება. საგულისხმოა, რომ მოზარდები ხშირად სპეციალურად ახდენენ ჩხუბის პროვოცირებას ან მოცალეობის ექსტრემალური ფორმებით გატარებას. მნიშვნელოვანია, გავიაზროთ მიზეზები ამგვარი ქცევებისა და განვასხვავოთ მათი ქცევითი და ფსიქოლოგიური დონეები. მაგალითად, შრომაჰოლიზმი (workaholism - სამუშაოსადმი გადამეტებული ერთგულება, საქმეზე, როგორც სოციალური იდენტურობისა და მხარდაჭერის განსაკუთრებულ წყაროზე ზედმეტად დაყრდნობა) ყოველთვის არ მიუთითებს თვითაგრესიაზე. ამ უკანასკნელს საფუძვლად უდევს ისეთი ფარული გრძნობები, როგორიცაა მრისხანება და საკუთარი თავის მიუღებლობა.

განიხილავენ თვითაგრესიული ქცევის რამდენიმე კატეგორიას:

- გამიზნული (თვითდაზიანება, სუიციდი) და არაცნობიერი (მსხვერპლისთვის ნიშანდობლივი ქმედება, სწრაფვა სახიფათო სიტუაციებისაკენ) თვითაგრესია;

- პირდაპირი (უშუალო ასოთდამშავებლობა) და ირიბი (საფრთხისშემცველი სიტუაციების პროვოცირება) თვითაგრესია;

- ფსიქოლოგიური (შრომაჰოლიზმი, დესტრუქციული აზრები, თვითგვემა) და ფიზიკური (ასოთდამშავებლობა) თვითაგრესია.

ფანატიკური ქცევები დამახასიათებელია, როგორც სპორტით, ისე რელიგიით დაინტერესებულთათვის. საქმე იმაშია, რომ დოგმათა მკაცრი დაცვის აუცილებლობა იწვევს ზრდას შინაგანი დაძაბულობისა, რომელიც განმუხტვისაკენ ისწრაფვის. რამდენადაც პირდაპირი აგრესია (მაგალითად, რელიგიაში) აკრძალულია, ემოცია გამოსავალს ჰპოვებს თვითაგრესიაში. თვითაგრესიის ერთერთ განსაკუთრებულ კერძო შემთხვევად ითვლება მწვავე და ავადმყოფური ემპათია, რაც გულისხმობს ზეაწეულ თანაგრძნობას გარშემომყოფდამი. ამ შემთხვევაში მოზარდის თვითდაზიანების ფუნქციაა, შეამსუბუქოს სხვათა ტკივილი, ან თუ მოცემულ სიტუაციაში თავს დამნაშავედ გრძნობს, მსგავსი ტკივილით ზღოს დანაშაული. თვითაგრესია აუტისტი მოზარდების სპეციფიკური მახასიათებელია. საკუთარი წარმოდგენებით შემოსაზღვრული მათი ფსიქიკური სამყარო მრისხანებს უმნიშვნელო ცვლილებების დროსაც კი.

არის შემთხვევები, როცა მოზარდი თვითაგრესიის გარეგნულ გამოვლინებას იყენებს გარშემომყოფთა მანიპულაციისთვის. ამ დროს მისი თვითაგრესიული პატერნი მიმართულია ყურადღების მისაქცევად. მანიპულაციური თვითაგრესიის ნამდვილი თვითაგრესიისაგან გარჩევა შესაძლოა დაკვირვებით. თუ თვითდაზიანებები ხდება მხოლოდ სხვათა თანდასწრებით, საქმე გვაქვს მანიპულაციასთან. ძალიან ხშირად ასეთი მოზარდები რაიმე მიზნის მისაღწევად იყენებენ „მსხვერპლის“ ქმედებას. მასზე პასუხი არ უნდა იყოს სასურველის მიცემა ანუ პროვოკატორის წაქეზება, რაც ცხადია, ვერ გადაწყვეტს პრობლემას; პირიქით, მოზარდი მიეჩვევა ყოველთვის ისტერიკით მიიღოს სასურველი ნივთი.

თვითაგრესიული ქცევის გენეზისისათვის გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს ოჯახს. კონფლიქტურ-ძალადობრივი ოჯახური კლიმატი და არასათანადო აღზრდის სტილი პირდაპირი გზაა თვითაგრესიის ფორმირებისკენ. მშობელს ხშირად ავიწყდება, რომ შვილი გაიზარდა და მეგობრული რჩევა და დახმარება უფრო ესაჭიროება, ვიდრე კრიტიკული შენიშვნები და ლანძღვა; ხშირად „დრო არ ჰყოფნის“ იმისთვის, რომ შვილის განცდებითა და პირადი ცხოვრებით დაინტერესდეს, მასწავლებლებიც ერიდებიან პასუხისმგებლობის აღებას („სახლიდან ასეთი მოდის“) და შესაბამისად, ძალაუფლება „ირიბი აღმზრდელების“ - აგრესიული კომპიუტერული თამაშების, ტელევიზიისა და ინტერნეტის ხელში გადადის. გულგრილი დამოკიდებულებით მოზარდი“იკეტება“, უჩნდება განცდა, რომ მისდამი მტრულად განწყობილ სამყაროში არ არსებობს სიყვარული, ნდობა და ურთიერთგაგება. ამგვარი განწყობის გადატანა/პროექცია უახლოესი გარემოცვიდან ცხოვრების ყველა სფეროზე ხდება და პათოლოგიურ სახეს იღებს. დგება „შინაგანი სიცარიელე“; იწყება საკუთარი თავისა და მოზრდილებისადმი რწმენის დაკარგვა, სამომავლო პერსპექტივების ნგრევა, რაც ყოველდღიური

ოჯახური და სასკოლო ცხოვრებიდან გაქცევისა და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სივრცეში დამკვიდრების სურვილს იწვევს; მაგრამ დევიაციური მოზარდისთვის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ცხოვრება იმ ნორმებისა და წესების უარყოფასთან ასოცირდება, რომლებსაც მისი არ ესმის, რომლებიც მას უარყოფს და არ იღებს. ძალადობის ელემენტების შემცველი მოცემულობა (კომპიუტერული თამაშები, ტელევიზია და ა.შ.) კი აგრესიული ქცევის, აზრების და რისხვის პროვოცირებას ახდენს. მოზარდის მყიფე და ადვილად მოწყვლად ფსიქიკას ვირტუალური ძალადობა რეალობაში გადმოაქვს და სახეზეა მოზარდის აგრესიით გაჯერებული ფსიქიკური წყობა, რომლის აქტივიზირებისთვის მცირე იმპულსიც კი საკმარისია. მშობლების მცდელობა დასჯით შეაკავონ და აკონტროლონ მოზარდის აგრესია, მხოლოდ განამტკიცებს და ახშირებს მის დემონსტრირებას, რასაც საბოლოოდ მივყავართ თვითაგრესიის უკიდურესი გამოვლინებებისკენ (თვითდაზიანებები, სუიციდი).

მოზარდთა ვიქტიმური ქცევის თავიდან აცილების ყველაზე ეფექტური და ჰუმანური გზაა მოზარდთა თვითაგრესიის პრევენცია, რაც შეიძლება რამდენიმე მიმართულებით განხორციელდეს: უპირველესად, ეს არის პედაგოგთა, სკოლის ფსიქოლოგთა, სოციალურ მუშაკთა ჩართულობა; მოზარდებთან მათი ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს ასაკობრივი მახასიათებლებისა და თვითაგრესიული ქცევის მიზეზთა ცოდნასა და გაანალიზებას. მუშაობა ორიენტირებული უნდა იყოს მოზარდის თვითშეცნობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, ცხოვრების მიზანთა სტრუქტურირებაზე, ჯანსაღი მიზნებისა და ინტერესების ჩამოყალიბებაზე. უნდა მოხდეს მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა პროფესიული სწავლების პროგრამებში, სხვადასხვა სპორტულ სექციებსა და წრეებში. სამუშაოს მეორე ბლოკი მიმართული უნდა იყოს მოზარდის შინაგანი დაძაბულობის მოხსნისკენ. მოზარდებმა უნდა ისწავლონ რელაქსაცია, კონფლიქტური სიტუაციები კონსტრუქციული გზით მოგვარება, საკუთარი აგრესიული იმპულსების სათანადოდ მართვა, შიშთან და შფოთვასთან გამკლავება. რაც შეეხება მუშაობის მესამე ბლოკს, იგი აუცილებლად უნდა იყოს აეწყოს მშობელთა საჭიროებების მიხედვით. ისინი უნდა გაერკვნენ შექმნილი პრობლემური სიტუაციის მიზეზებში და საჭიროებისამებრ შეცვალონ საკუთარი შვილების მიმართ დამოკიდებულება. მშობელთა კომპეტენციის გაუმჯობესება, ცხადია, უნდა მოხდეს სპეციალურად შედგენილი პროგრამებით.

დასკვნა

თვითაგრესიის, როგორც ვიქტიმური ქცევის ძირითად პრედიქტორად წარმოჩენას, განაპირობებს თავად თვითაგრესიის ფენომენისა და მოზარდობის ასაკის ტიპურ მახასიათებელთა „ჰარმონიული“ თანხვედრისა და მოზარდისთვის ესოდენ რთული/მტკივნეული ყოფითი პრობლემების „მოგვარების“ შესაძლებლობა. კერძოდ,

- თვითაგრესია, როგორც ვიქტიმური დეფორმაციის, ანუ ურთიერთობებში მსხვერპლის სოციალური როლის მორგების აქტივატორი, არასაკმარისი სოციალური კონტაქტებისა და პიროვნებათშორისი ურთიერთობების ფონზე, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ მოზარდს პრობლემათა გადაჭრის საშუალებებს სთავაზობს.

- თვითაგრესიის, როგორც აუტოვიქტიმური დეფორმაციის, ანუ ურთიერთობებში მსხვერპლის როლის თამაშისადმი მიდრეკილების მეთოდებს (ასოთდაზიანების აქტები, ცრუ და დემონსტრატიული თვითგვემის ფორმები) მოზარდი „წარმატებით“ იყენებს სხვა ადამიანთა გრძნობებზე მანიპულაციის საშუალებად.

- თვითაგრესია, როგორც ჰიპერვიქტიმური დეფორმაციის, ანუ მსხვერპლის პოზიციის, სტატუსის მიღების ტექნიკა, საკუთარი სოციალური უმწეობის ფონზე მოზარდს აძლევს ძალას აგრესიის ვექტორი გარედან შიგნით მიმართოს: მიაყენოს საკუთარ თავს ის ტკივილი, რომელიც გამიზნული ჰქონდა მისი აღქმით ბოროტი/უსამართლო ადამიანებისთვის და „შეისუბუქოს“ ნეგატიური ემოციური მდგომარეობა.

- თვითაგრესია, როგორც მიდრეკილება უკრიტიკო ვიქტიმური ქცევისაკენ, სრულად ეთანადება მოზარდობის ასაკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს - „საკუთარი უვნებლობის შეგრძნებას“. როგორც წესი, მოზარდები ზერელედ ეკიდებიან საკუთარ სასიცოცხლო რესურსსა და შესაძლებლობებს; თვლიან, რომ უკვდავები არიან და არაფერი ემუქრებათ; იტაცებთ სპორტის ექსტრემალური სახეობები და სხვადასხვა ტიპის ადიქციები.

რაც უფრო ტრავმულია მოზარდის სულიერ-მშვინვიერი გამოცდილება, მით მეტი დამაჯერებლობით განიხილავს იგი თვითაგრესიას, როგორც ცხოვრებისეული სირთულეების მოგვარებისა და მიზნის მიღწევის ერთადერთ საშუალებას და შესაბამისად, იზრდება რისკიც

ვიქტიმური შტრიხის, როგორც მდგრადი პიროვნული მახასიათებლის ფორმირებისა. მოზარდთა ვიქტიმური ქცევის თავიდან აცილების ყველაზე ეფექტური და ჰუმანური გზაა მოზარდთა თვითაგრესიის პრევენცია. ნამდვილად ღირს დაფიქრება იმაზე, თუ როგორ აღიქვამს სამყაროს მოზარდი, რომლმაც მისთვის რთულ პერიოდში პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად თვითაგრესია აირჩია; ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი და აუცილებელია, არა კონტროლის, არამედ სულიერ-მშვინვიერი კონტაქტის განმაპირობებელი მოცემულობის გაძლიერება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უზნაძე დ., პედაგოგიური თხზულებანი, „კოლორი“, თბილისი, 2005.
2. ჩხარტიშვილი, შ., აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი, 1974.
3. ჭიჭინაძე, კ., აგრესია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
4. Бандура, А; Уолтерс, Р., Подростковая агрессия, Апрель Пресс. ЭКСМО- Пресс, Москва, 2000.
5. Берковиц, А., Агрессия: Причины, последствия и контроль, ОЛМА- Пресс, Москва, 2002.
6. Берон, Р., Ричардсон, Д., Агрессия, СПб: Питер, 2001.
7. Одинцова М., Типы поведения жертвы: Опросник ролевой виктимности, Самара, Издательский дом «Бахрах», 2013.
8. Полубинский, В., Криминальная виктимология, ВНИИ МВД России, Москва, 2008.
9. Яковлев, Б. П., Литовченко, О. Г., Аутоагрессия: современные проблемы, „Феникс“, Ростов-на-Дону, 2006.
10. Feshbach, S., The function of aggression and the regulation of aggressive drive, Psychological Review, 1964.

Adolescent victim behavior

Lia Metreveli, professor
Georgian Technical University

Nana Bokuchava, PhD student
Georgian Technical University

Summary

Victimhood (lat. Victima - victim) is defined as a special tendency/willingness of a subject to become a sufferer or a victim under certain conditions. The specific characteristics of victim behavior, as a psychological act, form the basis for self-aggression to be determined as its main predictor. Self-aggression is a form of destructive behavior directed directly at oneself. It reaches its peak in adolescence. As this period is characterized by intense hormonal changes that enhance emotionality, it is difficult for adolescents find to respond appropriately to problems, psychological traumas experienced in childhood are aggravated,suicide attempts are common, there is an is open contempt for oneself (especially one's appearance).

If at younger school age the child is focused on the kindness of parents and teachers, at the age of adolescence he is motivated to help his peers. Striving to be socially acceptable for his age environment, he commits actions that are associated with the risk of health and even life. It is also significant that in adolescence, the expansion of the network of role identifications, the selection of strategies for protecting one's own psychological space, self-determination, the formation of the basic mechanisms of self-determination, and the mastering of the techniques of building behavior adapted to the synthesis of desires and duties.

At the same time, there is increasing the risk of identification with the victim and the probability of adopting victim behavior patterns, on the basis of which, there is forming the habit of solving difficult existential problems with maladaptive methods. As it is a predictor of victim behavior, the activation of the tendencies of self-aggressive behavior leads to the formation of infantile, disturbed, irresponsible and stress-resilient personalities. Accordingly, it is necessary to search for the determinants that determine the emergence of adolescent tendency to victim behavior in order to specify the essence of the mentioned phenomenon and to determine the constructive direction of the psychological work to be carried out.

Key words: self-aggression, adolescent, victimhood, destruction, psyche, self-defense, behavior.

ზნეობრივი მაგალითები ქართულ სპორტში

მამუკა მაღლაკელიძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში შეკრებილია ქართული და უცხოური სპორტის ტრადიციული სახეობების წესები, მათი ზნეჩვეულებები. „სარაინდო საქციელი ყველაზე მეტად იკვეთება ქართველი მეომრის თვისებაში, კიდევ უფრო თვალსაჩინოა იგი ქართული ხალხური სპორტის ტრადიციებში". ხსენებული თვისებების გათავისება და ზნეობრივი აღზრდა ყოველთვის მთავარი იყო ჩვენს ცხოვრებაში, იგი დამახასიათებელი უნდა იყოს თანამედროვე ახალგაზრდისთვისაც. აღწერილია ისეთი სპორტის სახეობების ისტორია, როგორიცაა ქართული ჭიდაობა, ხევსურული ფარიკაობა, ხარებთან ჭიდაობა, ლელობურთი, ხრიდოლი, სასროლო სპორტი, ცხენოსნური სახეობები. ზნეობრივი თვალსაზრისით შედარებულია ისინი უცხოურ სპორტს, კორიდას, ამერიკულ ფეხბურთს, ევროპულ დუელს, ფარიკაობას, გლადიატორთა ორთაბრძოლებს.

არნახული ზნეობრიობით გამოირჩეოდა ქართული ჭიდაობა. ,,ხალხი კვირიდან კვირამდე უქმეებს სულმოუთქმელად ელოდე¬ბოდა, რათა ქართული ჭიდაობა ეხილა. სანახაობის გარდა აქ იყო ქალაქური ჯანსაღი ურთიერთობები, ხოლო თავად ჭიდაობები უმაღლესი კლასისა და რან¬გისა". ყურადღება გამახვილებულია ქართველი მოჭიდავეების ჩაცმულობაზე, ილეთების ზნეობრივ მხარეზე, პირველ რადგან ქართულს ჭიდაობენ ჩოხებით, წელში გამართული. თორემ ანტიკურ საბერძნეთში მოჭიდავეები მთლიანად შიშვლები იყვნენ ტანზე ქონწასმულები. იკრძალება მტკივნეული და მახრჩობელა ილეთები, ფეხებში ხელის ჩავლება, წაქცეულ ან დაჩოქილ მეტოქეზე მისვლა, ზურგიდან შეტევა, სარბიელიდან გაქცევა და სხვა.

გაკეთებულია აღნიშნული სპორტის სახეობების ზნეობრივ-ესთეტიკური ანალიზი. „ვერაფერი შეედრებოდა დიდ მინდორზე გამართულ ყაბახს, სადაც ამაღლებულ სვეტიდან ოქროს თასი უნდა ჩამოეგდოთ ოსტატურად. ანდაც ორ მხედარს შორის გამართული ისინდი, რომელშიც შუბის წვერი მთლიანად გადაქლიბული იყო მოწინააღმდეგის დასანდობლად".

რაც მთავარია წარმოჩენილია უძველესი ქართული ცივილიზებული სახელმწიფოს საინტერესო ისტორია, კულტურა, მდიდარი სპორტული ტრადიციები და მისი ზნეობრივი მაგალითები.

საკვანძო სიტყვები: ზნეობრივი მაგალითები, ქართული და უცხოური სპორტი, დუელიანტები

შესავალი

საქართველოს ისტორია მდიდარია ზნეობრივი მაგალითებით. ქართველი ხალხი მსოფლიო ისტორიაში გამორჩეულია თავისი მეომრული სულით, რაინდობით, სიკეთით. ქართველი მებრძოლი გარდაცვლილ მტერსაც კი პატივს ცემდა და მიწას მიაბარებდა. არსებული სულისკვეთება აისახა ქართველთა ყოფით ცხოვრების ყველა სფეროში. დაინერგა ჩვენს პოეზიაში, ხელოვნებაში, კულტურასა და სპორტში.

სარაინდო საქციელი ყველაზე მეტად იკვეთება ქართველი მეომრის თვისებაში, კიდევ უფრო თვალსაჩინოა იგი ქართული ხალხური სპორტის ტრადიციებში. ხსენებული თვისებების გათავისება და ზნეობრივი აღზრდა ყოველთვის მთავარი იყო ჩვენს ცხოვრებაში, იგი დამახასიათებელი უნდა იყოს თანამედროვე ახალგაზრდისთვისაც.

კარგად მოგეხსენებათ, დღეს ისევე, როგორც არასდროს საჭიროა ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდა და ამ კუთხით მეტი ინფორმაციის მიწოდება, რაც ხელს შეუწყობს აღზრდის პროცესებს, მათი პატრიოტული და ეროვნული გრძნობების გაღვივებას. აქედან გამომდინარე იკვეთება ჩვენი შრომის **მიზანი** და **აქტუალობა**.

კვლევის მიზანი: ზნეობრივი მაგალითების მოძიება-მოკვლევა ქართული ხალხური სპორტის ისტორიიდან, მათი ერთად შეკრება, შედარება უცხოურ ტრადიციებთან, გაანალიზება და გაცნობა საზოგადოებისთვის.

კვლევის სიახლე: აღნიშნული კუთხით კვლევა ქართული სპორტის მაგალითზე დეტალურად არავის უწარმოებია, ან თუ გვაქვს, ერთი რომელიმე კონკრეტულ სპორტის სახეობაზე ან ფაქტზე. წინამდებარე ნაშრომში კი წარმოდგენილია რამდენიმე სპორტის სახეობის ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევა ემყარება

ისტორიულ აღწერილობას, წერილობითი წყაროების მოძიებას და შესწავლას, ეფუძნება ისტორიულ-დიალექტიკური მეთოდის გამოყენებას, დაკვირვებას, შედარების მეთოდს, მეცნიერულ ანალიზს, სინთეზს და ისტორიოგრაფიაში აპრობირებულ სხვა მეთოდებს.

თემის ძირითადი ნაწილი: წინამდებარე შრომა მინდა დავიწყო ისეთი სპორტის სახეობის ანალიზით, როგორიცაა კურული;

კურული - უძველესი ქართული ტრადიციული ორთაბრძოლაა, რომელიც, უხსოვარი დროიდან იმართებოდა საქართველოში. "კურული", როგორც თამაშად ქცეული რიტუალი სათავეს ჯერ კიდევ კოლხური კულტურიდან იღებს. „ეს იყო კუროსთან, იგივე ხართან ჭიდაობის ტრადიცია. სპეციალურად გაწვრთნილ ხარს აბამდნენ ბოძზე და გამიზნულად იწვევდნენ, შემდეგ აუშვებდნენ და მას რომელიმე ფალავანი ებრძოლებოდა. მიზანი იყო ხარის თოკებით შეკვრა და წაქცევა“.

ხარებთან ჭიდაობის ტრადიციას ვაწყდებით ფარსმან მეორის (ქველი, II ს.) მეფობაში, როდასაც რომის იმპერატორ ანტონიუს პიუსთან იმყოფებოდა სავიზიტოდ. მის უფლისწულს მითრიდატეს საჩვენებელ გამოსვლაში „ორი გავეშებული ხარი წაუქცევია“ - ვკითხულობთ რომაელი მწერლის დიონ კასიოსის ცნობებში.

კურულს თუ შევადარებთ სხვა ქვეყნის ხარებთან ბრძოლის ტრადიციებს და სამაგალითოდ მოვიყვანთ **ესპანურ კორიდას** - იქ ე.წ. მატადორი, იგივე ტორეიდორი ისრებს იყენებს და ხარს ჭრილობებს აყენებს. ესპანური კორიდა გადაიღეს პორტუგალიელებმა, ფრანგებმა, იგი დამკვიდრდა ამერიკაშიც, რომელიც საერთო ჯამში სათავეს კუნძულ კრეტადან (საბერძნეთი) ძვ.წ. აღრიცხვის XV საუკუნიდან იღებს. თუმცა ქართულ კურულში მებრძოლი არ იყო შეიარაღებული და არანაირ ჭრილობას არ აყენებდა ცხოველს.

ლელობურთი - ქართული ეროვნული სპორტის სახეობა, რომელიც აღმოცენებულია უძველესი თამაშის - ლელოს საფუძველზე. თამაში იმართება მატყლით დატენილი ბურთით (3 კგ-მდე) ფეხბურთის მინდორზე (დაახლოებით 70×105 მ), რომელსაც არ აქვს კარი. გუნდს ეთვლება ქულა, თუ იგი რაიმე საშუალებით ხელით ან ფეხით გადააცილებს ან გადაიტანს ბურთს მოწინააღმდეგის ჩათვლის ხაზს იქით როგორც ჰაერში, ისე მიწაზე. გამარჯვებულია ის, ვინც ამას მეტჯერ გააკეთებს. ნებადართულია ჩავლება, ჩაბღუჯვა, წაქცევა, მხოლოდ უხეში ილეთების გარეშე. თამაში შედგება ორი 30-წუთიანი ნახევრისა და 10-წუთიანი შესვენებისაგან.

ლელობურთთან შედარებით ამერიკული ფეხბურთი კიდე უფრო მეტად კონტაქტური და ყველაზე მეტად სახიფათო სპორტის სახეობაა, ის გამოირჩევა მკაცრი წესებითა და .ბრძოლით.

ამერიკული ფეხბურთი არის კონტაქტური სპორტი, თავდამსხმელის ბურთით სირბილის თავიდან ასაცილებლად დაცვა ბურთის მატარებელს უნდა დაუპირისპირდეს. როგორც ასეთი, დაცვითმა მოთამაშეებმა უნდა გამოიყენონ ფიზიკური კონტაქტის გარკვეული ფორმა ბურთის მატარებლის შესაჩერებლად. თავდაპირველად აღნიშნული ელემენტი ძალიან დიდ ტრამვებს აყენებდა ფეხბურთელებს, რის გამოც თანამედროვე მოთამაშეებს მოეთხოვებათ სპეციალური დამცავი აღჭურვილობის ტარება, როგორიცაა პლასტმასის ჩაფხუტი, მხრის, ბარძაყის და მუხლის ბალიშები. მიუხედავად დამცავი აღჭურვილობისა და უსაფრთხოების ზომების მიღებისა, მაინც ხშირია ტვინის შერყევის შემთხვევები. ვიკიპედია გვამცნობს, რომ არიზონას ტვინის ტრავმის ასოციაციის მონაცემებით, ყოველწლიურად დაახლოებით 41.000 საშუალო სკოლის მოსწავლე განიცდის ტვინის შერყევას. (https://ka.wikipedia.org › wiki › ამერიკული ფეხბურთი)

ხრიდოლი. შერკინების ერთ-ერთი სტილი ძველ საქართველოში, ცალი ხელით კრივი. იოსებ გრიშაშვილის ცნობით, თუ „ევროპიელთათვის არსებობს „დუელი“, ისე ჩვენებური ყარაჩოღელისათვისაც იყო ამგვარი საშუალება შეურაცჰყოფის ასანაზღაურებლად, რომელსაც „ხრიდოლი ეწოდებოდა“. ხრიდოლის განმარტება ასევე შეტანილია გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“: „ხრიდოლი, ხრიდონი – კრივი ცალი ხელით, ვარჯიში ერთი ხელით. ერთი ხელი ქამარში აქვთ გარჭობილი და მეორეთი ვარჯიშობენ-ჰკრივობენ“. ხრიდოლი ერთგვარი ოსტატობის მაჩვენებელი იყო, რადგან „ხრიდოლში“ გამომწვევი ცალი ხელით ებრძოდა ორივე ხელით მოჩხუბარ მეტოქეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ცალი ხელით მებრძოლს გაუჭირდებოდა და მეტოქე დაჩაგრავდა, ის მაინც არ არღვევდა ხრიდოლის წესებს და ისევ ცალი ხელით აგრძელებდა ბრძოლას.

რაც შეეხება ევროპულ **„დუელს“** – (ბრძოლა წესებით) ევროპული ფენომენია და მიუხედავად იმისა, რომ მასში მონაწილე პირები რაინდებად მოიხსენიება, იგი დიდი სისხლის ღვრით გამოირჩეოდა. „XVI საუკუნის საფრანგეთში დუელებს მეტი თავად-აზნაური შეეწირა, ვიდრე რამდენიმეწლიან სამოქალაქო ომს. აბსოლუტიზმის განმტკიცების

პერიოდში, ანრი IV-ის ქრონისტებმა, მისი მეფობის 16 წლის განმავლობაში (1594-1610) დუელებში დაღუპულთა რიცხვი 8 ათასი კაცით განსაზღვრეს." ცნობილია ისიც, რომ პისტოლეტით დუელში მოკლეს რუსული პოეზიის მზედ წოდებული ალექსანდრე პუშკინიც.

ხევსურული ფარიკაობა - მოწინააღმდეგე მოფარიკავეები ადათ წესების თანახმად ცდილობდნენ ერთმანეთისთვის მსუბუქი ჭრილობა მიეყენებინათ. ხოლო ამ წესების დამრღვევთ სჯიდნენ და აჯარიმებდნენ ცხვარ-ძროხით. ხევსურები ფარიკაობაში სისტემატიურ წვრთნას გადიოდ¬ნენ. „ჭრა-ჭრილობის დროს მძიმედ დაჭრა ხევსურებს სირცხვილად მიაჩ¬ნდათ; საკმარისი იყო მეშუღლის უმნიშვნელო დაჭრა, (მარტო სისხლის გამოდენა)".5 ხსენებული საბრძოლო ტრადიცია, როგორც ჩანს ადათწესების დაცვასაც გულისხმობდა, რომელიც მკაცრ საბრძოლო წესს ითვალისწინებდა და ერთმანეთისთვის ღრმა ჭრილობის მიყენებას კრძა¬ლავ¬და, რაც გარკვეულ მორალურ-ზნეობრივ ჩარჩოში დევს.

ირკვევა ერთი მეტად საგულისხმო ფაქტიც, რაც მანდილოსნის პატივისცემას ეხება. ხევსურეთში ძველი დროიდანვე დაწესდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ქალის ჩარევა მამაკაცთა ბრძოლაში მის დაუყონებლივ შეწყვეტას იწვევდა.

ხევსურული ფარიკაობისგან განსხვავებით ევროპული **ფარიკაობა** - სპორტული ორთაბრძოლის მეტად საინტერესო ნაირსახეობაა, შეიცავს სამ დისციპლინას – რაპირით, დაშნით და ხმლით ფარიკაობას. მისი ისტორია უძველესი ეგვიპტიდან და რომიდან იწყება. XVI-ე საუკუნიდან იტალიში განვითარდა, მაგრამ კლასიკური ფარიკაობის სამშობლოდ საფრანგეთი ითვლება, სადაც გამოიკვეთა ორი მიმართულება - სადუელო და სპორტული.

საფრანგეთში გავრცელებულმა დუელის ტრადიციამ არისტოკრატთა ჟლეტა გამოიწვია. „საფრანგეთში დუელებს პირდაპირ ქუჩებში აწყობდნენ, ზოგჯერ სამეფო სასახლის მახლობლადაც.

დუელის პოპულარობასთან ერთად, XVI საუკუნეში დაიწყო ამგვარი ორთაბრძოლების ამკრძალველი კანონების გამოცემა. ამის მიზეზი ის დიდი მსხვერპლი იყო, რაც დუელებს თან სდევდა. ცნობილია, რომ საფრანგეთის მეფე ანრი IV-ის (1589-1610) დროს დუელში დაღუპულ აზნაურთა რაოდენობა 7-12 ათასამდე ყოფილა. თავად ანრი IV-ს რამდენიმე კანონი გამოუცია დუელის წინააღმდეგ. ამკრძალავ კანონებს შორის აღსანიშნავია ტრიენტის (ტრენტოს) საეკლესიო კრების (1545-1563) დადგენილება, რის მიხედვითაც ეკლესიიდან განკვეთილად გამოცხადდნენ როგორც დუელის მონაწილენი, ასევე მაყურებლები, რომელნიც ბრძოლებს ესწრებოდნენ".

სასროლო სპორტი - სასროლო სპორტის ისტორიიდან ცნობილია, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სამიზნეთ გარეულ მტრედებს იყენებდნენ. XVIII-XIX საუკუნეების საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში, მოგვიანებით ამერიკაში მონადირეთა სპეციალური კლუბებიც კი არსებობდა. ისინი სროლაში ცოცხალ მტრედებზე ვარჯიშობდნენ, რომელთაც სპეციალური ყუთებიდან აფრენდნენ. თუმცა საქართველოში ხსენებული ქმედება უზნეოთ ჩათვალეს და შემდეგში მტრედები შეიცვალა საგანგებო სამიზნეებით, თიხის თეფშებით, რომელთაც ჰაერში სატყორცნი მანქანით ისროდნენ. მფრინავი სამიზნისთვის სროლას დღეს სასტენდო სროლას უწოდებენ, ის სპორტის ერთ-ერთი საუკეთესო სახეა. მას საუკეთესო უნარების გამომუშავება შეუძლია სროლის დასახვეწად.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ რომის კოლიზეუმში გავრცელებულ გლადიატორთა ორთაბრძოლებს, რომელიც არნახული შეუბრალებლობით, ადამიანთა ხოცვა-ჟლეტით და დიდი სისხლისღვრით გამოირჩეოდა. 90 000 მაყურებელი დაუნდობელი სისხლმოწყურებული იყო, რაც უფრო მეტ მებრძოლს შეიწირავდა გარეული ცხოველი, შუბი, ფიწალი და მოკლე რომაული ხმალი, მით მეტად ნასიამოვნები და კმაყოფილი ბრუნდებოდა შინ. თითქოსდა იმპერატორი, მაყურებელი და ლომი შეთქმულები იყვნენ მონების სისხლის დასაღვრელად. „რომში არსებულ სანახაობებს შორის თავისი სისასტიკით გლადიატორთა ბრძოლები გამოირჩეოდა" - წერს პროფესორი გურამ ძაგანია.

მსგავსი სისხლის წყურვილი უცხო იყო ქართული სპორტული ტრადიციისთვის. ვერაფერი შეედრებოდა დიდ მინდორზე გამართულ ყაბახს, სადაც ამაღლებულ სვეტიდან ოქროს თასი უნდა ჩამოეგდოთ ოსტატურად. ანდაც ორ მხედარს შორის გამართული ისინდი, რომელშიც შუბის წვერი მთლიანად გადაქლიბული იყო მოწინააღმდეგის დასანდობლად. გავიხსენოთ ტრადიციული დოღი, მარულა, ცხენბურთი, ბურთაობა, ამ სახეობების მოყვარულთათვის მცირე მტრობაც კი წარმოუდგენელი იყო, არათუ სისხლისღვრა.

არნახული ზნეობრიობით გამოირჩეოდა **ქართული ჭიდაობა.** ,,ხალხი კვირიდან კვირამდე უქმეებს სულმოუთქმელად ელოდებოდა, რათა ქართული ჭიდაობა ეხილა. სანახაობის გარდა აქ იყო ქალაქური ჯანსაღი ურთიერთობები, ხოლო

თავად ჭიდაობები უმაღლესი კლასისა და რანგისა“.

პირველ რიგში უნდა ითქვას ის, რომ ქართულს ჭიდაობენ ჩოხებით, წელში გამართული. თორემ ანტიკურ საბერძნეთში მოჭიდავეები მთლიანად შიშვლები იყვნენ ტანზე ქონწასმულები. იკრძალება მტკივნეული და მახრჩობელა ილეთები, ფეხებში ხელის ჩავლება, წაქცეულ ან დაჩოქილ მეტოქეზე მისვლა, ზურგიდან შეტევა, სარბიელიდან გაქცევა და სხვა.

დასკვნა

ჩვენს მიერ შეკრებილი მასალები გვაძლეს იმის საფუძველს გავაკეთოდ საინტერესო დასკვნა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ უძველეს ცივილიზებულ სახელმწიფოში. გვაქვს მეტად მდიდარი ისტორია და კულტურა, საამაყო კულტურული მემკვიდრეობა, ვხასიათდებით უაღრესად ლამაზი ქართული სპორტული ტრადიციებით. ქართული ხალხური სპორტის ყველა სახეობა, რომელიც კი ავღწერე წინამდებარე კვლევაში, ევროპულ თუ აღმოსავლურ ტრადიციებთან შედარებით გამოირჩევა კეთილიშობილებით, ზნეობრივი თვისებებით და ესთეტიკური სილამაზით.

მოყვანილი ფაქტებიდან კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმაში, რომ ქართველი მეომარი, იქნება ეს რაინდი, დუელიანტი თუ სპორტსმენი ისტორიაში ცნობილია თავისი წესიერებით და ვაჯკაცობით, სამშობლოსა და მოყვასისადმი თავდადებით. ქართველ მებრძოლს არასდროს არ აკლდა სიქველე და გამბედაობა, რაინდული სულისკვეთება და ზნეობრივი თვისებები. სწორედ აღნიშნული მიუთითებს ჩვენს უძველეს ცივილიზებულ სახელმწიფოებრივობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სოციალური ქსელი, საჯარო ჯგუფი „ჩვენი საქართველო“, ირინა გილაშვილი
2. დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XVII, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966 წ. გვ.83 თარგმანი ნოდარ ლომოურის.
3. ი. გრიშაშვილი, ტომი III, გვ. 46, 1963 წ.
4. ჟურნალი “ისტორიანი”, 2013 წლის თებერვლის ნომერი #2/26
5. მ. გორგაძე, ნარკვევები საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1959 წ. გვ.16
6. ჟურნალი “ისტორიანი”, 2012 წლის სექტემბერი, #9/21(ავტორი: კახაბერ ყალიჩავა)
7. გ.ძაგანია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია, თბ.2004 წ. გვ.19
8. თ. გოგიბედაშვილი, ქართული ჭიდაობა (ხალხური), თბილისი, 2017 გვ. 15

Moral examples in Georgian sports

Mamuka Maglakelidze, Associate Professor
of physical education of Georgia and the state of sports

Summary

The work contains the rules of traditional Georgian and foreign sports, their morals. "Saraindo's behavior is the most visible feature of the Georgian warrior, it is even more visible in the traditions of Georgian folk sports." Acquiring the mentioned qualities and moral upbringing has always been the main thing in our life, it should be typical for the modern youth as well. The history of such sports as Georgian wrestling, Khevsuri fencing, bull wrestling, practice ball, khridol, shooting sports, equestrian sports is described. From a moral point of view, they are compared to foreign sports, bullfighting, American football, European duels, fencing, gladiator fights.

Georgian wrestling was distinguished by unprecedented morality. "People eagerly waited for weekends to see Georgian wrestling. In addition to the spectacle, there were healthy city relations, and the wrestling itself was of the highest class and rank." The attention is focused on the clothes of Georgian wrestlers, on the moral side of the tricks, firstly because Georgian wrestling is done with chokhi, held in the waist. Otherwise, in ancient Greece, wrestlers were completely naked and covered in ointment. Painful and suffocating tricks, touching the legs, reaching a fallen

or kneeling opponent, attacking from the back, running away from the runner, etc. are prohibited.

A moral-aesthetic analysis of the aforementioned sports has been made. "Nothing could be compared to a joust held on a large field, where a golden cup had to be thrown down skillfully from a towering pillar. Or an isind held between two horsemen, in which the tip of the spear was completely turned to trust the opponent.

Most importantly, the interesting history, culture, rich sports traditions and moral examples of the ancient Georgian civilized state are presented.

Key words: Moral examples, Georgian and foreign sports, duelists

ფსიქოლოგიური ასპექტები ონკოპაციენტების მკურნალობის პროცესში

ქეთევან ჯაფარიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განწყობა გამოხატავს ინდივიდის ფსიქოლოგიური ორგანიზაციის — „ადამიანურ არსებით ძალათა“— უმაღლეს დონეს — მთლიანობითი სუბიექტის (პიროვნების) მოდუსს მისი მოქმედების ყოველ კონკრეტულ მომენტში. იგი თითქოს ერთ ფოკუსში უყრის თავს ყველა იმ შინაგან დინამიურ მიმართებას, რომლებიც აშუალებენ სტიმულთა ქემოქმედების შედეგად ინდივიდში აღძრულ ფსიქოლოგიურ ეფექტს და რომელთა საფუძველზეც წარმოიშობა მიმართულების მქონე ქცევა, როგორც გაწონასწორება ინდივიდსა და გარემოს შორის. განწყობის ფუნქციას წარმოადგენს არა მარტო ჯერ კიდევ განუხორციელებელი აქტივობის პოტენციური, წინასწარი ორგანიზაციის შექმნა, არამედ უკვე რეალიზებული აქტივობის აქტუალური მართვაც უკუკავშირების საშუალებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განუწყვეტელი კორეგირების გზით; ტრადიციულად განწყობა წარმოდგენილი იყო როგორც გამოვლენილი ქცევის ერთ-ერთი ფაქტორი.

დღეისათვის ბევრ კულტურასა და საზოგადოებაში, კიბო ტაბუირებულია და სიმსივნით დაავადებულები განიცდიან სტიგმატიზაციასა და დისკრიმინაციას, რამაც შეიძლება მათ მიერ დაავადების მკურნალობაზე უარიც კი განაპირობოს. ონკოლოგიური დაავადების საზოგადოების მიერ ნეგატიურმა აღქმამ, მაღალგანვითარებულ საზოგადოებებშიც კი შესაძლებელია გამოიწვიოს საზოგადოებრივი დისკუსიის ჩახშობა და კიბოს უარყოფითი ზეგავლენა სოციალურ, ემოციურ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე. სოციალურ, ემოციურ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე ონკოლოგიურ დაავადებათა გავლენის შეფასება და მასზე ადეკვატური რეაგირება, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პაციენტთა და მათი ოჯახების სიცოცხლის ხარისხს.

საკვანძო სიტყვები: ფსიქოლოგიური განწყობა, კიბო, ონკოლოგიური პაციენტი, ფსიქოლოგიური ეფექტები, ფსიქოლოგია, აღქმა.

შესავალი

ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის განვითარების ადრეულ საფეხურზევე წამოიჭრა აუცილებლობა შესწავლილიყო ინდივიდის მიზანმიმართული აქტივობის დინამიური საწყისი. გამოვლინდა ამ საწყისის ერთ-ერთი განზომილება — ქცევის გარკვეული ფორმისადმი ინდივიდის წინასწარი მზაობის მდგომარეობა ანუ განწყობა.

შესაძლებელია სიმძიმის ილუზიის ანალოგიური ილუზიები. ეს ხდება მაშინ, როდესაც სიტუაცია, რომელშიც ინდივიდს უხდება მოქმედება, არ შეესატყვისება მის განწყობას. ეს ფაქტი მეცნიერებაში ცნობილია „უზნაძის ეფექტის“ სახელით.

ძირითადი ნაწილი

ფიქსირებული განწყობის მეთოდმა შესაძლებელი გახადა შესწავლილიყო განწყობა როგორც შეგუებითი მიზანმიმართული ქცევის კონსტიტუციური ფაქტორი — ინდივიდის ქცევა „ცარიელი ადგილიდან“ არასოდეს იწყება. ინდივიდი ქცევის სუბიექტი იმით ხდება, რომ უშუალოდ მოქმედების განხორციელების მომენტში კი არ განეწყობა მოცემული მოქმედების მიმართულებით, არამედ მანამდეა წინასწარ ორიენტირებული, განწყობილი ამ მოქმედებისადმი. ამრიგად, განწყობა წესრიგს, ორგანიზაციას გამოხატავს და ქცევის განსაზღვრულობის საფუძველს წარმოადგენს. ის არის ფაქტორი, რომელიც ინდივიდის დისპოზიციათა შინაგან ორგანიზაციას ახდენს. „შინაგანი გარემოს“, ე.ი განწყობის წარმოქმნის წყალობით ინდივიდი, გარეგანი ზემოქმედების განუწყვეტელი ცვლილების მიუხედავად, თანმიმდევრულად მოქმედებს, როგორც აქტიური „ავტონომიური მთლიანობითი ერთეული“; განწყობა უდევს საფუძვლად მისი ქცევის შინაგან მოწესრიგებულობას.

კიბოს დიაგნოზის დასმის შემდგომ, ადამიანთა უმეტესობას ნეგატიური გუნება-განწყობა ეუფლება, რაც გამოიხატება შიშის, მარტოობის, აგზნებულობის სახით. კიბოსგან გადარჩენილი პირები დიაგნოზის დასმიდან რამდენიმე წლის განმავლობაში იმყოფებიან სიცოცხლის ხარისხის გაუარესების რისკის ქვეშ და გააჩნიათ გარეგნობასთან, სქესობრივ ჯანმრთელობასთან, სოციალურ იზოლაციასთან, კოგნიტურ ფუნქციებთან და რეციდივების განმეორების შიშთან დაკავშირებული უკმაყოფილებანი (2-7). კიბოს მკურნალობასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემები, როგორიცაა ფერტილურობის მოშლა, სექსუალური დისფუნქცია, თმების ცვენა და გასუქება, შეიძლება

გახდეს სტიგმატიზაციის, დისკრიმინაციისა და პარტნიორის მხრიდან უარყოფის მიზეზი. აგრეთვე მძიმე ფსიქოლოგიურ ტვირთს ატარებენ კიბოთი დაავადებულთა ახლობლები, მომვლელები. ბევრი მათგანი განიცდის ფიზიკური თუ მენტალური ჯანმრთელობის გაუარესებას (8).

კიბოთი დაავადებული პაციენტების სიცოცხლის ხარისხის სერიოზული გაუარესება შეიძლება გამოიწვიოს, ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტების ხელმისაწვდომობის შემცირებამ. ასე-თი ტკივილების განცდა ხშირად კავშირშია პაციენ-ტების ფსიქოლოგიურ დისტრესთან, რაც მაღალი ხარისხის დეპრესიასა და შიშებს მოიცავს (9). მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია განიხილავს მორფინს, როგორც აუცილებელ მედიკამენტს ტკივილის სამკურნალოდ, ოპიოიდების გამოყენების პრაქტიკა მსოფლიოს მასშტაბით მიუღებლად არათანაბარია. კერძოდ, მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები მოიხმარენ მსოფლიო მორფინის მომარაგების 93%–ს, როცა კიბოთი გარდაცვალების შემთხვევათა 65% დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში აღირიცხება

სოციალური მხარდაჭერის ქსელის და კიბოს შესახებ დისკუსიის არსებობა მნიშვნელოვანი სტრატეგიაა, კიბოს სოციალურ და ემოციურ გავლენებთან გასამკლავებლად როგორც პაციენტებისათვის, ასევე მათი მომვლელებისათვის. მხარდაჭერის წყაროებია: პარტნიორები, მეგობრები, ოჯახი, კოლეგები, ჯანდაცვის პროფესიონალები და კონსულტანტები, ადამიანები, რომლებიც ერთიანდებიან დახმარების ან მხარდამჭერ ჯგუფებში. მხარდამჭერ ჯგუფებს შეუძლიათ შექმნან მზრუნველი და ხელშემწყობი გარემო კიბოთი დაავადებულთა გრძნობების გამოსახატად და ბრაზისა და შიშის შესამცირებლად. ზოგჯერ სამსახურში შექმნილ მხარდამჭერ ქსელს, როგორც კოლეგიალური დისკუსიით, ასევე სამსახურის გაცდენისას პაციენტის გვერდში დგომით, შეუძლია იქონიოს უზარმაზარი გავლენა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. კიბოთი ავადობის განხილვა კიბოთი დაავადებული პაციენტებისთვისაც კი შეიძლება არ იყოს ადვილი, ამიტომ კლინიკის გარეთ თავისუფალ და არაფორმალურ ვითარებაში ისტორიების გაზიარება შესაძლებელია დაეხმაროთ მათ კიბოს დაძლევაში. ზოგიერთი პაციენტისათვის საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა მნიშვნელოვანი ფაქტორია ნორმალური თვითშეგრძნების აღდგენა-შენარჩუნებისათვის, ამდენად, მაღალი ხარისხის მხარდამჭერ სერვისს შეუძლია გააუმჯობესოს კიბოთი დაავადებული პაციენტების თვითშეფასება და რწმენის გაზრდა კიბოს დასაძლევად.

კიბოთი დაავადებულები და მათი ოჯახები უნდა იყვნენ უფლებამოსილი გააკეთონ მაქსიმალურად თავისუფალი არჩევანი, რაც გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობასა და თვითშეგრძნებაზე და უნარჩუნებს ღირსებას კიბოთი ავადობის მთელი პერიოდის მანძილზე. ჯანდაცვის პროფესიონალები აღჭურვილები უნდა იყვნენ სათანადო ცოდნითა და საკომუნიკაცო უნარებით, რათა გააჟღერონ გასაგები და ავტორიტეტული ინფორმაცია მკურნალობის შესაძლებლობების და სიმპტომების (მაგ. ტკივილი, შფოთვა) კონტროლის შესახებ. სასიცოცხლოდ აუცილებელია მივცეთ საშუალება პაციენტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღებაში.

ამ ყველაფრის რეალური მაგალითია ონკოლოგიური პაციენტების სტაციონარული მკურნალობის დროს, ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური განწყობის ერთი კონკრეტული შემთხვევა: თხრობას იწყებს თავად პაციენტი- „როდესაც ექთანს მივყავდი რათა მოვეთავსებინე პალატაში ექიმს ჰკითხა საერთო პალატა იყო ჩემთვის განკუთვნილი თუ იზოლირებული. ექიმმა უპასუხა რომ ცალკე პალატაში უნდა მოვეთავსებინე. ბევრმა ირგვლივ მყოფებმა თანაგრძნობით სავსე თვალებით შემომხედეს. მე კი მხოლოდ შემდეგ გავიგე, რომ ცალკე პალატაში მომაკვდავ პაციენტებს აწვენდნენ მათ ვისაც განკურნების შანსი არ ჰქონდათ. დამშვიდდი როდესაც საწოლზე დამაწვინეს, სრული სიმშვიდე ვიგრძენი იმის გამო რომ არსად ვიყავი წასასვლელი, რომ მე უკვე აღარავისთვის აღარფერი მქონდა გასაკეთებელი და პასუხისმგებელი არაფერზე ვიყავი. ვიგრძენი უცნაური გარიყულობა დანარჩენი სამყაროსაგან, და ჩემთვის უკვე სულ ერთი იყო თუ რა ხდებოდა მასში. აღარაფერი და აღარავინ მაინტერესებდა. მოვიპოვე უფლება დასვენებაზე. მარტო დავრჩი ჩემ თავთან , საკუთარ სულთან და ცხოვრებასთან. წავიდა პრობლემები, გაქრა ამაოება და მნიშვნელოვანი საკითხები. ეს სირბილი წუთიერებისათვის, მარადიულობასთან, სიკვდილთან და სიცოცხლესთან შედარებით, იმდენად უმნიშვნელო აღმოჩნდა.

მე ღმერთს მადლობას ვუხდიდი რომ ეს ბედნიერენა და სიმშვიდე შემაგრძნებინა თუნდაც სიკვკდილის წინ. მოდიოდნენ ახლობლები, ნათესავები, ოჯახის წევრები და მემშვიდობებოდნენ მე კი ვიცოდი რომ მათ კვკავ ბევრჯერ ვნახავდი. ამ განწყობით დილას პალატაში შემოსუმა ექიმმა ფეხზე რომ დამინახა განრისხდა თუ რატომ ავდექი

ასეთი ლაბორატორიული შედეგების მიუხედავად . დიაგნოზი მწვავე ლეიკემია და ანალიზში წარმოუდგენლად ცუდი შედეგები. მე კი ვუთხრაი ექიმს და რა აზრი აქვს წოლას? მან უპასუხოდ დამტოვა. შემდეგ ვკითხე როგორი პარამეტრები მაინც უნდა მქონოდა რომ იმედისმომცემი ყოფილიყო. მან უაზრო ციფრები ცამომიწერა რომელიც ჩემთვის აუხსნელი იყო მაგრამ ვიცოდი რომ მიღწევადი. და აი 2 დღის შემდეგ შემოდის აღშფოთებული ექიმი და სიხარულისგან ყვირის: როგორ შეძელი ეს შენ კარგი ანალიზები გაქვს და საერთო პალატაში გადამიყვანეს. იქ ჩემს გარდა კიდევ 5 ქალი იწვა. ისინი ჩუმად იყვნენ და კედლებს მიშტერებოდნენმე მხოლოდ 3საათი გავძელი ამეტანა ეს მდგომარეობა, მერე მივხვდი რომ სასწრაფოდ რამე უნდა გამეკეთებინა. საზამთრო დავჭერი და პალატაში შეიტანე და ხმამაღა გამოვაცხადე: საზამთრო ქიმიით გამოწვეულ გულის რევის შეგრძნებას ხსნის. თან გავიფიქრე „ღმერთმა იცის ხსნის თუ არა“ . პალატაში საზამთროს ხრაშუნის ხმა გაისმა და სიტყვები: „მართალი ყოფილა გადამიარა“ „მეც, მეც გადამიარა“ . ღამის 2 საათზე მორიგე ექთანი შემოდის და მეუბნება ხარხარს როდის მორჩებით დანარჩენ პაციენტებს სძინავთ სხვა პალატებში. ამ პალატაში ყველას გაუუმჯობესდა მდგომარეობა, აღარ გამიშვეს და ჩვენს პალატაში სხვა პალატებიდან დაიწყეს პაციენტების შემოყვანა“.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ მონათხრობისა და რეალური ფაქტების მაგალითისა შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რაოდენ მნიშვნელოვანია ონკოლოგიური პაციენტების დადებითი ფსიქოლოგიური განწყობა. ამიტომ ინდივიდებმა, თემებმა და ჯანდაცვის პროფესიონალებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ფიზიკური კეთილდღეობის გარდა კიბოს ზეგავლენის სერიოზული შემადგენელია კიბოს ფსიქოლოგიური ეფექტები და მისი გავლენა ცხოვრების ხარისხზე. სწორი კომუნიკაცია არის გადამწყვეტი, რათა დაირღვეს არასწორი წარმოდგენები კიბოს შესახებ. კიბოსგან გადარჩენილებს განსაკუთრებით კი პოპულარულ პირებს, თავისი ისტორიის გაზიარებით ახლად დიაგნოსტირებული პირებისათვის, შეუძლიათ იმედის ჩასახვა, სტიგმისა და შიშის შემცირება. განსაკუთრებით ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს მულტიმედია საშუალებების გამოყენება ინფორმაციის გაზიარებისათვის და საზოგადოების გათვიცნობიერებულობის დონის გასაზრდელად, კიბოს ფსიქოლოგიური ეფექტებისა და ფიზიკური კეთილდღეობის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, „ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები“, 1949, ტ.6
2. ნათაძე რ., წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება, თბ., 1958
3. F.H. Allport, Theories of Perception and Concept of Structure, N.Y — L., 1955
4. Allport G. W Attitudes, წგნ., Hand-book of social psychology, L., 1935
5. Gibson J. J, A critical review of rhe concept of set in contemporary experimental psychology, „Psychology Bulletin“, 1941, v.38, №9
6. www.intermedia.gehttp://intermedia.ge/
7. LIVESTRONG. (2011). Cancer Stigma and Silence around the World: A LIVESTRONG Report. Austin: LIVESTRONG.http://www.livestrong.org/ We -Do/Our - Actions/Programs - Partnerships/Anti –Stigma -Campaign
8. Mehnert, A., Koch, U., Schulz, H. et al. (2012). Prevalence of mental disorders, psychosocial distress and need for psychosocial support in cancer patients – study protocol of an epidemiological multi-center study. BMC Psychiatry, 12, 70.
9. Fiszer C, Dolbeault S, Sultan S, et al. (2014) Prevalence, intensity and predictors of the supportive care needs of women diagnosed with breast cancer: a systematic review. Psycho-Oncology. 23:361-74.
10. Fingaret MC, Teo I and Epner DE. (2014). managing body image difficulties of adult cancer patients: Lessons from available research. Cancer. 120:633–41.
11. Rosenberg SM, Tamimi RM, Gelber S et al. (2013). Body image in recently diagnosed young women with early breast cancer Psycho-Oncology. 22:1849 -55.

12. Taylor-Ford, M., Meyerowitz, B.E., D'Orazio, L.M., et al. (2013). Body image redicts quality of life in men with prostate cancer. Psycho-Oncology 22, 756–761
13. WHO (2014). Strengthening of palliative care as a component of integrated treatment throughout the life course. A67/31 4 April 2014.

Psychological aspects in the process of treatment of cancer patients

Ketevan Japaridze, PhD student
Georgian Technical University

Summary

Attitude depicts psychological organization of the individual, - as the highest level of "human essential powers" - modus of an action of a holistic subject (person) in every specific moment. It seems to focus in one all those inner dynamic approaches, that mediate psychological effect provoked by stimuli influences in individual and as the result of which directed behaviour is generated, as the balance between the individual and the environment. The function of an attitude is not only to create the potential, beforehand organization of an unrealized activity, but also to control actually already realized activity via constant correction on the bases of the information received from feedbacks; Traditionally attitude was presented as one of the factors of behaviour.

Nowadays cancer is tabued in many cultures and societies and those, who are ill with oncologic diseases, often endure stigmatization and discrimination, that may even induce them refuse treatment of their disease. Negative perception of cancer by the society may lead to keeping down public discussion on this topic even in highly developed countries and may enhance cancer's negative influence on social, emotional and physical well-being. To estimate impact of oncologic diseases on social, emotional and physical well-being and react adequately on it will significantly improve the life quality of patients and their family members.

Key words: psychological attitude, cancer, oncologic patient, psychological effects, psychology, perception.

კულტუროლოგია

CULTUROLOGY

ქართული კულტურის ტრადიციული და თანამედროვე მახასიათებლები

ნინო გომართელი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ ხოხობაშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ქართული კულტურა ისეთ უძველეს კულტურათა რიგშია, რომლებიც მსოფლიო ცივილიზაციის ხერხემალს ქმნიან. ჩვენმა ქვეყანამ უნდა შეძლოს სრულად გამოავლინოს ქართველ ერში დაგროვებული სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალი, ახლებურად წარმოაჩინოს მსოფლიოში ქართული ფენომენის სიძლიერე. საქართველოს უპირვლესი მიზანია ღირსეული ადგილის მოპოვება ახალ მსოფლიო წესრიგში, რათა ჩვენმა სამშობლომ საკუთარი წვლილი შეიტანოს ახალი მსოფლიოს მშენებლობაში.

ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურის განვითარებას და გაღრმავებას თანამედროვე სამყაროში შესაფერისი გარემო სჭირდება. XXI საუკუნეში კაცობრიობამ საკუთარ თავზე იწვნია ყველანაირი შეფერილობის დიქტატურის თუ ერთპიროვნული მმართველობის კატასტროფული შედეგები. ნათელი ხდება, რომ კულტურის განვითარებისათვის ერთადერთი და აუცილებელია თავისუფალ პიროვნებათა შემოქმედებითი ძალების თავისუფალი რეალიზაციის შესაძლებლობა. საჭიროა, საზოგადოებამ და ხელისუფლებამ გაიაზროს დემოკრატია და კულტურა, როგორც ერთმანეთთან შერწყმული და ერთმანეთის გამამდიდრებელი მოვლენები და მათი ერთდროული განვითარება ქვეყნის გამთლიანების, შენების და მსოფლიო ცივილიზაციაში ღირსეული ადგილის დამკვიდრების გზაზე მოქმედების სტრატეგიულ პრიორიტეტად გამოაცხადოს.

საკვანძო სიტყვები: კულტურა, ტრადიცია, გლობალიზაცია, დეკლარაცია, დიქტატურა, ქართული ფენომენი, კონფლიქტი, პოტენციალი, დემოკრატია, ტოლერანტობა.

შესავალი

საქართველოს საინტერესო გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია – იგი ევროპისა და აზიის გასაყარია და რაც მთავარია, მრავალფეროვანი, უნიკალური, სამიათასწლოვანი კულტურის მქონე ქვეყანაა. ჩვენი სამშობლო ვაზის, ანუ ცივილიზაციის აკვანია, მას ახასიათებს თავისუფლებისადმი დაუოკებელი სწრაფვა, სიცოცხლისა და სიხარულის უბადლო ნიჭი, კრეატიულობა, შემწყნარებლობა, ანუ ყველაფერი ის, რამაც გადაგვარჩინა და დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა, როგორც ცივილიზებული სამყაროსთვის მიმზიდველი სულიერი ერთობა.

საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერი საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ენასა და კულტურაში ახდენდა. ჩვენი ვალია, დავეყრდნოთ ქვეყნის ძირითად ტენდენციებს, გავიაზროთ კუტურა, როგორც ფენომენი, რომელსაც ეროვნული იდენტობისა და ქართული სახელმწიფოს ერთიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია.

გლობალიზაციამ მოიცვა სამყარო... ეს მტკივნეული და მეტად საშიში პროცესია მცირერიცხოვანი ერებისათვის. კოლექტიურად არ შექმნილა „ვეფხისტყაოსანი“, „სტუმარ-მასპიძელი“, „მერანი“... ლეონარდოს „საიდუმლო სერობა“, მიქელანჯელოს „დავითი“ და „მოსე“... პიროვნებები და ინდივიდები ქმნიდნენ შედევრებს და ერი ყოველ ჯერზე ახალ საფეხურზე აჰყავდათ. თუ თითოეული ჩვენთაგანი არ დაივიწყებს, რისთვის მოვიდა, რა აქვს მას პირადად ღვთისგან ნაბოძები და მიწიერ

ცხოვრებაში გასაკეთებელი, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება... სხვაგვარად კი სასიკეთო არაფერი გველის. გლობალიზაციის წინააღმდეგობრივ პროცესში გადარჩებიან და განვითარდებიან მხოლოდ ის მცირერიცხოვანი ერები, რომელთაც საუკუნეების სიღრმეში აქვთ გადგმული ფესვები თავიანთი ენისა და კულტურის სახით. ამ მხრივ, ჩვენი ქვეყანა - საქართველო რჩეულთა რიცხვშია.

ძირითადი ნაწილი

საქართველომ უნდა შეძლოს რეალურად გახდეს დასავლური სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი, ამის საწინდარია ჩვენი ძველთაძველი და ორიგინალური კულტურა, ხელოვნება, ტრადიციები, ადათ-წესები, ყოფითი ჩვევები. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სწრაფვა ევროპისაკენ სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტორებით იყო და არის განპირობებული. ჩვენი კულტურა ევროპული ტიპის ქრისტიანული კულტურაა, საკუთარი ანბანით, მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურით, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებული რენესანსული იდეებით, რუსთაველის პოეზიით, მატერიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლებით, უძველესი მრავალხმიანობით, გალობით, ხასიათით, რომლის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია სტუმართმოყვარეობა... ყველაფერი ეს კი ერთად შეადგენს ჩვენ თვითმყოფადობას, თავისებურებას, რითაც უნდა ვიყოთ მიმზიდველნი ევროპისთვის და, ზოგადად, მთელი სამყაროსათვის. ხშირად გვგონია, რომ თუკი ევროპის ნაწილი გავხდებით, ყველაფერი თავისით იმდღესვე დალაგდება. ცვლილებებს ხშირად სირთულე მოჰყვება, მხოლოდ შემდეგ მოვიმკით ჩვენსავე ნამოქმედარს. უნდა შევიგნოთ, რომ სიტყვები კი არ წყვეტს ჩვენი და ქვეყნის ბედს, არამედ გონივრული საქციელი, ფრთხილი და ზომიერი მოქმედება.

XXI საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, სამყაროში, მათ შორის, საქართველოშიც განსაკუთრებული სიმწვავით გახშირდა პოლიტიკური შეჯახებები. დიდმა დაპირისპირებებმა საბედისწეროდ გახლიჩა საზოგადოება, დანერგა ჩვენი ტრადიციების საწინააღმდეგო შეუწყნარებლობა, აგრესიულობა, სიძულვილი განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანის მიმართ... მათ, როგორც წესი, მტრად ვაცხადებთ... ამ ნიშნით ვკრძალავთ გადაცემებს, ფილმებს, სპექტაკლებს... კულტურა იმისთვისაა, რომ ყველაფერზე გამოთქვას სათქმელი, იკამათოს, იდავოს... თუ ასე არ იქნება, მაშინ სახელმწიფოში დიალოგი არ შედგება, რაც თავისთავად ერთმმართველობის დამკვიდრებას ნიშნავს. (2,8)

ეროვნულობა უპ.ყ. სულიერი კულტურის სფეროში უნდა ვეძებოთ, აქ იჩენს იგი ყველაზე მეტად თავს, თავისი წარსულით, აწმყოთი, მომავლით. ეროვნული სულიერება დამოუკიდებელი და განუმეორებელი ფენომენია, რომელშიც ასახულია ერის მთელი წარსული ცხოვრება თავისებურებებითა და სიდიადით. ერი პატივს უნდა მიაგებდეს თავის ენას, მამულს, სარწმუნოებას. ამ შემთხვევაში იქნება პასუხისმგებლობაც, პატიოსნებაც, სიყვარულიც.

ევროპელობა უპ.ყ. ტოლერანტობას ნიშნავს. უნდა შეგვეძლოს ერთმანეთის მოსმენა და პატივისცემა. ევროპელობა პიროვნების უფრო დიდ უფლებებსა და პასუხისმგებლობასაც გულისხმობს: ეს არის მოქალაქეთა აქტიური და ქმედითი ჩართვა ქვეყნის მართვის პროცესში. ევროპა უფრთხილდება თავისი წევრების კულტურულ თვითმყოფადობას, აფასებს და პატივს სცემს განსხვავებულობას, თავისებურებას. ევროპელობა ასევე, გულისხმობს ყოველი მოქალაქის პირად პასუხისმგებლობას საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე. ჩვენი ტრადიციული ღირებულებები ახლოსაა ევროპულთან. უნდა შევძლოთ ევროპული, თანამედროვე, ჰუმანური მსოფლმხედველობის გათავისება, რაც, პირველ რიგში, განსხვავებულის აღიარებას გულისხმობს. (2,9)

ევროპისთვის და დანარჩენი სამყაროსთვის ჩვენ საინტერესო ერი ვართ ჩვენი წარსულით, კულტურით, სულიერებით. ევროპას აინტერესებს ჩვენი ინდივიდუალურობა. ფრ. ნიცშეს მიხედვით, ევროპელობა ნიშნავს კონტაქტს ანტიკურ კულტურასთან, ქრისტიანობასა და ბიბლიასთან. ევროპელობა სამშობლოს გაცნობიერებულ სიყვარულს ნიშნავს. თავისუფალ ადამიანად ჩამოყალიბება პასუხისმგებლობას ნიშნავს საკუთარი თავის, საზოგადოების, ქვეყნის წინაშე. თავისუფლება ადამიანში იწვევს და წარმოშობს იმპულს. თავისუფლება ღვთის მიერ მოგვეცა როგორც უდიდესი ტვირთი, ბევრრამეზე უნდა დავფიქრდეთ, ვიაზროვნოთ, დავმშვიდდეთ, საკუთარ ქაოსს გავუმკლავდეთ და მერე... ქვეყანასაც ეშველება. (1, 163) რუსთველმა ბრძანა: „უფალმა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“... დიახ, თავად ბუნებაა მრავალფეროვანი, ერთ მინდორზე იზრდება ათასგვარი სურნელოვანი ყვავილიც და ამოდის სარეველაც... რაღაც არაბუნებრივის და ჩვენთვის მიუღებლის შემოტანისა და დამკვიდრების მცდელობა სიკეთეს არ მოიტანს. მილიონობით ადამიანს სწამს ღმერთი, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს იყვნენ მოძალადენი, უსამართლონი,

სასტიკნი, ანგარებიანნი. ყველა ეპოქაში ადამიანთა უმრავლესობას სწამდა თავისი შემოქმედის, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია უსასტიკესი ომებისა და ხოცვა-ჟლეტისათვის.

ჩვენთვის სულიერება და ზნეობა ძალიან ბევრს ნიშნავს. სამწუხაროდ, დღეს სამყარო ძალიან მატერიალური გახდა... საჭიროა, ადამიანში თანადგომამ, სიკეთემ, მიმტევებლობამ, სიყვარულმა, ურთიერთპატივისცემამ გაიმარჯვოს.

ჩვენ ცხოვრებაში ურთიერთობები ერთ-ერთი ყველაზე რთული და მტკივნეული საკითხია. ურთიერთობა ინდივიდებსა და ერებს შორის, სოციალურ ფენებსა და რელიგიებს შორის, სხვადასხვა იდეისა თუ მიმდინარეობების ირგვლივ გაერთიანებული ადამიანთა შორის – ესაა დაუსრულებელი კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების მთელი სერია... ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი მარტივადაა, ერთად ვცხოვრობთ, გვაქვს კომუნიკაცია, ერთად ვქმნით, თანაარსებობაც მეტ-ნაკლებად გამოგვდის... აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ... თუ რეალურად შევხედავთ ჩვენ ცხოვრებას, ყოველდღიურ ურთიერთობებს, დამოკიდებულებებს, დაძაბულობას, კომპლექსებს... მივხვდებით, რომ ე.წ. „დაბალანსებული“ ურთიერთობები შედგება – დაპირისპირებების, ტკივილების, კონფლიქტებისაგან... ადამიანებს უჭირთ მოახერხონ ნორმალური, ჰარმონიული ურთიერთობების დამყარება მანამ, სანამ იგი თავად არ დაიკმაყოფილებენ საკუთარ სურვილებს, ამბიციებს, ინტერესებს... სწორედ ადამიანების დაყოფამ, დანაწევრებამ, დაპირისპირებამ მოუტანა კაცობრიობას კონფლიქტები, ქაოსი, უიმედობა, ტკივილი, უბედურება. კაცობრიობის ძირითად მიზანს ბედნიერებისაკენ სწრაფვა და შესაბამისად – უბედურების თავიდან აცილება უნდა წარმოადგენდეს.

დასკვნა

XXI საუკუნის 20-იანი წლები პანდემიით, განხეთქილებებით, ომებით, კონფლიქტებით დაგვამახსოვრდება. საერთაშორისო ასპარეზზე გადადგმული ნაბიჯები უნდა იყოს სწორი და თანმიმდევრული. პროცესები მთელ მსოფლიოში ძალიან მწვავდება. ღმერთმა ნუ ქნას ნატოსა და რუსეთის დაპირისპირება... შეშფოთებით ვადევნებთ თვალს რუსეთ-უკრაინის ომს, ვხედავთ ირან-ისრაელის, აზერბაიჯან-სომხეთის დაპირისპირებას... სახიფათო ვითარებაა... იმედს გამოვთქვამთ, რომ დაპირისპირებულ მხარეებს ეყოფათ გონიერება და სამყაროს კატასტროფის პირას არ მიიყვანენ.

ქართულ კულტურას საუკუნეთა განმავლობაში აყალიბებდა მრავალფეროვანი ისტორია, რამაც უზრუნველყო ძლიერი ეროვნული თვითმყოფადობა და ხელი შეუწყო კულტურის განსაკუთრებულობის აღქმას. თვალსაჩინოა და ნათელია ქართული კულტურის იდენტობა ევროპულ კულტურასთან. ჩვენ საერთო საყრდენს საერთო კულტურული ფასეულობები და ღირებულებათა სისტემა წარმოადგენს. ქართველი ერის არჩევანი – გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი, არ არის მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი, ეს ცივილიზაციური არჩევანია. (1, 166) გვინდა გვჯეროდეს, რომ მომავალში საქართველო იქნება ის ქვეყანა, სადაც იცხოვრებენ გონიერი თაობები, ნიჭით, ტოლერანტობით, კულტურით, ცხოვრების ჯანსაღი წესით, ერთმანეთთან დამოკიდებულებით, პასუხისმგებლობით, შრომითა და განათლების წყურვილით აღსავსე ახალგაზრდები. არ უნდა დაგვავიწყდეს ვისი კალთის ქვეშ ვართ, გვფარავდეს დედა ღვთისმშობელი!

გამოყენებული ლიტერატურა

1. გომართელი ნ., საქართველო და საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური საკითხები, თბ., 2021, გვ. 161-169.
2. გომართელი ნ., კულტურა – ქართული ეროვნული ფასეულობების დაცვის გარანტი, იხ.: ჟურნ. მოამბე XLVI, თბ., 2022, გვ. 7-9.
3. დაუშვილი რ., საქართველო და დასავლეთი, თბ., 2019.
4. მჭედლიშვილი გ., ქართული კულტურის რაობა და ცივილიზაციური კუთვნილება, იხ.: შრომების კრებული „საქართველო ევროპულ სივრცეში“, თბ., 2018.

Georgian culture is the basis of national identity

Nino Gomarteli, professor
Georgian Technical University

Tamar Khokhobashvili, professor
Georgian Technical University

Summary

Georgian culture is one of the oldest cultures of world civilization. Our country should be able to fully reveal the spiritual and intellectual potential accumulated in the Georgian nation, to present the strength of the Georgian phenomenon to the world in a new way. The primary goal of Georgia is to gain a worthy place in the new world order, our homeland should make its own contribution to the construction of the new world.

The development and deepening of the centuries-old culture of the nation needs a suitable environment in the modern world. In the 21st century, humanity has suffered the catastrophic consequences of dictatorship or sole rule of all shades. It becomes clear that the only and necessary for the development of culture is the possibility of free realization of the creative forces of free individuals. It is necessary for the society and the government to understand democracy and culture as mutually enriching events, and to declare their simultaneous development as a strategic priority of action on the way of smoothing the country, building it and establishing a worthy place in the world civilization.

The 20s of the XXI century will be remembered by pandemics, divisions, wars, conflicts. The steps taken in the international arena should be correct and consistent. Processes are intensifying all over the world. God forbid a confrontation between NATO and Russia... We are anxiously watching the Russia-Ukraine war, we are seeing the confrontation between Iran-Israel, Azerbaijan-Armenia... It is a dangerous situation... We hope that the opposing parties will be wise and will not bring the world to the brink of catastrophe.

Key words: culture, tradition, globalization, declaration, dictatorship, Georgian phenomenon, conflict, potential, democracy, tolerance.

უცხოელი ავტორები ქართულ სპორტულ და საბრძოლო ტრადიციებზე

მამუკა მაღლაკელიძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია საქართველოში გავრცელებულ სპორტულ და საბრძოლო ტრადიციებზე დაწყებული ანტიკური პერიოდიდან, მოყოლებული ახალი პერიოდით. განხილულია უცხოური წყაროები და მოშველიებულია სხვადასხვა უცხოელი ავტორების შრომები საქართველოში გავრცელებული სპორტული და საბრძოლო ტრადიციების შესახებ.

ჩვენი ქვეყნის მეცნიერების წერილობით წყაროებზე რომ არაფერი ვთქვათ, მრავალი უცხოელი მოგზაური, მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე აღნიშნავდა ქართველური ტომების სიძლიერეს; „ეს იყო უმამაცესი ხალხი, ყოველთა შორის, ვისთანაც კი ელინებს საქმე ჰქონდათ თავიანთი ლაშქრობის დროს“.

განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს, ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, სტრაბონის, აგათია სქოლასტიკოსისა და დიონ კასიოსის ცნობები საქართველოში არსებულ სამხედრო მომზადებაზე, როგორც თავდაცვით, ასევე საბრძოლო შეიარაღებაზე. სადაც ჩანს ქართველ მებრძოლთა შეუპოვრობა, მათი უაღრესად დახვეწილი ოსტატობა საბრძოლო სპორტის სახეობებში.

საინტერესოა თავდაცვისუნარიანობის რა საშუალებები არსებობდა ძველ საქართველოში. ცხადზე ცხადია აქ დიდ როლს თამაშობდა ისეთი სპორტის სახეობები, რომლებსაც საბრძოლო დანიშნუ¬ლება ქონდათ. მშვილდოსნობა, შუბის ტყორცნა, ფარიკაობა, საბრძოლო ხელოვნების სხვადასხვა სახეობები. ლელობურთი, ცხენოსნური ჩოგანბურთი, ყაბახი, ისინდი, თარჩია, ლახტითა და შურდულით ბრძოლა, ცხე¬ნოსნობა და სხვა.

ნაშრომში ასახულია საგულისხმო ფაქტები ლიტერატურული წყაროებიდან, ვახუშტი ბატონიშვილისა და სხვათა ავტორობით. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მაღალი ფიზიკური თვისებებითა და სამხედრო მომზადებით გამოირჩეოდნენ მეფეები: ფარნავაზი, ფარსმან მეორე (ქველი), მირიანი და სხვები. საქართველოს ისტორიაში, განსაკუთრებით გამორჩეულია მეფე ფარსმან მეორე-ქველი, როგორც კარგი მოასპარეზე და უაღრესად დახვეწილი მეომარი. მის შესახებ ცნობები მიმობნეულია მთელ რიგ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში („მოქცევაი ქართლისაი“ და „ქართლის ცხოვრება“).

საკვანძო სიტყვები: ქართული სპორტი, საბრძოლო სახეობები, საბრძოლო სპორტი

შესავალი

როგორც მთელი რიგი კვლევებიდან და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზიდან ირკვევა ქართული სპორ¬ტის უძველეს სახეობებს ოდითგანვე მრავალფუნქციური დანიშნულება ქონდა. ეს იყო სააღმზრდელო, საასპარეზო, სამხედრო თუ მოსახლეობის ფიზიკური განვითარება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ქართული სპორტის სახეობების გამოყენება სამხედრო საქმისთვის, მათი როლი საბრძოლო მოქმედებების დროს.

ძირითადი ნაწილი

თავისი ისტორიის მანძილზე ქართველურ ტომებს ხშირად უხდებოდათ საკუთარი მიწების დაცვა გარეშე მტრებისგან. გაერთიანებული საქართველოს პირობებშიც ანალოგიური პრობლემები იდგა, იგივე ითქმის ცალკე სამეფო სამთავროებზეც. ჩვენ წინაპრებს გარდა იმისა რომ სისტემატურად უხდებოდათ საკუთარი ტერიტორიების დაცვა, ხშირ შემთხვევაში კი მათი განთავისუფლებაც. ქართველთა ჯარი დამპყრობელ ქვეყნებთან შედარებით მცირერიცხოვანი იყო და უმეტეს წილად მათ უხდებოდათ უთანასწორო ბრძოლებში ჩართვა ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად. ჩვენი ქვეყნის მეცნიერების წერილობით წყაროებზე რომ არაფერი ვთქვათ, მრავალი უცხოელი მოგზაური, მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე აღნიშნავდა ქართველური ტომების სიძლიერეს; „ეს იყო უმამაცესი ხალხი, ყოველთა შორის, ვისთანაც კი ელინებს საქმე ჰქონდათ თავიანთი ლაშქრობის დროს“ (ქსენოფონტე, ძვ.წ. 444-354 წწ).

ელინების შემდეგ საქართველოში უამრავმა დამპყრობელმა ილაშქრა თავიანთი მოწინავე რაზმებითა თუ კოალიციური ჯარებით. რომაელები, სპარსელები, არაბები, მონღოლები, ოსმალები თუ სპარსელები, საუკუნეების განმავლობაში თავს ესხმოდნენ და იპყრობდნენ ჩვენს ქვეყანას. ცხადია ამ დიდი გამოწვევის პირობებში პატარა ქვეყანას ხშირად უწევდა თავისუფლების დაკარგვა,

სამხედრო და საფინანსო ბეგარის გადახდა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში გამარჯვებული გამოდიოდა და იცავდა საკუთარი ხალხის უფლებებსა და ტერიტორიულ მთლიანობას. იყო პერიოდები, როდესაც სახელმწიფო საზღვრები იზრდებოდა და მტკიცდე¬ბოდა. ეს ყველაფერი კარგადაა შემონახული წერილობით წყაროებში და ისტორიიდან ვიცით. თუმცა საინტერესოა, როგორ ახერხებდა ასეთ რთულ ვითარებაში ქართველი ხალხი ქვეყნის დაცვას. თავდაცვისუნარიანობის რა საშუალებები არსებობდა საქართველოში. ცხადზე ცხადია აქ დიდ როლს თამაშობდა ისეთი სპორტის სახეობები, რომლებსაც საბრძოლო დანიშნუ¬ლება ქონდათ. მშვილდოსნობა, შუბის ტყორცნა, ფარიკაობა, საბრძოლო ხელოვნების სხვადასხვა სახეობები. ლელობურთი, ცხენოსნური ჩოგანბურთი, ყაბახი, ისინდი, თარჩია, ლახტითა და შურდულით ბრძოლა, ცხე-ნოსნობა და სხვა.

ეჭვგარეშეა, ისიც, რომ ბრძოლის წინ ქართველი მეომრები სამხედრო წვრთნებს გადიოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ურთულეს ჭიდილში გამორიცხული იყო წარმატების მიღწევა.

საინტერესოა ასევე იარაღის აღჭურვილობაც, რისთვისაც საჭირო გახდა წერილობითი თუ არქეოლოგიური მასალების დამუშავება, ძველი საქართველოს ისტორიის შესწავლა. ცნობილი არქეოლოგი გ. ლომთათიძე თავის ნაშრომში „წინაპართა ნაკვალევი“, ეყრდნობა რა საქართველოში წარმოებულ არქეოლოგიურ კვლევებს, აღწერს ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლოსა და ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დამდეგის აღმოსავლეთ საქართველოს მეომართა აღჭურვილობას. „...ჩვენი წინაპრები აღჭურვილნი ყოფილან სატევრებით, „კოლხური ცულებითა“ თუ „იბერული ჩუგლუგებით“, შუბებით, ხელშუბებით, ნაირნაირი ისრებით, ბრინჯაოსთავიანი ლახტებით, ბრინჯაო აკრული ფარებით, წვეტიანი მუზარადებით, მუცლის მფარავი სარტყლებითა და სხვ. ამას, თუ გავითვალისწინებთ, გაზვიადებული არ იქნება თქმა, რომ ამ წინაპრებს მკაფიოდ გამოხატული, მეომ¬რული, სამამაცო ზნე და სულისკვეთება ჰქონდათ. ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭებიც კი მეტნაკლებად აღჭურვილნი იყვნენ სხვადასხვაგვარად. სწორედ ასე ახასიათებენ, ერთხმად, ქართველ ტომებს იმდროინდელი უცხოური წყაროები (ლომთათიძე, 1952, გვ. 124).

აღნიშნულ საბრძოლო იარაღებს და ნივთებს მრავლად შევხვდებით საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში. რაც შეეხება 13-14 წლის საომრად აღჭურვილი ბიჭების სამარხებს, ის ნათლად მეტყველებს ჩვენი წინაპრების მებრძოლ სულზე და სამხედრო დაოსტატებაზე ადრეულ ასაკში.

ცნობილია, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანის საქართველოში ორი კულტურული მიმართულება არსებობდა: დასავლურ - ქართული და აღმოსავლურ - ქართული. როგორც ჩანს, აღნიშნულ პერიოდში ბრინჯაოს კულტურა საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, რაც დასტურდება ხსენებული ნივთების აღმოჩენით. სპეციალისტებთან საუბრისას ვიგებთ, რომ დასავლურ - ქართულ ბრინჯაოს იარაღებს მიეკუთნება სატევარი, საბრძოლო ცული, შუბისა და ისრის პირები, ლახტის თავები, ხოლო აღმოსავლურ - ქართულს წვეტიანი, წვერმომრგვალებული და წვერმოკვეთილი მახვილები, ბრტყელი ისრის პირები, გრძელი შუბის პირები, სატევრები, საბრძოლო ცულები, ოღონდ ნახევარწრიული მჭრელი პირით. ეს ჩამონათვალი თვალნათლივ ასახავს ქართული საბრძოლო იარაღების მრავალფეროვნებას და სპეციფიკას, რომელიც აუცილებლად მოითხოვდა მასში დახელოვნებასა და სისტემატურ წვრთნას. თუ ავიღებთ მაგალითად მშვილდ-ისრიდან ტყორცნას, აქ მეომარს დასჭირდებოდა დახელოვნება ზუსტ ტყორცნებში, რისთვისაც საჭირო იყო სისტემატური წვრთნა. მართალია ამ პერიოდის მშვილდებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, რადგან ხის ნივთი ამდენ წელს ვერ უძლებს, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენამდე მოაღწია უამრავმა ბრინჯაოს ან რკინის ისრის პირებმა, რაც მეტყველებს ამ იარაღის გავრცელებაზე ჩვენში.

სისტემატურ წვრთნას მოითხოვს ასევე შუბის, შურდულისა და ლახვრის ტყორცნა, სატევრებისა და ლახტის ხმარება. ყურადსაღებია ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის შესწავლა ამ კუთხით, რაზეც ძალზედ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ბერძნული და რომაული წყაროები. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (ძვ.წ. 480 – 425 წწ) წერს: „მოსხებს თავზე ეხურათ ხის მუზარა¬დები, ხოლო იარაღად ხმარობდნენ პატარა ფარებსა და შუბებს. შუბის პირები გრძელი იყო. ...კოლხები თავზე იხურავდნენ ხის მუზარადებს და ატარებდნენ მოუქნელ ტყავის პატარა ფარებს, მოკლე შუბებსა და საბრძოლო დანებს“ (ლატიშევი, გვ. 56-57). ხოლო ხალიბების შესახებ საქართველოში ნამყოფი ბერძენი მწე¬რალი და სარდალი ქსენოფონტე (ძვ.წ. 444-354წწ) გვამცნობს; „ხალიბები ატა¬რებ¬დნენ სელის ჯავშანს, რომელიც მუცლამდე აღწევდა... ჰქონდათ ანქერი და მუზარადი, ხოლო ქამრებზე ეკიდათ სპარტანული მახვილის მსგავსი დანები... ჰქონდათ აგრეთვე თხუთმეტი ნიდაყვის სიგრძე

შუბები ერთ მხარეზე გამახვილებული რკინით“ (ლატიშევი, გვ. 73). სტრაბონი (ძვ.წ.61წ.-ახ.წ.24) კი სვანებს ასე ახასიათებს; „სოანები ...თითქმის პირველნი არიან (ადგილობრივ ხალხთა შორის) თავისი სიძლიერითა და შეძლებით...“ (ლატიშევი, გვ. 138). ბიზანტიელი პოეტი და ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი ლაზების შესახებ დასძენს: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც ბრძანებლობდენ“ (გეორგიკა, 1939, გვ. 50).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველთა შეიარაღება გამოირჩეოდა თავისი მრავალფეროვნებით და საბრძოლო სპეციფიკით. მაგრამ უცხოელი ავტორები აღნიშნავდნენ უიარაღო ქართველური ტომების ფიზიკური სიმამაცის ფაქტებს. ქსენოფონტე მოგვითხრობს: „შეუიარაღებელ ქართველ ტომებთანაც კი ძნელი იყო ბრძოლა, განსაკუთრებით, როცა საქმე ალყის შემორტყმასა და იერიშზე მიდგებოდა...“ ციტატიდან ნათლად ჩანს ქართველთა ფიზიკური გაწვრთნილობა და მათთვის დამახასიათებელი სიმამაცე, ამ კუთხით აშკარად გამოირჩეოდა მთის მოსახლეობა (გორგაძე, 1908, გვ. 80). განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ მხედრულ მომზადებას, ცხენის ოსტატურ მართვას, მშვილდის მიზანში ტყორცნას, შუბისა და ხმლის ხმარებას. ეს ყოველივე განაპირობებდა ქართველი მეომრების უპირობო წარმატებას ურიცხვი მტრის წინააღმდეგ.

დიდ ინტერეს იწვევს ძველი პერიოდის თავდაცვითი აღჭურვილობა. ქართველური ტომების ფანტაზიით შექმნილი საუცხოო მუზარადები, სელისა და რკინის ჯავშნები, ფარები და სხვა სახის შეიარაღება, მნიშვნელოვნად ამცირებდა ცოცხალი ძალის დანაკარგს. უძველესი დროიდან მეომარი ქვეყნების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის განადგურება. ამიტომ აღნიშნულ თავდაცვით იარაღებს საქართველოს ჯარში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ქონდა საომარი მოქმედებების დროს.

საგულისხმო ფაქტებს ვაწყდებით ქართულ ლიტერატურულ წყაროებში. ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს ქართველ კაცს: „ხოლო კაცთა... ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი, ...სალაშ¬ქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყვარენი...“ (ქართლის ცხოვრება IV, 1973, გვ. 44). აღსანიშნავია, რომ იარაღის საუცხოო ხმარებით გამოირჩეოდნენ ქართველი მეფეებიც, რაც თავისთავად ერთგვარი მაგალითისა და იმედის მიმცემი იყო ჯარისთვის. მეფე - მთავრები და სარდლები ფიზიკურად ძლიერები და კარგად დახელოვნებული მეომრები იყვნენ, ისინი საუცხოონი იყვნენ ცხენის მართვასა და იარაღის ხმარებაში. ყოველივე ეს კი ერთიორად ზრდიდა ბრძოლაში წარმატების მიღწევას. ჩამოთვლილი საბრძოლო თვისებებით გამოირჩეოდა ჩვენი ქვეყნის ერთერთი დიდი მეფე ვახტანგ გორგასალი, ის უაღრესად ოსტატურად ფლობდა შუბს, რომელსაც ხშირად ოროლის სახელითაც მოიხსენიებენ. „გარნა პირველსავე მისვლასა სცა ოროლი ვახტანგ თარხანს სარტყელსა ზედა და განვლო იქით, ჩამოაგდო და მოკუდა“ (ქართლის ცხოვრება IV, 1973, 103).

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მაღალი ფიზიკური თვისებებითა და სამხედრო მომზადებით გამოირჩეოდნენ მეფეები: ფარნავაზი, ფარსმან მეორე (ქველი), მირიანი და სხვები. საქართველოს ისტორიაში, განსაკუთრებით გამორჩეულია მეფე ფარსმან მეორე-ქველი, როგორც კარგი მოასპარეზე და უაღრესად დახვეწილი მეომარი. მის შესახებ ცნობები მიმობნეულია მთელ რიგ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში („მოქცევაი ქართლისაი“ და „ქართლის ცხოვრება“). მის შესახებ ცნობილია, რომ იგი იყო მეთხუთმეტე მეფე ფარნავაზის შემდეგ, მას შეარქვეს ქველი (ფარსმან ქველი, არმაზელი), რაც ნიშნავს, მამაცს, გულადს, მხნეს, კეთილს. ლეონტი მროველის ცნობით მას არნახული ბრძოლები უწარმოებია სპარსელებთან. ის იმდენად კარგ სპორტულ ფორმაში იყო, რომ ხშირად ებმებოდა ბუმბერაზთა ორთაბრძოლებში და მრავალი ბუმბერაზი ყავს დამარცხებული, მათ შორის სპარსი ჯუმბერი, რომელიც მემატიანის თქმით „ლომსა ხელით შეიპყრობდა“. არადა აღნიშნულ ორთაბრძოლებს დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს ჯარებისთვის ბრძოლის წინ. გამარჯვებული ბუმბერაზი დიდ ფსიქოლოგიურ შემართებას აძლევს თავის მეომრებს, რაც წარმატების საწინდარია. ხოლო, თუ ამ ორთაბრძოლებში მეფე ერთვებოდა ეს იმას ნიშნავს, რომ ის უაღრესად საუკეთესო სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა. ფარსმან მეფეს ძალზედ ახლო პოლიტიკური კავშირი ქონდა რომთან, რასაც ამოწმებს რომაული წყაროები. II-III საუკუნეების ბერძენ-რომაელი მწერალი დიონ კასიოს კოკეიანოსი გვაცნობებს, „როცა ფარსმან იბერიელი მეუღლესთან ერთად რომში ჩავიდა (ანტონიანე პიუსმა) გაუდიდა მას სამფლობელო, ...მისი ცხენოსანი ქანდაკება ენიალიონზე (იგივე მარსის მოედანზე, მ.მ.) დაადგმევინა და უყურებდა (ფარსმანეს), მისი ვაჟის და სხვა წარჩინებულ იბერიელთა სამხედრო ვარჯიშობას“ (დიონ კასიოსის ცნობები, 1966, გვ. 83). მოგეხსენებათ ეს

ის პერიოდია, როცა რომში განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩეოდა გლადიატორთა ორთაბრძოლები და რომის მმართველობისა და ჯარის დაინტერესება ქართული სამხედრო ვარჯიშებით მის ერთგვარ ოსტატობაზე მიგვანიშნებს.

ცნობილია, რომ ქართველებმა რომში წარმატებით გაუკეთეს დემონსტრირება ქართულ საბრძოლო სპორტის სახეობებს, რამაც აღაფრთოვანა იმპერატორიც. დიონ კასიოსის ცნობების დამუშავებისას განსაკუთრებული ყურადღებით ვეძებდი ამბავს ხევსური მოფარიკავეებისა, რის შესახებაც არაერთი სპორტის მკვლევარი წერდა. თითქოს პომპეუსი დაინტერესებულა ამ სახეობით თავისი ლაშქრობის დროს და ძალზედ მოწონებია. სპორტის ეს სახეობა ნამდვილად გამოირჩევა თავისი სილამაზითა და ოსტატობით, მაგრამ აღნიშნულ ფაქტს დიონ კასიოსი არ აღწერს. ვერც ქართლის ცხოვრების სხვადასხვა ვარიანტებში მივაკვლიეთ მას ჯერჯერობით. სამაგიეროდ მის ძებნაში წავაწყდით ერთ საინტერესო ფაქტს პომპეუსის ლაშქრობასთან დაკავშირებით.

ცნობილი, რომ ქართლის (იბერიის) სამეფოს წინააღმდეგ პომპეუსის ლაშქრობა ანტიკურ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული. მის შესახებ ცნობები გაშუქებული აქვთ ბერძენ, რომაელ და ბიზანტიელ ავტორებს (სტრაბონი, პლუტარქე, აპიანე, დიონ კასიოსი, იოანე ანტიოქიელი, სვედა და სხვა). მაგრამ ამათგან პომპეუსის ლაშქრობას ყველაზე დეტალურად აღწერს დიონ კასიოსი თავის შრომაში „რომის ისტორია“. ის მიუხედავათ თავისი წარმოშობისა და ტენდენციურობისა, მაინც არ მალავს ქართველთა საბრძოლო ოსტატობას, მათ გამორჩეულ თავდადებასა და ბრწყინვალე სამხედრო ტაქტიკას. მათგან აღსანიშნავია „იბერ მშვილდოსანთა მოქმედებები“..., რომლებიც გაიფანტნენ ტყეში და იქედან ესროდნენ ისრებს რომაელებს“. მისივე ცნობით „მშვილდოსნები მას შემდეგ დაღუპულან, რაც რომაელებმა ტყე გაჩეხეს“.

დასკვნა

აქედან ნათლად ჩანს ქართველ მებრძოლთა შეუპოვრობა, მათი უაღრესად დახვეწილი ოსტატობა საბრძოლო სპორტის სახეობებში, რამაც პომპეუსი ზავის დადებამდე მიიყვანა, თუმცა შემდეგ თვითონვე დაარღვია იგი. ამ ომში თავი გამოუჩენია ასევე იბერიის მეფე არტოკეს (არტაგი), რომელიც მემატიანეს თქმით საკმაოდ მამაცურად იბრძოდა და მას ანტიკური პარიოდის გამორჩეულ სარდლებს შორის მოიხსენიებენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქსენოფონტე, ძვ.წ. 444-354წწ
2. გ.ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევი, თბილისი 1952 წ. გვ.124.
3. ვ.ვ. ლატიშევი, ძველი ბერძენი და რომაელი მწერლების ცნობები სკვითებისა და კავკასიის შესახებ, ტ.1, გამ.1, გვ.56-57, 73,138. (რუსულ ენაზე).
4. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 3, თბილისი 1939, გვ. 50.
5. ს.რ. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, ნაწ.1, თბ. 1908წ.გვ.80
6. ქართლის ცხოვრება IV, ბატონიშვილი ვახუშტი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბ.1973,გვ. 44. გვ.103. ს.ყაუხჩიშვილის მიერ.
7. დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XVII, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966 წ. გვ.83 თარგმანი ნოდარ ლომოურის.

Georgian sports and combat traditions In foreign sources

Mamuka Maglakelidze, Associate Professor
of physical education of Georgia and the state of sports

Summary

The article talks about sports and fighting traditions spread in Georgia, starting from the ancient period and continuing with the new period. Foreign sources are discussed and the works of various foreign authors about sports and martial traditions spread in Georgia are provided.

If we say nothing about the written sources of our country's science, many foreign travelers, writers and public figures mentioned the strength of the Kartevian tribes; "These were the bravest people of all that the Hellenes had to deal

with in their march."

Of particular interest are the reports of Herodotus, Xenophon, Strabo, Agathia Scholasticus and Dion Kassios on military training in Georgia, both on defense and combat weapons. Where you can see the persistence of Georgian fighters, their highly sophisticated skills in combat sports.

It is interesting what means of self-defense existed in ancient Georgia. It is obvious that sports that had a combat purpose played a big role here. Archery, spear throwing, fencing, various types of martial arts. Playball, horse tennis, squash, isindi, tarchia, fighting with lakhti and shurdul, horse riding and others.

The work presents significant facts from literary sources, authored by Vakhushti Batonishvili and others. According to the "Life of Kartli", the kings were distinguished by their high physical qualities and military training: Farna Vazi, Farsman II (Kveli), Mirian and others. In the history of Georgia, King Farsman the Second-Kveli is especially distinguished as a good fighter and a highly skilled warrior. References about him are interwoven in a number of ancient Georgian written monuments ("Mokjemai Kartlisai" and "Life of Kartli").

Keywords: Georgian sport, martial arts, combat sport studied.

ყაბახი

ისინდი

ხევსურული ფარიკაობა

შუბი

შურდული

ფრთიანი ლახტი

კვერთხი

ისარი



თავდაცვის მთლიანი აღჭურვილობა

ეკონომიკა და ბიზნესი

ECONOMICS AND BUSINESS

საზოგადოების ურთიერთობა ხელოვნურ ინტელექტთან

ელისაბედ ხახუტაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

იწინასწარმეტყველო მომავლის ტექნოლოგიები დაუფასებელია, ეს უმადურობის მოვლენაა. ტექნოლოგიები იდეების მოძრაობის მოვლენაა, ხოლო იდეები ამოუცნობია. მიუხედავათ ამისა, ადამიანები ქმნიან ღრმა ინტელექტუალურ რეალისტურ პროგრამებს, მომავალ ტექნოლოგიებს ხელოვნური ინტელექტის განვითარებისთვის. საზოგადოების ცხოვრებაში უდიდესია ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობა. თუმცა ამავდროულად დამაფიქრებელიც, როგორ ზეგავლენას მოახდენს ადამიანზე, მის საზოგადოების ფსიქოლოგიურ განწყობაზე. დღეს ხდება მისი დანერგვა პრაქტიკაში სხვადასხვა მიმართულებით თუ სფეროში, რაც ჯერ კიდევ შესასწავლია და ნათელი არ არის მისი მომავალი კაცობრიბისათვის.

საშიშროების იდეა ადამიანისთვის მოდის შორეული ანტიკური დროიდან, ცნობილი ფრანკერშტეინის სასწაულის წარმოსახვიდან, რომელიც აფორიაქებდა XIX საუკუნეს და ხელოვნური ინტელექტის შემუშავებისას აღმოჩენლი არსება ადამიანის წინააღმდეგია. თუმცა როგორც მეცნიერი სპოკინგი აღნიშნავდა ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია მართოს კაცობრიობა როგორც ჭიანჭველების ოჯახი. აღსანიშნავია, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია გადაწყვიტოს და მართოს ურთულესი ამოცანები, რაც მისი უმაღლესი ფასეულობაა, საჭირო მაგისტრალური ისტორიის გზისთვის.

მეცნიერ ჰუდას აზრით, ადამიანს შეუძლია შექმნას ინტელექტუალური მანქანა ინტელექტუალური უნარებით, რომელიც წარმოადგენს ბოლო გამოგონებას კაცობრიობაში და წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის საფუძველს.

თუმცა ასევე არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია, ეს აბსოლუტური ფასეულობა, ინდივიდუალურია კაცობრიობის არსებობისა, სადაც გამოიყენება ტექნოლოგიური პროგრესის იდეები და მათი სუბიექტები [1].

სტატიაში განხილულია ხელოვნური ინტელექტის და ადამიანის საზოგადოების ურთიერთობა, მისი როლი მეცნიერებაში ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში, მეტეოროლოგიაში, მედიცინაში, ეკონომიკაში, სამხედრო ტექნიკაში, საბანკო საქმეში, ბიზნესში, სამართალდამცავ ორგანოებში, კიბერუსაფრთხოებაში, სეისმოლოგიაში და სხვა.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, საზოგადოება, ეკონომიკა, ბიზნესი, იურისპრუდენცია, მედიცინა, საბანკო საქმე.

შესავალი

დღეს, მნიშვნელოვანია ადამიანის დამოკიდებულების დინამიკა ხელოვნურ ინტელექტთან და ტექნოლოგიების განვითარებასთან. კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ცნობილი ადამიანები სარგებლობენ იმ ტექნოლოგიებით, რაც მათ შექმნეს. ეს ლოგიკურია, თუმცა ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ შეიძლება ეს დამოკიდებულება მკვეთრად შეცვალოს რადგან კაცობრიობის ცხოვრების დონე, ხელოვნური ინტელექტი განსხვავება სხვა ტექნოლოგიებისგან იმით თუ რა შეუძლია სწავლის ურთიერთქმედებით, მათი გამოყენებით, დღეს ყველაზე ცნობილი ვირტუალური დამხმარეები, რომლებსაც სახელებით ვუწოდებთ როცა რაღაც გვჭირდება, ეს იქნება ინფორმაციის მოსაძიებლად ინტერნეტში ან სხვა რამე საჭირო მომსახურებაში, ამას შეასრულებს ხელოვნური ინტელექტი.

მოსალოდნელია დამხმარის როლის გაუმჯო-

ბესება, რითაც გახდება მაღალი დონის და ხარისხის პარტნიორი.

ინტელექტუალური პროდუქტებით უკვე სარგებლობს ხელოვნური ინტელექტი. მას შეუძლია გადაწყვიტოს და მართოს ურთულესი ამოცანები, რაც მისი უმაღლესი ფასეულობაა, საჭირო მაგისტრალური და ეკონომიკური გზის ისტორიისთვის.

მეცნიერი ჰუდას აზრით ადამიანს შეუძლია შექმნას ინტელექტუალური მანქანა ინტელექტუალური უნარებით, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის ბოლო გამოგონებას და ხელოვნური ინტელექტის საფუძველს. თუმცა არსებობს ასევე ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია. ეს ფასეულობა ტექნოლოგიური პროგრესის იდეები და მათი სუბიექტები გამოიყენება ხელოვნურ ინტელექტში [1] .

ძირითადი ნაწილი

ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი გავრცელებული იდეაა, რომ შეიძლება ისე განვითარდეს, რომ ადამიანებმა ვეღარ აუწყონ ფეხი და დამოუკიდებლად შეძლებენ ექსპონენციალური სისწრაფით განვითარებას, ასევე შეუძლიათ დაარღვიონ ადამიანის კონფიდენციალობა და იარაღად აქციონ. ასევე მნიშვნელოვანია ხელოვნური ინელექტის ეთიკის საკითხი, ადამიანი მომავალში ასევე აღარ განიხილება როგორც სამუშაო ძალა, რაც დამაფიქრებელია.

არსებობს ხუთი სხვადასხვა ურთიერთობა ხელოვნურ ინტელექტსა და ადამიანის საზოგადოებასთან [2]. აღსანიშნავია: თანამშრომლობა, რომელიც ხელს უწყობს ძირითადი ამოცანების შესრულებასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა მისი მასშტაბები შეზღუდულია, როცა ტექნოლოგია მიაღწევს საკმარის დონეს რაც გაგებისათვის უკეთესია არავერბალური სიგნალები ხელოვნური ინტელექტისაგან.

მანქანური სწავლების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მონაცემების შეგროვებას და მათ მუდმივად გაუმჯობესებას მომავალში. მნიშვნელოვანია ის თუ რას შეისწავლის ხელოვნური ინტელექტი მაქსიმალურად გამჭვირვალეს.

ხელოვნური ინტელექტის შესწავლის პროცესი რომ იყოს საიმედო, რეპრეზენტაბელური და ეთიკურად დასაბუთებული მის დამუშავებაში აქტიურად უნდა მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა დისციპლინის ექსპერტებმა. ხელოვნური ინტელექტის შედეგების შესწავლა, ეს არის ის, რომ ყველამ ამისთვის დრო უნდა გამონახოს არა მარტო როგორც მონაწილემ მის შექმნაში, არამედ პროგნოზირებაშიც და საფრთხის გაფრთხილებაშიც.

ემპატია - ეს უნარია გრძნობების გაგებაში, რაც წარმოადგენს ადამიანის განსაკუთრებულ გრძნობას.

ადრე სტრატეგიული პრობლემების გადასაწყვეტად საჭირო იყო ადამიანური ინტელექტი და მისი მონაწილეობა. დღეს, ეს სრულდება და მასში მონაწილეობენ ნეინორული ქსელები, ჩატ-ბოტამები, ალგორითმები და სხვა მანქანები. ხელოვნური ინტელექტი ჩვენი ცხოვრების ნაწილი გახდა, ხალხის, საზოგადოების კეთილდღეობისათვის, განათლების და ყველა საქმიანობის მიმართულებით.

ხელოვნური ინტელექტი ხალხს, საზოგადოებას იცავს რუტინული ცხოვრებისაგან. ადამიანებს ეხმარება, ასწავლის დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებაში, დროულად გამოავლინოს ფარული რისკები და ამარტივებს რთული ამოცანების გადაწყვეტას სტრატეგიული პროექტების შესასრულებლად.

ხელოვნური ინტელექტი ანუ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები მოითხოვენ სპეციალისტების ჩანაცვლებას იქ, სადაც საშიშია საზოგადოებისათვის სწრაფი რეაქცია ან რთული ტექნოლოგიური სამუშაოებია.

ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იყოს ორი კატეგორიის: სუსტი და ძლიერი.

სუსტი შექმნილია ერთი კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად. ესენია ვიდეო, ჭადრაკის თამაში, როდესაც პერსონალური ასისტენტები, შეკითხვებზე პასუხობენ, ასევე ადამიანის მიერ მსგავს ამოცანებს. ისინი დაპროგრამებულნი არიან და ერთ-ერთ განვითარებულ იდეაზე ისე რომ დამოუკიდებლად ასრულებენ ექსპონენციალურად, ნებისმიერი სიჩქარით, ნებისმიერ სამუშაოს.

ხელოვნური ინტელექტი არის ოთხი ტიპის: რეაქტიული, შეზღუდული, მეხსიერების, ალგორითმების გამოყენებით ოპტიმიზაციისთვის ერთობლიობის საფუძველზე: მეხსიერების შეზღუდვით, რომელსაც შეუძლია მოერგოს წარსულ გამოცდილებას ან განაახლოს სისტემა ახალი გამოკვლევების საფუძველზე. თეორიულ მეხსიერებას, რომელსაც აქვს წარსული გამოცდილება, სწავლის და შენარჩუნების უნარი. ის მოიცავს მოწინავე ჩატ-ბოტებს ადამიანის მოსატყუებელ უნარს, კერძოდ, ადამიანი რომ ხელოვნური ინტელექტი იყოს, რომელსაც არა აქვს თვითშეგნება. მეოთხე, თვითშეგნებული ხელოვნური ინტელექტი, რომელ-საც შეუძლია ადამიანზე უფრო კარგად იაზროვნოს.

ხელოვნური ინტელექტი პიდაპირ კავშირშია მონაცემთა მეცნიერებასთან, რომელიც მიმართუ-

ლია ბიზნესფასეულობის ამაღლებასთან მასობრივი ინფორმაციიდან. ეს ფასეულობა მდგომარეობს პროგნოზირების შესაძლო გაფართოებასთან, კანონმდებლობის ცოდნასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესაძლო გაფართოებასთან.

უფრო ვიწრო გაგებით ხელოვნური ინტელექტი – ეს ინფორმაციის დამუშავების ალგორითმი და მეთოდოლოგიაა. ხელოვნური ინტელექტი ოპერირებს დიდ მასალას, აანალიზებს, მოსულ მონაცემს და ამუშავებს მათ საფუძველზე ადაპტირებულ გადაწყვეტებს.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მეშვეობით გაიზრდება გლობალური ეკონომიკა თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებით, ჭკვიანი ალგორითმების საშუალებით, რითაც კონკურენტუნარიანი გახდება ბიზნესი.

ხელოვნური ინტელექტი გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარია აიყვანოს ბიზნესი უმაღლეს საფეხურზე ალგორითმების საშუალებით. ალგორითმების შესწავლით გადაწყვეტის სწრაფად სტრატეგიული ამოცანები მანქანური სწავლებით.

ესენია:

1. ოპერატიული რეაგირება. სწრაფად გაანალიზება მონაცემების პრინციპიალური პირობა.
2. მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება. გაყიდვების შედეგების შეფასება, ახალი მარკეტინგული მოდელის საშუალებით ბიზნესის გაუმჯობესება.
3. ადამიანური ფაქტორის გათვალისწინება. ხელოვნურ ინტელექტს არ გააჩნია ემოციები. მას ფუნქციები აქვს. ტექნოლოგია და ინფორმაცია ეხმარება ცვალებადი განწყობის დაძლევაში.
4. ბრძოლა თაღლითობასთან. თვითნასწავლი ნეირონული ქსელები ეხმარებიან მომხმარებლებს საეჭვო თაღლითური ოპერაციების გამოვლენაში, ასევე შექმნას ალგორითმები ფინანსური დანაკარგების გამოსავლენად. შედეგად სისტემა ნაკლებად სუსტია, რაც ნაკლებად სანდოა კლიენტებისთვის.
5. მოგების ზრდა დაკავშირებულია სამანქანო სწავლებასთან. კომპანიის შემოსავლის ზრდა დაკავშიებულია საკითხთან კომპლექსური მიდგომით.

ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება ასევე პროდუქტის საწარმოებში, სუპერმარკეტებში, ხელოვნური ინტელექტის საშუალებით იღებს განუსაზღვრელ ახალ შესაძლებლობებს მოგების მისაღებად ერთ ალგორითმს შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს შემოსავლის მაჩვენებლები, ხოლო კომერციულ მიდგომას მითუმეტეს უფრო მეტად.

ხელოვნური ინტელექტის დანერგვა მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპით. პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯია - მეწარმეებმა აუცილებლად უნდა მოაგროვონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია გაყიდვების შესახებ ერთი წლის განმავლობაში. ონლაინ სალაროების საშუალებით მონაცემები ინახება ავტომატურად, ხოლო სისტემა სინქრონიზირდება მასთან ერთად.

თვითნასწავლი ალგორითმის დამუშავება მოითხოვს ფინანსებს და დროს, თუმცა დანახარჯების ზეგავლენას ხარისხი ახდენს.

რთულია შეაფასო ხელოვნური ინტელექტის პოტენციალი ბიზნესისათვის, კომპანია რომელიც ნერგავს ნეიროქსელებს და მანქანური სწავლების ტექნოლოგიას, ზრდის მოგებას და წარმადობას, დემონსტრირებს კონკურენტუნარიანობას და ეფექტურობას ბაზარში.

პრაქტიკულად ხელოვნურ ინტელექტს ენდობიან რადგან მას შეუძლია:

- ♦ რუტინული ამოცანების გადაწყვეტები და პროცესების ავტომატიზაცია;
- ♦ კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა, მონაცემების გაჟონვისაგან და თაღლთობისაგან;
- ♦ საწარმოს ოპტიმიზაციას დანახარჯების შემცირებას ენერგიასა და ნედლეულზე;
- ♦ ტრენტების პროგნოზირება, აუდიტორიის საქციელი;
- ♦ კონტენტის და კრეატივების შექმნა;
- ♦ კლიენტების მომსახურება, მათი გამოცდილების გაუმჯობესება.

როდესაც კომპანია ნერგავს და აქტიურად იყენებს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს, ეს აუმჯობესებს მის იმიჯს, კლიენტების, პარტნიორების და ინვესტორების თვალში მცირე და საშუალო ბიზნესში ეს რეალური კონკურენტუნარიანობის უპირატესობაა.

ამრიგად, ბიზნესში ხელოვნური ინტელექტის ძირითადი ტექნოლოგიებია: სამანქანო სწავლება, ჩატ-ბოტები, რომლებიც აკონტროლებენ მომხმარებლებს, ზრდიან ცოდნის ბაზას და 6-12 თვის შემდეგ ვირტუალურ კონსულტანტს შეუძლია უპასუხოს პრაქტიკულად ყველა შეკითხვას.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ბიზნესში სულ უფრო აქტუალური და აუცილებელი ხდება კონკურენტუნარიანობასთან ბრძოლაში. დღეს ის წარმოადგენს კომპანიის განვითარების მძლავრ ინსტრუმენტს ბიზნეს ამოცანების გადასაწყვეტად

ღრმა ანალიზისა და პროცესების ავტომატიზაციისათვის.

ხელოვნური ინტელექტი ეხმარება ბიზნესს პირდაპირ და ინერგება ჭკვიანი ტექნოლოგიები, კომპიუტერული სისტემები; ვიწროპროფილური ამოცანები, რაც ადრე სრულდებოდა ადამიანის მიერ.

ხელოვნური ინტელექტი აწარმოებს ადამიანის ინტელექტუალურ ქცევებს ემოციების გარეშე და არ ცდება. ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში ნეიროქსელებით წარმოადგენენ ერთ-ერთ პერსპექტიულ და სწრაფად განვითარებულ სფეროს, რომელიც ყოველდღიურად იჩენს თავს:

ესენია:

- როცა ჩანს კონტენტი უპირატესობის საფუძველზე;
- როცა ურთიერთობაა ბანკის ხმოვან დამხმარეებთან ან მიმოწერაა ბანკის ჩატ-ბოტებთან;
- როდესაც ხელოვნური ინტელექტის მიერ შერჩეულ რეკლამას ვიღებთ, როდესაც სატელეფონო ურთიერთობისას ან მიყურადღებით არის გაჟღერებული.

ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში ეხმარება რუტინული ინფორმაციების ავტომატიზირებულად დამუშავებას, გადაწყვეტილებების პროგნოზირებაში, ანგარიშის შედგენაში და დასკვნების ფორმირებაში. თუ წინათ ამას აკეთებდა ადამიანი, ახლა მას წარმატებულად ასრულებს ხელოვნური ინტელექტი მოკლე დროში.

როგორც ავღნიშნავთ თანამედროვე სამყაროში რაც უფრო აქტუალური ხდება ხელოვნური ინტელექტის როლი ბიზნეს სამყაროში, როგორც ნოვატორული ტექნოლოგიები, ზრდის ბიზნესის ეფექტურობას, კონკურენტუნარიანობას, საწარმოს გარდაქმნის, წარმატებულს შემდეგი ღონისძიებების ჩატარებით. ესენია:

- პროცესების ავტომატიზაციით;
- პერსონალიზირებული სერვისით;
- მონაცემების ანალიზით;
- პროგნოზირებით;
- შეცდომების შემცირებით;
- კონკურენტუნარიანობის უპირატესობით;
- მარკეტინგის და გაყიდვების ეფექტურობის გაზრდით;
- ახალი ბიზნესის და შესაძლებლობების შექმნით;
- ინოვაციური განვითარებით საწარმოს საქმიანობაში.

აღსანიშნავია ასევე მისი გამოყენება საჯარო დაწესებულების მიერ საზოგადოებისთვის სხვადასხვა არსებულ გამოწვევებზე.

ხელოვნურ ინტელექტს საჯარო სექტორში მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს გადაწყვეტილების პროცესის გამარტივებისათვის და სხვა მრავალი ინოვაციური მიდგომების დანერგვით.

დღეს, მნიშვნელოვანია ასევე მისი გამოყენება გენერალურ პროკურატურაში, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში, მართვის ინფორმაციის სისტემაში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ეკონომიკაში, მედიცინაში, სამხედრო საქმიანობაში და ა.შ.[2].

ასევე ხელოვნურ ინტელექტს უამრავი სარგებლობა აქვს. არაერთი რისკი გამჭვირვალობის ანგარიშვალდებულობის გამოხატვის თავისუფლების პირადი ცხოვრების, დაცვის უფლების თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებთან. ასევე სუსტია ძალოვანი სტრუქტურების მიმართ არსებული საზედამხედველო მექანიზმით, ასევე სასამართლოს დამოუკიდებულებასთან დაკავშირებული ხელოვნური ინტელექტის თანმხლებ რისკების დაბალანსების პრობლემა მომატებული კრიტიკულობით ვლინდება.

ხელოვნური ინტელექტის რისკების შესახებ ერთ-ერთი ადრეული შემქმნელი მეცნიერი ჯოფრი ბინტონი ასე ხსნის თანამდევი რისკის შესახებ[3].

რისკი N1: ტექნოლოგიის როლი სამხედრო სფეროში

მიუხედავათ იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის როლი იზრდება სამხედრო სფეროში, მცირდება მსხვერპლი, მნიშვნელოვნად იზრდება ეფექტიანი გადაწყვეტილება, ამავე დროს სულ უფრო იზრდება მისი არაკეთილსინდისიერად გამოყენების რისკი, გრძელვადიან პერიოდში სამხედრო უპირატესობა სწორედ იმ სახელმწიფოებს ექნებათ, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის მოწინავე ტექნოლოგიებს ფლობენ.

რისკი N2: მისი ინფორმაცია და დეზინფორმაცია.

ხელოვნური ინტელექტი დეზინფორმაციის გავრცელების ეფექტიან იარაღს წამოადგენს ტექნოლოგიის დახმარებით შექმნილი ვიდეო და აუდიო მისალების ავთენტურობის დადგენა სულ უფრო რთული ხდება, მისი განვითარების ტემპების გათვალისწინებით მომავალში ფაქტების ყალბი მასალებისგან განსხვავდება თითქმის შეუძლებელი გახდება. გარდა ამისა, ავტორიტარული რეჟიმისათვის ხელოვნური ინტელექტი საკუთარი მოქალაქეების შეცდომაში შეყვანის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

რისკი N3: სამუშაო ადგილების შემცირება

ტექნოლოგიები დასაქმების ბაზარზე დიდ გავლენას ახდენდა, ინდუსტრიალიზაცია, სამეცნიერო მიღწევები, ელექტროენერგიის შექმნა, კომპანიის გამოყენება თუ სხვა სახის მნიშვნელოვანი მოვლენები მუდამ აქრობენ და აჩენდნენ ახალ სამუშაო ადგილებს თუ პროფესიებს, შესაძლოა ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე დიდი გავლენის მქონე ტექნოლოგია აღმოჩნდეს. მისმა გამოჩენამ და განვითარებამ საზოგადოებას დაანახა ახალი პროფესიების აუცილებლობა, ავტომატიზაციამ 1970 წლიდან დღემდე ხელოვნური ინტელექტით მილიონობით სამუშაო ადგილი გაუქმდა და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

ასევე აღსანიშნავია, რომ ხელოვნური ინტელექტი მომავალში ახალ პროფესიებსაც გააჩენს.

რისკი N4: დიქტატურა

ყველაზე მომაკვდინებელია ის, რომ ხელოვნური ინტელექტი დიქტატორების და ავტოკრატების ხელში გარდაიქმნება. ის ვინც გახდება ლიდერი ამ სფეროში გახდება მსოფლიოს მმართველი, სამყაროს მმართველი, რომელიც კეთილსინდისიერად არ იმოქმედებს.

მიუხედავად ყველაფრისა ხელოვნური ინტელექტის დანერგვის ძირითადი ნაბიჯებია საზოგადოების და ადამიანის საქმიანობაში, ესენია:

1. ინფორმაციის შეგროვება და გაციფროება ანალიზისთვის, მისი შეყვანა პროგრამაში და დამუშავება;
2. ალგორითმის შექმნა ნულიდან;
3. ალგორითმის შესწავლა და თვითშესწავლა;
4. ახალი კომპლექსური მარკეტინგული სტრატეგიის შექმნა საწარმოსთვის.

ამრიგად, უახლოეს მომავალში მანქანური გონება თეორიულად წამში 100 ტრილიონ ბრძანებას შეასრულებს და რა მოხდება მაშინ როცა კომპიუტერის გონება მისი შემქმნელების გონებას დაუკავშირდება?

ვინაიდან ტექნიკისა და ტექნოლოგიების ინფორმაციული ჰაბი უფრო სწრაფად ვითარდება ვიდრე ადამიანის აზროვნება.

დასკვნა

ამრიგად, ხელოვნური ინტელექტი არ არის მორიგი დამხმარე ელექტრონული სისტემა. იგი არსებითად ზრდის სახელმწიფოს მმართველობით შესაძლებლობებს, შესაბამისად იმატებს მისი არამართლზომიერად გამოყენების შესაძლებლობები. იმედია ხარისხიანი იქნება მისი გამოყენება განათლებაში, ბიზნესში, მედიცინაში, საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროში ადამიანის აზროვნების ევოლუციასთან ერთად, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის კაცობრიობის უსაფრთხოებას.

ლიტერატურა

1. ე. მრევლიშვილი, მ. დევიძე, გვ. ქვლივციძე. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მომხმარებელთა შესახებ არსებული ინფორმაციის მარვა. CRM ტექნოლოგიების კავშირი ხელოვნურ ინტელექტთან. თბ. 2019
2. ნ. ზენაიშვილი. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ბიზნეს პროფესიებში, ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი. თბ. 2019
3. არ. სებისკვერაძე. ხელოვნური ინტელექტის როლი განათლებაში. თბ. 31 აგვისტო, 2023.
4. ანრი კურტანიძე. ხელოვნური ინტელექტი სამხედრო ტექნიკაში თბ. 2023.

The Interaction of Society with Artificial Intelligence

Elisabed Khakhutashvili, Associate Professor

Georgian Technical University

Summary

Predicting the future technologies is invaluable, it's an act of ingratitude. Technologies are a movement of ideas, and ideas are unknowable. Despite this, humans create deep intellectual and realistic programs for the future technologies, for the development of artificial intelligence.

The greatest in society's life is the capability of artificial intelligence. However, it is also thought-provoking how it will affect the psychological state of humans. Today, its implementation in practice is being explored in various directions and spheres, which still requires study and its future is not clear for humanity.

The idea of creating fear in humans comes from the distant antique era known from Frankenstein's monster, which appalled the 19th century and was revealed during the development of artificial intelligence as a being against humanity. However, as scientist Spocking noted, artificial intelligence can manage humanity as if it were a family of ants. It is remarkable that artificial intelligence can decide and manage the most complex tasks, which is its highest value for the required road of magisterial history.

According to scientist Huda, humans can create an intellectual machine with intellectual capabilities, which represents the ultimate invention in humanity and forms the basis of artificial intelligence. However, there also exists a contradictory position. This absolute value is individual to the existence of humanity, where the ideas of technological progress and their subjects are used.

The article discusses the relationship between artificial intelligence and humans, its role in education, and human engagement in science through interactions with artificial intelligence. It also covers artificial intelligence in the economy, its role in business, marketing, manufacturing, supermarkets, banking, meteorology, aviation, military technology, justice, and more. Despite the expected risks, artificial intelligence is not just another auxiliary electronic system; it fundamentally increases the governance capabilities of state. It is hoped to be of high quality and, along with evaluating human reasoning, enhance the safety of humanity.

Key words: artificial intelligence, society, education, science, business, risk, military technology, jurisprudence, banking, human safety.

ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის პოტენციური რისკები

ნინო ომანაძე, ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გორდა ნამიჭეიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ბიზნესის გაციფრულების თანამედროვე პირობებში აუცილებელი პირობა გახდა სამეწარმეო სტრუქტურის პოზიციების შენარჩუნება ბაზარზე. ერთი მხრივ, გაციფრულება და ბიზნესის შემდგომი ციფრული ტრანსფორმაცია ქმნის ახალ შესაძლებლობებს: მაღლდება ბიზნესის მოქნილობა და ადაპტურობა ახალ ეკონომიკურ პირობებთან; ჩნდება პროდუქციის ინდივიდუალიზაციის და მომხმარებელთა ყურადღების მიპყრობის ახალი საშუალებები. მეორე მხრივ, ციფრული ტრანსფორმაციის გზაზე ბიზნესი ეჯახება მთელ რიგ გამოწვევებსა და რისკებს, რომელთა გავლენის ნიველირებას უნდა ემსახურებოდეს მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ინსტრუმენტები.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური განვითარების საკვანძო ტენდენციად იქცა ახალი ციფრული ტექნოლოგიების შეღწევა ადამიანის ცხოველ ქმედების ყველა სფეროში. დღეისათვის, ციფრული გადაწყვეტილებების გამოყენება რადიკალური ინოვაციების ჯგუფიდან ყოველდღიურ რუტინაში გადავიდა. ციფრული ტექნოლოგიები უკვე ფართოდ გამოიყენება სახელმწიფო, სამეწარმეო და თუნდაც საყოფაცხოვრებო დონეებზე.

რაც შეეხება ციფრული ტექნოლოგიების გავრცელებას ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესის გაციფრულების ინსტრუმენტების დანერგვის ყველაზე მეტი დაჩქარება შეინიშნება ეკონომიკის მაღალკონკურენტულ დარგებში. ასე, მაგალითად, იმ ორგანიზაციათა ყველაზე დიდი წილი, რომლებიც იყენებენ თავიანთ საქმიანობაში ისტ-ს, შეინიშნება ვაჭრობის სფეროში, საფინანსო და სადაზღვევო სექტორებში. კომპანიები, რომლებიც ფუნქციონირებენ ჩამოთვლილ სექტორებში, უნდა ვითარდებოდნენ უფრო სწრაფი ტემპებით, ვიდრე დანარჩენები, სხვაგვარად ისინი მალე დაკარგავენ თავიანთ კონკურენტუნარიანობას.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია, ციფრული ინსტრუმენტები, გაციფრულების დრაივერები, ციფრული პლატფორმა.

შესავალი

Covid-19-ის პანდემია გახდა ბიზნესის დაჩქარებული ციფრული ტრანსფორმაციის კატალიზატორი. ციფრულმა ტრანსფორმაციამ შეცვალა მრავალი სამეწარმეო სტრუქტურის საქმიანობა მიუხედავად ბიზნესის მასშტაბებისა და ეკონომიკური საქმიანობის სახისა. ციფრული ტრანსფორმაცია შეიცავს გარკვეულ პოტენციურ რისკებს და აჩენს ახალ გამოწვევებს, რომლებიც აფერხებენ სამეწარმეო სტრუქტურების განვითარებას.

ძირითადი ნაწილი

ციფრული ტრანსფორმაციის პოტენციური რისკები

ციფრული ტრანსფორმაციის გამოწვევებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები. გამოწვევების ეს ჯგუფი დაკავშირებულია ტექნოლოგიურ რისკებთან. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი დანერგვა ეხმარება ახალი რევოლუციური ბიზნეს მოდელების და პროცესების ათვისებაში. ბიზნესის მზარდი გაციფრულების პირობებში უსწრაფესად იზრდება მონაცემთა მოცულობები, იზრდება ავტომატიზაციის დონე, ხოლო კიბერშეტევები უფრო გაწაფული ხდება. ყოველი ცვლილება რისკთანაა დაკავშირებული, ხოლო კიბერშეტევები და შეღწევები - ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული რისკფაქტორია. Marsh&McLennan-ის მიერ 1500 ხელმძღანელს შორის ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მსოფლიოს ხელმძღვანელთა დაახლოებით 79 % კიბერშეტევებსა და საფრთხეებს მიიჩნევს რისკების მართვის ერთ-ერთ პრიორიტეტად. მთლიანობაში, უსაფრთხოებისა და ციფრული ტრანსფორმაციის როლი გაიზარდა როგორც ინფორმირებულობის, ასევე პროექტის შემუშავების პროცესის ადრეულ ეტაპებზე მონაწილეობის თვალსაზრისით.

2. პერსონალის ციფრული კომპეტენციების განვითარების არასაკმარისი დონე. მეწარმეების აზრით, ცოდნისა და შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების არასაკმარისობა შედის ბიზნესის

ციფრული ტრანსფორმაციის პრობლემების ტოპ ხუთეულში. თანამშრომლებში კომპეტენციების არარსებობამ ან არასაკმარისობამ შეიძლება კიდევ ერთი პრობლემა წარმოქმნას - სიახლეების მიუღებლობა. ადამიანთა უმეტესობისათვის ინოვაციების დანერგვა მთელი რიგი მიზეზების გამო (სიახლეების შიში, ხელმძღვანელობის მიმართ უნდობლობა, კონსერვატიზმი და ა.შ.) მტკივნეულად მიმდინარეობს. შესაბამისად, ნებისმიერი ახალი ტექნოლოგიის დანერგვას თან უნდა ახლდეს თანამშრომელთა სწავლება და გადამზადება.

3. ახალ ბიზნესმოდელებზე გადასვლის სირთულე. კომპანიები, რომლებიც აქტიურად ნერგავენ ციფრულ ინსტრუმენტებს თავიანთ ბიზნესპროცესებში, გარდაუვლად ეჯახებიან ცვლილებების აუცილებლობას მმართველობის სისტემასა და წარმოების ორგანიზაციაში. ბიზნესპროცესებში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა უნდა მიმდინარეობდეს ორგანიზაციული ინოვაციების პარალელურად და თან ახლდეს მენეჯმენტის სრულყოფა. უცხოური კვლევები გვიჩვენებენ, რომ ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის შედეგები დამოკიდებულია მართვის სრულყოფასთან (ცხრ. 1).

შენარჩუნებისთვის ციფრულ ტრანსფორმაციას ალტერნატივა არ აქვს. აქედან გამომდინარე, დღეისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა მეწარმეთა ლოიალურობის ხარისხი ციფრული ტრანსფორმაციის პროცესებისადმი. გარდა ამისა, სამეურნეო პრაქტიკაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისთვის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია კლიენტთა მოთხოვნები, რომლებმაც უკვე შეიგრძნეს ონლაინ რეჟიმში მომსახურებების მიღების და ინტერნეტით საქონლის შეკვეთის უპირატესობები. მსოფლიო პრაქტიკაში ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის წარმატების უზრუნველყოფაში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ ფაქტორებს:

- სამეწარმეო სტრუქტურების კეთილგანწყობას ცვლილებების, კერძოდ, ახალი ბიზნეს მოდელების დანერგვის მიმართ;
- ინვესტირებას ადამიანურ კაპიტალში (სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება, სხვა ბიზნეს სტრუქტურებიდან მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა);
- კიბერუსაფრთხოების, ელექტრონული ვაჭრობის, ბლოკჩეინისა და ღრუბლოვანი ტექ-

ცხრილი 1. კომპანიაში ციფრული ინსტრუმენტების დანერგვის შედეგები

ვარიანტი	ტექნოლოგიები	მართვის ახალი მეთოდები	მოგების ცვლილება
1	-	-	კონკურენტებთან შედარებით მოგება შემცირდა 24 %-ით
2	+	-	მოგების შემცირება 11 %-ით
3	-	+	მოგება გაიზარდა 9 %-ით
4	+	+	მოგება გაიზარდა 26 %-ით

წყარო: Гарифуллин Б.М., Зябриков В.В. Цифровая трансформация бизнеса: модели и алгоритмы // КЭ. 2018. № 9. URL: https://cyberleninka.ru/article/n/tsifrovaya-transformatsiya-biznesa-modeli-i-algoritmy (дата обращения: 02.06.2021).

4. ფინანსური შეზღუდვები. ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია მოითხოვს მასშტაბურ ფინანსურ დაბანდებებს. ინვესტიციები ბიზნესპროცესებში ციფრული ინსტრუმენტების დანერგვის პირველ ეტაპზე და დანახარჯები შემდგომ ორგანიზაციულ ინოვაციებზე მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ციფრული ტრანსფორმაციის ეკონომიკური ეფექტი ვლინდება საკმაოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ.

განვაზოგადებთ ექსპერტთა მოსაზრებებს და აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბიზნეს სტრუქტურების წარმომადგენლები ციფრული ტრანსფორმაციის პროცესებს საკმაოდ რისკიან პროცესად მიიჩნევენ, მეწარმეები აცნობიერებენ, რომ საწარმოს განვითარებისა და საბაზრო პოზიციების

ნოლოგიების დანერგვას.

დასკვნა

ამრიგად, იმისათვის, რომ ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია რეალობად იქცეს და არა დროებით იძულებით ზომად პანდემიის პირობებში, აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: ციფრული ტრანსფორმაციისთვის გარემოს მზაობის შეფასება; ტრანსფორმაციის პროცესის მკაფიო სტრუქტურიზაცია ეტაპობრივი რეალიზაციით; მართვის ეფექტიანი სისტემის აგება. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გაციფრულების პროცესების წარმატებულობა როგორც სახელმწიფოს, ასევე რეგიონების,

დარგების, სამეწარმეო სტრუქტურების დონეზე, მნიშვნელოვან წილად განპირობებულია ციფრული ტრანსფორმაციის დრაივერების კომპლექსის კვალიფიციური გამოყენებით ეკონომიკური სისტემის ყველა დონეზე.

თანამედროვე პირობებში ერთ-ერთი ასეთი დრაივერია ციფრული პლატფორმები. სწორედ აქ იკვეთება სახელმწიფოს, ბიზნესის, კონკრეტული სამეწარმეო სტრუქტურების, მათი ბიზნეს პარტნიორების, დარგებისა და საბაზრო ინსტიტუტების ინტერესები. ამგვარი პლატფორმების სახესხვაობას ამჟამად წარმოადგენს საინვესტიციო პლატფორმები, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი პოტენციალი მაღალტექნოლოგიურ სტარტაპ პროექტებში კერძო ინვესტორების ფინანსური რესურსების მოსაზიდად პირობების შექმნისათვის. გარდა ამისა, სამამულო პრაქტიკაში ჯერჯერობით არასაკმარისადაა ამოქმედებული შესაძლებლობები, ანუ კერძო ინვესტორების საშუალებების მოზიდვა დამწყები მეწარმეების ინოვაციური იდეების, შემოქმედებითი და ვენჩურული პროექტების, სოციალურად მნიშვნელოვანი ინიციატივების რეალიზაციისთვის. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებში კრიტიკული აზროვნებისა და დასაბუთებული პროფესიული გადაწყვეტილებების უნარების გამომუშავება, სამეწარმეო პროექტების შემუშავება და ციფრული ეკონომიკის გამოყენება ფინანსური რესურსების მოსაზიდად ციფრული გარემოს ეკონომიკური რეალიების გათვალისწინებით, წარმოადგენს საფუძველს ადამიანის მიერ ბიზნესში საკუთარი პროფესიული იდეების წარმატებული რეალიზაციის, გაციფრულების გამოწვევებისა და რისკების დაძლევისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Global Cyber Risk Perception Survey. 2019. URL: https://www.mmc.com/insights/publications/2019/sep/globalcyber-risk-perception-survey-report-2019.html (дата обращения: 05.05.2021).
2. Семернина С.А., Сомина И.В. Цифровая трансформация бизнеса: зарубежный опыт // Вестн. Самарского ун-та. Экономика и управление. 2018. № 2. URL: https://cyberleninka.ru/article/n/tsifrovaya-transformatsiyabiznesa-zarubezhnyy-opyt (дата обращения: 20.05.2021).
3. Зайченко И.М., Козлов А.В., Шитова Е.С. Драйверы цифровой трансформации бизнеса: понятие, виды, ключевые, стейкхолдеры // Научно-технические ведомости Санкт-Петербургского государственного политехнического университета. Экономические науки. 2020. № 5. URL: https://cyberleninka.ru/article/n/drayverytsifrovoy-transformatsii-biznesa-ponyatie-vidy-klyuchevye-steykholdery (дата обращения: 20.05.2021).
4. Хоменко Е.Б. Цифровая экономика: актуальные вопросы теории и практики // Вестн. Удм. ун-та. Сер. Экономика и право. 2021. Т. 31, вып. 1. С. 45-52

Potential risks of business digital transformation

Nino Omanadze, assistant professor
Georgian Technical University

Gorda Namichheishvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

In the modern conditions of business digitization, it has become a necessary condition to maintain the positions of the entrepreneurial structure in the market. On the one hand, digitization and subsequent digital transformation of business creates new opportunities: business flexibility and adaptability to new economic conditions increases; New means of individualizing products and attracting consumer attention are emerging. On the other hand, on the way to digital transformation, businesses encounter a number of challenges and risks, the influence of which should be leveled by state support instruments for entrepreneurship.

In modern conditions, the penetration of new digital technologies into all spheres of human activity has become a key trend of economic development. Today, the use of digital solutions has moved from a group of radical innovations to a daily routine. Digital technologies are already widely used at government, business and even household levels.

As for the spread of digital technologies according to the types of economic activity, it can be said that the greatest acceleration of the introduction of business digitization tools is observed in highly competitive sectors of the economy. So, for example, the largest share of organizations that use IT in their activities is observed in the trade, financial and insurance sectors. Companies that operate in the listed sectors must develop at a faster pace than the rest, otherwise they will soon lose their competitiveness.

Thus, in order for the digital transformation of business to become a reality and not a temporary forced measure in the conditions of a pandemic, it is necessary to implement the following measures: assessment of the readiness of the environment for digital transformation; clear structuring of the transformation process with step-by-step implementation; Building an effective management system. It should be emphasized that the success of digitization processes at the level of the state, regions, industries, and business structures is largely due to the qualified use of the complex of digital transformation drivers at all levels of the economic system.

Keywords: digital transformation of business, digital tools, digitization drivers, digital platform.

საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის როლი ბიზნესში

თამარ კილაძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნინო ოსაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის თანამედროვე მდგომარეობა და ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტირებული სექტორების ზრდის პირობები სავაჭრო ნაკადების ფორმირების კონტექსტში; გაანალიზებულია იმპორტის შემცირების პირობები და ფაქტორები; აღწერილია იმპორტის შემცვლელი ადგილობრივი წარმოების განვითარება, როგორც რეგიონის სავაჭრო ნაკადების სტრუქტურული ცვლილებების ერთერთი ძირითადი დეტერმინანტი.

გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ სასაქონლო ნაკადების რეგიონული ლოგისტიკური ქსელის ფორმირების ეფექტიანობა დიდწილად არის დამოკიდებული რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის ამჟამინდელ მდგომარეობაზე და ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოებისა და მისი ეკონომიკის სექტორების ზრდის პირობებზე. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ საქართველოს საწარმოო და ინფრასტრუქტურული პოტენციალის მდგომარეობის შეფასების მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება მისი განსაკუთრებული გეოსტრატეგიული პოზიციით დინამიურად განვითარებად მსოფლიო ბიზნეს ცენტრებს შორის – ევროპასა და აზიას შორის, ევროპისა და აზიის სატრანსპორტო და სატრანზიტო ვაჭრობის ნაკადებში არსებული მთავარი როლით.

ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს სატრანსპორტო-სატრანზიტო ფუნქციების გაძლიერება პირდაპირ დაკავშირებულია ქვეყანაში ბიზნეს საქმიანობის ისეთი დარგების გააქტიურებასთან, როგორიც არის ყველა სახის ტრანსპორტი, ტურისტული, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურეობა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის ის სფეროები სადაც იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, იზრდება შემოსავლები, უმჯობესდება ხალხისა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მენეჯმენტი, ტრანსპორტი, სატრანსპორტო სისტემა, ლოჯისტიკა, ტურისტული, სატრანზიტო.

შესავალი

საქართველოს, რომელიც მდებარეობს ორი კონტინენტის ქვეყნების მნიშვნელოვანი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციების კვეთაზე და თავად გააჩნია საკმაოდ განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და ფორმირებული დივერსიფიცირებული სამეწარმეო-ტერიტორიული კომპლექსი, თავად შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საკუთრი ეკონომიკის გამყარებაში, რაც უზრუნველყოფს სატრანზიტო სერვისების ექსპორტის შესაძლებლობას სატრანზიტო საქონლის განაწილების ეფექტიანი კონტროლისა და რეგულირების გზით.

„ჩრდილოეთ-სამხრეთის“საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის შექმნა , რომლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელიც გახდება საქართველოს ოთხიდან - ორი მეზობელი, შექმნის საქონლის სატრანზიტო განაწილების საშუალებას სპარსეთის ყურის, ინდოეთის, პაკისტანის რეგიონებიდან კასპიის ირანულ პორტებში, შემდეგ კი ბორანით საქართველოს სარკინიგზო ქსელზე ან „მდინარე-ზღვის“ გემებით საქართველოს შავი ზღვის წყლის გზებით - აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის და ასევე სკანდინავიის ქვეყნებში. ამდენად, ევროაზიის სივრცეში მუდმივად მზარდ სატვირთო ტრაფიკს შეუძლია შეიძინოს კიდევ ერთი სატრანსპორტო და ტრანზიტული მარშრუტი.

ძირითადი ნაწილი

ტრანსსასაზღვრო გადაზიდვების რეგიონული ლოგისტიკური ქსელის ფორმირებისა და მსოფლიო ბაზარზე მისი ინტეგრაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საერთაშორისო სატრანსპორტო და სატრანზიტო დერეფნების განვითარება და სატრანზიტო ტვირთის ნაკადების მოზიდვა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე. ტვირთისთვის პოტენციური მარშრუტის არჩევის განმსაზღვრელი ფაქტორია პარალელური გასასვლელების არსებობა, რომლებიც ამრავლებენ დერეფნის ძირითად მიმართულებას ტრანსპორტის სხვადასხვა რეჟიმით და უზრუნველყოფენ დერეფნის გამტარუნარიანობის გარანტირებულ რეზერვებს.

ამჟამად, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს 165 სატრანსპორტო დერე-ფანი, მაგრამ „პარალელურის“ მითითებულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს მხოლოდ

1. საქართველო-სომხეთის (სარკინიგზო, საჰაერო, სახმელეთო);
2. საქართველო-აზერბაიჯანისა და აზერბაიჯანის გავლით - შუა აზიის ქვეყნები (სარკინიგზო, საჰაერო, სახმელეთო და წყლის);
3. საქართველო-უკრაინის (სარკინიგზო, საჰაერო, სახმელეთო და წყლის); საქართველო-რუსეთის (სარკინიგზო, საჰაერო, სახმელეთო და წყლის);
4. საქართველო-თურქეთის (სარკინიგზო, საჰაერო, სახმელეთო და წყლის) მიმართულებები.

პერსპექტიულ სატრანსპორტო მიმართულებებს შორისაა საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის გაფართოება წყლისა და სახმელეთო კომუნიკაციებში. მდინარე დუნაის სატრანსპორტო დერეფნის ათვისება წყლის კომპონენ-ტის განვითარების ფარგლებში, ძალიან პერსპექტიულია, შესაძლებელი გახდება და-სავლეთ ევროპისა და საქართველოს შიდა წყლის გზების გამოყენებით დაკავშირება, ასევე, ცენტრალური ევროპის ქვეყნების, საქართველოსა და კასპიის აუზის სახელმწიფოებს შორის ახალი პირდაპირი წყალ/სახმელეთო გზის განვითარება.

დუნაის სატრანსპორტო დერეფნის სახმელეთო ნაწილის განვითარების ფარგლებში, პერსპექტიულია სატრანსპორტო დერეფნის ქართული მონაკვეთის ჩამოყალიბება საავტომობილო მოძრაობაში. სატრანსპორტო დერეფნის ნაწილად მოქმედ საავტომობილო მაგისტრალს ბუდაპეშტი - ბუქარესტი - კონსტანტა - ბელგოროდი (უკრაინა) - ფოთი.

ბოლო დროს, საქართველომ, UNECE-სა და UNESCAP-ის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე ევროპისა და აზიის დაინტერესებულ ქვეყნებთან ერთად, ტრანსპორტის საერთაშორისო ევრაზიის კონფერენციისა (გ. პეტერბურგი, 2000 წ.) და სრულიად ევროპის მე-3 სატრანსპორტო საერთაშორისო კონფერენციის (ჰელსინკი, 1997) დროს მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, გააქტიურა მუშაობა ევრაზიის სატრანსპორტო კავშირების სისტემის შესაქმნელად, პრიორიტეტული მიმართულებით

- ჩრდილოეთი - სამხრეთი: „ჩრდილოეთ ევროპა
- საქართველო (კასპიის ზღვა) - ცენტრალური აზია - ირანი (სპარსეთის ყურე) - ინდოეთი. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მარშრუტები ალტერნატიულია TRACECA პროექტისთვის, რომელიც ყალიბდება საქართველოს ტერიტორიის ირგვლივ და ამჟამად ხორციელდება ევროკავშირისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერით.

საქართველოს ინტერესების დასაცავად და რეგიონში საქართველოს სატრანსპორტო და სატრანზიტო იგნორირების თავიდან ასაცილებლად, შეიძლება გამოიყოს მინიმუმ ორი ძირითადი ამოცანა:

- უპირველეს ყოვლისა, საქართველოსა და შუა და ცენტრალური აზიის სატრანსპორტო ქსელების დამაკავშირებელი მიმართულებების პრიორიტეტული განვითარება აზერბაიჯანის, ყაზახეთის, თურქმენეთის ტერიტორიების გავლით, მათ შორის კასპიის ზღვის საბორნე გადასასვლელების გამოყენებით;
- და მეორე, კასპიისა და შავი ზღვების დამაკავშირებელი სატრანსპორტო მარშრუტის დაკავშირება ევრაზიის სატრანსპორტო კავშირების სისტემასთან.

„ჩრდილოეთ-სამხრეთის“ მიმართულებით სატრანსპორტო დერეფნების განვითარება ითვალისწინებს ევრაზიის ერთიანი ღრმაწყლოვანი სატრანსპორტო სისტემის ფორმირების დასრულებას. საქართველოს შიდა წყლის გზების სრული ჩართვა დუნაის დახმარებით, უზრუნველყოფს შავი ზღვის და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის გავლით წვდომას კონტინენტის ცენტრამდე. ვოლგის გასწვრივ, სატრანზიტო მარშრუტი გადის ბალტიისა და სკანდინავიისკენ. ექსპერ-ტების შეფასებით, ექსპერტების აზრით, უზრუნველყოფს საქართველოს მიერ ტრანზიტიდან მიღებული შემოსავალი წელიწადში 1 მილიარდი აშშ დოლარი იქნება.

საქართველოში, სატრანზიტო კავშირების განვითარებისთვის პერსპექტიულ მიმართულებს წარმოადგენს საქართველოს საგარეო სავაჭრო ტვირთის გადაზიდვისათვის საჭირო სატრანსპორტო უზრუნველყოფა ირანთან, ინდოეთთან, არაბეთის სანაპიროებთან და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებთან, ისევე როგორც ამ ქვეყნების ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოებთან. ექსპერტების აზრით, ტვირთის ნაკადი კასპიის აუზიდან, ახლო აღმოსავლეთიდან, სპარსეთის ყურიდან, სამხრეთ-დასავლეთ აზიის ქვეყნებიდან - საქართველოში, დსთ-ს ქვეყნებსა და ევროპაში შეადგენს დაახლოებით 20 მილიონ ტონას, ხოლო საქონლის ტრანსპორტირების დრო, არსებულ სატრანსპორტო სქემებთან შედარებით,

სატრანსპორტო ხარჯების მნიშვნელოვანი კლების ხარჯზე შემცირდება 2-3-ჯერ.

სატრანსპორტო დერეფნის განვითარებადი ინფრასტრუქტურის ფარგლებში, შავ ზღვაში იგეგმება ახალი საზღვაო ღრმაწყლოვანი ნავსადგურის - ანაკლიას (European Association of Freight Villages, 2018) მშენებლობა. პორტის მდებარეობა უზრუნველყოფს გასასვლელს საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო ხაზებზე და ქმნის პირობებს სატრანზიტო და ექსპორტ-იმპორტის ტვირთების გადაზიდვისთვის მთელი წლის განმავლობაში. პორტის საპროექტო სიმძლავრეა 8 მილიონი ტონა საერთო ტვირთი წელიწადში და 5,8 მილიონი ტონა ავტომისაბ-მელითა და სარკინიგზო ვაგონებით-საზღვაო ბორნით ტრანსპორტირებული ტვირთია. ნავმისადგომების სიღრმე იქნება 6 მ, პროექტის განსახორციელებლად საჭირო ინვესტიციების მოცულობა შეადგენს 589 მლნ აშშ დოლარს.

შავი ზღვისპირა ქვეყნებიდან საქართველო ერთადერთია, რომელსაც ჯერჯე-რობით არ გააჩნია ღრმაწყლოვანი პორტი. შესაბამისად, პანამაქსისა და პოსტპანა-მაქსის ტიპის შავ ზღვაში დატვირთული გემების უმრავლესობა (კონკრეტულად, 65 %) არ შემოდის საქართველოს შავ ზღვისპირა პორტებში. ეს დიდი დანაკარგია საქართველოსთვის როგორც შემოსავლების, ასევე რეპუტაციის თვალსაზრისით.

ანაკლიის პორტის ჩაფიქრებულია, როგორც ყველაზე ღრმაწყლოვანი მთელს შავ ზღვაში, მისი ტერიტორია უნდა იყოს განთავსებული 400 ჰექტარზე, რასაც დაემატება ანაკლიის თავისუფალი ეკონომიკური ზონის 600 ჰექტარზე განთავსებული ტერიტორიაც.

ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციაში გაშვება, ისევე როგორც სარკინიგზო ტრანსპორტირებაზე გადასვლა ყაზახეთის საბადოებიდან და კასპიის ზღვის შელფიდან აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ნავთობის ნაწილის ტრანსპორტირებისთვის, არ აჩენს რკინიგზის მშენებლობის საჭიროებას, ვინაიდან ზუგდიდამდე მანძილი 25 კმ შეადგენს, ქუთაისამდე - 110 კმ.

ჩვენი აზრით, შავი ზღვის სანაპიროზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების განხილულ ვარიანტებს შორის, ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ ასპექტებში სასურველია ქუთაისის სატრანსპორტო კვანძის განვითარება, რომელიც დაფუძნებულია ანაკლიის საერთაშორისო საზღვაო პორტისა და რკინიგზის სადგურის აგებასა და განვითარებაზე. ზღვის სიღრმეები, მთელი წლის ნავიგაცია, არსებული გადაზიდვის შესაძლებლობები, რაც იძლევა 7 მილიონ ტონამდე ნავთობპროდუქტებისა და 1,5 მილიონი ტონა მშრალი ტვირთის გადამუშავების საშუალებას, სრულფასოვანი სარკინიგზო და საავტომობილო მიდგომები პორტთან, შავი ზღვისპირა რეგიონის სატრანსპორტო ცენტრის ხელსაყრელი მდებარეობა საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ანაკლიის პორტი, როგორც პერსპექტივაში ყველაზე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი საქართველოსა და ამიერკავკასიის რეგიონში.

ანაკლიამდე არსებული სატრანსპორტო დერეფნის შემადგენლობაში შემავალი საავტომობილო გზების ქსელის განვითარების ძირითადი მიმართულებები იქნება ძირითადი საავტომობილო გზების მოდერნიზაცია, მშენებლობა და რეკონსტრუქცია და მისი უკვე რეკონსტრუირებულ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ქსელში ინტეგრირება. (საქართველოს სტატისტის ეროვნული სამსახური, 2023)

საქართველოში, სატრანსპორტო დერეფნების ინფორმაციული მომსახურების საერთაშორისო დონის უზრუნველყოფისა და საერთო მენეჯმენტის ერთ-ერთ პირობად უნდა იქცეს ამიერკავკასიის რეგიონული ლოგისტიკური სატრანსპორტო ცენტრის შექმნა, რომლის ფუნქციონირება უზრუნველყოფს:

– ტრანსპორტირებისა და ურთიერთგათვლის ოპტიმალური სქემების განხორციელებას;

– სატრანსპორტო და სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების შეკვეთების ბანკის ჩამოყალიბებას;

– ტრანსპორტირების მონაწილეებს შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და ტელემატიკური ურთიერთქმედებების უზრუნველყოფას;

– ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებას სატრანსპორტო პროცესში პარტნიორების ფართო არჩევანის შესაძლებლობის გამო;

– ინფორმაციის ელექტრონული გადაცემის შესაძლებლობების გამოყე-ნებას ტვირთის მფლობელსა და გადამზიდველს შორის პირდაპირი კონტაქტისთვის;

– საგარეო სავაჭრო გადაზიდვების ორგანიზებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო სისტემის რეფორმა მიმდინარეობს სამი მიმართულებით.

უპირველეს ყოვლისა, სარკინიგზო ტრანსპორტი და, კერძოდ:

1. ატრანსპორტო დერეფნის განვითარება რეგიონის ტერიტორიაზე ითვალის-წინებს:

- სარკინიგზო ხაზის გამტარუნარიანობისა და გადაზიდვის შესაძლებლობების გაზრდას მთელს ტერიტორიაზე;
- რკინიგზის დამატებითი შიდა მონაკვეთების მშენებლობას და საზღვრის გადაკვეთის მოწყობას.

2. საგარეო ვაჭრობის ტრანსპორტირების უზრუნველყოფას, რაც უზრუნველყოფს ყველა სარკინიგზო სატრანსპორტო კვანძების განვითარებას და მათთან მიდგომების გაძლიერებას პორტებით ტრანსპორტირების ზრდის გამო.

3. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ ტრანსპორტის სფეროში არსებული ვითარების მოგვარებას და მოძრაობის აღდგენას ტუაფსე - ადლერი - სოხუმი - თბილისი - ერევნის სარკინიგზო მაგისტრალზე, რაც ითვალისწინებს:

- საზღვრის გადაკვეთის მოწყობას სადგურ ვესოლაიაზე;
- სომხეთისთვის ტექნიკური დახმარების გაწევას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღდგენისა და სარკინიგზო ხაზის შესაბამის მონაკვეთებზე მატარებლების მოძრაობის ორგანიზებაში.

შემდეგია, წყლის ტრანსპორტი.

4. საქართველოს პორტებით ტვირთის გადაზიდვის მზარდი მოცულობის უზრუნველყოფა ითვალისწინებს:

- გადატვირთვის კომპლექსების რეკონსტრუქციას და განვითარებას ბათუმის, ყულევისა და ფოთის პორტებში თხევადი და მშრალი ტვირთების გამტარუნარიანობის 45 მილიონი ტონით გაზრდას;
- კომერციული საზღვაო პორტის - ანაკლიას მშენებლობას;
- სავაჭრო ფლოტის აღდგენა-რეკონსტრუქციასა და მისი კონკურენტუ-ნარიანობის გაზრდას;
- სარკინიგზო საბორნე კომპლექსების მშენებლობაზე დაფუძნებული საბორნე მომსახურების შექმნას;
- საზღვაო-სამდინარო არხების მშენებლობას.

და ბოლოს, საავტომობილო გზების ქსელი.

ამიერკავკასიის რეგიონს და კერძოდ საქართველოს ტერიტორიას კვეთს საერთაშორისო საგზაო დერეფნები, რომლებიც აკავშირებს აზიას ჩრდილოეთ, ცენ¬ტრა¬ლურ და სამხრეთ ევროპასთან. ამ სატრანსპორტო დერეფნების გრავიტაციული ზონები წარმოადგენენ პერსპექტიული ადგილებს ვაჭრობისა და ტურიზმის დაჩქარებული განვითარებისთვის. სატრანზიტო ნაკადების მოზიდვა ეროვნულ სატრანსპორტო კომუნიკაციებში წარმოადგენს კონკურენციის საგანს კავკასიის მეზობელ სახელმწიფოებს შორის. ამ პრობლემის გადაჭრა, საქართვე-ლოს ინტერესების გათვალისწინებით, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.

რეგიონის ტერიტორიას კვეთს საერთაშორისო და რეგიონთაშორისი მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალები, რომლებიც შედიან დსთ-ს საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრალების სიაში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ჩართულია საერთაშორისო გზების ევროპულ ქსელში. ამ დერეფნის საავტომობილო მაგისტრალები ახორციელებენ სატვირთო და სამგზავრო მიმოსვლის ძირითად ნაწილს ქვეყნის მასშტაბით, ჩრდილოეთ-სამხრეთის და აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით, გარკვეულ სახელმწი-ფოებზე გავლით (აზერბაიჯანი, საქართველო, შემდეგ ირანი და თურქეთი), რაც თან ახლავს ევრო-აზიური სატრანსპორტო-ეკონომიკური კავშირების დინამიურ განვითარებას.

საქართველოში საგზაო ქსელის შემდგომი განვითარების მთავარი მიზანია მაქსიმალური წვლილის შეტანა სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის სტაბილი-ზაციასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ეკონომიკურ აღდგენაში. ამ მიზნის მიღწევა უზრუნველყოფილი უნდა იყოს საგზაო ქსელის გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრის გზით:

- ეროვნული ავტოსაგზაო დერეფნების განვითარება, არსებული და ტერიტორიული გზების ტექნიკური დონის გაუმჯობესება მათი მოდერნიზებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მანქანებით გადაადგილების მაღალი დონის მოხერხებულობა და უსაფრთხოება, გზების ყველაზე დატვირთული მონაკვეთების რეკონსტრუქცია რეგიონული ცენტრების მისადგომებთან, მათი ინტეგრაცია ევროპული და აზიური სისტემების საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრა-ლების სისტემაში;
- მონაწილეობა და დახმარება სამხრეთ ოლქის სატრანსპორტო სისტემის ჰარმონიულ განვითარებაში, საზღვაო პორტებთან, ყველაზე მნიშვნე¬ლოვან სატრანსპორტო კვანძებთან, ტერმინალებთან და სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურულ ობიექტებთან წვდომის

უზრუნველყოფით;

პირველ ეტაპზე დაგეგმილია გზის მონაკვეთებისმშენებლობადარეკონ-სტრუქცია,რომლებსაც აქვთ დაბალი გამტარუნარიანობა, დატვირთვის მაღალი დონე და ყველაზე მაღალი მომგებიანობის ინდექსი (ინვესტირების ეფექტიანობის კოეფიციენტი), ასევე სტრატეგიული მნიშვნელობა ამიერკავკასიის რეგიონისა და საქართველოსთვის. გზებიდან ეს არის საქართველოს სამხედრო გზის მონაკვე-თები, ისევე როგორც მათი ტერიტორიული დუბლიკატები.

სხვა გზების რეკონსტრუქცია, პირველ რიგში, მოხდება ყველაზე დატვირ-თულ მონაკვეთებში, ავარიის ცენტრების ლიკვიდაციით. როგორც სატრანზიტო, ისე ადგილობრივი სატრანსპორტო ნაკადების გადაადგილების ოპტიმიზაციის მიზნით, დაგეგმილია დიდი დასახლებებისა და ქალაქების შემოვლითი გზების მშენებლობა. შემოვლითი გზების მშენებლობა თითქმის დასრულებულია საქართველოს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილებში, რეკონსტრუი-რებულია რიკოთის მონაკვეთი, გორის, ხაშურისა და ჩუმათელეთის შემოვლითმა გზის მონაკვეთებმა შეამცირა გზის ამ მონაკვეთზე დახარჯული დრო ერთი საათზე მეტით.

შემოვლითი გზების მთელი სისტემისა და გზათა სისტემის ოპტიმიზირების შემდეგ სატრანსპორტო ნაკადები მიმართული იქნება მსხვილი დასახლებული პუნქტების ირგვლივ, რაც გაათავისუფლებს გადატვირთულ საქალაქო მაგისტრალებს და გააუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

და მთავარი ტერიტორიული საავტომობილო გზების საყრდენი ქსელის განვითარების დაფინანსება, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგიონთა-შორის და საერთაშორისო კომუნიკაციებს, განხორციელდება არა მხოლოდ ცენტრალური, არამედ საქართველოს შემადგენელი ერთეულების სამხარეო ბიუჯეტიდან; ჩართული იქნება, აგრეთვე, დაფინანსების არატრადიციული წყაროებიც.

ამრიგად, პროგნოზირებადი საგარეო სავაჭრო ტვირთების ნაკადების მოზიდვა და განვითარება (მათ შორის საერთაშორისო ტრანზიტი) შესაძ-ლებელია მხოლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქ-ტურის შესაბამისი განვითარების საფუძ-ველზე, რაც გაზრდის რეგიონული სატრანსპორტო სის-ტემის კონკურენტუნარი-ანობას გლობალურ სატ-რანსპორტო ბაზარზე.

დასკვნა

საქართველოს სატრანზიტო დერეფანში ტვირ-თების მოძრაობა როგორც ცნობილია, ძირითადად ხორციელდება სარკინიგზო, საავტო-მობილო და საჰაერო ტრანსპორტით და მისადენებით. რომელთა შერჩევა დამოკიდებულია მათთვის დამახასიათებელ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვე-ნებლებლებზე, ტვირთის სახეობებზე და მდგომა-რეობაზე, რასაც აკმაყოფილებს საქართველოს სატრანსპორტო სისტემა

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპიაშვილი მ., საქართველოს სატრანზიტო დერეფანი და მისი ეფექტიანობის ამაღლების გზები“, სტუ-ს შრომები N4(506), 2017წ. გვ.49-74. http://www.gtu.ge/publishhouse;
2. ცანავა ნ., პაპიაშვილი მ., ყიფიანი ს. სასწავლო პროცესესის მენეჯმენტის სისტემის მაჩვენებლები და კრიტერიუმები, თბილისი, 2017, გვ. 130-137. http://www.gtu.ge/publishhouse;
3. ტყეშელაშვილი გ., პაპიაშვილი მ., ნაკაშიძე ნ., TRASEKA -ს სატრანსპორტო კორიდორის განვითარება და მასში საქართველოს როლი, შრომების კრებული ,,ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ N3(34). 2015წ, გვ 45-51;
4. ტყეშელაშვილი გ., პაპიაშვილი მ., საქართველოს სატრანზიტო ტვირთების მოცულობის ზრდის შესაძლებლობები, სამეცნიერო ჟურნალი ,,ბიზნეს-ინჟინერინგი“, N1, 2015 წ. გვ-246-248;

The role of the unified transport system of Georgia in business

Nino Osadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article discusses the current state of Georgia's economic potential and the conditions for the growth of export-oriented sectors of the economy in the context of the formation of trade flows; The conditions and factors of import reduction are analyzed; The development of import-substituting local production is described as one of the main determinants of structural changes in the trade flows of the region.

In addition, it is noted that the effectiveness of the formation of the regional logistics network of commodity flows largely depends on the current state of the economic potential of the region and the conditions for the growth of export-oriented enterprises and sectors of its economy. Attention is drawn to the fact that the importance of assessing the state of production and infrastructural potential of Georgia is determined, first of all, by its special geostrategic position among dynamically developing world business centers - between Europe and Asia, by its main role in transport and transit trade flows between Europe and Asia.

It is also noted that the strengthening of the transport and transit functions of Georgia is directly related to the activation of such branches of business activity in the country, such as all types of transport, tourism, trade, household services and those areas of the country's economy as a whole, where new jobs are created, incomes increase, and the people and the country improve. Economic situation.

As is known, cargo movement in the transit corridor of Georgia is mainly carried out by rail, road and air transport and pipelines. The selection of which depends on the technical and economic indicators characteristic of them, the types of cargo and the condition, which is satisfied by the transport system of Georgia.

Key words: economy, management, transport, transport system, logistics, tourist, transit.

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა

A R C H E O L O G Y

სამხრეთ კავკასიის ნეოლით-ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის კულტურების პოპულაციების იდენტიფიკაციისთვის

თედო ისაკაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სამხრეთ კავკასიის გვიანი ნეოლითისა და ენეოლითის კულტურებთან დაკავშირებით, როგორებიცაა შულავერი-შომუთეფე (6000-4000 წლები BCE) და მტკვარ-არაქსი (4000-2200 წლები BCE), ასევე გარდამავალი ლეილატეპე და სიონი-წოფი-გინჩის კულტურები, არაერთგზის გამოითქვა მოსაზრება, რომ სხვადასხვა დროს ისინი ამჟღავნებდნენ აღმოსავლეთ ანატოლიისა და ცენტრალური მესოპოტამიის კულტურების - ხალაფას, ჰასუნას, უბეიდისა და ურუქის გავლენებს.

მართლაც, როგორც კერამიკული არტეფაქტები, ისე საცხოვრებლის ტიპები ცხადყოფენ ასეთი კავშირების არსებობას.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რა ხასიათი ჰქონდა კულტურის ასეთ განვრცობას, ახლდა თუ არა მას სამხრეთული მოსახლეობის მიგრაცია (დემიური დიფუზია) თუ პროცესი შემოიფარგლებოდა მხოლოდ აკულტურაციითა და ცხოვრების წესის გაზიარებით (კულტურული დიფუზია).

რეგიონის თანამედროვე მოსახლეობისა და არქეოგენეტიკური მასალის კვლევა, შესაძლოა, ის ინსტრუმენტი აღმოჩნდეს, რომელიც პასუხს გასცემს ამ შეკითხვას.

კვლევები აჩვენებს, რომ გვიანი ნეოლითის პერიოდში და ენეოლითში სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ორმხრივ მოძრაობას როგორც სამხრეთიდან (აღმოსავლეთ ანატოლია, ზაგროსი, ცენტრალური მესოპოტამია), ისე ჩრდილოეთიდან (ზემო იმერეთის კავკასიელი მონადირე-შემგროვებლები CHG) და ამ პოპულაციებს შორის აქტიურ ეგზოგამიას, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ადგილობრივი და შემოტანილი კულტურული კონგლომერატი, რომელსაც აშკარად კომპლიმენტარული ხასიათი ჰქონდა.

საკვანძო სიტყვები: არქეოლოგია. არქეოგენეტიკა. პალეოგენეტიკა. კავკასიელი მონადირე-შემგროვებელი (CHG). შულავერი-შომუტეპეს კულტურა. მტკვარ-არაქსის კულტურა.

შესავალი

ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში ნეოლითის ხანის დღეისათვის ცნობილ ყველაზე ძველ კულტურად მიჩნეულია შულავერი-შომუთეფეს არქეოლოგიური კულტურა, რომელიც თარიღდება 6000-4000 წწ. BCE. ამ კულტურის კერები, ძირითადად, აღმოჩენილია ქვემო ქართლის (საქართველო), განჯა-ყარაბაღის (აზერბაიჯანი) და სომხეთის ტერიტორიებზე, გორაკის ტიპის ნამოსახლარებში. (Baumer, 2021; ჯაფარიძე,& ჯავახიშვილი, 1967 და 1971)

ახლო აღმოსავლეთი მკაფიოდ ერთიანი კულტურული სივრცის სახეს იძენს ენეოლითის (ხალკოლითის) და ბრინჯაოს ხანაში, მტკვარ-არაქსის არქეოლოგიურ კულტურაში. როგორც არქეოლოგიური მონაცემები გვიჩვენებს, ამ პერიოდში უფრო აქტიურად მიმდინარეობს გაფართოება ყველა მიმართულებით. (რედ. Кушнарева, & Марковин, 1994)

ამ ეპოქის ადრეულ ეტაპზე, სამხრეთით, ცენტრალურ მესოპოტამიაში, ვითარდება სამარის, ხალაფის, ჰასუნას და, მოგვიანებით, უბეიდის კულტურები.

ჩვენ შევეცდებით როგორც არქეოლოგიური, ისე არქეოგენეტიკური მონაცემების მიხედვით,

დავადგინოთ ამ კულტურების ურთიერთობის საკითხი.

ძირითადი ნაწილი

არქეოლოგიური კონტექსტი

შულავერი-შომუთეფეს არქეოლოგიური კულტურის ძირითადი მახასიათებლებია: მეცხოველეობა (ცხვარი, თხა, საქონელი, ღორი), მიწათმოქმედება (10-მდე სახეობის ხორბალი, ქერი, შვრია, ფეტვი, ოსპი, პარკოსნები), ირიგაცია (გადაჭრილი გორა, მდ. შულავერის არხი), ოვალური და ნახევრადოვალური ნაგებობები (თაღოვანი სახურავით, გამოუწვავი აგური), გრავირებული და დეკორირებული კერამიკა, ანთროპომორფული ფიგურები (მჯდომარე ქალი), ოფსიდიანის იარაღი, მეღვინეობის პირველი კვალი. (რედ. Кушнарева, & Марковин, 1994; Maghradze, რუსიშვილი)

სამხრეთ კავკასიის ადრეული ნეოლითის, ხალკოლითისა და ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურების წარმოშობასთან დაკავშირებით არაერთგზის გამოითქვა მოსაზრება, რომ ისინი ამჟღავნებენ მსგავსებას ანატოლიისა და მესოპოტამიის ადრეული ნეოლითის კულტურებთან, როგორებიცაა: ხალაფი, ჰასუნა, სამარა, უბეიდი და ხაჯილარი. (Сулейманова, 2011; Badalyan, 2010; Nishiaki, 2015; Lyonnet)

ეს ეხება როგორც შულავერი-შომუთეფეს, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის სხვა გვიანდელ კულტურებს. მაგალითად, უბეიდის კულტურის გავლენას ხედავენ ლეილათეფეში. უფრო გვიან, სიონი-წოფის კულტურაში ჩანს ურუქის კულტურის კვალიც. (Ростунов; Museyibli, 2016; Кушнарева, &Чубинишвили, 1970)

მტკვარ-არაქსის კულტურა, თავისი მასშტაბითა და ხასიათით, იმ პერიოდისთვის, რეგიონში იყო გლობალური მოვლენა, რადგან გარდა აღმოსავლეთ ანატოლიისა და ცენტრალური მესოპოტამიისა, მისი კვალი აღწევს ლევანტამდეც, სადაც წარმოდგენილია კირბეთ-კერაქის ინდუსტრია, „რომლის გავრცელების ცენტრიც, სავარაუდოდ, იყო სამხრეთ კავკასია“. (Анати)

ადრეულ ეტაპზე ამ კულტურისთვის დამახასიათებელი იყო: რუხ-მოყავისფრო კერამიკა გაპრიალებული ზედაპირით, სწორკუთხა ან ოვალიზებული საცხოვრებელი სახლები, განვითარებულია მეტალურგია. ზოგი მეცნიერის აზრით, რიგი ჭურჭლის ორნამენტები ამჟღავნებენ პიქტოგრაფიის ნიშნებს. (შანშიაშვილი, 1999)

პარალელურად, ამ პერიოდში, სამხრეთ მესოპოტამიიდან ევფრატისა და ტიგროსის შუა წელისაკენ, მიმდინარეობს ურუქის კულტურის ექსპანსიაც. ამ გავლენის უკიდურეს ჩრდილოეთ წერტილად შეგვიძლია ვივარაუდოთ ქიულთეპე (Kültəpə), ნახიჩევანის მახლობლად, დასავლეთით კი ამ ორი კულტურის თანაარსებობის ნიმუშია არსლანტეპე. (Palumbi, Chataigner)

ეს ორი კულტურა იკვეთება ირანის პლატოს სამხრეთით და ცენტრალურ მესოპოტამიაშიც, სადაც „შეიმჩნევა ერთგვარი დიაქრონული დიალექტიკა ამ ორ, რადიკალურად განსხვავებულ კულტურულ მოვლენას შორის: ურუქი-მტკვარ-არაქსი.“ (Palumbi, Chataigner). ამასთანავე ჩანს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა ამ თანაარსებობის ცენტრებში უფრო გვიანდელია.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეს კულტურები ანატოლიიდან და მესოპოტამიიდან მიგრანტების შემოტანილია (დემიური დიფუზია), თუ ადგილი ჰქონდა კულტურულ დიფუზიას, როცა „ნაყოფიერი (ნოყიერი) ნახევარმთვარის“ ტერიტორიაზე წარმოშობილი ინოვაციები აითვისა ავტოქთონურმა მოსახლეობამ. განხილვადია ამ პოპულაციების კონგლომერაციის ვერსიაც.

პოპულაციური გენეტიკა

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოსახლეობაში ერთ-ერთი დომინანტური ჰაპლოჯგუფია J*, კერძოდ, მისი სუბკლადები - J1 და J2a. ეს

ცხრილი 1. ქვემო ქართლის ნეოლითის არქეოლოგიური კომპლექსების დონეების ქრონოლოგიური შესაბამისობისა და მათი ანატოლიისა და მესოპოტამიის კულტურებთან მსგავსების ცხრილი. თ. კიღურაძის 1986-2001 წლების შრომების მიხედვით

ეტაპი	შულავერი	იმირის	ბრამის დიდი	არუხლო	კავკასია	ღას. ანატოლია	საბხ. ანატოლია	ჩრდ. მესოპოტამია
I	შულავერი IX-IV					ჰაჯილარი VI-II	ჩათალ ჰუიუკი X-IX	სამარა
II	შულავერი III-I	იმირის VII-VI						
III		იმირის V				ჰაჯილარი I		ჰასუნა-c
IV		იმირის IV-I	ბრამის დიდი IX-VI		შომუტეპა, ტოირ ტეპე			ჰასუნ ჰალაფეას კულტურა
V			ბრამის დიდი V-I	არუხლო I	ქიულ ტეპე, თეპუთ			

წყარო: Hamon Caroline. "From Neolithic to Chalcolithic in the Southern Caucasus: Economy and Macrolithic Implements from Shulaveri-Shomu Sites of Kwemo-Kartli (Georgia)." 2008.

ჰაპლოჯგუფები ფართოდ არის წარმოდგენილი იმ ქვეყნების თანამედროვე პოპულაციებში, რომლებიც შედიოდნენ ჩვენ მიერ ნახსენები არქეოლოგიური კულტურების არეალში.

ამ ჰაპლოჯგუფებს რეგიონში დიდი ხნის ისტორია აქვთ.

ზემო იმერეთში, უკვე მეზოლითის პერიოდში, გამოვლენილია J1 (საწურბლია) და J2a (კოტიას კლდე) ჰაპლოჯგუფები. ეს კლასტერი კავკასიელი მონადირე-შემგროვებლის სახელითაა ცნობილი (CHG). (Eppie, 2015; Pinhasi, 2017; Qiaomei, Cosimo, 2016)

რეგიონების თანამედროვე პოპულაციების გენომის სეკვენირების შედეგების მიხედვით, TMRCA-ს მაჩვენებელი (Most Recent Common Ancestor - უახლოესი საერთო წინაპარი) კავკასიის მოსახლეობაში, კერძოდ საქართველოში, სხვა პოპულაციებთან შედარებით, ყველაზე ძველია. (Platt, 2017)

არქეოგენეტიკა

რეგიონის ადრეული არქეოგენეტიკური სურათი

ირკვევა, რომ ადრეული ნეოლითის პერიოდის ახლო აღმოსავლეთის პოპულაციები ნაკლებ მობილურობას ამჟღავნებენ და „ნოყიერი ნახევარმთვარის“ გენეტიკური პალიტრა, ვიწრო რეგიონულ არეალებში (ნატუფიისა და უკერამიკო ნეოლითის ლევანტი (PPN), ცენტრალური ანატოლია, აღმოსავლეთ ანატოლია და ზაგროსი), ინარჩუნებს ადგილობრივი მონადირე-შემგროვებლების კვალს, რომელიც, თავის მხრივ, „ბაზალურ ევრაზიელს“ უკავშირდება. (Lazaridis, 2016; Lazaridis, 2014)

ამ ჰომოგენურობის პარალელურად შეიმჩნევა მკაფიო გენეტიკური დიფერენციაცია - ლევანტი და ცენტრალური ანატოლიის სამხრეთი, ამ ეტაპზე, აჩვენებს უფრო მეტ სიახლოვეს, ვიდრე აღმოსავლეთ ანატოლიასთან და ზაგროსთან, რაც ბუნებრივიცაა,





გრაფიკი. პოპულაციის გაყოფის დროის შეფასებები BATWING (Bayesian Analysis of Trees With Internal Node Generation) ახლო აღმოსავლეთის პოპულაციებისთვის, რომელიც გვიჩვენებს გაფართოების ისტორიას (a) J1, (b) J2 ჰაპლოჯგუფებისთვის. „Mapping Post-Glacial expansions: The Peopling of Southwest Asia.“ Daniel E. Platt et al. 2017. მიხედვით.

კვლევის მიხედვით J1 მეტ დიფერენციაციას ამჟღავნებს კავკასიაში - 8,9 ათასი BP, ეთიოპიაში - 7,9 ათასი BP, სომხეთსა და თურქეთში - 6,9 ათასი BP. J2 ასევე აჩვენებს მის იზოლაციას კავკასიაში - 8,4 ათასი BP. ამ გარემოების გათვალისწინებით, სამხრეთ კავკასიის მთისპირეთი იკვეთება როგორც ამ სუბკლადების წარმოშობის ადგილის კანდიდატი.

ახლა ვნახოთ, რა ინფორმაციას გავწვდის ამასთან დაკავშირებით არქეოგენეტიკა (პალეოგენეტიკა).

რადგან ხმელთაშუა ზღვის ამ მონაკვეთზე აღარ ვრცელდება აღმოსავლეთ ტავრის (ანტიტავრი) ბუნებრივი ბარიერი და სახეზე გვაქვს ერთგვარი დერეფანი.

ამ პერიოდში ლევანტში მკაფიოდაა წარმოჩენილი აფრიკული E1b1* ჰაპლოჯგუფი და CT, რომელსაც „ევრაზიელ ადამს“ უწოდებენ.

მეორე მხრივ, გენეტიკური კავშირი ჩანს სამხრეთ კავკასიასა და ირანის ადრეულ ნეოლითს შორის. ბოლო კვლევები ადასტურებს განჯი დარესა

და ჰოთუს წარმომავლობას კავკასიელი მონადირე-შემგროვებლებისგან. (Lazaridis, 2022)

ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო რეგიონში, ეპიპალეოლითიდან მოყოლებული, ლევანტის, ნატუფიისა და უკერამიკო ნეოლითში, ასევე, ცენტრალური ანატოლიის სამხრეთით და ზაგროსში, შეინიშნება ადგილობრივი მონადირე-შემგროვებლების გენეტიკური მემკვიდრეობა და ორი სუბრეგიონული სივრცე: ერთი - ლევანტი და ცენტრალური ანატოლიის სამხრეთი და მეორე - სამხრეთ კავკასია და ზაგროსი.

შულავერი-შომუს პერიოდის არქეოგენეტიკა

ეს სურათი იცვლება ნეოლითის შემდეგ სტადიაზე, როცა ადამიანი უფრო მეტ მობილურობას ამჟღავნებს.

დაახლოებით 8 200 წ. დედამიწაზე აღინიშნება ტემპერატურის მკვეთრი დაცემა, მეზოკოს რყევა, რომელიც პალეოკლიმატოლგიაში ცნობილია როგორც „ბონდის ციკლის“ მე-5 ეპიზოდი (Bond, 1997). შესაძლოა, ამ მოვლენას უკავშირდება შულავერი-შომუთეფე კულტურის წარმოშობა.

შულავერი-შომუთეფეს პერიოდის არქეოლოგიური მონაცემების შედარებამ რეგიონის სხვა ნეოლითის/ენეოლითის ხანის პალეოგენეტიკურ მონაცემებთან არსლანთეპე, პოლუთეპე (აზერბაიჯანი), აკნაშენი, მასის-ბლური (სომხეთი), ბარცინი, ტელ- კურდუ (ანატოლია), სეჰ-გაბი, თეპე აბდულ ჰუსეინი, ვეზმეხი, ასევე, უფრო ძველი, განჯი-დარი (ირანი), საწურბლია და კოტიას კლდე (საქართველო), ნემრიკი (ჩრდილო-აღმოსავლეთ მესოპოტამია), გამოავლინა სურათი, რომლის მიხედვითაც, ეს „ერთიანი კულტურა ავლენს მცირე გენეტიკურ ჰეტეროგენურობას“, კერძოდ, ამჟღავნებს ნათესაობას კავკასიელ მონადირე-შემგროვებელთან და ანატოლიელ მიწათმოქმედთან. (Guarino-Vignon)

ამავე დროს, მე-6 ათასწლეულში BCE იკვეთება ერთგვარი გენეტიკური გრადიენტი, რომელიც მოიცავს დასავლეთ ანატოლიასა და სამხრეთ კავკასიას, ზაგროსამდე. (Skourtanioti, 2020)

ამ პერიოდის სამხრეთ კავკასიის პოპულაციას, განსხვავდება რა მესოპოტამიის უკერამიკო ნეოლითისაგან, მეტი მსგავსება აქვს აღმოსავლეთ ანატოლიასთან. (Guarino-Vignon)

მტკვარ-არაქსის პერიოდის არქეოგენეტიკა

რეგიონში გენეტიკური პალიტრა კვლავ მკვეთრად იცვლება მტკვარ-არაქსის კულტურის განვრცობის შემდგომ (6-4,2 ათასი წწ. BP). როგორც აღვნიშნეთ, ამ კულტურას გლობალური ხასიათი ჰქონდა.

საერთო ჯამში, ენეოლითის დასაწყისიდან ახლო აღმოსავლეთში უკვე გვაქვს სურათი, რომლის მიხედვითაც, დასავლეთ ირანის ხალკოლითის მოსახლეობა წარმოდგენილია, როგორც ნეოლითის ირანის, ლევანტისა და კავკასიელი მონადირე-შემგროვებლების ნაზავი. (Lazaridis, 2016)

არსლანთეპეში, ნარჩუნდება რა ჰაპლოჯგუფი G*, მკაფიოდ იკვეთება კავკასიელი მონადირე-შემგროვებლების ნეოლითის პერიოდის კვალი ჰაპლოჯგუფებით J1 და J2a. (36)

მოგვიანებით, ეს კლასტერი ჩნდება უფრო სამხრეთით, ტიტრის-ჰუიუკსა და ლევანტში, სადაც ძლიერდება კავკასიელი მონადირე-შემგროვებლის გენეტიკური პროფილის გავლენა, რის შედეგადაც, მაგალითად, ალალაჰსა და ებლაში (სირია), ნარჩუნდება რა ნატუფიის პერიოდის E1b ჰაპლოჯგუფი, პარალელურად წარმოდგენილია G2a და J1a ჰაპლოჯგუფები. (Skourtanioti, 2020)

სურათი იცვლება იორდანიაშიც და ბრინჯაოს ხანის აინ გაზალში (იორდანია), რომელიც ნეოლითის გარიჟრაჟზე ხასიათდებოდა აფრიკული ჰაპლოჯგუფების სიმრავლით, ჩნდება ჰაპლოჯგუფი J*.

აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის გავლენა ლევანტის კირბეთ-კერაკის კულტურაზე არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური თვალსაზრისითაც იკვეთებოდა. აქ, სწორედ იმ პერიოდში, როცა ჩნდება კავკასიელი მონადირე-შემგროვებლის კლასტერი, გვხვდება განსხვავებული ფორმის თავის ქალები და კერამიკის ახალი ინდუსტრია, რომელიც სამხრეთკავკასიური წარმომავლობისაა. (Анати)

ზოგადად უნდა ითქვას, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის გაფართოება ყოველთვის არ გულისხმობდა კავკასიელი მონადირე-შემგროვებლის გენომის მონაწილეობას და, სხვადასხვა ადგილზე, ჰქონდა კულტურული დიფუზიის ხასიათიც. (Skourtanioti, 2020)

დასკვნა

1.ამრიგად,როგორცარქეოლოგიურიკონტექსტი, ისე ახლო აღმოსავლეთის განხილული არეალის თანამედროვე მოსახლეობა და პალეოგენეტიკური მასალა გვიჩვენებს, რომ კავკასიელი მონადირე-შემგროვებლების გენეტიკური კლასტერი (ზემო იმერეთი), ნეოლითის პერიოდში, ინაცვლებს სამხრეთით.

2. ბოლო კვლევებით ირკვევა, რომ ასეთ მიგრაციას შეიძლება ადგილი ჰქონოდა ადრეული

ნეოლითის პერიოდშიც, რადგან, როგორც ვთქვით, ირანის ტერიტორიაზე, არქეოლოგიურ ძეგლებში ჰოთუ და განჯი-დარი, უკვე ჩანს კავკასიელი მონადირე-შემგროვებლების გენეტიკური კლასტერი. ამ პოპულაციის წინაპრებად, ზემო იმერეთის ტერიტორიაზე, უნდა ვიგულისხმოთ საწურბლიასა და კოტიას კლდის ადამიანი. (Lazaridis, 2022)

შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ კავკასიელი მონადირე-შემგროვებლის კლასტერმა მონაწილეობამიიღონეოლითურირევოლუციისადა „ნაყოფიერი (ნოყიერი) ნახევარმთვარის" ფენომენის ჩამოყალიბების პროცესში. ამ თვალსაზრისით მეტ მნიშვნელობას იძენს ნაგუთნის (შიდა ქართლი) არქეოლოგიური კულტურა, რომელთან დაკავშირებითაც ადრე გამოითქვა მოსაზრება, რომ აქ იკვეთება უკერამიკო ნეოლითის ნიშნები. ხომ არ არის ნაგუთნი გარდამავალი რგოლი ზემო იმერეთის პოპულაციასა და ჰოთუ-განჯი დარეს, ასევე შულავერი-შომუთეფეს არქეოლოგიურ კულტურას შორის? აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური უკერამიკო ნეოლითი ჩანს ფალურში (ზემო იმერეთი), რომელიც, თავის მხრივ, წინ უსწრებს დარკვეთი-მეშოკოს კულტურას. (Черленок, 2013; Любин, 1966)

3. შულავერი-შომუთეფეს ეტაპზე იკვეთება პოპულაციების მოძრაობა როგორც სამხრეთიდან ჩრდილოეთით (ზაგროსი, აღმოსავლეთ ანატოლია, ცენტრალური მესოპოტამია), ისე ჩრდილოეთიდან (ზემო იმერეთი) სამხრეთით. შესაბამისად, ეს კულტურა, გენეტიკური თვალსაზრისით, შერეული ხასიათისაა და გულისხმობს როგორც სამხრეთიდან მოსული, ისე ავტოქთონური მოსახლეობის მონაწილეობას ამ კულტურის ფორმირებაში.

4. მტკვარ-არაქსის არქეოლოგიური კულტურის პერიოდში კავკასიელი მონადირე-შემგროვებლის კლასტერი ფართოვდება სამხრეთით და აღწევს ლევანტამდე. საფრონოვის აზრით, ეს კულტურა ჩამოყალიბდა ქართველურ და ხურიტულ-ურარტულ ენებზე მოსაუბრე პოპულაციების მიერ. (Сафронов, 1974) იმავე აზრისაა მუნჩაიევი (Мунчаев, 1975). ასეთ შემთხვევაში, ზემო იმერეთი ანუ სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის მთისპირეთი, იკვეთება როგორც პროტოქართველურ ენათა კონვერგენციის ადგილი, როგორც, ერთი მხრივ სამხრეთით, შულავერი-შომუსკენ, მეორეს მხრივ კი დასავლეთით და ჩრდილოეთით, დარკვეთი-მეშოკოსკენ გაფართოების პროქსიმალური წყარო. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მტკვარ-არაქსი მკაფიოდ ამჟღავნებს წინარე შულავერი-შომუთეფეს მემკვიდრეობას როგორც არქეოლოგიური, ისე გენეტიკური თვალსაზრისით, პროტოქართველური ტომების მონაწილეობა ამ კულტურის ფორმირებაშიც უნდა ვივარაუდოთ.

ლიტერატურა:

1. Christoph Baumer. "History of the Caucasus. Volume one, At the crossroads of empires." გვ. 35. 2021.
2. ო.ჯაფარიძე, ა.ჯავახიშვილი, „ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1966)", „მაცნე" N3; 1967.
3. ო.ჯაფარიძე, ა.ჯავახიშვილი, „უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე", თბ., 1971.
4. თ.კიღურაძე, „აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია", თბ., 1976.
5. „Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа." 1994. ტომის პასუხისმგებელი რედაქტორები: Кушнарева К.Х. Марковин В. И.
6. D. Maghradze et al. „Progress for research of grape and wine culture in Georgia, the South Caucasus."
7. ნ. რუსიშვილი. "ვაზის კულტურა საქართველოში პალეოეთნობოტანიკური მონაცემების საფუძველზე."
8. Севда Сулейманова. „Ревнейшие экономические и культурные связи в ближневосточно-кавказском ареале." Научные исследования Института Востоковедения им. З. М. Буниятова. НАН Азербайджана. Баку, 2011, с. 131-152.
9. Ruben S. Badalyan, et al. The settlement of Aknashen-Khatunarkh, a Neolithic site in the Ararat plain (Armenia): excavation results 2004-2009. 2010.
10. Yoshihiro Nishiaki et al. Chronological Contexts of the Earliest Pottery Neolithic in the South Caucasus: Radiocarbon Dates for Göytepe and Hacı Elamxanlı Tepe, Azerbaijan. 2015.
11. B. Lyonnet. La culture de Maïkop, la Transcaucasie, l'Anatolie orientale et le Proche-Orient: relations et chronologie. 2007.
12. B. Lyonnet The Early Bronze Age in Azerbaijan in the light of recent discoveries
13. В.Л. Ростунов – „Роль географической среды в расселении древних обществ на Центральном Кавказе в эпоху энеолита - средней бронзы."
14. Najaf Museyibli. "Potter's marks on leilatepe culture pottery: eastern anatolian chalcolithic traditions in the caucasus." Mediterranean Archaeology and Archaeometry, Vol. 16, No 1,(2016), pp. 283-294.
15. Кушнарева К.Х., Чубинишвили Т.Н. Древние культуры Южного Кавказа. 1970
16. Эммануэль Анати. „Палестина до древних евреев." ნაწილი მე-5, თავი 15.
17. შანშიაშვილი ნინო. „ნიშნები და სიმბოლოები მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე." 1999.
18. Giulio Palumbi, Chataigner C. " The Kura-Araxes Culture from the Caucasus to Iran, Anatolia and the Levant: Between unity and diversity. A synthesis."
19. Giulio Palumbi. „Push or Pull Factors? The Kura-Araxes 'Expansion' from a Different Perspective: the Upper Euphrates Valley."
20. Jones, Eppie R.; et al. (2015). "Upper Palaeolithic genomes reveal deep roots of modern Eurasians"
21. Pinhasi, Ron; et al. (2014). "Satsurblia: New Insights of Human Response and Survival across the Last Glacial Maximum in the Southern Caucasus"
22. Fu, Qiaomei; Posth, Cosimo; et al. 2016. "The genetic history of Ice Age Europe"
23. Daniel E. Platt et all. "Mapping Post-Glacial expansions: The Peopling of Southwest Asia." 2017.
24. Lazaridis et al. "Genomic insights into the origin of farming in the ancient Near East." 2016.
25. Lazaridis I, et al. "Ancient human genomes suggest three ancestral populations for present-day Europeans." 2014.
26. Lazaridis I, et al. „Ancient DNA from Mesopotamia suggests distinct Pre-Pottery and Pottery Neolithic migrations into Anatolia." 2022.
27. Gerard Bond et al. „A Pervasive Millennial-Scale Cycle in North Atlantic Holocene and Glacial Climates." 1997.
28. Perle Guarino-Vignon et al. "Genome-wide analysis of a collective grave from Mentesh Tepe provides insight into the population structure of early neolithic population in the South Caucasus."
29. Eirini Skourtanioti et al. 2020. „Genomic History of Neolithic to Bronze Age Anatolia, Northern Levant, and Southern Caucasus."

30. Е. А. Черленок. Археология Кавказа (мезолит, неолит, энеолит). Санкт-Петербург. 2013
31. Любин В. П. Первые сведения о мезолите горного Кавказа (Осетия) // МИА. № 126. 1966 (Любин, 1966).
32. Сафронов В. А. „Классификация и датировка памятников бронзового века Северного Кавказа.“ 1974.
33. Мунчаев Р. М. „Кавказ на заре бронзового века.“ М 1975.

For Identification of the Populations of South Caucasus Neolithic-Eneolithic and Bronze Ages Cultures

Tedo Isakadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

In relation with South Caucasian cultures of late Neolithic and Eneolithic ages, such as Shulaveri-Shomu (6000-4000 BCE) and Kura-Araxes (4000-2200 BCE), also transition Leyla-Tepe and Sioni-Tsopi-Ginchi cultures, the view was expressed that in different periods, they demonstrated influence of East Anatolian and Central Mesopotamian cultures – Khalafa, Hassouna, Ubeidiya and Uruk.

Indeed, both, ceramic artifacts and types of houses demonstrate existence of such relationships.

In this respect, the nature of such expansion of the culture, whether it was accompanied with migration of the southern population (demic diffusion) or the process was limited to acculturation and sharing of the lifestyle (cultural diffusion) is of interest.

Research of the contemporary population of the region and archeogenetic materials could be the instrument that would answer to this question.

The researches show that in the late Neolithic period and in Eneolith, in the territory of South Caucasus, there was displacement in two directions: from the south (East Anatolia, Zagros, Central Mesopotamia) and from the north (Caucasian hunter-gatherers (CHG) of Zemo Imereti) and extensive exogamic relations between these populations, resulting in formation of the local and imported cultural conglomerate with apparently complementary nature.

Thus, archeological context, as well as contemporary population of the considered area of

Near East and paleogenetic materials show that genetic cluster of Caucasian hunter-gatherers

(Zemo Imereti), moved to south in Neolithic period.

The most recent studies show that such migration could take place in the Early Neolithic

period, as in the territory of Iran, archeological monuments of Hotu and Ganj-Dareh m genetic

cluster of Caucasian hunter-gatherers is already seen, as mentioned above. Human of Satsurblia and Kotias Klde should be regarded as the ancestors of this population, in the territory of Zemo Imereti.

Hence, we should propose that the cluster of Caucasian hunter-gatherers has participated in the process of formation of the Neolithic revolution and “productive (fruitful) crescent”. In this respect, archeological culture of Nagutni (Shida Kartli) archeological culture, in relation to which, earlier there was offered that here could be present the signs of Pre-Pottery Neolith.

Maybe Nagutni is a transient point between Zemo Imereti poplation and Hotu-Ganj-Dareh, as well as Shulaveri-Shomu archeological cultures? Here we should note that similar Pre-Pottery Neolith signs can be seen in Paluri (Zemo Imereti), in turn, preceding Darkveti-Meshoko culture.

At Shulaveri-Shomu stage, movement of the populations took place, both from the south to the north (Zagros, East Anatolia, Central Mesopotamia) and from the north (Zemo Imereti) to the south. Hence, this culture, in genetic respect, is of combined nature and implies participation of the population from the south and autochthon population in formation of this culture.

In the period of Kura-Araxes archeological culture, Caucasian hunter-gatherer the cluster

expanded to the south and reached Levant. In Safronov’s opinion, this culture was formed by the populations speaking in Kartvelian and Hurrian-Urartian languages. (41) Munchayev shared this view. In such case, Zemo Imereti, i.e. foothills of the central part of South Caucasus can be identified as the place of convergence of Proto-Kartvelian languages, as the proximal source of expansion to the south, to Shulaveri-Shomu, on one hand and to the north, to Darkveti-Meshoko – on the other. Hence, regarding that Kura-Araxes clearly demonstrate legacy of the period before Shulaveri-Shomu, in both, archeological and genetic respects, participation of the Proto-Kartvelian tribes in formation of this culture should be proposed as well.

keywords: Archaeology. Archaeogenetics. Paleogenetics. Caucasian hunter-gatherer (CHG). Shulaveri-Shomutep culture. Mtkvar-Araks culture.



რუკა 1. ახლო აღმოსავლეთის არქეოლოგიური კულტურები მეზოლითი/ უკერამიკო ნეოლითის პერიოდში



რუკა 2. ახლო აღმოსავლეთისა არქეოლოგიური კულტურები შულავერი-შომუ ტეპეს პერიოდში



ჰისტოგრამა. შულავერი-შომუს არქეოლოგიური კულტურის ოსტეო მასალიდან ამოღებული გენომის აუტოსომური ნაწილის მონაცემები, გამოთვლილია qpAdm მეთოდით.

წყარო: Perle Guarino-Vignon et al, „Genome-wide analysis of a collective grave from Mentesh Tepe provides insight into the population structure of early neolithic population in the South Caucasus." Supplementary Figure 4. 2023.



რუკა 3. სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიური კულტურები გვიანი ნეოლითი/ადრეული გვიანი ბრინჯაოს პერიოდში



რუკა 4. ახლო აღმოსავლეთის არქეოლოგიური კულტურები ადრეული ნეოლითი/ადრე გვიანი ბრინჯაოს პერიოდში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

SCIENCES

ენერგოეფექტურობა და ჭკვიანი სახლის მოდელი ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე

არჩილ გრიგალაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქეთევან ილურიძე, ასისტენტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თეიმურაზ თუთბერიძე, ასისტენ-პროფესორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ხელოვნურმა ინტელექტმა (AI) მიიპყრო კვლევითი საზოგადოებისა და ინდუსტრიის ყურადღება, რამაც გამოიწვია ხელოვნური ინტელექტის გამოყენე ბა სამყაროში არსებულ აპლიკაციაში. ხელოვნური ინტელექტის დანერგვის მზარდმა ტენდენციამ მკვეთრად შეცვალა მრავალ სფეროში თანამედროვე პრაქტიკის ერგონომიკა, კერძოდ: ჭკვიანი სახლებში, ჯანდაცვაში, დაზღვევაში, საბანკო საქმეში, სოციალურ სერვისებში, ინფრასტრუქტურასა და მარკეტინგში. ჭკვიანი სახლი, რომელსაც ხშირად უწოდებენ ინტელექტუალურ სახლს, მოიცავს ჭკვიან ტექნოლოგიებს, რომელსაც მხარს უჭერს ხელოვნური ინტელექტი.

დღვანდელ ინოვაციურ სამყაროში ჭკვიანი სახლის მოდელი გულისხმობს საყოფაცხოვრებო ტექნიკაში, უსაფრთხოებასა და განათებაში შესაბამისი აპლიკაციების არსებობას. საკვანძო ინდუსტრიებმა დაიწყეს ხელოვნური ინტელექტის ჭკვიან მოწყობილობებთან ინტეგრირება, მათთან დაკავშირების მიზნით. ჭკვიან მრიცხველებს შეუძლიათ ასახონ კომუნალური შედეგები და შემდგომი მოქმედებისთვის გადასცეს ხელოვნურ ინტელექტს.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი; ენერგოეფექტურობა; ჭკვიანი სახლი.

შესავალი

მართლაც, ჭკვიანი სახლი წარმოადგენს სხვადასხვა ინტერაქტიული და ინტელექტუალური ტექნოლოგიების ერთობლიობას, რაც მას ჭკვიანს ხდის. ენერგეტიკული სისტემა ერთ-ერთია იმ მრავალი სექტორიდან, რომელიც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ინდუსტრია 4.0-ით. ამ კონტექსტში, ენერგეტიკული ინდუსტრიის ციფრული ტრანსფორმაცია მოიხსენიება, როგორც ენერგია 4.0. ამის ერთ-ერთი მაგალითია, ჭკვიანი სახლი. ბოლო წლებში ჭკვიანი ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო ტრადიციული სახლის მოდელიდან გადასვლას ჭკვიანი სახლის მოდელზე. ჭკვიანი სახლი არის ადგილი, რომელიც აღჭურვილია ტექნოლოგიებით, რომელიც მოიცავს სენსორებს, სადენიან და უსადენო ქსელებს, ინტელექტუალურ სისტემებს. ჭკვიანი სახლის ტექნოლოგია აგროვებს და აანალიზებს სხვადასხვა მონაცემებს. ხელოვნური ინტელექტი აღწერს ნებისმიერი მოწყობილობის ფუნქციებს, რომელიც აღიქვამს თავის გარემოს და იღებს გადაწყვეტილებებს, რათა მაქსიმალურად გაზრდოს თავისი მიზნები. ხელოვნური ინტელექტის იდეალური მდგომარეობაა მიუახლოვდეს ადამიანურ აზროვნებას. ხელოვნურ ინტელექტზე ორიენტირებულ საინჟინრო ტექნოლოგიებში, ისევე როგორც საინფორმაციო და საკომუნიკაციო

ტექნოლოგიების წინსვლამ და სწრაფმა ინოვაციამ განაპირობა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მზარდი ტენდენცია. გარდა ამისა, ამ ნაშრომში ასევე შემოთავაზებულია კონცეპტუალური ჩარჩო-მოდელი ხელოვნურ ინტელექტზე ორიენ-ტირებული ჭკვიანი სახლისთვის, რომელიც მიზნად ისახავს მომხმარებლების კომფორტისა და ენერგოეფექტურობის ამაღლებას.



სურ. 1 ჭკვიანი სახლის და ხელოვნური ინტელექტის ინტერესის ცვლილება დროთა განმავლობაში

ძირითადი ნაწილი

ხელოვნური ინტელექტის მეთოდების (ტექნოლოგიის) მიმოხილვა

ხელოვნური ნეირონული ქსელი

ხელოვნური ნეირონული ქსელი (ANN) არის გამოთვლითი ქსელი, რომელიც შექმნილია ბიო-ლოგიური ნერვული სისტემებით ანუ ტვინით. როგორც წესი, ხელოვნური ნეირონული ქსელი ANN შედგება სამი ფენისგან: შემავალი (დამოუკიდე-ბელი ცვლადები), ფარული და გამომავალი (დამოკიდებული ცვლადები). შემავალი ფენა იღებს ინფორმაციას ფარული ფენის დასამუშავებლად, ხოლო გამომავალი ფენა წარმოადგენს საბოლოო შედეგს. ფარული ფენა შედგება გამოთვლითი პროცესორისგან, რომელიც ცნობილია როგორც ხელოვნური ნეირონები, რომელიც ასახავს ნერვული სისტემის ბიოლოგიურ ნეირონებს. ხელოვნური ნეირონული ქსელი წარმოადგენს არაწრფივი სტატისტიკური მოდელებს რომ-ლებიც ასახავს კომპლექსურ ურთიერთობებს შემავა-ლსა და გამომავალს შორის ახალი ნიმუშის კანონზომიერების აღმოსაჩენად. ეს ხელოვნური ნეირონული ქსელები გამოიყენება სხვადასხვა პრობლემების გადასაჭრელად, როგორიცაა გამოსა-ხულების ამოცნობა, მეტყველების ამოცნობა, მანქა-ნური თარგმანი და სამედიცინო დიაგნოსტიკა.

მანქანური სწავლება

მანქანური სწავლება არის ხელოვნური ინტელექტისა და კომპიუტერული მეცნიერების დარგი, რომელიც ფოკუსირებულია მონაცემთა და ალგორითმების გამოყენებაზე. ხელოვნური ნეირონული ქსელის პროცესში შემავალი და გამომავალი შედეგებისთვის ცნობილია როგორც სწავლების პროცესი და ის მთავრდება მოცემული სასწავლო ალგორითმით.



სურ.2 ჭკვიანი სახლის მოდელი

შემოთავაზებული ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ჭკვიანი სახლი ასევე დაკავშირებულია კომუნალურ სერვისებთან, განახლებად ენერგიასთან, ბატარეებთან და სხვადასხვა ელექტრო დატვირთვასთან. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ენერგოეფექტურობის მრავალრიცხოვან აპლიკაციაში. მაგალითად, მანქანური სწავლება და ნეირონული ქსელები ფართოდ გამოიყენება დატვირთვის განაწილების სფეროში. ამ კონტექსტში, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ჭკვიანი სახლები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენერგოეფექტურ სისტემებში, ვინაიდან საცხოვრებელი სექტორი ენერგიის გლობალური მოხმარების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ამიტომ, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ ჭკვიან სახლებს შეუძლიათ გააანალიზონ ინფორმაცია განახლებადი ენერგიის წყაროების წყვეტილი ბუნება და მომხმარებელთა განუჭვრეტელი ქცევა. რათა მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები ჭკვიანი საყოფაცხოვრებო ტექნიკის უფრო ეფექტური და ენერგოეფექტური კონტროლისთვის. ჭკვიანი სახლები უფრო მეტად გამოიყენება ენერგიის მენეჯმენტში, ჭკვიან კავშირში და უსაფრთხოებაში, ხმისა და გამოსახულების ამოცნობისთვის ხელოვნური ინტელექტის ფუნქციების მეშვეობით.

სქემა ასევე შეიძლება დაეხმაროს DSM-ს ენერგიის მოხმარების უფრო საიმედოდ და ეფექტურად დაგეგმვაში. უკუკავშირს მოწყობილობის დონეზე, NILM-ის საშუალებით, ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს ენერგიის ეფექტური მართვის პროგნოზირების მოდელებს, რაც გამოიწვევს ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას. თუმცა, ეს პროცესები მიმდინარეობს მრავალი განუსაზღვრელი ცვლადის გარშემო, რაც ზრდის მოდელის სირთულეს. ამ სირთულეებთან გასამკლავებლად შემოთავაზებული მოდელი მხარდაჭერილია ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებით. დაინერგა ხელოვნურ ინტელექტზე ორიენტირებული კონტროლერი, რომელიც კოორდინაციას უწევს ყველა დაგეგმვისა და კონტროლის სტრატეგიას დაინტერესებულ მხარეებს შორის. ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე ჭკვიანი სახლის შემოთავაზებული კონცეპტუალური მოდელი შექმნილია მოსახლეობის კომფორტის დონის ამაღლებისა და ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად. ჭკვიანი სახლი არა მხოლოდ მომხმარებელია, არამედ პროსუმერიც; გამოიმუშაოს ელექტროენერგია და ასევე შეუძლია გამოიყენოს ელექტრო მანქანა, ბატარეა. თუმცა, გაურკვევლობა არის საერთო ფაქტორი, სისტემაში ენერგიის მოთხოვნის გაურკვევლობისა და განახლებადი ენერგიის წყაროების წყვეტილი ბუნების გამო.



სურ. 3 ხელოვნური ინტელექტის მართვის სტრუქტურა

ამ სურათში NILM, DSM და პროგნოზირება ურთიერთდაკავშირებულია. NILM-ის შედეგს შეუძლია ხელი შეუწყოს DSM-ს მრავალი თვალსაზრისით, როგორიცაა პოტენციური მოწყობილობების იდენტიფიცირება, დატვირთვის, გადართვის სტრატეგიებისთვის მოწყობილობის დონის ინფორმაციის ანუ შესაბამისი ოპერაციული მდგომარეობისა და დროის გამოყენებით. გარდა ამისა, მოპოვებული მოწყობილობების მოხმარების

ჭკვიანი სახლის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები

უპირატესობები:

1) სახლის უსაფრთხოება ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე - ჭკვიანი კამერების მეშვეობით.

2) ენერგის დაზოგვა ჭკვიანი მოხმარების საფუძველზე. ჭკვიანი სახლის პროდუქტების გამოყენების შედეგად შემცირდება ენერგიის მოხმარება. მანქა-

ნების, მოწყობილობებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის კონტროლი შესაძლებელია თუ თქვენ გაქვთ ჭკვიანი სახლის პროდუქტი. მზის ენერგიაზე მომუშავე ჭკვიანმა სახლებმა ცვლილებები მოიტანა როგორც ენერგიის მოხმარებაში და ასევე გადასახადებში.

3) ინფორმაციის მიწოდება ტექნიკური მომსახურებისა და სერვისის შესახებ: როდესაც თქვენს მოწყობილობებს სჭირდებათ ტექნიკური მომსახურება მათი მუშაობის შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვანია წინასწარ იყოთ ინფორმირებული. თუმცა, ამის კონტროლი ყოველთვის ადვილი არ არის. ხელოვნური ინტელექტი შეგატყობინებთ, როდესაც გჭირდებათ ტექნიკისა და მოწყობილობების ტექნუკური მომსახურება.

4) ჭკვიანი სახლის ტექნოლოგიის გამოყენების სიმარტივე. ყველა ამ მახასიათებელთან და უპირატესობასთან ერთად, ჭკვიანი ტექნოლოგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა მისი გამოყენების სიმარტივეა. ჭკვიანი სახლის ტექნოლოგიების წყალობით, თქვენ შეგიძლიათ იგრძნოთ კავშირი თქვენს სახლთან 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე.

ნაკლოვანებები:

1) ღირებულება: ტრადიციულ სახლებთან შედარებით, ჭკვიანი სახლის კონცეფია უფრო მეტ ინვესტიციას მოითხოვს.

2) ინტერნეტ დამოკიდებულება. ყველა ჭკვიანი ტექნოლოგიის ძირითადი მოთხოვნაა ხა-რისხიანი და საიმედო ინტერნეტ კავშირის ფლობა. ინტერნეტ კავშირის გარეშე შეუძლებელია ჭკვიანი სახლის მართვა და კონტროლი.

3) ტექნიკურ პერსონალზე დამოკიდებულება: ინსტალაციიდან დაწყებული მის მოვლა-პატრონობამდე, დაგჭირდებათ პროფესიონალთა გუნდი დამონტაჟებისა და მართვისთვის.

დასკვნა

ამ სტატიაში მოცემულია არსებული ლიტერატურის მიმოხილვა ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ენერგოეფექტური ჭკვიანი სახლების კონტექსტში. გარდა ამისა, შემოთავაზებულია ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ჭკვიანი სახლის კონცეპტუალური მოდელი, რომელიც მოიცავს ენერგოეფექტურობის სხვადასხვა აპლიკაციებს. აღნიშნულია, რომ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები არა მხოლოდ ხელს უწყობს უფრო ეფექტური და ზუსტი პირდაპირი უკუკავშირის მიწოდებას მოწყობილობებიდან მომხმარებლებისთვის, არამედ იძლევა ენერგიის წარმოებისა და მოხმარების უფრო კომპლექსურ პროგნოზირებად მოდელირებას, რაც იწვევს უფრო მდგრადი ენერგეტიკული სისტემების შექმნას. ხელოვნური ინტელექტის ტექნიკის სწრაფი ზრდა მომხმარებელებს აძლევს შესაძლებლობას გააუმჯობესოს საცხოვრებელ შენობებში ენერგოეფექტურობა და კომფორტის დონე. ამ კონტექსტში, მოსალოდნელია, რომ შემოთავაზებული კონცეპტუალური მოდელი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჭკვიანი სახლის კონცეფციას ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. https://www.economy.ge
2. https://smarter.ge/
3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4873938?publication=3
4. https://www.statista.com/topics/2430/smart-homes/#topicOverview
5. https://com-east.eu/ka/about-us/com-east-consortsium/item/1191-energy-efficiency-centre-georgia/

Energy efficiency and smart home model based on artificial intelligence

Archil Grigalashvili, associate professor
Georgian Technical University

Ketevan Iluridze, assistant
Georgian Technical University

Teimuraz Tutberidze, assistant professor
Ilia state university

Summary

Artificial Intelligence (AI) has attracted significant interest from academia and industry, leading to its extensive implementation in a multitude of real-world applications. The current wave of AI adoption has fundamentally changed the way that modern industries operate in a number of different disciplines, including banking, healthcare, insurance, intelligent homes, financial services, infrastructure, and advertising. AI is becoming a necessary component of modern life because to its inventive solutions and increased efficiencies brought about by its implementation.

A smart home, sometimes referred to as an intelligent residence, is made up of advanced technologies supported by artificial intelligence. These AI-powered smart homes provide a more effective, cozy, and safe living space. Applications for smart homes are numerous and include lighting, entertainment, safety and security, and household appliances. To optimize energy consumption, AI-enabled smart thermostats, for example, can learn the preferences of the occupants and alter the temperature accordingly. Similar to this, AI-powered security systems can identify odd activity and instantly alert homeowners or law enforcement, greatly improving home safety.

Major companies have been combining AI with smart devices in order to promote communication between these devices. Devices are able to communicate with one another and make decisions on their own because to this interconnectedness, which is commonly referred to as the Internet of Things (IoT). An AI-powered smart refrigerator, for instance, is able to keep an eye on its inventory, alert the user when certain goods are running low, and even place an online order for replacement. Artificial intelligence (AI) is used in the proactive measures arena when intelligent meters monitor indoor temperatures and utility use. Energy conservation efforts are greatly aided by these meters, which have the ability to detect patterns in energy usage and modify settings to increase efficiency and save costs.

The conceptual framework that has been suggested will greatly aid in future research on smart houses, especially with regard to energy efficiency. Through the integration of AI with smart home technology, scholars can investigate novel approaches aimed at curbing energy usage and advancing sustainability. In order to ensure that AI is applied in smart homes in an efficient and morally responsible manner, this framework can also help define best practices and standardized protocols. All things considered, the ongoing development of AI and its incorporation into a number of industries, including smart homes, promise to spur important breakthroughs and enhance society.

Keywords: AI, Energy Optimization, Intelligent Residence.

ხელოვნური ინტელექტის ნეგატიური ეფექტი და მანკიერი მხარეები

ირაკლი ბენაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

რამდენად სავარაუდოა, რომ ხელოვნურმა ინტელექტუალმა ადამიანის არსებობას საფრთხე შეუქმნას? ყველაზე ხშირად ხაზგასმული სცენარი AI-ის საფრთხეების კუთხით, არის კრიმინალების ან ტერორისტების მიერ ტექნოლოგიის ბოროტად გამოყენება ხალხის მასობრივი განადგურების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ მძლავრი მოდელების ჩამოტვირთვა შესაძლებელია ღია კოდის პლატფორმებზე და სრულყოფილად მორგება დიდი გამოთვლითი ან ენერგეტიკული რესურსების საჭიროების გარეშე, ჯერ კიდევ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა პრაქტიკაში იმის შესახებ, თუ როგორ შეძლებენ თაღლითური ორგანიზაციები რეალურად განახორციელონ თავიანთი გეგმები AI-ს დახმარებით. მაგალითად, მოქმედი იარაღის შესაქმნელად საჭირო ბიოქიმიური მონაცემები ვერ მოიძებნება გუგლში.

რაც უფრო იხვეწება და ფართოვდება ხელოვნური ინტელექტი, მით უფრო მატულობს საუბრები ხელოვნური ინტელექტის პოტენციურ საფრთხეებთან დაკავშირებით.

„ეს ყველაფერი შეიძლება ჩვენზე უფრო ინტელექტუალური გახდეს და გადაწყვიტოს ჩვენი ხელში ჩაგდება და ჩვენ ახლა უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან ეს“, - თქვა ჯეფრი ჰინტონმა, რომელიც ცნობილია როგორც „ხელოვნური ინტელექტის ნათლია“ მანქანათმცოდნეობის და ტექნიკის სწავლების კუთხით. 2023 წელს ჰინტონმა დატოვა თანამდებობა Google-ში, რათა შესძლებოდა საუბარი „ხელოვნური ინტელექტის საშიშროებაზე“ და აღნიშნა, რომ მისი ნაწილი ნანობს მის ცხოვრებისეულ საქმიანობას.

ჯეფრი ჰინტონის გარდა არიან სხვა მეცნიერებიც, რომლებიც ასევე შეშფოთებული არიან ხელოვნური ინტელექტის თაობაზე. Tesla-ს და SpaceX-ის დამფუძნებელმა, ილონ მასკმა, 1000-ზე მეტ ტექნიკურ ლიდერთან ერთად, 2023 წლის ღია წერილით მოუწოდა, შეჩერებულიყო ხელოვნური ინტელექტის დიდი ექსპერიმენტები და თქვა, რომ ტექნოლოგიამ შეიძლება „ღრმა საფრთხე შეუქმნას საზოგადოებას და კაცობრიობას“.

ხელოვნური ინტელექტის საფრთხეების რამდენიმე ძირითადი სახე შეგვიძლია გამოვყოთ:

- სამუშაოს დაკარგვა ავტომატიზაციის გამო;
- ყალბი მასალების გავრცელება, ე.წ. „დიფ-ფეიკები“;
- კონფიდენციალურობის დარღვევა;
- ცუდი მონაცემებით გამოწვეული ალგორითმული მიკერძოება;
- სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა;
- ბაზრის არასტაბილურობა;
- იარაღის ავტომატიზაცია;
- უკონტროლო, თვითშეგნებული AI; [4]

იქნება ეს გარკვეული სამუშაოების მზარდი ავტომატიზაცია, გენდერული და რასობრივი მიკერძოებული ალგორითმები თუ ავტონომიური იარაღი, რომლებიც მოქმედებენ ადამიანის ზედამხედველობის გარეშე, დაძაბულება ბევრ ფრონტზეა. და ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ადრეულ ეტაპზე ვართ, ბევრად მეტი შეუძლია AI-ს.

საძიებო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი; საფრთხე; კონფიდენციალურობა, ავტომატიზურებული იარაღი

შესავალი

ხელოვნური ინტელექტის 12 საფრთხე

კითხვებზე - თუ ვინ ავითარებს ხელოვნურ ინტელექტს და რა მიზნებისთვის, უფრო მნიშვნელოვანია მისი პოტენციური უარყოფითი მხარეების გაგება. სტატიაში ჩვენ დეტალურად განვიხილავთ ხელოვნური ინტელექტის შესაძლო საფრთხეებს და ვიკვლევთ, როგორ ვმართოთ მისი რისკები.

ძირითადი ნაწილი

არის AI საშიში?

ტექნიკური საზოგადოება დიდი ხანია განიხილავს ხელოვნური ინტელექტის საფრთხეებს. სამუშაოების ავტომატიზაცია, ყალბი ამბების გავრცელება და ხელოვნური ინტელექტის მქონე შეიარაღება წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის გამომწვევ ყველაზე დიდ საფრთხეს.

1. ხელოვნური ინტელექტის გამჭვირვალობისა და ახსნა-განმარტების ნაკლებობა

ხელოვნური ინტელექტისა და ღრმა სწავლის მოდელები შეიძლება იყოს რთული გასაგები, თუნდაც მათთვის, ვინც უშუალოდ მუშაობს

ტექნოლოგიასთან. ეს იწვევს გამჭვირვალობის ნაკლებობას, თუ როგორ და რატომ მიდის AI გარკვეულ დასკვნამდე, ქმნის ახსნა-განმარტების ნაკლებობას, თუ რა მონაცემებს იყენებს AI ალგორითმები, ან რატომ შეიძლება მიიღოს მიკერძოებული ან სახიფათო გადაწყვეტილებები. ჯერ კიდევ დიდი გზაა იქამდე, ვიდრე გამჭვირვალე AI სისტემები ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცევა.

2. სამუშაოს დაკარგვა AI ავტომატიზაციის გამო

AI-ზე მომუშავე სამუშაოს ავტომატიზაცია მწვავე პრობლემაა, რადგან ტექნოლოგია მიღებულია ისეთ ინდუსტრიებში, როგორიცაა მარკეტინგი, წარმოება და ჯანდაცვა. McKinsey-ის თანახმად, 2030 წლისთვის, დავალებები, რომლებიც ამჟამად სამუშაო საათების 30 პროცენტს შეადგენს აშშ-ს ეკონომიკაში, შეიძლება ავტომატიზირებული იყოს - შავკანიანი და ესპანელი თანამშრომლები დარჩებიან განსაკუთრებით დაუცველები ცვლილებების მიმართ. Goldman Sachs კი აცხადებს, რომ 300 მილიონი სრული განაკვეთის სამუშაო ადგილი შეიძლება დაიკარგოს ხელოვნური ინტელექტის ავტომატიზაციის გამო.

"მიზეზი, რომ ჩვენ გვაქვს უმუშევრობის დაბალი მაჩვენებელი, ძირითადად არის განპირობებული დაბალი ხელფასით, ცუდად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილებით, რომლებიც საკმაოდ ბევრი შეიქმნა ამ ეკონომიკის მიერ," - განუცხადა Built In-ს ფუტურისტმა მარტინ ფორდმა. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტი ვითარდება, "მე არ ვფიქრობ, რომ ეს ხელს შეუწყობს უმუშევრობას." [1]

როდესაც ხელოვნური ინტელექტის რობოტები უფრო ჭკვიანები და მოხერხებულები ხდებიან, იგივე ამოცანები მოითხოვს ნაკლებ ადამიანს. და მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტი 2025 წლისთვის 97 მილიონ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის, ბევრ თანამშრომელს არ ექნება ამ ტექნიკური როლებისთვის საჭირო უნარები და შეიძლება დარჩეს უკან, თუ კომპანიები არ გააუმჯობესებენ თავიანთ სამუშაო ძალას.

ისეთი პროფესიებიც კი, რომლებიც საჭიროებენ სამაგისტრო ხარისხს და დამატებით კოლეჯის შემდგომ ტრენინგს, არ არიან იმუნური ხელოვნური ინტელექტის განვითარების მიმართ.

როგორც ტექნოლოგიების სტრატეგმა კრის მესინამ აღნიშნა, ისეთი სფეროები, როგორიცაა სამართალი და ბუღალტერია, მზად არის ხელოვნური ინტელექტის ხელში ჩაგდებასთვის. სინამდვილეში, მესინამ თქვა, რომ ზოგიერთი მათგანი შესაძლოა განადგურდეს. ხელოვნური ინტელექტი უკვე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მედიცინაზე. სამართალი და ბუღალტრული აღრიცხვა შემდეგია, თქვა მესინამ.

„იფიქრეთ კონტრაქტების სირთულეზე, მართლაც რომ ჩავუღრმავდით, რა არის საჭირო სრულყოფილი კონტრაქტის სტრუქტურის შესაქმნელად," - თქვა მან იურიდიულ სფეროსთან დაკავშირებით. „ბევრი ადვოკატი კითხულობს უამრავ ინფორმაციას, ასობით ან ათასობით გვერდს, ეცნობა უამრავ დოკუმენტებს. ასეთ დროს მარტივია ადამიანს გამორჩეს რაღაცები. ასე რომ, ხელოვნური ინტელექტი, რომელსაც აქვს უნარი დაამუშაობს ათასობით დოკუმენტი და სრულყოფილად შექმნას საუკეთესო შესაძლო კონტრაქტი, რომლის შექმნასაც ადამიანი ცდილობ, ცხადია მარტივად ჩაანაცვლებს უამრავ კორპორატიულ ადვოკატს."

3. სოციალური მანიპულაცია AI ალგორითმების მეშვეობით

სოციალური მანიპულირება ასევე წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის საშიშროებას. ეს შიში რეალობად იქცა, რადგან პოლიტიკოსები ეყრდნობიან პლატფორმებს თავიანთი შეხედულებების პოპულარიზაციისთვის, მაგალითად, ფერდინანდ მარკოსი უმცროსი, რომელიც გამოიყენა TikTok ტროლების არმია ახალგაზრდა ფილიპინელების ხმების მოსაპოვებლად, ფილიპინების 2022 წლის არჩევნებზე. TikTok, რომელიც სოციალური მედიის პლატფორმის მხოლოდ ერთი მაგალითია, ეყრდნობა AI ალგორითმებს, ავსებს მომხმარებლის არხს კონტენტით, რომელიც დაკავშირებულია წინა ნანახ კონტენტთან, რომელიც ადამიანებმა ნახეს პლატფორმაზე.

ონლაინ მედია და სიახლეები კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული სურათებისა და ვიდეოების, ხელოვნური ინტელექტის ხმის შემცვლელების, ასევე ღრმა ფეიქების ფონზე, რომლებმაც შეაღწიეს პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში. ეს ტექნოლოგიები აადვილებს რეალისტური ფოტოების, ვიდეოების, აუდიო კლიპების შექმნას ან არსებული სურათის ან ვიდეოს ერთი ფიგურის მეორე გამოსახულებით შეცვლას.

"არავინ იცის, რა არის რეალური და რა არა", - თქვა ფორდმა. „ასე რომ, ეს ნამდვილად მიგვიყვანს იმ სიტუაციამდე, როდესაც არ უჯერებ საკუთარ თვალებსა და ყურებს; თქვენ არ შეგიძლიათ დაეყრდნოთ იმას, რაც, ისტორიულად, ჩვენ მივიჩნიეთ საუკეთესო შესაძლო მტკიცებულებად... ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი."

4. სოციალური ზედამხედველობა AI ტექნოლოგიით

გარდა ხელოვნური ინტელექტის უფრო ეგზისტენციალური საფრთხისა, ფორდი ორიენტირებულია იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს ხელოვნური ინტელექტი კონფიდენციალურობაზე და უსაფრთხოებაზე. მთავარი მაგალითია ჩინეთის მიერ სახის ამოცნობის ტექნოლოგიის გამოყენება ოფისებში, სკოლებსა და სხვა ადგილებში. გარდა იმისა, რომ თვალყურს ადევნებს პირის მოძრაობას, ჩინეთის მთავრობას შეუძლია შეაგროვოს საკმარისი მონაცემები, რათა დააკვირდეს პირის საქმიანობას, ურთიერთობებს და პოლიტიკურ შეხედულებებს.

კიდევ ერთი მაგალითია აშშ-ს პოლიციის დეპარტამენტები, რომლებიც იყენებენ პროგნოზირებად პოლიციის ალგორითმებს, რათა წინასწარ განსაზღვრონ, თუ სად მოხდება დანაშაული. პრობლემა ის არის, რომ ამ ალგორითმებზე გავლენას ახდენს დაკავების მაჩვენებლები, რაც არაპროპორციულად მოქმედებს შავკანიან მოსახლეობაზე. ”ავტორიტარული რეჟიმები იყენებენ ან აპირებენ AI-ს გამოყენებას”, - თქვა ფორდმა. „საკითხავია, რამდენად შემოიჭრება ის დასავლეთის ქვეყნებში, დემოკრატიულ ქვეყნებში და რა შეზღუდვებს წავუყენებთ მას?

5. AI ინსტრუმენტების გამოყენებით მონაცემთა კონფიდენციალურობის ნაკლებობა

თუ თქვენ თამაშობდით AI ჩეთბოტით ან გამოსცადეთ AI სახის ფილტრი ონლაინ, თქვენი მონაცემები გროვდება – მაგრამ სად მიდის და როგორ გამოიყენება? ხელოვნური ინტელექტის სისტემები ხშირად აგროვებენ პერსონალურ მონაცემებს მომხმარებლის გამოცდილების მოსარგებად ან იმისთვის, რომ დაეხმარონ AI მოდელების შექმნას. მონაცემები შეიძლება არც კი ჩაითვალოს უსაფრთხოდ, როდესაც ის მიეწოდება AI სისტემას, რადგან თუ გავიხსენებთ 2023 წელს მომხდარ შემთხვევას ChatGPT-თან დაკავშირებით, როცა „ზოგიერთი მომხმარებელი ხედავდა სათაურებს სხვა აქტიური მომხმარებლის ჩატის ისტორიიდან“. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კანონები პერსონალური ინფორმაციის დასაცავად, ზოგიერთ შემთხვევაში შეერთებულ შტატებში, არ არსებობს მკაფიო ფედერალური კანონი, რომელიც დაიცავს მოქალაქეებს ხელოვნური ინტელექტის მხრიდან მონაცემების კონფიდენციალურობის დარღვევისგან.

6. AI მიკერძოება

საზიანოა AI მიკერძოების სხვადასხვა ფორმა. New York Times-თან საუბრისას, პრინსტონის კომპიუტერული მეცნიერების პროფესორმა- ოლგა რუსაკოვსკიმ თქვა, რომ ხელოვნური ინტელექტის მიკერძოება სცილდება სქესსა და რასას. გარდა მონაცემებისა და ალგორითმული მიკერძოებისა (რომელთაგან უკანასკნელს შეუძლია პირველის „გაძლიერება“), AI შემუშავებულია ადამიანების მიერ - და ადამიანები არსებითად მიკერძოებულნი არიან.

„A.I. მკვლევარები ძირითადად არიან ადამიანები, რომლებიც არიან მამრობითი სქესის წარმომადგენლები, რომლებიც მოდიან გარკვეული რასობრივი დემოგრაფიიდან, რომლებიც გაიზარდნენ მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში“- თქვა რუსაკოვსკიმ. ”ჩვენ საკმაოდ ერთგვაროვანი მოსახლეობა ვართ, ამიტომ გამოწვევაა მსოფლიო საკითხებზე ფართო კუთხით ფიქრი.”

ხელოვნური ინტელექტის შემქმნელების შეზღუდულმა გამოცდილებამ შეიძლება ახსნას, თუ რატომ ვერ ახერხებს მეტყველების ამომცნობი ხელოვნური ინტელექტი გარკვეული დიალექტებისა და აქცენტების გაგებას. ან რატომ ვერ განიხილავენ კომპანიები კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი ფიგურების იმიტირებული ჩატბოტის შედეგებს. დეველოპერებმა და ბიზნესებმა მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ, რათა თავიდან აიცილონ ძლიერი მიკერძოება და ცრურწმენები, რომლებიც საფრთხეს უქმნის უმცირესობებს.

7. სოციოეკონომიკური უთანასწორობა AI-ის შედეგი

თუ კომპანიები უარს ამბობენ ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებში ჩადებული თანდაყოლილი მიკერძოებების აღიარებაზე, მათ შეუძლიათ კომპრომეტირება გაუკეთონ თავიანთი DEI ინიციატივებს ხელოვნური ინტელექტის ფუნქციონირებით. იდეა, რომ AI-ს შეუძლია კანდიდატის თვისებების გაზომვა სახის და ხმის ანალიზის საშუალებით, ჯერ კიდევ დაბინძურებულია რასობრივი მიკერძოებით, იგივე დისკრიმინაციული დაქირავების პრაქტიკის რეპროდუცირებას, რომლებსაც ბიზნესი აცხადებს, რომ აღმოფხვრის.

სოციო-ეკონომიკური უთანასწორობის გაფართოება, რომელიც გამოწვეულია ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე სამუშაოს დაკარგვით, შეშფოთების კიდევ ერთი მიზეზია, რომელიც ავლენს კლასობრივ მიკერძოებას იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი. მუშებს, რომლებიც ასრულებენ უფრო მეტ მექანიკურ, განმეორებით დავალებებს, განიცდიან ხელფასების 70 პროცენტამდე შემცირებას ავტომატიზაციის გამო, ოფისის თანამშრომლებს ძირითადად არ ეხებათ ხელოვნური ინტელექტის

განვიითარების ეს ეტაპი. თუმცა, გენერაციული AI გამოყენების ზრდა უკვე გავლენას ახდენს საოფისე სამუშაოებზე, რაც ქმნის როლების ფართო სპექტრს, რომლებიც შეიძლება უფრო დაუცველი იყოს ხელფასის ან სამუშაოს დაკარგვის მიმართ, ვიდრე სხვები.

Sweeping ამტკიცებს, რომ ხელოვნურმა ინტელექტის მიერ გადალახული სოციალური საზღვრები ან მეტი სამუშაო ადგილის შექმნა, ვერ ასახავს სრულ სურათს მისი ეფექტის შესახებ. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განსხვავებების გათვალისწინებას რასის, კლასისა და სხვა კატეგორიების მიხედვით.

8. ეთიკისა და კეთილგანწყობის შესუსტება AI-ის გამო

ტექნოლოგებთან, ჟურნალისტებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად, რელიგიური ლიდერებიც კი აფრთხილებენ ხელოვნური ინტელექტის პოტენციურ მახეებზე. 2023 წლის ვატიკანის შეხვედრაზე და 2024 წლის მშვიდობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ გზავნილში, რომის პაპმა ფრანცისკემ მოუწოდა ერებს, შექმნან და მიიღონ სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს ხელოვნური ინტელექტის განვითარებას და გამოყენებას.

რომის პაპმა ფრანცისკემ გააფრთხილა ხელოვნური ინტელექტის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ როგორ შეიძლება ამან გააძლიეროს დეზინფორმაციის კამპანიები, უნდობლობა საკომუნიკაციო მედიის მიმართ, არჩევნებში ჩარევა და სხვა - საბოლოოდ გაზარდოს „კონფლიქტების გაღვივება და მშვიდობის შეფერხება.

გენერაციული AI ინსტრუმენტების სწრაფი ზრდა ამ შეშფოთებას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს. ბევრმა მომხმარებელმა გამოიყენა AI ტექნოლოგია წერითი დავალებების შესასრულებლად, რაც საფრთხეს უქმნის აკადემიურ სფეროს და კრეატიულობას. გარდა ამისა, მიკერძოებული ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შეიძლება იმის დასადგენად, არის თუ არა ინდივიდი შესაფერისი სამუშაოსთვის, იპოთეკური სესხისთვის, სოციალური დახმარებისთვის თუ პოლიტიკური თავშესაფრისთვის, რაც გამოიწვევს შესაძლო უსამართლობას და დისკრიმინაციას, აღნიშნა პაპმა ფრანცისკემ. „ადამიანის უნიკალური უნარი მორალური განსჯისა და ეთიკური გადაწყვეტილების მიღებისთვის უფრო მეტია, ვიდრე ალგორითმების რთული კოლექცია“, - თქვა მან.

9. ავტონომიური იარაღები, რომლებიც აღჭურვილია AI-ით

როგორც ძალიან ხშირად ხდება, ტექნოლოგიური მიღწევები იქნა გამოყენებული ომში. 2016 წლის ღია წერილში 30 000-ზე მეტმა ადამიანმა, მათ შორის ხელოვნური ინტელექტისა და რობოტების მკვლევარებმა, უარი თქვეს ხელოვნური ინტელექტის მქონე ავტონომიურ იარაღის დაფინანსებაზე.

„თუ რომელიმე დიდი სამხედრო ძალა წინ წაიწევს ხელოვნური ინტელექტის იარაღის განვითარების კუთხით, გლობალური შეიარაღება პრაქტიკულად გარდაუვალი გახდება.

ეს პროგნოზი შესრულდა სასიკვდილო ავტონომიური იარაღის სისტემების სახით, რომლებიც დამოუკიდებლად ადგენენ და ანადგურებენ სამიზნეებს რამდენიმე რეგულაციის დაცვით. ძლიერი და რთული იარაღის გავრცელებით, მსოფლიოს ზოგიერთმა ყველაზე ძლევამოსილმა ქვეყანამ თავი დააღწია შფოთვას და ხელი შეუწყო ტექნიკურ ცივ ომს.

ამ ახალი იარაღიდან, ბევრი უქმნის დიდ რისკს მშვიდობიან მოსახლეობას, მაგრამ საფრთხე გაიზრდება თუ ავტონომიური იარაღი არასწორ ხელში მოხვდება. თუ პოლიტიკური დაპირისპირება და საბრძოლო ტენდენციები არ იქნება კონტროლირებადი, ხელოვნური ინტელექტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველაზე ცუდი ზრახვებით. სავარაუდო აზრია, რომ რამდენი ძლიერი ფიგურაც არ უნდა საუბრობდეს ხელოვნური ინტელექტის საშიშროებაზე, ადამიანები მაინც განვაგრძობენ AI-ს პროგრესირებას და ამით ფულის შოვნას.

„მენტალიტეტი ასეთია: „თუ ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება, უნდა ვცადოთ; ვნახოთ, რა მოხდება“, - თქვა მესინამ. ”და თუ ჩვენ შეგვიძლია ფულის გამომუშავება, ჩვენ გავაკეთებთ მის მთელ თაიგულს.” მაგრამ ეს არ არის უნიკალური ტექნოლოგია. ეს სამუდამოდ ხდება.”

10. AI ალგორითმების მიერ გამოწვეული ფინანსური კრიზისები

ფინანსური ინდუსტრია უფრო მგრძნობიარე გახდა ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის ჩართულობის მიმართ ყოველდღიურ ფინანსურ და სავაჭრო პროცესებში. შედეგად, ალგორითმული ვაჭრობა შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ჩვენს მომავალ დიდ ფინანსურ კრიზისზე.

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები არ არის გაჯერებული ადამიანის განსჯით ან ემოციებით, ისინი ასევე არ ითვალისწინებენ კონტექსტს, ბაზრების ურთიერთდაკავშირებას და ფაქტორებს, როგორიცაა

ადამიანის ნდობა და შიში. ეს ალგორითმები შემდეგ ახორციელებენ ათასობით გარიგებას, რომლის მიზანია სწრაფი გაყიდვა მცირე მოგებით. ათასობით გარიგების გაყიდვამ შეიძლება შეაშინოს ინვესტორები, რაც გამოიწვევს უეცარ კრახებს და ბაზრის ექსტრემალურ არასტაბილურობას.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ AI-ს არაფერი აქვს შესათავაზებელი ფინანსური სამყაროსთვის. სინამდვილეში, ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები შეიძლება დაეხმარონ ინვესტორებს, მიიღონ უფრო ჭკვიანი და ინფორმირებული გადაწყვეტილებები ბაზარზე. მაგრამ ფინანსურმა ორგანიზაციები უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ ესმით თავიანთი AI ალგორითმების და იმის, თუ როგორ იღებენ ეს ალგორითმები გადაწყვეტილებებს. კომპანიებმა უნდა განიხილონ, ამაღლებს თუ ამცირებს ხელოვნური ინტელექტი ნდობას ტექნოლოგიის დანერგვაში, რათა თავიდან აიცილონ ინვესტორებში შიშის გაღვივება და ფინანსური ქაოსი.

11. ადამიანის გავლენის დაკარგვა

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიაზე გადაჭარბებულმა დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის გავლენის დაკარგვა - და ადამიანის ფუნქციონირების ნაკლებობა საზოგადოების ზოგიერთ ნაწილში. მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ ჯანდაცვის სფეროში შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის თანაგრძნობის და მსჯელობის შემცირება. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ შემოქმედებითი მცდელობისთვის შეიძლება შეამციროს ადამიანის შემოქმედებითობა და ემოციური გამოხატულება. AI სისტემებთან ზედმეტმა ურთიერთობამ შესაძლოა გამოიწვიოს თანატოლებთან კომუნიკაციისა და სოციალური უნარების შემცირება. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იყოს ძალიან გამოსადეგი ყოველდღიური ამოცანების ავტომატიზაციისთვის, ზოგიერთი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საკითხს - აქვს თუ არა მას საერთო ადამიანის ინტელექტთან, შესაძლებლობებთან და საზოგადოების საჭიროებასთან.

12. უკონტროლო თვითშეგნება

ასევე არსებობს შეშფოთება, რომ ხელოვნური ინტელექტი იმდენად სწრაფად განვითარდება დაზვერვაში, რომ ის გახდება მგრძნობიარე და იმოქმედებს ადამიანების კონტროლის მიღმა, შესაძლოა, არასწორი გზებითაც. ამ გრძნობის შესახებ სავარაუდო ცნობები უკვე არსებობდა, ერთი პოპულარული ანგარიში იყო Google-ის ყოფილი ინჟინრისგან, რომელმაც განაცხადა, რომ AI ჩეთბოტი LaMDA მგრძნობიარე იყო და ესაუბრებოდა მას ისევე, როგორც ადამიანი. ხელოვნური ინტელექტის შემდეგი დიდი ეტაპები მოიცავს ხელოვნური ზოგადი ინტელექტის მქონე სისტემების შექმნას.

საინტერესოა, როგორ არის შესაძლებელი ხელოვნური ინტელექტის რისკების შემცირება. AI-ს აქვს მრავალი სარგებელი, როგორიცაა ჯანმრთელობის მონაცემების ორგანიზება და თვითმართვადი მანქანების ენერგია. თუმცა, ამ პერსპექტიული ტექნოლოგიიდან მაქსიმალური სარგებლობის მისაღებად, ზოგი ამტკიცებს, რომ საჭიროა უამრავი რეგულაცია.

„არსებობს სერიოზული საშიშროება იმისა, რომ AI სისტემები ადამიენბზე უფრო ჭკვიანები გახდებიან და ამან შესაძლოა ცუდი შედეგები გამოიწვიოს და კონტროლი ქვეშ მოაქციოს საზოგადოება," განუცხადა ჰინტონმა NPR-ს. „ეს არ არის მხოლოდ სამეცნიერო ფანტასტიკა, ეს არის სერიოზული პრობლემა, რომლის წინაშეც ალბათ საკმაოდ მალე დადგება კაცობრიობა და პოლიტიკოსებმა და მეცნიერებმა უნდა იფიქრონ იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ ასეთ შემთხვევაში".

იმისათვის, რომ გარკვეულ დონეზე მოხდეს ხელოვნური ინტელექტის გაკონტროლება, საჭიროა სამართლებრივი რეგულაციების შემუშავება.

ხელოვნური ინტელექტის რეგულირების საკითხზე ათობით ქვეყნამ გააკეთა მთავარი აქცენტი და ახლა აშშ-მ და ევროკავშირმა მიიღეს უფრო მკაფიო ზომები ხელოვნური ინტელექტის მზარდი განვითარების სამართავად. თეთრი სახლის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ოფისმა (OSTP) 2022 წელს გამოაქვეყნა AI უფლებების ბილი, დოკუმენტი, რომელიც ასახავს პასუხისმგებლობით ხელმძღვანელობას ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასა და განვითარებაში. გარდა ამისა, პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა 2023 წელს გამოს-ცა აღმასრულებელი ბრძანება, რომელიც ავალდებულებს ფედერალურ სააგენტოებს შეიმუშაონ ახალი წესები და მითითებები ხელოვნური ინტელექტის უსაფრთხოებისთვის. 2024 წლის მარტში კი ევროკავშირმა ახალი კანონი მიიღო ხელოოვნური ინტელექტის შესახებ, რომელმაც გარკვეულ სახელმწიფოებში უკმაყოფილება გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი რეგულაციები ნიშნავს, რომ ხელოვნური ინტელექტის გარკვეული ტექნოლოგიები შეიძლება საბოლოოდ აიკრძალოს, ეს ხელს არ უშლის საზოგადოებას ამ სფეროს შესწავლაში.

ფორდი ამტკიცებს, რომ ხელოვნური

ინტელექტი აუცილებელია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ცდილობენ ინოვაციების შექმნას და დანარჩენ მსოფლიოსთან გათანაბრებას. „თქვენ არეგულირებთ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას, მაგრამ არ აჩერებთ პროგრესს ძირითად ტექნოლოგიაში. მე ვფიქრობ, რომ ეს არასწორი და პოტენციურად საშიში იქნება“, - თქვა ფორდმა. „ჩვენ ვწყვეტთ, სად გვინდა AI და სად არა; სად არის მისაღები და სად არა. და სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებულ არჩევანს გააკეთებს“.[2]

კომპანიის დონეზე, ბიზნესს შეუძლია გადადგას მრავალი ნაბიჯი, როდესაც AI ინტეგრირებს მათ ოპერაციებში. ორგანიზაციებს შეუძლიათ განავითარონ პროცესები ალგორითმების მონიტორინგისთვის, მაღალი ხარისხის მონაცემების შედგენისა და AI ალგორითმების დასკვნების ახსნისთვის. ლიდერებს შეუძლიათ ხელოვნური ინტელექტი თავიანთი კომპანიის კულტურისა და რუტინული საქმიანი დისკუსიების ნაწილად აქციონ, დაამყარონ სტანდარტები მისაღები AI ტექნოლოგიების დასადგენად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://deepstash.com/idea/327398/the-reason-we-have-a-low-unemployment-rate-which-doesnt
2. https://builtin.com/artificial-intelligence/risks-of-artificial-intelligence
3. https://www.linkedin.com/pulse/artificial-intelligence-ai-one-biggest-risks-our-harshad-shah
4. https://builtin.com/artificial-intelligence/how-to-spot-deepfake

Negative effects and evil sides of artificial intelligence

Irakli Benashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

How likely is it for artificial intelligence to pose a threat to human existence? The most commonly discussed scenario regarding AI threats is the misuse of technology by criminals or terrorists to cause mass destruction of people. Although powerful models can be downloaded on open-source platforms and fully customized without requiring large computing or energy resources, there are still many practical questions unanswered about how fraudulent organizations can implement their plans with the help of AI. For instance, the biochemical data required to create a working weapon cannot be found on Google.

Artificial intelligence (AI) is advancing rapidly, but it has also raised concerns about the potential dangers it may pose. Geoffrey Hinton, a renowned expert in machine learning, has warned that AI could become more intelligent than humans and take over. In 2023, Hinton left his position at Google to speak about the “perils of artificial intelligence” and expressed regret about his life’s work. As AI continues to evolve, it is essential to consider how to avoid such risks.

Geoffrey Hinton is not the only scientist who is concerned about artificial intelligence. In 2023, Tesla and SpaceX founder Elon Musk joined over 1,000 tech leaders in an open letter calling for a halt to large-scale artificial intelligence experiments. They believed that such experiments could pose a profound threat to society and humanity. There are several types of artificial intelligence threats that we can identify, including job loss due to automation, distribution of fake materials (aka “Diffakes”), violation of privacy, algorithmic bias caused by bad data, socio-economic inequality, market instability, automation of weapons, and uncontrolled, self-aware AI.

The development of artificial intelligence (AI) has brought about a number of concerns. These issues include the replacement of human workers by automated machines, algorithms that encode biases based on gender and race, and the use of autonomous weapons without human supervision. Although we are only in the early stages of AI development, there is a great deal of potential for further advancements in this field.

Kay words: artificial intelligence; danger; Privacy, automatic weapons

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“ ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად სტატიის მოცულობა უნდა იყოს მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 16 ნაბეჭდი გვერდი, აწყობილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ცალ გვერდზე, 1.5 ინტერვალით, შრიფტი 12. სამუშაო ქაღალდის ველის ზომები: მარცხენა – 30 მმ, ზედა – 20 მმ, ქვედა – 20 მმ, მარჯვენა – 20 მმ;

ფინანსური გაანგარიშება მოხდება წარმოდგენილი გვერდების რაოდენობის მიხედვით (1 გვერდი 10 ლარი, უცხოელებისთვის 10 აშშ დოლარი, ან ეკვივალენტი ლარში).

ნაშრომის ელექტრონული ვერსიის გამოგზავნა შესაძლებელია ჟურნალის მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

სამეცნიერო სტატია შეიძლება დაიწეროს ქართულ და უცხოურ ენებზე. უცხოურ ენაზე წარმოდგენილი ნაშრომის ტექსტი იწყება რეზიუმეთი იმ ენაზე, რა ენაზეც არის თვითონ ტექსტი, ბოლოს უნდა დაერთოს რეზიუმე ქართულ ენაზე.

სტატიის სტრუქტურა:

1. სტატიის სათაური;
2. ავტორის/ავტორების სახელი (სრულად), გვარი, სამეცნიერო წოდება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტა.
3. რეზიუმე ქართულ ენაზე ან იმ ენაზე, რა ენაზეც არის სტატია (მინიმუმ 200 სიტყვა);
4. საკვანძო სიტყვები (მინიმუმ 4-5 სიტყვა);
5. შესავალი
6. ძირითადი ნაწილი
7. დასკვნა
8. ლიტერატურის სია ქართულ და ინგლისურ ენაზე (8-10)
9. რეზიუმე ინგლისურ ენაზე (მინიმუმ 300 სიტყვა)
10. ციტირების მითითება უნდა მოხდეს APA სტილით.

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ნახაზებისა და ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი აუცილებლად უნდა იყოს TIF ფორმატში;
- ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს სილფაინის შრიფტით. უცხო ენებზე შერულებული ნაშრომი – Times New Roman შრიფტით;
- სტატია გაფორმებული უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი (ავტორები) პასუხს აგებენ ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე;
- ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს;
- ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთა გამოსაქვეყნებელ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი დარგის მიმართულების ხელმძღვანელის ან პროფესორის მოკლე რეცენზია-რეკომენდაცია.
- რედაქცია უფლებას იტოვებს, საჭიროების შემთხვევაში, გამოსაქვეყნებელ ნაშრომს ჩაუტაროს დამატებითი რეცენზირება, გამოქვეყნების მიზანშეწონილობის დასადგენად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება შემდეგ მისამართზე:

თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კორპ. VI, სართ. VIII, ოთახი № 805ბ
ტელ.: +995 599 557 993; +995 577 938 858; ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com

ჟურნალის ყველა ნომრის ნახვა შეგიძლიათ web-გვერდზე:

web-გვერდი: https://old.gtu.ge/Journals/newsletters/
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ – https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/482648
ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com
ISSN 2346-8300
DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300